

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XLIII

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მასალები

სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი
2023 წლის 6-7 ოქტომბერი

თბილისი
2023

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2023 წლის 6-7 ოქტომბერს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალქალაქში

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **მანანა ზუკია**
ლელა გიგლემიანი
გიორგი გოგოლაშვილი
ნანა მაჭავარიანი

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

6 ოქტომბერი

კონფერენციის გახსნა

მერაბ ჩუხუა – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მისალმებები

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მაკა ბერიძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

I სექცია

12:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი : ნანა მაჭავარიანი, ქეთევან გიგაშვილი

ნარგიზ ახვლედიანი, ქეთევან მარგანი – ერთი ნაგენეტიკარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში

მაია ზარამიძე – მწკრივთა წარმოება კლარჯულში

მერაბ ბერიძე – მეთერთმეტე საუკუნის ანთროპონიმები ფოკანის ტაძრის ეპიგრაფიკის მიხედვით

მარინე ბერიძე, ლია ზაკურაძე – ინგილო, საინგილო, ინგილოური (ტერმინთა ცვლისა და მიმართებების დადგენისათვის)

მარინე ბერიძე, ნინო შარაშენიძე – ენობრივი ცვლილება და კუნძულური დიალექტის არჩევანი (მომავალი დროის გამოხატვა ინგილოურში)

II სექცია

14:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: როინ ჭიკაძე, ნესტან სულავა

მანანა ხუცია – მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკის ერთი ჯგუფისთვის (საგვარეულო, წინაპარი, შთამომავალი)

ქეთევან გიგაშვილი – ლექსიკური ინტერფერენციის საკითხისათვის ფერეიდნულ დიალექტში

გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ლომთაძე – მიგრაციული დიალექტიზმების შესახებ ქართულში (საკითხის დასმისათვის)

ნატალია ზუმბაძე – ქართული მუსიკალური დიალექტები და სიმღერა „მზე შინა“

ლელა თელიაშვილი – მეტონიმია, როგორც ონომასტიკური მოვლენა ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა მიხედვით

III სექცია

16:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: გიორგი გოგოლაშვილი, სოფიკო ჭაავა

თინა იველაშვილი – სიტყვა წვიმის სინონიმები სამცხე-ჯავახეთში

იგორ კეკელია – ლეჩხუმის ოიკონიმიდან (ოყურეში)

ლამზირა კობაძე – კუსუფიქსიანი ზმნები მთიულურ დიალექტში

ლევან კოკლამაზაშვილი – „საზიარო არტიკულაციის კანონის“ მოქმედებით დაკარგული {-ნ} ზმნური მორფემა ქიზიყურში

ქეთევან მარგანი – ერთი ნაგენეტივარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში

7 ოქტომბერი

I სექცია

11:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მერაბ ბერიძე, ლამზირა კობაიძე

მაყვალა მიქელაძე – „რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“

ნიკოლოზ ოთინაშვილი – ქსნის ხეობის ონომასტიკიდან, სოფელი ქურთა და მისი მიდამოები

მედეა საღლიანი – უძველესი რელიგიური (ქრისტიანული თუ წარმართული) ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური გააზრებისათვის სვანურში I. ლიცხტი/ლიცხატ/ლიცხტენი...

ნესტან სულავა – ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებათა შესახებ

მამია ფაღავა – ურ//ულ სუფიქსი კლარჯეთის ტოპონიმიში

ჭაბუკი ქირია – ფუმეკვეცადი სახელები ქართულსა და მეგრულ-ლაზურში

II სექცია

13:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მამია ფაღავა, მანანა ბუკია

ქეთევან ქუთათელაძე – ქართულ წყაროებში შემორჩენილი ქვის აღმნიშვნელი სახელწოდებები და ტოპონიმები

ნატო შავრეშიანი – სვანური გამოცანები „მამ მოშნ (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით)

შორენა შავრეშიანი ერთი ზღაპრის ხალხური წყაროს შესახებ

მერაბ ჩუხუა – ქართული ენისა და ქრისტიანობის ისტორიული სტატუსი კავკასიის რეგიონში

ნინო ციხიშვილი – მეტეგვარი სახელების წარმოება კახეთში მიგრირებულ მთიულ-გუდამაყრელებში

III სექცია

15:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მერინე ბერიძე, ნინო ჭუმბურიძე

ნინო წერედიანი – „ლემზირიდან“ „სეფისკვერამდე“

სოფიკო ჭაავა – „უნივერსიტეტში დატოვებულ“ ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოგზაურობის დღიური „მასალები ქართლურ კილოზე, კავთისხევი, 1923 წ.“

როინ ჭიკაძე – შავშური დიალექტის ენობრივი იმუნიტეტი

ნინელი ჭოხონელიძე – ხარისადმი მისამართი შემახილები ქართულში

ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი – ზედსართავ მცირე-ს ლექსიკური ველი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

ცირა ჯანჯღავა – *ხოლო* ნაწილაკის ფუნქციისათვის მეგრულში

17:00 სესიის შეჯამება და დახურვა

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

ერთი ნაგენეტივარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში

ჰიდრონიმია ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ენის განვითარების ისტორიის დასადგენად. ჰიდრონიმი ჰიდროგრაფიული ობიექტის – დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის – მორევის, ჩანჩქერის, მოსაბრუნის, სათევზაო ადგილის, ტოტის, ფშანის, აგრეთვე ზღვის, ტბის, არხის, ჭაობის, ლენჭყის და სხვათა სახელია.

ტოპონიმიკაში ხშირად ასახულია ტომთა ის სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. მასში შემონახულია ისეთი დამახასიათებელი საზოგადო სახელებიც, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს: სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბალახოს და სხვას. ზოგჯერ ასეთი საზოგადო სახელი აღარც აქვს თავის მოქმედ ლექსიკურ შემადგენლობაში, მაგრამ შერჩენილია ამ თუ იმ ადგილის სახელწოდებაში (გ. ახვლედიანი, 1957:107).

ამჯერად ქართველურ ფორმატში (სვანურის მონაცემების გავალისწინებით) წარმოვიდგინო ქობულეთის მუნიციპალიტეტში დადასტურებული ერთ ნაგენეტივარი ჰიდრონიმის ისტორია-ეტიმოლოგიას. ეს არის კინკიშა – გეოგრაფიული სახელი.

კინკიშა:

1. ყოფილი სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში;
2. მდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტში, კინტრიშის მარცხენა შენაკადი.

– ის სუფიქსიანი ნაგენეტივარი სახელი ქართულ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელად (იხ. ა. შა-

ნიძე, 1973:115; 1958:20–21; თ. ზურაბიშვილი, 1961:150–151; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, 1988:241).

თავდაპირველად წარმოგიდგენთ მდინარე კინკიშას გეომორფოლოგიურ დახასიათებას: მდინარე კინკიშას აუზის ფართობია 31.5 კმ², ხოლო სიგრძე-15 კმ. მორფოლოგიურად ხეობის შუა და ზედა მონაკვეთები V-სებრია (ლექავა და სხვ., 2020, გვ. 16). მდინარე კინკიშას ქვემო წელში, მცირე ჰიდროელექტროსადგურის ზემოთ, ორ კმ-იან მონაკვეთზე ხეობა რამდენადმე ფართოვდება და შემდგომ კვლავ ვიწროვდება. იგი ასევე ვიწროვდება ჰესის ქვედა ნაწილში, ამრიგად, აღნიშნულ მონაკვეთში კინკიშის ხეობა ბუნებრივად გაფართოებულ, ჩაკეტილ სივრცეშია მოქცეული. აღნიშნულ მონაკვეთზე ხეობის ძირის საშუალო სიგანაა 30-40 მ. კალაპოტის სიგანე საშუალოდ 15-20 მ, ხოლო ხეობის ფერდობების საშუალოდ დახრა 30-40 გრადუსია (იქვე, გვ 15). მდინარე კინკიშას მაქსიმალური წყალმოვარდნები ახასიათებს აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის პირველ ნახევრამდე პერიოდში. როგორც წესი, მდინარის დონე იშვიათად აღწევს, მაგრამ არ ცდება დამცავი ჯებირის ზედა ნიშნულს, მდინარის დონის დამცავი ჯებირის დონეზე აცდენის ერთადერთი შემთხვევა დაფიქსირდა 1978 წელს. ამ დროს წყალმოვარდნის ტალღის სიმაღლემ მიაღწია დაახლოებით 5.5 მეტრს, ხოლო მდინარის ხარჯმა 90-100 მ³/წმ. 1978 წლის ყველაზე ძლიერი წყალმოვარდნა გამოწვეული იყო მდინარე კინკიშის ხეობაში, სათავე ნაგებობის ზემოთ მოწყობილი ხელოვნური წყლის აუზის ავსებით და უცაბედი გარღვევით. ე. ი. წყალმოვარდნა ხელოვნური ჩარევის გზით იყო პროვოცირებული (იქვე, გვ 19). მდინარე კინკიშას ხეობის ფერდობები აღნიშნულ მონაკვეთებზე აგებულია შუა ეოცენის, შუა და ზედა წყების ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, ტუფობექჩიებით, ტუფოქვიშაქვებით, ტუფოკონგლომერატებით, ანდეზიტური საფარით და ანდეზიტბაზალტებით. ფერდობები ტყის საფარითაა შემოსილი. მდინარე კინკიშას ძირითად ნაკადს არ ახასიათებს ბუნებრივი კატასტროფული წყალმოვარდნები და ღვარცოფები (ლექავა და სხვ. 2020:21).

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიედინება მდინარე კინტრიში, რომლის მთავარი შენაკადია მდინარე კინკიშა. იგი თავის მხრივ შეიცავს შენაკადებს: საკირე, ქარიშხლის ღელე, წერაკვეთის ღელე,

საგებაურის წყალი, ხერკნალა, გომი, ყვიალი, ქობრონა, სკურდა, ძენისეული, ნაბელავა, აჭყვა (თავისი მცირე შენაკადებით: განისგული, აჭყვანკალა, საკალმახე). არსებობს გამოკვლევა ქობულეთის მთავარი მდინარის კინტრიშის შესახებ. იგი მეგრულ-ჭანური წარმოშობის ჰიდრონიმი ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ტოპოფორმანტი „იშ“. ეს სუფიქსი ფართოდაა გავრცელებული სვანურშიც, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზანურ ელემენტთან უნდა გვქონდეს საქმე. მეგრული წარმომავლობის ტოპონიმთა წრეში აქცევდა „კინტრიშ“-ს ივ. ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილი 1960:428). ჰიდრონიმ „კინტრიში“-ს ფუძე „კინტრ“ („წაკინტრება“ || „წაკინდრება“) მკვლევარ აზ. ახვლედიანის ზეპირი ინფორმაციით, დასტურდება აჭარულში და ნიშნავს „წაკიდება“, „წაჩხუბება“. ს. იმერხევი, მკვლევარ შ. ფუტკარაძის ცნობით, დასტურდება „წევიკინტლენ“ – „წაკამათდნენ“, რაც შეეხება ჰიდრონიმ კინტრიში სახელდების მოტივაციას, აქ მართლაც ერთმანეთს ერთვის ორი მდინარე „კინტრიში“ და „კინკიშა“ და თითქოს ხდება მათი ერთმანეთზე წაკიდება || წაკინტრება – წაჩხუბება.

მდინარე კინკიშა – კინტრიშის მარცხენა შენაკადია (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეში – (ნ. ახვლედიანი, 2009 გვ. 74). კინკიშა (კინკ-იშ-ა) კომპოზიტური აგებულების ჰიდრონიმია. ამ ჰიდრონიმის პირველი ნაწილი კინკ – კინკი (კურთაში) – უბე (ნიფხვისა), კურთაში ბორკი – ტოტი ნიფხვისა იქვე კურთალარი – შდრ.: ქართ. კვართი-ძველად, პერანგი და მისი ამხანაგი ერთად შეერთებული, ერთი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო (პ. ჭარაია, 1997:80-83), ხოლო „იშ“ ზანური ტოპოფორმანტია, ისევე როგორც კინტრ(იშ)-ს შემთხვევაში, „ა“ – კი, შესაბამისად, მატოპონიმბეული სუფიქსია. კინკი – მოსაცმელი [(გრამატიკა 2015:803) (მ. ბუკია, 2018:214)]. ზან. (მეგრ.) კინკ-ი „ძველი ტანსაცმელი“, ლაზ. კინკ-ი „მოსაცმელი“ (მ. ჩუხუა, 2018:253).

კინკ – (-იშ) საცვლის, შარვლის უბე; (ვ. დონდუა, 2001: გვ. 136).

კინკ (= „ბუდე, უბე“ სემანტიკით და შინაარსით) სვანურ ენაში დღესაც აქტიურად გამოყენებადი ლექსემაა, რომელიც შესაძლოა წარმოშობით ზანური **კინკ**-ი იყოს, შდრ. ქართ. **კონკ**-ი „ძველი, გაცვეთილი, დახეულ-დაკერებული ტანსაცმელი“.

ქართველური კინკ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა სვანურში არის **კინკ-პრ**; ნათესაობითი ბრუნვისა კი – **კინკ-იშ** (ბქ.) **კინკ-ი** (ბზ.)

საინტერესოა ერთი გარემოება: სვანურში უნდა მომხდარიყო **კინკ** ლექსემის მნიშვნელობის ცვლა და გაფართოება შემდეგნაირად: შარვლის / საცვლის უბე > ინტიმური ზონა; გადატანითი მნიშვნელობით მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ეპითეტად და დასახასიათებლად სვანურში, როგორც ეს პრაქტიკული სვანურიდან და კერძო საუბრებიდან ცნობილი იყო ჩვენთვის, და ასევე არაერთხელ დაგვიდასტურეს სხვადასხვა ასაკის ინფორმატორებმა, გამოიყენება შემდეგი ფრაზეოლოგიზმი: **ხოლამ კინკი პატრუენილ** „ცუდი უბის, ცუდი ინტიმური ზონის პატრონი“, შდრ. პატრუენ-ილ კნინობითის ფორმითაა გადმოცემული, რითაც კიდევ მეტად ხაზგასმულია ფრაზეოლოგიზმის უარყოფითი კონოტაცია (გამომდინარე საზოგადოებრივი განწყობებიდან და მენტალობიდან!) (ინფორმატორები: ქალდანი შალიკო – 78 წლის; გუჯეჯიანი შალვა – 82 წლის; დადვანი იორამ – 40 წლის; მიბჩუანი დოდო – 72 წლის... დალის/კოდორის ხეობა 2001 წ.).

ვვარაუდობთ, ქართველური ჰიდრონიმი „კინკიშა“ ზანიზმია აჭარისთვის და „უბისა“ – ს ნიშნავს. რაც შეეხება ჰიდრონიმ „კინკიშა“-ს ეტიმოლოგიას, შესაძლოა, რომ იგი მდინარის (კინტრიშის-ნ.ა.) შენაკადს, ტოტის შესართავს ნიშნავს. შდრ.: უბისა სოფელია აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ძირულას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 320 მ.-ია, ხოლო თავისი განლაგებითა და მდებარეობით უბეს წააგავს. ჩვენი ვარაუდით, ჰიდრონიმი „კინკიშა“ ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში უნდა განვიხილოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1957 – ახვლედიანი გ. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნალი „მნათობი“, N2, თბილისი.

ახვლედიანი 2009 – ახვლედიანი ნ. ზანიზმები აჭარის ტოპონიმიკაში, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

ბუკია 2018 – ბუკია მ. ლაზური ლექსიკონი, Wojnowice.

დონდუა 2001– დონდუა კ. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ზურაბიშვილი 1961 – ზურაბიშვილი თ. „ტოპონიმიკის შესწავლისათვის“, ქესს, III, თბილისი.

ლეჟავა , წიქარიშვილი, ყარალაშვილი, ნასყიდაშვილი 2020 – ლეჟავა ზ., წიქარიშვილი კ., ყარალაშვილი თ., ნასყიდაშვილი ა.მდინარე კინკიშის ხეობის ღვარცოფული ნაკადების კვლევის შედეგები, საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, XX, თბილისი.

შანიძე 1973 – შანიძე ა. „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I, თბილისი.

ჩუხუა 2018 – ჩუხუა მ. ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი (შევსებული გამოცემა), Wojnowice.

ჭარაია 1997 – ჭარაია პ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1960 – ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია ტ. I თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“, თბილისი.

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

მწკრივთა წარმოება კლარჯულში

კლარჯული ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა. მისი გავრცელების ძირითადი არეალია ჭოროხის ხეობა; კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, მურლულისა და არტანუჯის რაიონებშია, ნაწილი –საქართველოში, აჭარის არ-ის ხელვაჩაუ-

რის მუნიციპალიტეტში (მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი). თურქეთის კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეთა, მეორე –მეთურქულე.

ქართული ენის სამხრულ კილოებს შორის კლარჯული ერთ-ერთი საინტერესო კილოა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთო აქვს მათთან, ხშირ შემთხვევაში მკვეთრ განსხვავებასაც გვიჩვენებს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

ამჯერად მწკრივთა წარმოების თავისებურებებს განვიხილავთ.

-**ავ** და -**ამ** თემისნიშნთან ზმნებს აწმყოსა და მყოფადის მწკრივების მესამე პირში მრავლობით რიცხვში ეკუმშებათ თემის ნიშანი (იხ. მ. ცინცაძე, მ. ფაღავა 1998, 67; შავშეთი 2011, 259; კლარჯეთი 2016, 561; მაჭახლ. 2017, 237; შ. ნიჟარაძე 1975, 147; ტაო 2020, 743; შავშ. კილო 2022:81).

ახლა **შეხედვენ** ქი (ერენქომ); კაცებმა ქალებს არ **შეხედვენ** (იქ-ბაალიე); არ **შეინახვენ** (ბუჯჯური); მეძვები არის და ვერ **დეინახვენ** (იბრიქი); იმათ საწურ თორბაში ბილე **წურვენ** (მარადიდი); სახლში არიან, **ძინვან** (ნუსრეთიე); რასომ **დეიბურვენ** (ჯივანი); რაცხას ჩემდებენ, **მეიპარვენ** (ისკები)...

შდრ.:

იმას **გაზომავენ**, ადგილებ (ისკები).

ძროხას ყუას **დაარტყმენ** და ისე დაკლიანო (მარადიდი); **მირტყმენო**, არ'ნა ურტყა (კირნათი); ბომენ **სმენ** (გურბინი); არ უარე-ბიან, **ურტყმენო** (კირნათი); არ წევდა, **დამაზმენო** (მარადიდი); გელინოს **მუუთქმენო** (გურბინი); ესენი **ასხმენ** (კირნათი)...

უღლების ამ წესს მიჰყვება ათემატური და ის ზმნებიც, რომელთაც სხვა თემის ნიშნის ნაცვლად აქვთ -**ავ**:

დომუზებმა თხილი-მილი ჭამდენ, ახლა კიდეც **ჭამვენ** (მარადიდი); იქ **წერვენ** (დევსქელი); ნადდი **დიმიძახვენ** (იბრიქი); ხოჯას **დუუძახვენ** (სირეთიე); მალ-მალ **დეილაპარიკვენ** (იქბაალიე); კაკლიანი ჩურჩხელა **გაკეთვენ** (მაამურიე)...

-**ავ** და -**ამ** თემისნიშნთან ზმნებს სავრცობიან მწკრივებში I და II პირებში ეცვლებათ თემისნიშნისეული ხმოვანი: **ავ > ევ**, **ამ > ემ** ისევე, როგორც ძველ ქართულში:

უწინდელ კაცებს **ნახევდე**, ბევრ დემწავლიდი (ბუჯური); პურ **მოვჭრედით** (ზაგინი); ეწინ **დავთესვდით** (ერენქო); ერთმანეთ **შევხედვდით** (იბრიქი); დილაღ **გამოგჩხრიკვდი** (ჯივანი); **შევწვევდით** მაღი-კვერცხსა (კირქხარმანი); პურს **გავფენვდით** (რიშაადიე); თხილი წინ **ვიყიდევდით** (იბრიქი); არაბები **ვწერევდი** (ლუთბიე)...

ბოლო სამი ზმნის ამოსავალია: **გავფინავ, ვიყიდავ, ვწერავ**.

ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით, მესამე პირში იყო **-ვიდ, -მიდ** წარმოების ფორმები (ნახვიდა, ხედვიდა, სუმიდა...) (ა. შანიძე 1976, 94).

კლარჯულსა და შავშურში ფართოდ არის გავრცელებული **-ევ** და **-ემ** ნიშნიანი ფორმები სამივე პირისათვის, განსხვავებით ტაოურისაგან, რომელშიც პროდუქტიულია სამივე პირში **-ვიდ, -მიდიანი** წარმოება, თითო-ოროლა შემთხვევაა **-ევდ, -ემდ** პარადიგმისა (ტაო 2020, 744).

უწინ სიმინდ **დათესვდენ** (ისკები); რაცხას **ნახევდენ** (ქლასკური); **დააკრევდენ**, საჯ **დაახურევდენ** (ჰაჯიოსმანი); კორდერონზე **უკრევდენ** (ბუჯური); წყალი გამოიღებდენ, **გაწურევდენ** (ჰამიდიე); ბაღნები **მეაპარევდენ** და **გაყიდევდენ** (კირნათი); ნენეა **იკითხევდა** (ადაგული); დედამთილი ამას **შუულოცევდა** (ქლასკური)...

-ავ'თემისნიშნიანების რიგშია **ვქენი** ზმნაც:

ცხენით კალოს **ვქენევდით** (რიშაადიე)...

-ამ'თემისნიშნიანები აღნიშნულ მწკრივებში საერთოდ იშვიათია:

ბუკში **მირტყმიდა** (ნურუოსმანიე)...

გოგო და ბიჭი ერთმანებს ვერ **დეინახვიდენ** (ავანა); ვერ **ხედვიდა** იგზე (კირნათი)...

იშვიათად **-ავ** თემისნიშანი შენარჩუნებულია I და III პირებში: **დეინახვიდა**, უღელი გატყდებოდა (ქართლა); მაღ დერგებში **შევნახავდით** (ჰაჯიოსმანიე)...

-ებ'თემისნიშნიანი ი'პრეფიქსიანი ვნებითის მყოფადის ფორმებია: **მეაღალვის, დეიბადვის**:

ჩვენებური ინსანი არ **მეაღალვის** (ირშაადიე); **დეიბადვის**, მაშინაც დანიშნა იქნება (ავანა)...

წყვეტილის ფორმებს, რომელთაც მწკრივის ნიშნად აქვთ **ე**, დაერთვის **ვი** მარცვალი:

ეს სექვი იყო, **ავწიევით** (გურბინი); რძალი **მევეყვანევი** (ისკე-ბი); შეითანი ჰა **ნახევი**-მეთქინ (კირნათი); ისინი ვერ **ვნახევით** (აი-ვაზფინარი); **ამეღევი**, **კვიდევი** (ჩუბუქლუბალა); ერთი გოგოც **გავათხუვეით** (ერენქო); საჭმელევი **ვჭამევით**, **ვისაქმევით** (ქლასკური); ჰად **ჭამევით?** (აივაზფინარი); კიკვამეები **მევეყარევით** (გურბინი); **ვიძინევი**, კიდევ მეძინება (იბრიქი); ჩემი დის ბიჭი **დავაქორწილევი** (ბუჯური); ყველგან წაველით, **დევლაპარიკევით** (გურბინი); ბედვა ჩვენ **დავაწერიევით** (თხილაზორი); ის **დაწერიევით** (ბუჯური); აქიდან **შეხედევით**, ლამაზია (ბუჯური); გოლჯუქში რომ **ჩეგზარგევით** (მურკვეთი); დანაყე, **დანაყევი** (ჯივანი); თოჯინეთი **დაწერიევი** (ქართლა)...

ასე იულღვის **ვექნი** ზმნაც:

ყინაგეჯე შინ **ვექნევით** (ნუსრეთი); ფერხული, სიმღერა, ზორ **ვექნევით** (ერენქო); ისე **ქენევით**, ასე **ქენევით**, ასწავლის (ბუჯური)...

ასეთი ფორმევი ჩვეულებრივ გვხვდება საშუალ ქართულში, ზ. სარჯველაძეს ეს მოვლენა დიალექტიზმად მიაჩნია (ზ. სარჯველაძე 1984, 116).

ზოგჯერ მოკვეცილია **ი**:

ერთი ლემსი **ეიდევ** (კირნათი); სობაში შევდებ, **დახრისევ** (ადაგული); გაჭარ და **წეიდევ** (მარადიდი); ჰადმე ვერ **წეიდევთ** (კირნათი); ისე არ **ვექნევით** (გურბინი)...

წყვეტილის I და II პირებში ზოგჯერ არ ერთვის **ი**:

მოჭარ ისიც (მარადიდი); დიზგინი არ **მივეც** (კირნათი); შენ **დადექ** სახში, ერთი იმუშავე (კირნათი); შენ ზურნა **დუუკარ** (კირნათი); მე არ **ვექენ** (ქართლა); გზაზე **დადექ** (ქლასკური)...

მეორე კავშირებითში **ე** ნიშნის ნაცვლად არის **ო**:

მოვდონ'ნა იქიდან (ჯივანი); ისე **წევდონ** (გვერი); არ მინდა, კაცი **წევდოს** ბაზოს სახშიო (ხეზა); ღმერთმა ყუვეთი **მოგცოსო**, ჰალი, ჯანი **მოგცოსო** (ქლასკური)...

I თურმეობითში **-ამ** თემისნიშნიანებს არ გადაჰყვებათ თემის ნიშნისეული **ა**: გვაქვს **უთქმია** მხოლობითში და **უთქმიან** მრავლობითის ფორმევი. მესამე პირში, რიცხვის ნიშანია **-ან** მრავლობითში (თ'ს ნაცვლად), **ა** მხოლობითში **ს**'ს ნაცვლად:

ჩემზე **უთქმია** (დევესქელი); **უთქმიან**, ქი ხეზე გადიო, იმასაც უთქმია (ისკები); არიგებენ, ჰამა ვერ **უთქმიან** (ქართლა); ზომო ყანა **უთქმიან** (ჰამიდი).

შდრ.:

ღმერთს **უთქვამს** (გურბინი).

ახლა არ წევსვავ, ჰამა **წიმისმია** (დევესქელი)...

უთემისნიშნო ფუძეს ეყრდნობა I თურმეობითში -**ავ** თემის-ნიშნიანი ზმნა:

თმები **შუულდება** (ბუჯური); ჩვენ არ **დიგვინახია** (ერენქო); იმისთინ ვერ **გინახია** (ხება); იქ **დუუფლიან** (ქლასკური)...

მეორე და მესამე პირში მრავლობითში -**ან** ნიშნის წინ არის თემისნიშნისეული ვ:

აქ წყალი **უნახვან**, დამყდარან (გოლოჯიქი); ლამაზი ძერი **უნახვან** (მურღული); თქვენ **გვიკითხვან**, ჩვენ არ გვიკითხავს (დევესქელი)...

გვხვდება უვინო ფორმითაც:

ზორ ლამაზი **გინახიან** თქვენ (ქართლა)...

მისცემს ზმნას I თურმეობითში გადაჰყვება -**ემ**:

ლივერი **მუუცემიან** (ავანა).

-**ებ** თემისნიშნიანი **აკეთებს** ზმნა II სერიის თემას ეყრდნობა I თურმეობითში:

შვიდი თაბუთი **გუუკეთიან** (გოლოჯიქი)...

საწყისის ნაცვლად I თურმეობითში მიმღეობის ფუძეა გამოყენებული:

აქ გამოსულან, **მორევლან** ერმენები (ნუსრეთიე)...

ათემატურ **ჰამს** ზმნას ისევე ეწარმოება I თურმეობითი, როგორც -**ამ** თემისნიშნიანს:

ბოლათ ღორის ხორცი **უჰმია** (ქლასკური).

კლარჯულში ერთმანეთს ენაცვლება ზმნის ა' პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები; ჭარბობს უპრეფიქსო ვარიანტები:

რაცხა **მომგონდებოდა**, დავარქმევდი (ქლასკური); ახლა ყველა არ **მომგონდა** (თხილაზორი); ბოლაქი **მომგონდეს** (ჯივანი); სიყვარული რომ **მომგონდება** (დევესქელი); რაცხა **მომგონდებოდა**, ვიტყოდი (ქლასკური); დააწავლე, **მომგონდა** (დევესქელი); ნიშან **დამდებენ** (ბაგინი); თუ **გამგზავნებენ**, ხეჭეჭურად მევმცრევთ (ისკები);

თხილ **დარგებენ** (თხილაზორი); ახლა მაშინადას საქმე'ნა გეგვნა, რომე მალე **გავგზანო** (კირნათი); თუ მოკტა, **გამგზავნავთო**, უთქმია (ავიჯაფინარი); თელი **დამვიწყდა** (ქართლა)...

შდრ.:

მომავონდა, ვალახ! (ესკი ფერადიე); **მომავონდეს**, აირი-და **მომავონდეს** (ნიმეთიე); ჩვენ **დავარგავთ** (თხილაზორი); თხილი **დავარგვი**, კაკალი **დავარგვი** (ჰამიდიე); ტყეში **გავავგზანეთ**, მომიკტა (ჰაჯიოსმანი); რაც ვიცოდი, იგიც **დამამიწყდა** (ჰაჯიოსმანი); ჩვენც **დამაბიწყდენ** ჩვენებური (ავანა); აქ ლაპარაკი არაა, **დამამიწყდენ** (ჰამიდიე)...

წყვეტილის მწკრივის I-II პირებში **ვედ** თან შედარებით ჭარბობს **ველ** ფუძის ზმნა: ერთმანეთს ენაცვლება **ი** სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები:

მითხრა, ჰამა ვერ **წვეელი** (ჯივანი); იქეთ **წვეელ**, ახორში **წვეელ** (კირნათი); **წვეელ** უჩ-დორთ და **მოველ** (იბრიქი); **წვეელ** დემე-ძინენ'ნა (ჯივანი); მარადიდში **ჩვეელი** (ერენქოა); ახლა **მოველ** (ქლასქური); სტამბულში **მიველ** ღამე (გურბინი); **ჩამოველ** ბათუმ (ჯივანი); იზმითიდან აქ **მოველი** (გურბინი); **ამოველი** ბორჩხაში (ჯივანი); შენ არ **წახველ** ისტამბულ (ერენქოა); ე თურქქა **გადახველ** (დევსქელი); იქ რასოა **გახველიო?** ავახტი და **გაველიო** (ისკები)...

მრავლობითში **ი** ნიანი ფორმაა ორივე – პირველ და მეორე პირში:

გუშინ **ამოველით** (ჯივანი); ახლა აქ **გამოველით** (გურბინი); ეაქი, გურჯისტანიდან **მოხველით** (ბუჯური); ბუჯურ **გახველით** თუ თქვენ? (დევსქელი); სახლებში **მიხველით** (იბრიქი); ასე ხოფი-დან **მოხველით?** (ბორჩხა); ჰაიდან, ჰიდავრობიდან **მოხველით?** (თხილაზორი)...

შეგნიშნავთ, რომ **ველ** ფუძის ზმნის ფორმები ნორმა ჩანს „ყარამანიანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „რუსუდანიანში“ „სიბრძნე-სიცრუისასა“ და „ქილილა და დამანაში“:

მე რომ **წამოველ** (ყარ. 293); ვაშად **მოხველ**, ამირან დარეჯანის ძეო (ამირ. 31); არ ძალისა იმედული **წამოხველ** ჩინეთიდან (რუსუდ. 43); ისპანს რომ **ჩაველ**... (ქილ. 1)...

იშვიათია **ვედ** ფუძე:

აგზე ქი **ჩამოხვედით** (იბრიქი); ერთპირ **ჩამოვედით** (ხეზა); ასე ხოფიდან **მოხვედით?** (ზორჩხა); **წევედი** იქიდან (კირნათი)...

-**ავ** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამისი ვნებითი ნაწარმოებია არქაული წესით:

მოხარშავს: ცოტა **მეიხარშვის** (ბაშქოა)...

ვშუშავთ: **დეიშუშვის**, ქვილის სული წუშუვა (დევესქელი)...

დაბნიდავს: ამის ნენემ ვერ იტირავს, **დეიბნიდვის** (დევესქელი).

პროდუქტულია სახელზმნური ფუძის ზმნები:

სხალი ვერ ვჭამ, **მწყენულობს**, შექერი მაქ (ბუჯური); ვერ **გნე-ბულობდენ** (ქლასკური); რაცხას მიცემენ, **ყოფნილობენ**, რაცხას მოქცემს, **ყოფნილობთ** (ჯივანი); მოვხრაკავთ, მე **მწყენულობენ** (ისკე-ბი); **ცოხნულობს** ბალახს (ქლასკური); მის განაყოფს თუ აქვა, ვერ **ტანულოფს** (ხეზა); ჩემი ბაბომა მისი ბაბოა არ **ცნობილოფს** (შირინ-სულიე); იბერიას **ცნობილობ-თუ?** (ისკე-ბი); **გავლილა** არაბა (ჰამი-დიე); ი ღარჭი მეტი **შემეცოდვილა** (იბრიქი)...

ქმნ ფუძის ზმნები სავრცობიან მწკრივს აწარმოებს არქაულად, – იმავე ფუძით:

ღამეში ნადებ **ვიქმოდიო** (გურბინი); ნად **ვიქმოდიო**, ნადებ ღამეში **ვიქმოდიო** (ჯივანი); იქნებოდა საქმე, **იქმოდა** (გურბინი); ხოჯებმა დუას **იქმოდა** (სირეთი)...

იმვითად -**ავ** თემისნიშნისანი, **დ** სავრცობიანი ფორმაც გვხვდება:

წინ ქორწილ სოფელში **ვიქავდიო** (აივაზფინარი), შდრ. **ვიქამ-დიო**...

როგორც მსჯელობიდან ჩანს, მწკრივთა წარმოებაში ნათლად იკვეთება კლარჯულის თავისებურება.

გამოყენებული ლიტერატურა

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

კლარჯ. 2016 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ.ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი.

ცინცაძე, ბარამიძე 2011 – მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში, XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ცინცაძე, ფაღავა 1998 – მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი.

მაჭახლ. 2017 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, რ. ბარამიძე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი.

ტაო: 2020 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიძიანი, ჯ. კარალიძე, ტაო, ბათუმი.

ნიჟარაძე 1975 – შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი

შავშ.: 2011 – მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

შავშ. კილო: 2022 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი, თბილისი.

მ ე რ ა ზ ბ ე რ ი ძ ე

მეთერთმეტე საუკუნის ანთროპონიმები ფოკანის ტაძრის ეპიგრაფიკის მიხედვით

საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ კუთხეში ჯავახეთში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში თავფარავნის ტბის პირას დგას უკამაროდ ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი **ფოკანის ეკლესია**, რომელიც შემკულია არაერთი წარწერით, საიდანაც ვიგებთ, რომ „ტაძარი 1030-40-იან წლებში **ბაგრატ IV-ის** დროს აუგია იოანე ოქროპირს, ქართლის კათალიკოზს, ხუროთმო-

მღვარი კი მიქელ „ქართლისა ბანაქასალარი“, სავარაუდოდ – ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი “ყოფილა“ (გზამკვლევი 2000, 14).

ფოკის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები მიმოიხილა ს. ჯიქიამ. დასტურდება იგი ორი ვარიანტით: **ფოკა** და **ფოკანი** (ს. ჯიქია 1941, 243-244). მისი აზრით: „**ფოკა** საქართველოს ისტორიაში არაერთხელ მოხსენებული მნიშვნელოვანი პუნქტია. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა **ფოკანი**“ (ს. ჯიქია 1941, 344). XI საუკუნის 40-იან წლებში „მატიანე ქართლისაჲ“ **ფოკას** მრავლობით რიცხვში იხსენებს: „ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“... ე. ი. **ფოკანი** ორი სოფელი ყოფილა“ (გზამკვლევი 2000, 14).

რადგან ორივე ფორმა იხმარება საისტორიო წყაროებში, დღეისათვის მართებულად მიგვაჩნია ნარიანი ფორმის დაკანონება. მიუხედავად იმისა, რომ ნათესაობით ბრუნვაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს ცვლის რიცხვისა და ბრუნვის ნიშანი -**თ** და ისტორიულად გვექონდა **ფოკათა** ფორმა, დღეს უნდა დარჩეს **ნარი** რიცხვის ნიშნად და დაერთოს თანამედროვე ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

ფოკის ტაძარზე გვაქვს XI საუკუნის წარწერები, რომლებშიც გვხვდება ძველი ქართული ანთროპონიმიკა, მათ შორის ტრადიციული სამეფო საგვარეულო სახელი **ბაგრატი**: „ქრისტე ადიდე ბაგრატ კურაპალატი“ (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 117).

ორ წარწერაშია მოხსენიებული ქართლის კათალიკოზი **იოვანე ოქროპირი**. ერთ წარწერაში იგი იხსენიება მხოლოდ **ოქროპირად**, როდესაც საუბარია მშენებელზე, კათალიკოსის ხელოსანზე: „ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“. ხოლო მეორე წარწერაში გვაქვს ორი სახელი **იოვანე** და **ოქროპირი**. ქარაგმის გახსნით იკითხება: „ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო ადიდე **იოვანე ოქროპირი** ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა ამენ“ (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 119). ორსახელიანობა ცნობილია ქართულ ანთროპონიმიკაში. იოვანე ძვ. ებრაულიდან შევიდა ბერძნულში და შემდეგ მსოფლიოს მრავალ ენაში, მათ შორის ქართულში. დღევანდელ ყაურმაში, ისტორიულ სოფელ ტონთიოს „ცენტრში დღემდე მშვენივრად შემონახული ეკლესია დგას, რომლის წარწერებიც საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ფიგურებს – **მელქისედეკ** ქართლისა კათალიკოსს, მეფე **გიორგი პირველსა** და მელქისედეკის გაზრდილს, **იოანე-ოქროპირს** ქართლისა

კათალიკოსს იხსენიებს“ (გზამკვლევი 2000, 35). ფოკის წარწერაც მე-11 საუკუნისაა და ყაურმისაც.

ოქროპირი გავრცელებული სახელი იყო მესხეთში რიგით ქართველებში. მაგალითად: მე-16 საუკუნეში უცხოვრია სამცხეში, სოფელ წყისეში **ოქროპირ** ივანესძეს, რომელსაც ჰყოლია ძმა ლაზარე (ს. ჯიქია 1941, 60). ზარზმის ეკლესიასთან ახლოს სოფ. **დუნეში** უცხოვრია გრიგოლა **ოქროპირისძეს** (ს. ჯიქია 1941, 70). სოფელ ამხერში ცხოვრობდა **ოქროპირის** შვილიშვილი. პაპა იმდენად ცნობილი კაცი იყო, რომ მისი შვილიშვილი საკუთარი სახელით არ იხსენიება (ს. ჯიქია 1941, 74). აბრამ **ოქროპირისძე** (ს. ჯიქია 1941, 75), **ოქროპირ** დევალასძე, სოფელი დიდი აფიეთი (ს. ჯიქია 1941, 86) და სხვა.

ოქროპირი, იოანეს მეორე სახელი, „თავდაპირველად იყო ზედწოდება მჭერმეტყველი ადამიანისა, კარგი ორატორისა, შემდეგ დამოუკიდებელ სახელად იქცა. მისი შემოკლებული ფორმებია: **ოქრო, ოქრუა**, ამ უკანასკნელისგან მოდის გვარი ოქრუაშვილი, ოქროპირისგან მოდის **ოქროპირიძე, ოქროპირაშვილი** (ზ. ჭუმბერიძე 2002, 192). ოქრო საკუთარ სახელად გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში. ცნობილია **ოქროს ციხე**. ასევე შესულია სომეხთა გვარის წარმოებაში **ოქროიანი** (წარმოშობით ოქროიანები ოქროაძეები იყვნენ). ქრისტიანული რელიგია არ კრძალავდა ორსახელიანობას, ამიტომ ხშირად ისტორიას შემორჩებოდა ხოლმე ბერობის დროს მიღებული სახელიც და ერობის დროინდელი სახელიც, ამის კარგი მაგალითია **სულხან-საბა** ორბელიანი. ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მაგალითი აქვს დამოწმებული პროფ. ზურაბ ჭუმბურიძეს: „პარხლის ოთხთავის ანდერძში ერთგან იკითხება; „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი **იოვანე, ნართაულად ბერაი**, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა“; მეორეგან: „მე **ივანე-ბერამან**, მწერალმან შატბერდელმან შატბერდს დავწერე“ (ზ. ჭუმბერიძე 2003, 166).

ნართავი ძველ ქართულში შერეულს ნიშნავდა. სიტყვა-სიტყვით შერთულს (ი. აბულაძე 1973, 321), ხოლო **ნართაული**-ზედდართულს (ს. ს. ორბელიანი 1965, 579).

თუ ბერა იოვანეს ერობის სახელი არ არის, შეიძლება „ნართაულად“ მისი მეტსახელი იყოს.

ერთ წარწერაში იხსენიება ქართლისა ბანქასლარი **მიქაელ** (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 118). ძვ. ებრაული სახელი **მიქაელი** ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება. მისგან მიღებულია მიქელ, მიქელა და გვარები მიქელაძე, მიქაძე და სხვა (ზ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 18) ქრისტიანული კანონიკური სახელებიდან ფოკის ტამარზე გვაქვს **გაბრიელი** და **ელისაბედი**. ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ხალხური სახელწოდებანი, რითაც ვიგებთ მე-11 საუკუნის ქართულ სახელ-გვართა წარმოების ფორმებს.

მაგალითად: **მწევარი**. „ქრისტე შეიწყალე მწევარი“. ეს სახელი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ქარაგმის გარეშეა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სახელი არ არის კანონიკური, პოპულარული და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სრულად ამოკვეთეს იგი. **მწევარი** მოქმედებითი გვარის მიმღეობაა მიწვევა ზმნისა (ეწევა ის მას) – მ-წევ-არ-ი ისევეა, როგორც **დევნა** ზმნისგან გვაქვს **მდევარი**, კვლევისაგან **მკვლევარი** და სხვა. ამ შემთხვევაში ამოსავალია სოფლის სახელი **წევა**, რომელიც დასავლეთ საქართველოშია. სიტყვა ასე დაიშლება: **მ-წევ-არ-ი**, რომელშიც **მ-არ** აფიქსები წარმომავლობას აღნიშნავს. ანალოგიური სიტუაციაა ტბელ ეპისკოპოსთა ტიტულთან დაკავშირებით. ტბეთის ეპისკოპოსი იწოდებოდა **მტბევარად**. ე.ი. მტბევარი ტბელ ეპისკოპოსთა ტიტულის მაჩვენებელია და ნიშნავს ტბელს, ტბეთის ეპისკოპოსს. მე-10 საუკუნის მოღვაწე **დავით ტბელი** შეიძლება ყოფილიყო, როგორც ტბელი ასევე მტბევარი (კ. კეკელიძე 1951, 159) ამგვარად, მწევარი ნიშნავს **წეველს**, წევიდან წამოსულს, ამ სოფლიდან წამოსულთა -ელ-იანი წარმოების მაგალითია გვარი **წეველიძე**.

წევ- ფუძე უნდა გვქონდეს კიდევ ერთ სახელში, კერძოდ, **სამწევრის ჯვარში**, რომელიც მდებარეობს გორის დასავლეთით 20 კმ. მანძილზე. ეს ძეგლი არის მე-10 საუკუნის და იმავე საუკუნისაა წარწერა, რომელშიც იხსენიება **სამწევრის ჯვარი** (შოშიაშვილი 1980, 222). სოფელს დღესაც **სამწევრისი** ჰქვია. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთივე წარმოებასთან, როგორიცაა. **აჩაბეთი** → **მაჩაბელი** → **სამაჩაბლო წევა** → **მწევარი** → **სამწევრისი**. წარწერით დასტურდება **წევარი** ფორმა ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში (მ. ბერიძე 2008, 133).

კიდევ ერთი სახელია, რომელიც წარმომავლობას აღნიშნავს. ქარაგმების გახსნით იკითხება წარწერა ასე: „სახელისა ღმრთისადათა მე **ბავრელი დირს** ვიქმენ შენებად წმიდასა ამის ეკლესიისა საფუძველის დადებასა მე თანა დავეშურე ჯელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“ (ჯავახეთის ეპიგ. კორპ. 2012, 118). **ბავრელი** დაქარაგმებულია, როგორც ჩანს, **ბავრა** ცნობილი სახელი იყო. ჯავახეთში 1933 წლის ექსპედიციის დროს, ნ. ბერძენიშვილი ბერელი-ქარაგმის წაკითხვის ვარიანტებს უშვებს: „ცნობილი ხდება წარწერაში მოხსენებული **ბევრელი** თუ **ბავრელიც**“ (ნ. ბერძენიშვილი 1964, 95).

იმავეს გვერდის შენიშვნის მიხედვით უშვებს ნ. ბერძენიშვილი „ამირან-დარეჯანიანზე“ დაყრდნობით ბევრელის ვარიანტსაც. ქარაგმას **ბევრელად** კითხულობს ვ. ცისკარიშვილი (ვ. ცისკარიშვილი 1959, 32). **ბავრელად** კითხულობენ ისტორიულ ხუროთმოძღვრული გზამკვლევის – ჯავახეთი, ავტორები (გზამკვლევი 2000, 14) და ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის ავტორები (ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე, მ. ბერიძე, ნ. სულავა, რ. ყავრელიშვილი, ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 118).

ერთ-ერთ არგუმენტად, რომ უნდა იყოს ბავრელი და არა ბევრელი ან ბივრელი უნდა ჩავთვალოთ ისიც, რომ ეს სახელი დაქარაგმებულია, იგი ცნობილია გარემოსათვის, საზოგადოებისათვის, სადაც არის აშენებული ტაძარი. ჯავახეთში ორი **ბავრაა**, ერთი ახალქალაქში და მეორე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზა-ბავრის სახელის შემადგენლობაში. ამგვარად, **ბავრა** ჯავახური სოფელი იყო, ხოლო **ბავრელი** ამ სოფლიდან წამოსული კაცი, რომელიც იყო, ხელოსანი, საფუძველის დამდები და მშენებელი **ფოკანის** ეკლესიისა.

კიდევ ერთი სახელია, რომელიც დაუქარაგმებლად არის წარმოდგენილი ფოკანის ეკლესიის წარწერაში: „ქრისტე შეიწყალე **ბაია**“. ბაია სულხან-საბა ორბელიანთან რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: ესე არის ფურცელი დანაკის-კულისა. **ბაია** ეწოდების თვალის შავსა, რომლითა ხედავს. **ბაიას** ჩჩვილნი ჩჩვილთა უწოდებენ“ (ს.ს. ორბელიანი 1965, 95).

თანამედროვე ქართულში ასევე პოპულარულია **ბაია** თავისი მომნიშვნებით:

1. „დანაკვთულ-ფოთლებიანი და ყვითელ-პრიალა ყვავილებიანი ბალახი (მეტწილად ტენიან ადგილებში იზრდება“; 2. იგივეა,

რაც თვალის გუგა; 3. ჩვილი ბავშვი ბავშვის ენაზე; 4. ბზა; 5. ფრთისებრი ფოთოლი პალმისა; 6. გვირის ფოთოლი (ქეგლი 1950, 951).

თითოეული მათგანი შეიძლება ქართულ ანთროპონიმიაში შერქმეოდა სახელად ადამიანს. განსაკუთრებით პოპულარულია **ბა-ია** ჩვილთა ენაზე ჩვილთა სახელის, აღსანიშნავად. ამ შინაარსით დღესაც არქმევენ სახელს ახალშობილს. ასე რომ, ამ მოტივაციით ადამიანის ნომინაცია ხდებოდა ისტორიულადაც და დღესაც. მისგანაა მიღებული ქართული გვარი **ბაიამე**.

ფოკის ერთ წარწერაში გვხვდება სახელად **ხელაი**. მე-11 საუკუნეში. როდესაც ეს წარწერა კეთდებოდა, გარჩეული იყო ხელი და ჯელი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ სახელის ამოსავლად ადამიანის კიდური არ უნდა იგულისხმებოდეს.

ძველ ქართულში „**ხელი** არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა თვით იგვემებოდეს და არცა სხვათა“ (ს.ს. ორბელიანი 1965, 164). აქედან გვაქვს სახელზმნა **გახელება**. მეტსახელად ხელი პირდაპირი მნიშვნელობით არ შეერქმევა. **გიფა**, **გიფუა**, **ხელა** ერქმევა ემოციურ, აქტიურ ადამიანებს. აქედან უნდა გვექონდეს გვარები: ხელამე, ხელაია, ხელაშილი. მას შემდეგ, რაც ჯ და ხ ბგერების გარჩევა ჭირდა ფონემათა დონეზე, ხელა შეიძლება დარქმეოდა ადამიანის სხეულის ნაწილის მიხედვითაც ისევე, როგორც თავამე, ჭიპაშვილი, ყურამე და სხვა.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკუთარი სახელი, რომელიც გვხვდება **ფოკანის** ტაძრის წარწერებს შორის, ეს არის ასევე, დაუქარაგმებელი **მომწულისძე**: „ქრისტე შეიწყალე მომწულისძე (ჯავახეთ. ეპიგრ. კორპ 2012, 119). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ძე-ზე დაბოლოებული გვარების ჩამოყალიბების პროცესის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის წარმოება მე-11 საუკუნეში ფაქტია. ამოსავალია **მომწული**, საკუთარი სახელი, რომელიც ერქვა ფოკანის კედელზე დადასტურებული პირის მამას, რადგან **მომწულის ძეა** იგი, ან **მომწულისძე** უკვე გვარად არის ქცეული და მიუხედავად იმისა, რომ ნათესაობითი ბრუნვა თანხმომავთან ერთად არის წარმოდგენილი და არა მის გარეშე, შეგვიძლია გვარად მივიღოთ. ასეთი თანხმომავთან ერთად წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვა, ქართულ ანთროპონიმიაში ჩვეულებრივი ამბავია შუა საუკუნეებში.

მიმწული განმარტებულია ივ. გვარამაძის ხელნაწერ ლექსიკონში (ი. გვარამაძე 1907, 168), როგორც **მიმწოლვებელი, მიმწოლველი**.

იგი არის მიწოლა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმა, როგორც, მაგალითად, ცნობილი საკუთარი სახელი **გამრეველი**, რომელიც შემდეგ იქცა გვარად.

ამგვარად, შეგვიძლია შევაჯამოთ ფოკანის ტაძრის კედლებზე ისტორიული წარწერებით მე-11 საუკუნეში დადასტურებული პირთა სახელები, მათგან მიღებულია წარმომავლობითი სახელები, რომლებიც შემდეგ გვარადაც იქცა. რაც მთავარია, ტაძრის აშენების თარიღის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა არქიტექტურული სტილისა და ეპიგრაფიკის პალეოგრაფიული ანალიზისა, სწორედ ისტორიული პირების მოხსენების პარალელურად გვეძლევა საშუალება, შევისწავლოთ ადამიანთა სახელები, გავაანალიზოთ მათი სტრუქტურა და სემანტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბერიძე 2008 – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტრიისათვის, თბილისი.

ბერძენიშვილი 1964 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი.

გვარამაძე 1907 – ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, ხელნაწერი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №526

გზამკვლევი 2000 – ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, საქართველოს მეგზური I, თბილისი.

კეკელიძე 1951– კ. კეკელიძე, ძველი ქართულის მწერლობის ისტორია, I, თბილისი.

ორბელიანი 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₁ თბილისი.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₂ თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, არნ. ჩიქო-ბავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი.

ცისკარიშვილი 1959 – ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბილისი.

ჭუმბურიძე 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.

ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012 – ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა, თბილისი.

ჯიქია 1941– ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბილისი.

ჯიქია 1958 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბილისი.

მ ა რ ი ნ ე ზ ე რ ი ძ ე , ლ ი ა ზ ა კ უ რ ა ძ ე

ინგილო, საინგილო, ინგილოური (ტერმინთა ცვლისა და მიმართებების დადგენისათვის)¹

ქართული ენის ინგილოური დიალექტის სამეცნიერო შესწავლას საფუძველი დაუდო მოსე ჯანაშვილმა. ჯერ კიდევ 1888 წ. გამოაქვეყნა „ივერიამ“ ცნობა მისი „ინგილოური ლექსიკონის“ შესახებ. 1895 წ. ინგილოურ დიალექტს მოიხსენიებს რ. ერკერტი. დიალექტის შესახებ დღეისათვის შექმნილია რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი. ინგილოურს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ: მოსე ჯანაშვილი, ზაქარია ედილი, ვენერა ჯანგიძე, გრიგოლ იმნაიშვილი, როგნედა ლამბაშიძე, ნათელა როსტიაშვილი, ვასილ აბაშვილი, ჰასრათ ჰასრათოვი (ასრათ ომრაშვილი) და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ დიალექტებს შორის ინგილოური ერთ-ერთი ყველაზე კარგად

¹ კვლევა განხორციელდა „მოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

დოკუმენტირებული დიალექტია: გვაქვს ტექსტებიც, ლინგვისტური ანალიზიცა და ლექსიკონებიც. ბოლო ოცწლეულში ქართულენოვანი მონოგრაფიული ნაშრომი ინგილოურის შესახებ არ შექმნილა (ყველაზე ახალი კვლევაა ვასილ აბაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც 1994 წელსაა შესრულებული, წიგნად გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2005 წ.), ხოლო ის, რაც მანამდეა შექმნილი, არ არის სათანადოდ ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, არ არსებობს ქართველ მეცნიერთა ნაშრომების უცხოენოვანი პუბლიკაციები ინგილოურის შესახებ (თუ არ ჩავთვლით ვენერა ჯანგიძის 1978 წელს გამოცემულ რუსულენოვან ნაშრომს, ჩვენი მიმდინარე პროექტის ფარგლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა სტატია ინგლისურ ენაზე).

სამაგიეროდ, ჩნდება უცხოელ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე განიხილავენ ინგილოურის, როგორც დამოუკიდებელი ენის სტატუსს და ამტკიცებენ, რომ ეს არის ენა ერთ-ერთი ადგილობრივი ეთნოსისა, რომელმაც შუა საუკუნეებში სარწმუნოებად ქრისტიანობის ქართული შტო „აირჩია“ და განიცადა ქართული ენის ძლიერი გავლენა. სხვა უცხოელი ავტორები მიანიშნებენ ქართულ ენასთან ინგილოურის კავშირს, თუმცა მათ ნაშრომებში ფაქტობრივად „ინგილო“ და „ინგილოური“ ცალკე ეთნოსისა და ენის ფარდ ტერმინებად წარმოგვიდგება. არის საუბარი ინგილოურის წერილობითი ფორმის შექმნაზე, ინგილოურის, როგორც ენის, სკოლაში სწავლებაზე, გამოქვეყნდა კალენდარი (2018 წ.), რომელშიც საინგილოში ჩაწერილი ქართული ფრაზეოლოგიზმები ლათინური ასოებითაა ჩაწერილი (პარალელური აზერბაიჯანული თარგმანით), არსებობს ბიბლიური ტექსტების „ინგილოურად თარგმნის“ პროექტი. იუნესკოს ენათა ინტერაქციულ ატლასზე აზერბაიჯანში გავრცელებულ ენათა შორის ქართული ენა არ არის მონიშნული. არც ინგილოურია მოხსენიებული. მსოფლიო ატლასის (World Atlas) ვებგვერდზე აზერბაიჯანში გავრცელებულ ენად დასახელებულია ქართულიც, თუმცა ის მოხსენიებულია ემიგრანტთა ენების – ასირიულის, პოლონურის, ბელორუსულის, სპარსულის, თურქულის გვერდით.

საგანგებო ისტორიული და პოლიტიკური ვითარების გამო საკითხის აქტუალობა სცილდება ვიწროდარგობრივ სფეროს. მეზობე-

ლი ქვეყანა მტკიცეულად ეკიდება საკუთარ ტერიტორიაზე ქართული კულტურული კომპონენტის იდენტიფიცირებასთან და კვლევასთან დაკავშირებულ ყოველგვარ აქტივობას. ეს ეხება ენობრივი მონაცემების შეგროვებასა და კვლევასაც.

წარმოდგენილი მოხსენება შესრულებულია პროექტის – „დიალექტური კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში – ქართული ენის ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში“ – ფარგლებში და მიზნად ისახავს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამუშაო ტერმინოლოგიური პარადიგმის განსაზღვრას.

ქართული დიალექტების კლასიფიკაციისას საკვლევ ენობრივი ერთეულის სახელწოდებად დღეს ორი ტერმინი გამოიყენება – საყოველთაოდ დამკვიდრებული **ინგილოური** და მისი ალტერნატიული **ჰერული**.

პირველი ამათგან ტრადიციულად დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და მიღებულია ამ ენაზე მოლაპარაკეთა ეთნოლოგიების (წარმომავლობის სახელის) განზოგადებით მათ მეტყველებაზე (ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელი **ინგილო** > დიალექტის სახელწოდება **ინგილოური**), ხოლო მეორე – საქართველოს ისტორიული კუთხის სახელიდან ნაწარმოები წარმომავლობითი სახელია: **ჰერეთი** > **ჰერული**. ეს უკანასკნელი ტერმინი სამეცნიერო სივრცეში გვიან გამოჩნდა და ორი-სამი ათწლეულის მეტს არ ითვლის.

დღეს პარალელურად არსებული იდენტური შინაარსის ტერმინები **ინგილოური** და **ჰერული** ბუნებრივად სვამენ საყრდენ ეთნოგრაფიულ ერთეულთა იდენტურობის საკითხსაც, კერძოდ, **საინგილოსა** და **ჰერეთს** ერთ გეოგრაფიულ ოდენობად წარმოადგენენ.

ერთი შეხედვით მარტივი და, თითქოსდა, გადაწყვეტილი საკითხები: სად მდებარეობს საინგილო, ვინ არიან ინგილოები და რას წარმოადგენს მათი მეტყველება – ინგილოური, საჭიროებს დამატებით დაზუსტებასა და ისტორიულ შესაბამისობათა დადგენას როგორც **ჰერეთი** > **ჰერული**, ისე ამ ტერიტორიასთან ისტორიულად დადასტურებულ დაკავშირებულ სხვა ტერმინებთან.

საინგილოს ან მისი ნაწილების აღსანიშნავად დღეს მიმოქცევაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინი გვხვდება:

ჰერეთი, გაღმამხარი, აღმოსავლეთ კახეთი, ჭარ-ბელაქანი, ზაქათალა, ელისუ, ელისენი, კაკი / კახი.

მოსხენებაში განვიხილავთ **ჰერეთის** ისტორიული საზღვრებს და ნაჩვენებია, რომ ყველა ეპოქაში, ვიდრე ჰერეთის სამთავროს საბოლოო გაუქმებამდე და ტერმინის საერთოდ გაქრობამდე პოლიტიკური სახელდების ნომენკლატურიდან (მე-15 ს. ბოლო), ის ყოველთვის მოიცავდა იმაზე მეტ ტერიტორიას, ვიდრე **აღმოსავლეთ კახეთი**, ანუ დღევანდელი **საინგილოა**. რასაკვირველია, შიდა სამეცნიერო მიმოქცევაში გასაგებია, რომ ლაპარაკია არა ე.წ. **დიდ ჰერეთზე**, არამედ მის ერთ ნაწილზე (ე.წ. **ქართულ ჰერეთზე**) და თან ეს ისტორიული სახელწოდების აღდგენის და გაცოცხლების მცდელობაა, მაგრამ ფართო სამეცნიერო ჭრილში საკითხის განხილვისას და, მით უფრო, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევისთვის, ტერმინის ქრონოლოგიური ომონიმურობა დამაბნეველი და ბევრი გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გახდეს. მით უფრო, რომ **ჰერეთი**, რომლის გათანაბრებასაც საინგილოსთან ცდილობენ **ჰერული / ინგილოური** პარალელური ფორმის შექმნით, სხვა ქრონოლოგიურ ველში **ალვანურ / ალბანურთან** არის დაწყვილებული და პოლიტიზირებული ფსევდომეცნიერული ჰიპოთეზების საყრდენი შეიძლება გახდეს, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს აზერბაიჯანულ სამეცნიერო სივრცეში.

ტერმინ **ინგილოსა** და მისგან ნაწარმოებ **საინგილოს** შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მკვლევრებისა ამ ტერმინს საკუთრივ ქართული წარმომავლობისად მიიჩნევს, ნაწილი კი უცხოენოვნად და იზიარებს აზრს, რომ ის ახალმოქცეულს, დაბრუნებულს, მორჯულებულს... ნიშნავს.

ქართულ ისტორიოგრაფიული ლიტერატურაში ხშირად ეს ტერმინი (საინგილო) ქრონოლოგიურად შეუსაბამო კონტექსტებში გამოიყენება, ეს კიდევ უფრო აბუნდოვანებს რეალურ სურათს.

მაგალითად, ნ. ბერძენიშვილი წერს: „... განა მე-18 საუკუნის ფაქტი, „საინგილოს“ გაჩენა იმავე კლასთა ბრძოლის ნიადაგზე არ აიხსნება?“ , მაგრამ არ აზუსტებს, საუბარია მხოლოდ ფაქტზე თუ ტერმინის დამკვიდრებაზე? თუ ფაქტზეა საუბარი, რას გულისხმობს „საინგილოს გაჩენაში“? – გამუსლიმებული ქართული მოსახლეობის გაჩენას კაკ-ელისენის ტერიტორიაზე? თუ ტერმინ „საინგილოს“ გა-

ჩენას და დამკვიდრებას? ვახუშტი ბატონიშვილი ტერმინ „საინგილოს“ არ იცნობს (სხვათა შორის, არც სოფელ ჰენგიანს, რომლისგან ნაწარმოებადაც მიიჩნევა ზოგი მკვლევარი **ინგილოს**), არც ინგილოს.

არ ჩანს ეს ტერმინი მე-18 საუკუნის დასასრულის ქართულ პოლიტიკურ მიმოწერაში, მათ შორის ერეკლე მეორის წერილებში რუსეთის სახელმწიფო მოხელეებისადმი.

ასევე არ ჩანს ტერმინი **ინგილო** არც 1803 წელს გენერალ ციციანოვის მიერ შედგენილ საზავო ხელშეკრულებაში, რომელიც ავალდებულებს ჭარ-ბელაქნელ მთავრებს „ალიაბათის ქართული სოფლების“ ტრადიციული მართვის გარანტიების შექმნას, მათ უფლება ეძლევათ, ისარგებლონ ძველებური სამოხარკეო სისტემით და აიღონ ადგილობრივი ქართული მოსახლეობისგან ხარკი იმ პირობით, რომ ხელშეუხებელი იქნება მათი ქრისტიანული მისწრაფებანი, რიტუალების და ტრადიციების აღსრულების წესი.

დოკუმენტში არსად არ არის ნახსენები ტერმინი **ინგილო**, თუმცა თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ ამ წერილის პერიფრაზირებისას მამია დუმბაძე წერს: „რუსეთის მთავრობა გამოეჭიმაგა **საინგილოს** ქართველობას და მოითხოვა, რომ ლეკებს ხელი არ შეეშალათ **ინგილოებისათვის** ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლად დაცვაში...“ .

ციციანოვის აღნიშნულ წერილის მითითებისას გრაფი პასკევიჩი 1930 წ. (Акты 7, 1878 წ.) ადგილობრივ ქართველი მოსახლეობას ინგილოებადაც მოიხსენიებს. ჩვენ გადავამოწმეთ და მოვიძიეთ დოკუმენტის 1866 წელს გამოქვეყნებული პირველწყარო (Акты 1). აღმოჩნდა, რომ ტერმინ ინგილოს ციციანოვის ეს წერილი არ იცნობს. ციციანოვი ადგილობრივ მოსახლეობას ალიაბათის ქრისტიან ქართველებად მოიხსენიებს. დოკუმენტის ეს ვერსია აქვს გამოყენებული დუბროვინს თავის ნაშრომში 1871 წ.

პასკევიჩის წერილში მეორდება ციციანოვის მითითება „ალიაბადის ქართველობაზე“ და, როგორც ჩანს, სწორი იდენტიფიკაციისთვის ფრჩხილებში აქვს მიწერილი „Ингелой“.

საარქივო და ისტორიოგრაფიული მასალების კვლევამ აჩვენა, რომ ისტორიული წყაროების მოხმობისას ან ჩვენთვის საინტერესო რეგიონზე მსჯელობის დროს ასეთი მიდგომა მიღებული პრაქტიკაა,

რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „უკანა თარიღით იდენტიფიცირება“: ხშირად ტერმინები „ინგილო“ და „საინგილო“ გამოყენებულია თანამედროვე იდენტიფიკაციით, მაშინ, როცა არც წყაროს დედანში და არც განსახილველ ეპოქაში ეს ტერმინი არ არის დამოწმებული და არც საგულგებელი.

ასე რომ, საინგილოსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ინვენტარი უმეტესად ქრონოლოგიური შესაბამისობის პრინციპის დარღვევითაა გამოყენებული და ეს იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას. ნიკო ბერძენიშვილის მიერ ნახსენები „საინგილოს გაჩენა“ მე-18 საუკუნეში სინამდვილეში აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ქართველთა უუფლებო სოციალური ფენის გაჩენას და არავითარი კვალი ტერმინისა **საინგილო** ამ პერიოდში ჯერჯერობით არ ჩანს.

როგორც ვნახეთ, ის არ დადასტურდა არც 1803 წელს ციცაბონოსა და ჭარ-ბელაქნის დიდებულებს შორის კონკრეტულად ამ თემაზე გამართულ სერიოზულ პოლიტიკურ მიმოწერაში. ტერმინი **ინგილო** არ ჩანს გენერალ ორბელიანის 1806 წლით დათარიღებულ პატაკშიც, რომლის მთავარი თემაცაა „ალიბათის სოფლების ქართველი მოსახლეობის“ მდგომარეობა.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ტერმინი „ინგილო“ (Ингило, Ингилойцы) პირველად ჩნდება 1826 წელს მ. კოცებუს ანგარიშში. ტერმინი Ингило კოცებუსთან გამოიყენება უფრო კუთხის სახელად, ხოლო Ингилойцы – ამ კუთხის მკვიდრი (коренные) მოსახლეობის ეთნოწოდებაა. ამავე დოკუმენტში ავტორი დიდ ადგილს უთმობს იმაზე მსჯელობას, რომ ჭარ-ბელაქანი არის ისტორიული კახეთის ჩამოშორებული ნაწილი.

ტერმინ **ინგილოს** წარმოქმნისა და განზოგადების სქემა ასეთი ჩანს:

ჭარ-ბელაქნის შემოერთების მცდელობა 1803 წელს წარუმატებელი აღმოჩნდა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ქართველთა ხელშეუხებლობა, განსაკუთრებით, მათი რელიგიური შემწყნარებლობა ქაღალდზე დარჩა და პირიქით გააძლიერა ზეწოლა, რის გამოც მოსახლეობა იძულებული ხდებოდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა.

საქეშქელო სოფლების მკვიდრნი, რომლებიც 1803 წლის ხელშეკრულებამ დატოვა ჭარ-ბელაქნელ მმართველთა დაქვემდებარებაში, ეთნიკური ქართველები არიან. მათი ნაწილი იძულებით იყო გამაჰმადიანებული.

სავარაუდოდ, „მობრუნება“, „ახალმოქცევა“ – რომელიც ამ მხრის ქართველების ახალ ეთნიკურ წოდებას დაედო საფუძვლად, მათ რელიგიურ მოქცევას კი არ აღნიშნავდა, არამედ მათზე ბატონობის შენარჩუნებას, მათ სოციალურ „დაბრუნებას“ ძველი სტატუსით – საქეშქელო გლებად.

ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისი იმსახურებს განხილვას. მით უფრო, როგორც ცნობილია, გამაჰმადიანებული ქართველი დიდებულები ამ კუთხეში იწოდებოდნენ ლეკებად და არა ინგილოებად. ინგილო კი მხოლოდ გადასახადის გადამხდელი, არაფრის მქონე, უფლებებ-შეზღუდული მოსახლეობა იყო.

ასე რომ, ინგილო, როგორც ეთნოსოციალური ტერმინი, ერთი მხრივ დაუპირისპირდა „მულალს“ (არაქართველ, მაგრამ სოციალურად თანაბარი მდგომარეობის ფენას) და მეორე მხრივ, ლეკს (სოციალურად მაღლა მდგომს, თუნდაც ქართული წარმომავლობის მქონეს).

ინგილო, რომ სოციალური ტერმინია, ამას ყველა წყარო ერთხმად ადასტურებს. ამ ტერმინით გვიან სახელდებული ჯგუფი სოციალურად ჭარ-ბელაქნელ დიდებულთა მეხარკე იყო ბევრად ადრე, ვიდრე ამ სახელს შეარქმევდნენ. ახალი „წოდება“ მათ უნდა მიეღოთ ხანმოკლე „თავისუფლების“ შემდეგ, 1803 წლიდან, როცა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ჭარ-ბელაქნის მიმართ პოლიტიკის შერბილება, საქართველოს მიმართ ტრაქტატით აღებული ვალდებულებების უგულებელყოფა და იმის ნაცვლად, რომ ქართული მიწებისა და მოსახლეობის დაბრუნებაში დახმარებოდა ქვეყანას, ჭარ-ბელაქნელ დიდებულებს ქართველებზე ყველა წინანდელი უფლება აღუდგინა. ყოვლად მყიფე და ზერელე „პირობით“: ამ დათმობის სამაგიეროდ არ შეეშალათ ხელი ქართველებისთვის საკუთარი ტრადიციებისა და რელიგიური რიტუალების განხორციელებაში. 1806 წ. გენერალი ორბელიანი თავის პატაკში წერს, რომ ეს ხალხი (ადგილობრივი ქართველები), იმდენად იყვნენ შევიწროებული ჭარელებისაგან, რომ

„ვერც კი გაბედეს თავისი თავისუფლების გააზრებაო“ (Не смели сообразить о волности своей) (აქტები, 1806, 320).

ასე რომ:

1. ტერმინი „ინგილო“ საბუთებში დასტურდება გამაჰმადიანების დაწყებიდან კარგა ხნის შემდეგ (1826 წ.) და ბევრად ადრე გამაჰმადიანებულ ინგილოთა ხელახლა მოქცევამდე (ინტენსიური პროცესი 50-იანი წლებიდან);

2 **ინგილო ჯერ** ერქვა ჭარ-ბელაქნის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველებს (დაბალი ფენის წარმომადგენლებს), ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველი დიდებულები ლეკებად იწოდებოდნენ (სხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებთან ერთად);

3. ტერმინ „ინგილოს“ გაჩენა ქრონოლოგიურად ყველაზე „ახლოს“ დგას ქართველ მოსახლეობაზე ჭარ-ბელაქნის მმართველობის აღდგენის თარიღთან (1803 წ.).

სავარაუდოდ, სოციალურ-ეთნიკურ საფუძველზე წარმოქმნილმა ამ ტერმინმა ერთხანს იარსება ჭარ-ბელაქნის თემში, როგორც სოციალური ჯგუფის ახალმა მეტსახელმა. რუსული მმართველობის ოფიციალურ დოკუმენტაციაში მან ალბათ ჭარ-ბელაქნელთა ეკონომიკური ხასიათის ანგარიშებიდან (საგადასახადო საბუთებიდან და საქმიანი მიმოწერიდან) შეაღწია. მოგვიანებით ტერმინმა გაიძლიერა ეთნიკური შინაარსი და როცა 1830 წლიდან ჭარ-ბელაქნს ელისუს სასულთნოც (იგივე კაკი /კახი) შემოუერთდა და ისტორიულად მთლიანი კაკ-ელისენი რუსეთის მფლობელობაში კვლავ გაერთიანდა, ეწოდა Ингило, ხოლო მის მთელ მოსახლეობას, განურჩევლად რელიგიური მიკუთვნებულობისა – Ингилойцы.

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალებით ქართულ სივრცეში ტერმინი **ინგილო** მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე უცნობი ჩანს (დ. ჯანაშვილი).

ეთნიკურმა ტერმინმა წარმოშვა გეოგრაფიული ტერმინი: ინგილო > საინგილო, რომელიც, სავარაუდოდ, გაცილებით გვიან არის გაჩენილი უკვე მას შემდეგ, რაც ტერმინი „ინგილო“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც „მოშინაურდა“.

მიუხედავად ამ ტერმინოლოგიური კატაკლიზმებისა, ამ ორ ჯგუფს – კაკისა და ალიაბადის სოფლების მოსახლეობას – არასოდეს

დაუკარგავს ისტორიული მეხსიერება საერთო წარმომავლობის შესახებ, ეჭვქვეშ არ დამდგარა მათი ქართველობის საკითხი, ხოლო 1830 წელს რუსული მმართველობის ქვეშ კაკ-ელისენის გაერთიანებამდეც ის ითვლებოდა საქართველოს მიტაცებულ ერთიან ტერიტორიად და მასზე უფლების აღდგენის კანონიერი სურვილი საქართველოს სულ ჰქონდა.

ინგილოური დიალექტის შესახებ მე-19 საუკუნის ბოლომდე არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება. ხანგრძლივი იზოლაციის გამო ამ დროისათვის კუთხის მეტყველება უკვე საკმაოდ არის დაცვილებული კახურს, რომლის განშტოებასაც ის წარმოადგენდა.

აღბათ ყველაზე ზუსტი ტერმინი ამ რეგიონის აღსანიშნავად იქნებოდა „აღმოსავლეთ კახეთი“. ამ ტერმინს აქტიურად იყენებენ როგორც ქართველი, ისე არაქართველი ისტორიოგრაფები (ბერძენიშვილი, დუმბაძე, პეტრუშევსკი...), თუმცა ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ ტრადიციას, საერთაშორისო სივრცეში ტერმინის გავრცელებას, აგრეთვე იმას, რომ „აღმოსავლურ კახური“ არ არის მოხერხებული ტერმინი დიალექტის აღსანიშნავად და ის უფრო შიდადიფერენციულ ტერმინს – თქმას – შეესაბამება.

ვფიქრობთ, საკვლევი დიალექტის აღსანიშნავად ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციისას ტერმინად უნდა დავტოვოთ **ქართული ენის ინგილოური დიალექტი**. ინგლისურ ტერმინად ჩვენი პროექტის ფარგლებში გამოვიყენებთ და დავნერგავთ Ingilo Georgian (ინგილოური ქართული), როგორც ეს გავაკეთეთ ფერეიდნულისთვის (Fereidany Georgian).

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ფურცხვანიძე, თეთრაძე 2023 – Ingilo Georgian. Preserving, Losing, Recovering: Linguistic Aspects Of Cross-Border Language Contact Situations, Journal of Endangered Languages, Year 2023, Volume: 13 Issue: 22, 11 – 25, 14.02.2023. <https://dergipark.org.tr/en/pub/tdd/issue/76029/1213785>

ბერძენიშვილი 1953 – ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა), მიმომხილველი III, თბილისი.

გეიბულაევი 1986 – Гейбулаев Г.А., Топонимия Азербайджана (историко-этнографическое исследование, Баку.

დუმბაძე 1953 – მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან : (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი) საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

პაპუაშვილი 2013 – თ. პაპუაშვილი, საინგილო, თბილისი.

დუბროვინი 1871-1888 – Дубровин Николай Федорович, История войны и владычества русских на Кавказе, Издательство: Тип. Департамента уделов, СПб.

კოცებუ 1826 – Коцебу М.А., Сведения о джарских владениях, Статистические сведения о Чарских владениях, собранные ни мести полковником Коцебу в 1826 году.

პეტრუშევსკი 1934 – Петрушевский И.П., Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифлис.

ხალაევი, მურთაზაევი 2021– Халаев З.А., Муртазаев А.О. Взаимоотношения Джаро-Белоканских обществ и администрации Российской империи на Кавказе в 1783–1860 годах.

მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე , ნ ი ნ ო შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე

ენობრივი ცვლილება და კუნძულური დიალექტის არჩევანი (მომავალი დროის გამოხატვა ინგილოურში)¹

შესავალი:

ფერეიდნული ქართული, ინგილოური ქართული და თურქეთის ქართული მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან მოექცა ჯერ საზოგადოებრივი და შემდგომ სამეცნიერო ყურადღების ცენტრში. ისინი შეისწავლებოდნენ როგორც ქართული ენის დიალექტები. ამ კუნ-

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

ძულთა კვლევას და მეცნიერულ დოკუმენტირებას 100-ზე მეტი წლის ისტორია აქვს.

2004 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა მასშტაბურ პროექტზე, „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, რომელიც ითვალისწინებდა კორპუსული მეთოდით ქართული ენობრივი სივრცის ფართომასშტაბიან დოკუმენტირებას და კვლევას. დასახელებული პროექტის ფარგლებში დაიწყო ამ დიალექტების კუნძულური დიალექტოლოგიის ჭრილში განხილვა.

საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის სრულფასოვნად წარმოდგენისთვის უნდა გავითვალისწინოთ მიგრაციული და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც წინ უძღოდნენ ამ სურათის და, კერძოდ, ენობრივი კუნძულების ჩამოყალიბებას.

პრიორიტეტული გახდა საქართველოს გარეთ გავრცელებული ქართული დიალექტების „კუნძულური დიალექტოლოგიის“ ფოკუსით დაკვირვება. კვლევის ამავე ჭრილში მოექცა შიდა მიგრაციების შედეგად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილი მცირე დიალექტური კუნძულებიც.

ენობრივი კუნძულის არსი

ენობრივი კუნძული მოიცავს იზოლირებული კოლექტივის არსებობის ყველა კომპონენტს (ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და სხვ). ენობრივი კუნძულის შესწავლა იმით განსხვავდება დიალექტური მონაცემის ლინგვისტური სტანდარტული აღწერისაგან, რომ ის **მულტიდისციპლინურ ცოდნათა** საზღვარზე წარმოებს.

კუნძულელთა მეტყველების შესწავლა თავდაპირველად ტრადიციულ ლინგვისტიკურ დისციპლინათა ფარგლებში მიმდინარეობდა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გაჩნდა კვლევები, რომლებიც ჩაკეტილი (კუნძულური) ენობრივი ერთეულების მეტყველებას განიხილავენ განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის ობიექტად და მიჯნავდნენ კუნძულურ კვლევებს ტრადიციული დიალექტოლოგიისგან.

ყველაზე გამოკვეთილად ენობრივი კუნძულის არსს გამოხატავს კლაუს მატიერის მინიშნება იმის შესახებ, რომ კუნძული არის **ასიმბლადის წინააღმდეგ მიმართული მობილიზებული ერთობა**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა სხვა ტიპის ენობრივი კონტაქტის-

გან კუნძულური საზოგადოების კონტაქტები იმით გამოირჩევა, რომ ეს **საზოგადოება ასიმბლაციურ პროცესებთან გამუდმებულ ბრძოლაში იმყოფება**. სწორედ ამიტომ მოგვიანებით კლასუს მატაიერმა სოციოლინგვისტური კვლევების ამოცანათა შორის მიუჩინა ადგილი ენობრივი კუნძულის შესახებ კვლევებს და ამით კუნძულური ლინგვისტიკა (კუნძულური დიალექტოლოგია) წმინდა ლინგვისტიკური მიმართულებიდან, სახელდობრ, დიალექტოლოგიის სფეროდან განაცალკევა (მატაიერი 1996).

რა ენობრივი ფაქტორები მოქმედებენ კუნძულში?

ენობრივი კუნძულის არსი არის უცხოენოვან გარემოცვაში იზოლირებული არსებობის შენარჩუნება. ის იმყოფება განუწყვეტელი უცხოენოვანი ზემოქმედების ქვეშ. ყველა კუნძულის მეორე თაობას უკვე ბილინგვური მატრიცით უწევს ცხოვრება. რა ფაქტორები წარმართავს ენობრივ ცვლილებას კუნძულებში? რა ფაქტორები განაპირობებს მათ დაშორებას ე.წ. ბირთვული არეალიდან?

ჟირმუნსკისა და მისი კოლეგების ფართომასშტაბიანმა კვლევებმა წარმოაჩინა რომ ამ (გერმანულ) კუნძულებში მოქმედებს ორი მთავარი ენობრივი ფაქტორი: 1. სალიტერატურო ენა, რომლის ნორმები უკვე ჩამოყალიბებულია და იგულისხმება, რომ გადასახლებულებს ნორმირებული ენის გარკვეული კომპეტენცია მიჰყვებათ თან (ამავე დროს ნორმირებული ენა მათზე გავლენას ახდენს სკოლის, ეკლესიის, ლიტერატურის, გაზეთების მეშვეობით) 2. სხვადასხვა დიალექტის თანაარსებობისას (იგულისხმება, რომ გადასახლებულები სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელი იყვნენ) იწყება შიდადიალექტური „გაწონასწორების“ ერთგვარი პროცესი, მიმართული საერთო დიალექტის – კოინეს ჩამოსაყალიბებლად (ჟირმუნსკი 1976).

როგორც ითქვა, ქართული კუნძულები სხვადასხვა სცენარით წარმოიქმნა და განვითარდა. მათ აერთიანებთ ის, რომ სამივე განაგრძობს არსებობას ბირთვული არეალიდან, „მეტროპოლიიდან“ (როგორც ჟირმუნსკი უწოდებდა) იზოლაციაში, უცხო სახელმწიფოს პოლიტიკურ ფარგლებში. სალიტერატურო ენასთან უწყვეტი კავშირი, როგორც გერმანულ კოლონიებს ჰქონდათ, მათ არ ჰქონიათ იზოლაცია თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში. ამიტომ „სწორება“ სა-

ლიტერატურო ენაზე, როგორც კუნძულური ენობრივი კოლექტივის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორზე, ქართულ კუნძულებში ან არ იყო ან ძალიან მცირე მასშტაბისა იყო იგი.

დარჩა შიდადიალექტური მიმართებები, რომლებსაც მართლაც ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი დიალექტური კუნძულის საერთო ენობრივი პროფილის ჩამოყალიბებაში. ფერეიდანში ეს იყო სავარაუდოდ კახურის გარდა რამდენიმე სხვა დიალექტური ნაკადის ურთიერთგავლენა და კოინეზაცია, ხოლო საზღვრისპირა კუნძულებში ეს შეიძლება ყოფილიყო საქართველოს მოსაზღვრე დიალექტებთან ურთიერთობაც: შავშურის, ტაოურის, კლარჯულისა – აჭარულთან და მესხურთან, ინგილოურისა – კახურ-ქიზიყურთან.

რა იწვევს დიალექტურ გადაწევას ენობრივ კუნძულში?

ჟირმუნსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ენობრივი კუნძულები ერთგვარი **ლაბორატორიებია იზოლაციაში** მყოფი ენობრივი კონტინიუმის დასაკვირვებლად და ახალი დიალექტების წარმოქმნის მექანიზმების საკვლევად.

„გადასახლებულთა ენის“ თეორიის ფუძემდებელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ეს მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდა არა მხოლოდ ფაქტობრივი თვალსაზრისით, როგორც სრულიად უცნობი ენობრივი მონაცემების წყარო, არამედ პრინციპულია მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა საუკუნის მეტაფორა იმის შესახებ, რომ გერმანული კუნძულური კოლონიები ერთგვარ „ექსპერიმენტულ ლაბორატორიას“ წარმოადგენენ, რომლებშიც შედარებით მცირე დროში, 100-150 წლის მონაკვეთში, დაკვირვებისათვის ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა ენობრივი პროცესები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მთელი ასეული წლები გრძელდება ხოლმე (ჟირმუნსკი 1929 : 181).

კუნძულური დიალექტები შორდებიან არა მხოლოდ სალიტერატურო ენას, არამედ იმ დიალექტებს, რომლებსიგანაც ისინი არიან წარმომდგარი თავდაპირველად.

ფერეიდნულისა და ინგილოურის მაგალითების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კუნძულური დიალექტური დივერგენციის ძირითადი მიზეზებია: 1. ენობრივი კონსერვატიზმი – დიაქრონიული

ჭრილის თავისებურებების შენარჩუნება, არქაული ვითარების ასახვა;

2. ასიმილაციური პროცესები: სესხება, კალკი, ანალოგია;

3. ენის განვითარების შინაგანი პოტენციის ინდივიდუალური განვითარება – არსებული შესაძლებლობებიდან „თავისუფალი“ არჩევანი.

ყველაზე ნაკლებად ეს უკანასკნელი ფაქტორია შესწავლილი და ხშირად ბევრი ენობრივი ფაქტი, რომელიც სწორედ ენაში არსებული „შესაძლებლობის არჩევანით“ არის განპირობებული, ცალსახად არის ჩათვლილი სხვა ენის გავლენად – კალკად ან ნასესხობად.

ენის შინაგანი პოტენციის ინდივიდუალური განვითარება – შესაძლებლობის არჩევანი

ქართული ენა მე-17 საუკუნის შემდეგ (როცა ბირთვულ არეალს ჩამოშორდა ეს ორი დიალექტი) თავისი გზით აგრძელებდა განვითარებას: რამდენიმე კატეგორია შეიცვალა, გაჩნდა ან საერთოდ გაქრა. ანალოგიური პროცესები განვითარდა მეტ-ნაკლებად ყველა იმ დიალექტში, რომელიც ეროვნული ენის ორბიტაში დარჩა.

რა ხდება ამ დროს ჩამოშორებულ დიალექტებში?

ა) დიალექტი ინარჩუნებს არქაულ ვითარებას და ჩამორჩება ბირთვული სტანდარტული (სალიტერატურო) სისტემის განვითარებას (ამგვარი თავისებურებებით კუნძული შორდება სტანდარტულ ენას, მაგრამ მსგავსებას ინარჩუნებს დიალექტებთან, რომლებსაც ასევე არქაულობა ახასიათებს (მაგ. საქართველოს მთის დიალექტები).

ბ) დიალექტი იღებს უცხო ენის ლექსიკას, ფრაზეოლოგიზმებს, ენობრივ მოდელებს, ითვისებს კალკირებულ ფორმებს, პრაგმატიკულ ინვენტარს და სხვ.

გ) დიალექტი ბირთვული არეალიდან ჩამოშორების შემდეგ დამოუკიდებლად ავითარებს ენაში იმანენტურად არსებულ ტენდენციათაგან ერთ-ერთს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე არსებული ალტერნატივებიდან „ირჩევს“ განვითარების ერთ-ერთ გზას, რომელიც შესაძლოა არ ემთხვევა სალიტერატურო ენის არჩევანს, მაგრამ არ სცილდება ეროვნული ენის შინაგან ტენდენციებს და შესაძლებლობებს.

როგორც ვთქვით, ქართულ კუნძულურ დიალექტებს (გერმანული კუნძულებისგან განსხვავებით) არ ჰქონდათ სალიტერატურო ენასთან „გაწონასწორებისა“ და არჩევანის „შემოწმების“ შესაძლებლობა.

ენობრივი გადაწევის მესამე გზის – „შესაძლებლობის არჩევანის“ მრავალი მაგალითიდან ერთს განვიხილავთ:

მყოფადის წარმოება ინგილოურში

ინგილოურის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურ თავისებურებად მიჩნეულია თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოება.

მყოფადი, როგორც დროთა სისტემაში, ასევე მწკრივთა სისტემაშიც, გვიან გაჩენილია. ამიტომაც, რომ ძველ ქართულში მომავალი დროის გამოხატვა რამდენიმე საშუალებით იყო შესაძლებელი. ამ საშუალებათაგან ყველა ერთგვარად და ერთდროულად არ გაჩენილა და არც ერთგვარად გაგრძელებულა ენაში მათი ფუნქციონირება.

ინგილოურში თხრობითი კილოს მომავალი დრო სამი სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი:

1. ძველი ქართულის მსგავსად – კავშირებითის ფორმის გამოყენება;
2. თანამედროვე ქართულის მსგავსად – აწმყოს ფორმების ტრანსფორმაციით (ძირითადად ზმნისწინის დართვით);
3. მომავალი დროის მიმღეობისა და მეშველი ზმნის კონსტრუქციით.

მყოფადის წარმოების მესამე ტიპი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურ მოვლენად, რომელიც ინგილოურს ქართული ენის სისტემაში შემავალი სხვა დიალექტებისგან გამოარჩევს. ეს მოვლენა არის კოდის შეცვლისას (კოდიდან კოდზე გადასვლისას) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: სალიტერატურო კოდზე გადასვლისას ის აუცილებლად ნიველირებულია, ხოლო დიალექტურ კოდზე გადართვის დროს – აუცილებელი კომპონენტია! კუთხური იდენტობის გამოსახატავად ეს თავისებურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია.

ინგილოურის მკვლევართა შორის თითქმის უალტერნატივოდაა მიჩნეული აზრი, რომ ეს თავისებურება აზერბაიჯანულის გავლენაა.

მყოფადის განვითარების ისტორიისათვის ქართულში:

ქართულში ისტორიულად მყოფადის გამოხატვა მეორე კავშირებითის ფორმით ხდებოდა. ეს იყო მყოფადის გამოხატვის დომინანტური საშუალება. ძველსავე ქართულში (მე-10 საუკუნიდან) დაიწყო ჩასახვა აწმყოს ფორმათა ტრანსფორმაციით მიღებულმა მყოფადმა. მე-17 საუკუნისთვის სალიტერატურო ქართულში მყოფადის წარმოების ახალი მოდელი უკვე საკმაოდ დამკვიდრებული ჩანს. ეს არის მყოფადის გამოხატვის გრამატიკული სისტემა, რომლის პარალელურადაც როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში გვაქვს მომავლის სემანტიკურად დიფერენცირებული გამოხატვის სხვადასხვა საშუალება.

ახლა განვიხილავთ მხოლოდ ე.წ კატეგორიული მომავლის სემანტიკის გამოხატვის საშუალებებს.

კატეგორიული მომავალი ძველ ქართულში მომავლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა და იგი გამოიხატებოდა კონსტრუქციით **„საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმა + არს მემველი ზმნა“**. ცვლილება ძველსავე ქართულში დაიწყო: „მემველი ზმნების უღვილილებადი ფორმები თავის ადგილას დარჩა, სახელზმნის ვითარებითბრუნვიანი ფორმები კი შეიცვალა სხვადასხვა გვარის (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი) მიმღებობით“ (ქავთარაძე 1960, 200).

კატეგორიული მომავლის გამომხატველი მიმღებური კონსტრუქცია თანამედროვე ქართულში აქტიურად გამოიყენება და იგი გამოხატავს მომავალში შესასრულებელი მოქმედების მიმართ მოქმედის კატეგორიულ დამოკიდებულებას: მოქმედება აუცილებლად, გარდაუვლად, უპირობოდ უნდა მოხდეს.

ძველი და ახალი ქართული ენის მონაცემებით მიმღებური კონსტრუქცია უცხო არ არის ქართული ენისათვის. **არის** და **აქვს** ზმნათა გამოყენებით ნაწარმოები ეს კონსტრუქციები არ ქმნიან ფლექსიურ პარადიგმას. ისინი უფრო მოდალურ სემანტიკას გადმოსცემენ.

სალიტერატურო ქართულმა მომავლის გამოხატვის ალტერნატივებიდან ნეიტრალური მომავლის წარმოების ძირითად ფლექსიურ მოდელად „აირჩია“ ზმნისწინიანი აწმყო. ყველა დანარჩენი კი მომავლის დიფერენცირებული (სურვილის, ნატვრის, კატეგორიუ-

ლი, დაგეგმილი მომავალი) მნიშვნელობების „ფაკულტატურ“ სემანტიკურ საშუალებებად დატოვა.

ბირთვულ ენობრივ არეალს ჩამოშორებულმა ინგილოურმა კი პირიქით – ნეიტრალური მომავლის ძირითად საშუალებად მიმღებური კონსტრუქცია აირჩია, დანარჩენი ორი – კავშირებითი II და ზმნისწინიანი მყოფადი – ფაკულტატური ფუნქციით დაიტოვა.

მიმღებური კონსტრუქცია, რომელიც ინგილოურ დიალექტში მომავალი დროის გამოხატვის მთავარ საშუალებად არის წარმოდგენილი, ხშირად მიჩნეულია უცხო ენის (აზერბაიჯანულის) გავლენად.

ეს მოსაზრება არ არის გამართლებული:

ქართულ ენაში როგორც დიაქრონიულად, ისე სინქრონიულად ამ კონსტრუქციის აქტიურად გამოყენება არის სწორედ იმის დადასტურება, რომ ინგილოური დიალექტის მონაცემი არის ქართული ენაში მომავალი დროის გამოხატვის ალტერნატიული არჩევანის გამოვლინება.

დასკვნა:

იზოლაციის პირობებში ენობრივი კუნძული დგება დამოუკიდებელი არჩევანის წინაშე. იზოლაციის შემდგომ ის აგრძელებს განვითარებას და ცვლას არა მხოლოდ კონსერვაციის ან უცხო ენიდან სესხების, არამედ განვითარების იმანენტური კანონზომიერებითაც. ამა თუ იმ კატეგორიის (ამ შემთხვევაში მომავალი დროის) გამოხატვის რამდენიმე ალტერნატიული საშუალების არსებობის პირობებში ბირთვულ არეალსა და კუნძულში განვითარება სხვადასხვა გზით მიმდინარეობს. სალიტერატურო ენის მხრიდან დამაბალანსებელი გავლენა აღარ არსებობს (საგანმანათლებლო, საინფორმაციო, საყოფაცხოვრებო არხების არარსებობის გამო) და კუნძული თავად განსაზღვრავს ენაში არსებულ ტენდენციათა მიმართულებას, ცვლილების გზას, ტემპსა თუ ხარისხს და აყალიბებს მკვეთრად განსხვავებულ სისტემას.

განხილულ შემთხვევაში დიალექტი ინარჩუნებს მყოფადის გამოხატვის ძველ ქართულში არსებულ ყველა საშუალებას, თუმცა შესაძლებლობათა იმ „არსენალიდან“, რაც მას ბირთვული არეალიდან ჩამოშორების მომენტიდან ჰქონდა, ირჩევს ბირთვული კოდის-

თვის შედარებით პერიფერიულ, ფაკულტატიურ წარმოებას და მას აქცევს მყოფადის გამოხატვის დომინანტურ საშუალებად. ამავდროულად, ის ინარჩუნებს მყოფადის „კანონიკურ მოდელებს“ – კავშირებით მეორესა და ზმნისწინიან წარმოებას, მაგრამ შედარებით დავიწროებული მნიშვნელობით: კავშირებით მეორეს, ძირითადად „გადაწყვეტილებს“ მომავლის გამოსახატად, ხოლო ზმნისწინიან ფორმებს – „ნარატიული მყოფადის“, უფრო ზუსტად, „ზოგადი დროის“ გამოსახატად: ასეთი კონსტრუქციები ძირითადად ნარატივში – ზღაპრებში ან წარსულში მომხდარი ამბავ-თქმულებების გადმოცემისას გამოიყენება.

კუნძულური მასალების კვლევისას ბევრი სხვა მაგალითიცაა, რომლებიდანაც კარგად ჩანს ენობრივი კუნძულის ეს განსაკუთრებული თავისებურება – ბირთვული ენობრივი არეალიდან ჩამოშორების პირობებში, უცხოენოვან გარემოში, ენის შინაგანი პოტენციის განვითარების საკუთარი ალტერნატიული გზის არჩევანით „განაგრძოს ცხოვრება“.

ამ არჩევანზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს მეზობელ, განსაკუთრებით, დომინანტურ ენებში ამა თუ იმ ტიპოლოგიური მოდელების უპირატესობა. მაგალითად, ინგილოურის მიერ პალატალიზებულ (უმლაუტიან) ხმოვანთა შენარჩუნება ან მიმღეობური ფორმის გამოყენებით ნაწარმოები მყოფადის დომინანტურ ფორმად ქცევა შეიძლება „მხარადჭერილი“ იყოს მეზობელ ახერხაიჯანულში ამ ფენომენების გარკვეული სახით არსებობით.

უცხოენოვან გარემოსთან ასიმილაციასთან განუწყვეტელ ჭიდილში კუნძულური ენობრივი კონტინუმი, ბუნებრივია, იცვლება და თანდათან შორდება ბირთვულ ენობრივ არეალს, განსაკუთრებით კი სტანდარტულ ენას, რადგან მისი შეზღუდვების ლეგიტიმური ფორმები კუნძულს ვეღარ სწვდება.

იდენტობათა ჭიდილში კუნძული ახერხებს, ბირთვული ენობრივი არეალიდან ბუნებრივი დამორების – ენობრივი ცვლილების – პროცესში გააქტიუროს ისევ ამ ენის (მშობლიური ენის) პოტენციური შესაძლებლობებიდან ერთი ან რამდენიმე ვარიანტი. ასე ის თავს იზღვევს ასიმილაციისგან – ინარჩუნებს კონკრეტულ ენობრივ ფაქტთან, როგორც საკუთარი იდენტობის მახასიათებელთან, ქვეცნობიერ დამოკიდებულებას. კუნძულელი ვერ ზომავს ენობრი-

ვი ცვლილების მახასიათებლებს, მას არა აქვს სტანდარტულ ენასთან შედარების არანაირი საშუალება, თუმცა ენობრივი განვითარების სტრატეგია არჩეული აქვს იმ საერთო ენობრივი არსენალიდან, რომლებიც ჰქონდა საერთო ეროვნულ ენას ჩამოშორების მომენტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის დაშორება იდენტობის კარგვის კი არა, მისი შენარჩუნების გზით, დაშორება და მუდამ ორბიტაზე ყოფნა.

გამოყენებული ლიტერატურა

ქავთარაძე 1960 – ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, თბილისი.

მატაიერი 1996 – Mattheier, Klaus J., Methoden der Sprachinselforschung. In Kontaktlinguistik: Ein internationales Handbuch, hrsg. Flans Goebel, Peter H. Neide u.a., 812-19.

ჟირმუნსკი 1929 – Жирмунский В.М. Проблемы колоняльной диалектологии, Язык и литература, Т. III, Ленинград.

ჟირმუნსკი 1976 – Жирмунский В. М. „Проблемы переселенческой диалектологии“, Общее и германское языкознание : избр. тр. Л.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკის ერთი ჯგუფისთვის (საგვარეულო, წინაპარი, შთამომავალი)

მეგრულ-ლაზურ ნათესაობის ლექსიკაში მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის საგვარეულოს, პატრიარქალური ოჯახის აღმნიშვნელი სახელები.

თი – მეგრულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი“ (ქაჯაია, 2002: 46;

ქობალაია 2010: 315). გ. ელიავასთან ის დაკონკრეტებულია და მითითებულია, რომ არის „დიდი გვაროვნული ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი. უძველესი დროიდან ნიშნავდა ადამიანთა სისხლით ნათესაური ერთობის ჯგუფს – დიდ, პატრიარქალურ ოჯახს, რომლის შემადგენლობა აღირიცხებოდა მელოგინეთა რიცხვის მიხედვით. შემდეგ, პირველი და შემდგომი პატრონომიის დროს, თი დაიშალა ცალკე ოჯახებად, მელოგინეთა წყვილებად, მათ ნამრავლებად და ახალი გვარის, **თურის** შექმნას დაედო საფუძვლად (ელიავა 2022: 747-749). თავისი თვალსაზრისის დასტურად მკვლევარს მოჰყავს მაგალითები მეგრული ტოპონიმიკიდან: სამეგრელოს ტოპონიმიკაში გვხვდება სახელწოდება **ჭითი, კვაუთი, ზოზოთი, ქუქითი, გოგათი, გაბითი** და სხვ., რომლებშიც **ჭი, კვაუ, ზოზო, ქუქი, გოგა, გაბი** და სხვ., ითვლება ერთ ლექსიკურ ერთეულად, კერძოდ, საოჯახო თემის მეთაურის პირად სახელად, ხოლო **თი** – ოჯახის, სახლის, სახლკარობის, მახორობის აღმნიშვნელ ტერმინად (იქვე: 650). ეს **-თი** ელემენტი ჩანს ცოლის ოჯახის, ცოლოურის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვაში **ჩილორთი < *ჩილიშ თი**, ზედმ. „ცოლის სახლელული“.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით **თი**, ანუ გვარი იყოფოდა **თურებად** და მოიცავდა 5-6 თაობას – **მა მიჩქუ, მი პუნს ტერი დო მოჯგირე, გალენი დო ჩქიმი თური** – მე ვიცი, ვინ მყავს მტერი და მოკეთე, გარეშე და ჩემიანი (ჩემი მოგვარე) (ქაჯაია 2002: 67) **თურის** ეტიმოლოგია ნათელი არ არის, არ ჩანს სხვა ქართველურ ენაში, თუმცა მეგრულში ხშირად გვხვდება წარმოქმნილი სიტყვის ნაწილად. **თურკათა** – სანათესაო, სახლიკაცები, ერთი გვარის ხალხი, **თურკიჩი** – სახლიკაცი, **თურობა** – ნათესაობა; **შხვაშ თური** – უცხო, სხვა გვარისა, სხვისიანი; **უთურე / უთური** – უთვისტომო, უგვარტომო, უჯილაგო; **უთურობა** – ურჯულოება; უგვარტომობა. **თურებს** ჰქონდათ საერთო ძირის ხატი – **თურიში ჯინჯიში ოხვამური** („გვარის ძირის სალოცავი“). გ. ვანილიში ვარაუდობს, რომ შესაძლოა, თურქული სიტყვიდან **თურე** („ხაზი“) არის ნაწარმოები სისხლით ნათესაობის შინაარსის ლაზური ტერმინი **ჩქინი თურუ**-მე („ჩვენს ხაზი“) (ვანილიში 2011: 148). ვფიქრობთ, მეგრული **თური** და ლაზური **თურე** საერთო წარმომავლობისაა.

თური იყოფოდა **დინოებად**, რაც გულისხმობს ერთი დიდი პაპის შთამომავლობას – **დიარას თელი ჩქინი დინო არმა ვორდითია**

„ქორწილში მთელი ჩვენი დინო ყველა ვიყავით“ (ქაჯაია 2001: 269). გ. ელიავას განმარტებით, თურის შიგნით უფრო ახლო ნათესაობას, ახლობლობას, მახორობას, ჯინჯიში მეზობლობას, ფუძის მეზობლობას **დინო** ჰქვია, ოღონდ სისხლით ნათესაურ მეზობლობას (ელიავა 2022: 745). რა უნდა იყოს დინო? იქნებ, **დინახალენი / დინო-ხალენი** „შინაური, შიდა, შინაგანი“ (ქობალია 2020: 242) სიტყვის ბოლომოკვეცილი ფორმაა? განსხვავებული თვალსაზრისი აქვს განვითარებული მერაბ ჩუხუას. ის სვანურ **დინა** „ქალიშვილი, გოგო“ განიხილავს იმერხელში წარმოდგენილ **დინე** „დედა“ ფორმასთან ერთად (ჩუხუა, 2000-2003: 94), მეგრულ **დინოს** ქართულ-სვანურ **დინა**სთან აკავშირებს და ერთი დედისგან წარმომავალი შთამომავლების აღმნიშვნელ სიტყვად მიიჩნევს.

საგვარეულოს, სანათესაოს აღსანიშნავად მეგრულში გამოყენებულია სინტაგმა **შქვით დგუმა** – შვიდი მოდგმა. ძველად იკვლევდნენ ქალ-ვაჟის წინაპართა შვიდ თაობას, რადგან თუნდაც მეშვიდე მოდგმის ნათესავთა შეუღლება სისხლის აღრევად ითვლებოდა და არ ეგებოდა – **ვამინერდგ** (ქობალია 2010: 667). მეგრულმა მამაკაცის ხაზით წინაპართა 6 თაობის, მუხლის სახელი შემოინახა (ბუკია 2023: 9).

ნათესაობის აღსანიშნავად მეგრული იყენებს შესიტყვებას **ჩემი / სქანი რჯული** „ჩემი / შენი რჯული“. აქ რჯული სისხლით ნათესაობას აღნიშნავს.

იმავე შინაარსისაა **კერძ-ნათესე / კერძ-მოჯგირე**. კომპოზიტური წარმოების სიტყვებში **ნათესე** „ნათესავს“ ნიშნავს, **მოჯგირე** – „მოკეთეს“. **კერძ-** ნაწილთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ქართული სიტყვა **კერძობა**, რომელიც ოჯახს, ჯალაბობას ნიშნავს (ნეიმა-ნი, 1978, 330).

წინაპარს აღნიშნავს მეგრული **ზოგი** „შორეული ნათესავი, შორეული წინაპარი“, **ზოგიშზოგი** „ძალზე შორეული ნათესავი, წინაპარი“ (ქობალია 2010: 64), **მოიშ-მოი** / **მოციშ-მოცი** „ძალზე შორეული წინაპარი“ (იქვე, 468).

წინაპრის აღმნიშვნელი სხვა საგანგებო სიტყვა მეგრულ-ლაზურში ვერ დავძებნეთ. სემანტიკის გადმოსაცემად მეგრულ-ლაზური იყენებს გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ სხვადასხვა ფორმას:

მეგრული: **ჯვეშევი** – ზედმ. „ძველები“, **ჩქინ ჯვეშევი** – ზედმ. „ჩვენი ძველები“, **ჯვეშიშჯვეში** – ზედმ. „ძველთაძველი; შორეული წინაპარი; **წიმოხიანი / წიმოხონი** – ზედმ. „წინანდელი“; **ბაბუ დო დადი** „ბაბუა-ბებია“; წინაპრები (საზოგ.); **პაპუ** „პაპა; ბაბუას მამა; გადატ. წინაპარი“. **პაპუშ პაპუ** „წინაპარი, პაპის პაპა“.

ლაზური: **პაპული** – ზედმ. „ბაბუა“, წინაპარი – **პაპული** ლაზისტანის დაბინებული რტუ „წინაპარი ლაზისტანში დაბინავებული იყო“ (ასათიანი, 2012: 16); **პაპულეფე** – ზედმ. „ბაბუები“, წინაპრები; მამა-პაპა – პაპულეფეს ოხოფე აქ ულუტენან „წინაპრებს სახლები აქ ჰქონიათ“ (ჩიქობავა 1929: 115); **ჩქუნი პაპული** – ზედმ. „ჩვენი ბაბუა“, წინაპარი (ასათიანი 2012-ა: 100); **მჯვეშეფე** – ზედმ. „ძველები“, წინაპარი“ (თანდილავა 2913: 562); **წინაპარი** (ქართ.) – წინაპარი (ბუკია 2018: 530).

სიტყვა **ძველი** წინაპრის აღსანიშნავად ბუნებრივი ჩანს ქართველურ ენებში. შდრ. ქართული **ძველები, ჩვენი ძველები** „წინაპრები“, სვანური **ჯჷინლჷრ** – წინაპრები, ძველი დროის ადამიანები („ძველები“).

გარდა ამ ფორმებისა, წინაპრის მნიშვნელობის გადმოსაცემად ლაზური იყენებს თურქულიდან შეთვისებულ სიტყვებს: **სოი** – წინაპარი (თანდილავა 2013: 740); **ჯედდი** (არაბ. cediti, cet) „id.“ (იქვე, 894).

შთამომავლობის ზოგადი სემანტიკით მეგრულში გვხვდება:

გამენარცი, ნარცი – შთამომავლობა; ნაყარი, გვარის, ერთი შტოს ხალხი, ორი-სამი თაობა; სისხლით ნათესავი, გვარისკაცი, სახლიკაცი; სანათესაო მამის ხაზით (ქობალია 2010: 75); **ჩქიმი გამენარცი რე: სქუალეფი, მოთალეფი დო თინეფიში სქუალეფი** „ჩემი შთამომავლობა არის: შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები“ (ქაჯაია 2001: 284); **ეთი ოჯახიში ნარცი რე** „იმ ოჯახის გამონაყოფია“ (ქაჯაია 2002: 364). ეტიმოლოგიურად ნიშნავს განაყოფს, გამონაყოფს.

გამენაყოფი – განაყოფი, მოდგმა, შთამომავლობა, განაყარი (ქობალია 2010: 75). ეტიმოლოგიურად ეს სიტყვაც „გამონაყოფს“ ნიშნავს.

გამენაჰყანი / გიმენაჰყანი – მოდგმა, შთამომავლობა, ერთი წინაპრის მიერ სიცოცხლემინიჭებული თაობები (**ჰყანადან** – სიცო-

ცხლის ნიშატიდან); **სუმოია პატარაიაში გიმენაჭყანი რენა თენეფი** „სუმოია (სიმონი) პატარაიას შთამომავალი არიან ესენი“ (ქაჯაია 2001: 341); შდრ. **დოჭყანაფა** „დანერგვა, მოშენება, დასაბამება, დამკვიდრება, სიცოცხლის მინიჭება“ (ქობალია 2010: 253); **ჭყანაფა** სიცოცხლის მინიჭება, დასაბამება, დანერგვა (იქვე, 714).

კვეთი – შთამომავლობა. **ჩემი სკი დო კვეთი ვაშაფოთა, ჩემი ორდალო ქომაჩუქია** „ჩემი ძე და შთამომავლობა არ მოსპო, ჩემ გასაზრდელად მაჩუქეო“ (ქაჯაია 2002: 129).

მერსხილიშ მერსხილი / მისხიშ მისხი – მოდგმის მოდგმა, (დროში) შორეული წინაპრის შთამომავალი (ქობალია 2010: 409).

ნაფაზი – შთამომავლობა (ფიფია 2008: 31) / **ნაფაზვი** „id.“ (ქობალია 2010: 511). სიტყვის ძირში ივარაუდება ქართული ფუძე ფორმის შესატყვისი მეგრული **ფაზვი** ფესვი, ფუძე“ (ქობალია 2010: 621). შდრ. **ფაზვიში** „ფუძისა, ფუძისეული, საფუძველი“ (იქვე). შესაბამისად, განსახილველად წარმოდგენილი **ნაფაზი / ნაფაზვი** ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ნაფუძვარს“, ერთი ფუძიდან, ფესვიდან გამოსულს.

ნოგორი – მოდგმა; შთამომავლობა (ქაჯაია 2002: 394). შდრ. ქართული დიალექტური **ნეგრო, ნოგრო** (გურ., აჭარ.) ჯიში, მოდგმა (დლონტი 1984: 419). მეგრული **ნოგორი** უკავშირდება ქართულ ფორმას ნა-გრ-ამ-ი „სისხლისმიერი შთამომავლობა“, „დიდი ოჯახი“, მო-ნა-გარ-ი ნა-გრ-ამ-ი (ქურდიანი 2011: 164)

გვხვდება ქართულთან საზიარო რამდენიმე ფორმა:

მოდგამი / მოდგამუ – მოდგმა; მომავალი; შთამომავალი. **ჯგი-რი მოდგამი ოსქიდუ** „კარგი მოდგმა რჩება“ (ქაჯაია, 2002: 292).

შთამომავლობა – შთამომავლობა. **ათე ლახალა შთამომავლობით მოყუნა** „ეს ავადმყოფობა შთამომავლობით მოჰყვებათ“ (ქაჯაია 2002-ა: 258).

ნათესაობის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვებში გვხვდება სომატური ლექსიკაც:

ზისხირ დო ხორცი „სისხლ-ხორცი, ღვიძლი, ნათესავი“ (ქობალია 2010: 310), **ხორც დო ზისხირი** „id.“ (იქვე, 730), **ზისხირიშ მუკნახარცქა** „სისხლისმიერი შთამომავალი, ნაგრამი“ (იქვე, 310). **მეყვიში** „ნათესავი“, ზედმ. „ძვლისა“ (იქვე 413), **ართ ძვალიში** „ერთი ძვალი-სა, ერთი გვარისა“ (იქვე, 690).

ლაზურში შთამომავლობის აღსანიშნად გვხვდება **ნო-მრიალ-ე** ზედმ. „ნამრავლი“ (ვანილიში 2011: 148), **ჩქინ-ი ოკო-რთ-ე-ი** ზედმ. „ჩვენი განაყოფი“ (იქვე).

საკუთრივ ლაზური ფორმების გვერდით გამოიყენება **ევლა-დი** (თურქ. evlat) შთამომავლობა – **ევლადეფე-სქანის თრანგიქ დი-დი დლა მეგიჩას** „შენს შთამომავლობას ღმერთმა დიდი დღე მისცეს“ (ასათიანი 1974: 195).

მოხსენებაში სრულად იქნება წარმოდგენილი წინაპრისა და შთამომავლობის აღმნიშვნელი მეგრული ზოგადი სიტყვები, მაგრამ აქ ვერ განვიხილავთ შთამომავლობითი ნათესაობის აღმნიშვნელ სხვა ტერმინებს: **დიდაშიანი** „ნათესაობა დედის მხრიდან, დედის მხრივ ახლობლები, შთამომავალნი“, **მუმაშიანი** „მამის მხრივ შთამომავლობა“, **ბაბუშიანი** „ნათესაობა ბაბუის მხრიდან“, **ბებიშიანი** „ნათესაობა ბებუის მხრიდან, **ბაბუშარი** „ბაბუას შთამომავალი“, **ბა-ბუშელათური** „სანათესაო ბაბუას ხაზით, ერთი ბაბუას მოდგმა“, **პა-პუშ გამენარყი** „პეპერას შთამომავლობა“, **პაპუშთური** „პეპერას შთამომავლობა“... მეგრულ-ლაზურ ნათესაობის ლექსიკას მონოგრაფიული კვლევა სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი 1974** – ი. ასათიანი, ლაზური ტექსტები, თბილისი.
- ასათიანი 2012** – ი. ასათიანი, ლაზური ტექსტები, თბილისი.
- ასათიანი 2012-ა** – ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.
- ბუკია 2018** – მ. ბუკია, ლაზური ლექსიკონი, Wojnowice.
- ბუკია 2023** – მ. ბუკია, მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკა, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXIV, მასალები, თბილისი.
- ელიავა 2022** – გ. ელიავა, სამეგრელო, მხარეთმცოდნეობითი შრომები, ტ. I, თბილისი.
- ვანილიში 2011** – გ. ვანილიში, ლაზური ოჯახი და ნათესაური ურთიერთობანი, ლინგვოკულტურული ძიებანი, ტ. I, ბათუმი.
- თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

ნეიმანი, 1978 – ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი.

ფიფია 2008 – დ. ფიფია, მეგრული სალექსიკონო მასალები, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქურდიანი 2011 – მ. ქურდიანი, საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი ენობრივი მონაცემების მიხედვით, ლინგვოკულტურული ძიებანი, ტ. II, ბათუმი.

ღლონტი 1984 – ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ჩიქობავა 1929 – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები (ხოფური კილოკავი), ტფილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქ ე თ ე ვ ა ნ გ ი გ ა შ ვ ი ლ ი

ლექსიკური ინტერფერენციის საკითხისათვის ფერეიდნულ დიალექტში

ლექსიკა, როგორც ენის ყველაზე დრეკადი სფერო უცხო ენობრივ ელემენტთა შეღწევადობის თვალსაზრისით, თავის თავში აირეკლავს ენათა რთული და, ამავე დროს, საინტერესო კულტურული და სოციალური ურთიერთობების შედეგებს. ამიტომაც მის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონტაქტში მყოფ მცირე ენაში ინტერფერენციული პროცესების ასახსნელად, ბილინგვიზმის საფეხუ-

რების დასადგენად და, ზოგადად, ენათა კონტაქტის ტიპოლოგიის გამოსავლენად.

წინამდებარე მოხსენებაში დასმულია ლექსიკური ინტერფერენციის საკითხი ფერეიდნულ დიალექტში მხოლოდ ერთ – დ თანხმოვანზე დაწყებულ სიტყვებზე დაყრდნობით. მასზე არჩევანის შეჩერება განაპირობა მასალის სიუხვემ სხვა ბგერებით დაწყებულ სიტყვებთან შედარებით. კვლევა ეყრდნობა ფერეიდნული დიალექტის კორპუსულ ლექსიკონს, მის როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ვერსიას. დამხმარე მასალად კი გამოყენებულია საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის ტექსტური კორპუსი.

საანალიზო ლექსიკონში (მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. ნახუცრიშვილი, 2018) **დ**- ბგერაზე დაწყებულ სიტყვათა რაოდენობა 447-ს შეადგენს. აქედან 98 სიტყვა¹, ანუ დაახლოებით 22% ნასესხებია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სპარსულია, მცირე ნაწილი კი სპარსულის გზითაა შესული არაბულიდან თუ თურქულიდან, იშვიათად ფრანგულიდან და რუსულიდან. 98 ნასესხები სიტყვიდან 60 არსებითი სახელია, 5 – ზედსართავი სახელი, 4 – რიცხვითი სახელი, 1 – ნაცვალსახელი, 13 – ზმნა, 7 – ზმნიზედა, 7 – მიმღეობა, 1 – თანდებელი.

ნასესხები არსებითი სახელები ჩვენ სამ ძირითად თემატურ კატეგორიად დავყავით. ეს კატეგორიები მოიცავს: 1. ადამიანთა სამყაროს; 2. ბუნების სამყაროსა და 3. ნივთებისა და საგნების სამყაროს. თითოეული კატეგორიის ფარგლებში გამოვყავით ქვეკატეგორიები, რათა მოგვეცვა ყველა სიტყვა, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს ენაში. იმის გათვალისწინებით, რომ სტატის მთავარი მიზანი არ არის ენაში ლექსიკის თემატურ ჯგუფებად დაყოფის პრინციპები და ამ საკითხს მხოლოდ მეთოდოლოგიური დატვირთვა აქვს, აღნიშნულ თემას მხოლოდ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით ვუხეხით. შესაბამისად, იმ ქვეკატეგორიებს, რომლებსაც საანალიზო ნასესხები სიტყვები არ მიემართება, არც ვასახელებთ.

ნასესხობათა რაოდენობა კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება:

¹ სიტყვები, რომელთაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვთ და თითოეული მნიშვნელობა ლექსიკონში ცალ-ცალკე ლემის სახით არის შესული, ჩვენს მოხსენებაში ერთ ნასესხობადაა ჩათვლილი.

I კატეგორია: სხეულის ნაწილები (2), ასაკობრივი მაჩვენებლები (1), პროფესია, საქმიანობა, მოღვაწეობა, შემოქმედება (6), დაწესებულებები, ორგანიზაციები (1), განათლების სფერო (6), ოჯახი და ურთიერთობები (4), რწმენა, რელიგია (3), ჯანმრთელობა (1);

II კატეგორია: ბუნებრივი ელემენტები (2), ბუნებრივი მოვლენები (3), ბუნებრივი რესურსები და მასალები (3), გეოგრაფიული ერთეულები (1), ფრინველები (1), დროის მონაკვეთები (3), გეომეტრიული ფიგურები (1), საზომი ერთეულები (1);

III კატეგორია: საყოფაცხოვრებო ნივთები (5), სამკაულები და ძვირფასი თვლები (1), ტრანსპორტი (1), შენობა-ნაგებობები და მათი ნაწილები (5), საბრძოლო იარაღები (1), სამუშაო იარაღები (1), საჭმელი (3), ჩასაცმელი (3), ინფორმაცია და კომუნიკაცია (1).

ნიმუშების განხილვამდე აღვნიშნავთ, რომ სიტყვათა სესხება ამა თუ იმ ენაში ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. პირველ შემთხვევაში მსესხებელ (C) ენაში ივსება თავისუფალი ადგილები, ანუ ე. წ. „თეთრი ლაქები“, ხოლო მეორე შემთხვევაში წყარო (S) ენის სიტყვებთან ერთად იქმნება სინონიმური წყვილები.

სესხების პირველი გზა, ძირითადად, ინდივიდუალური ბილინგვიზმისათვის არის დამახასიათებელი, რადგან მსესხებელ ენაში, სწორედ ამ დროს იგრძნობა ყველაზე მეტად ლექსიკური ნაკლოვანება უცხო ენის ლექსიკასთან მიმართებით (მ. მიქელაძე 2008, 29). როგორც ვაინრაიხი აღნიშნავს, სახელების დარქმევის საჭიროება ახალი საგნებისთვის, ადამიანებისთვის, ადგილებისთვის, ცნებებისთვის შეადგენს ზოგად მიზეზს ლექსიკური ინოვაციისთვის. მკვლევარი ლექსიკური ინტერფერენციის ძირითად პირობად ლექსიკური დეფიციტის განცდას მიიჩნევს (U. Weinreich 1968, 56). იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცვლილებების პარალელურად ენა მუდმივად იცვლება, პირველ რიგში კი, ლექსიკა, რომელიც ყველაზე მგრძობიარედ რეაგირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სიახლეზე, თავისუფალი ადგილების შევსება ენაში მუდმივი პროცესია.

სესხების მეორე გზა – ლექსიკური პარალელიზმები – კი კოლექტიური ბილინგვიზმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა.

თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით უნდა იყოს ნასესხები ფერეიდნულში ისეთი სიტყვები, როგორცაა: **დუზი** – ხელით ნაკერი; **დირაგი** – მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი; **დაჰნართი** – ორმოცი მისხალი ისპაჰანის პროვინციაში; **დალუა** – მოხუცი დედაკაცი. სიტყვა „დედაკაციც“ შემონახულია ფერეიდნულში და „მოხუციც“, მაგრამ „მოხუცი დედაკაცის“ სემანტიკით გამოიყენება „დალუა.“ „თეთრი ლაქის“ შევსების ხელშემწყობი ფაქტორი ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ენობრივი ეკონომია. იმავე მიზეზით უნდა იყოს ნასესხები: **დანაები** – სარწყავი წყალი; **დარდესარი** – თავის ტკივილი; **დარუჰონუნ** – მეცნიერებათა სასახლე; **დროშკა** – ღია, მსუბუქი ორთვალა ეტლი; **დამფოხტი** – ორთქლზე დამზადებული ბრინჯი; **დაამანი** – თეთრი ფარჩა და სხვ.

ნასესხებ მასალაში გამოვლინდა ლექსიკური პარალელიზმებიც. ნიმუშები:

დანეშმანდი // მეცნიერი; დასტანი // ამზავი; დოვლათი // მთავრობა; დანეშგა // უნივერსიტეტი; დამი // ორთქლი; დარია // ზღვა; დალილი // საბუთი; დელავარი // გულადი; დოროსტი // სწორი, მართალი, ერთგული; დუშვარი // ძნელი; დავაზდა // თორმეტი; დო // ორი; დოვომი // მეორე; დაჰ // ათი; დიგე // სხვა; დავაზილვა // დაბარვა; დომზეგოა // ხმაური, მხიარულება; დამემ // მუდამ; დაყიყან // ზუსტად; დობარა // კიდევ, მეორედ და სხვ. სპარსული მეწყვილეები ფერეიდნულში, ძირითადად, კოლექტიური ბილინგვიზმის პერიოდში უნდა იყოს შესული.

ნასესხები სიტყვების უმრავლესობა მიმდები ენის ფონოლოგიურ მოდელებს არის მორგებული. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამგვარი ენობრივი ქცევა ბილინგვიზმის ადრეულ საფეხურს, ანუ ინდივიდუალურ ბილინგვიზმს ახასიათებს, როცა ცალკეული ინდივიდები საკუთარი ენის ბგერითი სისტემის მიხედვით ასწორებენ უცხოენოვან ფონოლოგიურ მოდელებს. როგორც მაყვალა მიქელაძე აღნიშნავს (მ. მიქელაძე 2008, 29), ამავე საფეხურზე შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ინდივიდი კარგად ფლობდეს უცხო ენას და შეძლოს სიტყვების უცვლელი სახით შემოტანა.

მასალის ანალიზმა გამოავლინა ქართული ფონოლოგიური მოდელების მიხედვით უცხო სიტყვების ბგერითი გარსის „გასწორების“ შემდეგი შემთხვევები:

1. სპარსული გრძელი **ა** ხმოვანი ფერეიდნულში გადმოდის ერთი **ა**-თი: **დავთალაბი** (داوطلب dāvtaḷab. სპარს.); **დალალება** (لا lā); **დანეშსარა** (دانشسارā dānešsarā). გამონაკლისს წარმოადგენს **დაამანი** (دامان dāman);

2. სპარსულ **iy** (**იი**) ბგერათმიმდევრობას ფერეიდნულში შეე-საბამება ერთი **ი**: **დაფიადება** (پیدا piyāde);

3. ფერეიდნულში აუსლაუტში დაკარგულია სპარსული ნა-პრალოვანი ბგერა **ჰ**: **დავაზდა** (دوازده davāzdah); **დანეშგა** (دانشگاه dānešgāh); **დასგა** (دستگاه dastgāh);

4. ნასესხებ სიტყვებში ბგერები ზოგჯერ ასიმილირებულია: მაგ., **დუნია** (دنیا donyā); **დაღი** (داغ dāq). ამ მაგალითში სპარსულის მკვეთრი ხშული **ყ** ასიმილირებულია **ღ**-ს სახით: სპარსულ ენაში **ყ** და **ღ** თანხმოვნები **ყ** ფონემის ალოფონებია. ტრადიციულად იგი ქართულში **ღ** თანხმოვნით გადმოიცემოდა (სპარს. ენის...)¹ ამის საპირისპიროდ, არაბული **ყ** თანხმოვანი უცვლელადაა გადმოსული: **დაყაბლება** (قابول qābul); **დაყიყა** (دایقه dayiye); **დაყიყან** (دایقان daqiqan). თურქულიდან სპარსულის გზით ნასესხებ სიტყვაში კი ორი **ყ** თანხმოვიდან მეორეა ასიმილირებული **ღ**-ს სახით: **დაყონაღება** (قوناق qonāq); ზოგჯერ ფონეტიკური ვარიანტებიც გვაქვს. ეს იმ შემთხვევებში, როდესაც უცვლელი ფორმების გვერდით იხმარება ასიმილირებული ფორმებიც: **დანეშგა** // **დანეშკა** (دانشگاه dānešgāh); **დასგა** // **დასკა** (دستگاه dastgāh);

5. **დასგა** სიტყვაში **ს** თანხმოვნის მომდევნო სპარსული **თ**-ც დაკარგულია ქართული ფონეტიკური წესების შესაბამისად. იგივე **თ** იკარგება შემდეგ მაგალითებშიც: **დასნამაზის დაჭერა** (دست ناماز dast namāz); **დასმალი** (دستمال dastmāl);

6. დისიმილაციის ნიმუშებია: **დურნა** (dornā. თურქ.); **დუშვარი** (دشوار došvār. სპარს.); **დუშმანი** (došman. სპარს.); **დოე ნასჰე შაბ** (دو شب نصف do-e nesf-e šab სპარს.);

7. დისიმილაციური დაკარგვის შედეგია სიტყვა **დოვომი** (دو dovom. სპარს.).

უნდა აღინიშნოს უცხოენოვანი ნასესხები სიტყვების ქართული მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმების შემთხვევებიც:

¹ https://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/Transliteration_Persia.pdf

8. თანხმოვანფუძიანი სპარსული სიტყვები ფერეიდნულში სახელობითი ბრუნვის -**ი** ნიშანს დაირთავენ: **დაბირი** (دابیر dābir); **დანნი** (دانه dān, dāne); **დარამადი** (داراماد darāmad) და სხვა მრავალი; ზოგჯერ -**ი** მარკერი სპარსულ -**ე** ხმოვანფუძიან სახელებსაც დაერთვის: **დუროფტადი** (dur doftade);

9. ზმნათა საწარმოებლად სპარსული ძირები ქართულ მორფოლოგიურ ყალიბშია ჩასმული. ეს ეხება როგორც თემის ნიშნებს, ისე პირის, მწკრივის, ქცევის, გვარისა თუ სხვა მარკერებს. მაგალითად, **ვიდოსტოთ**; **დავფიავდებით**; **დავსანავა**; **დაფაბილვენ** და სხვ.

10. ზმნიზედაში სპარსულის აუსლაუტის -**ე** ხმოვანი ფერეიდნულში -**ა** ხმოვნითაა წარმოდგენილი, სავარაუდოდ, ამ ტიპის ქართული კომპოზიტების გავლენით: **დასტა-დასტა** (دسته daste); თუმცა ანალოგიური მოვლენა არაკომპოზიტური აგებულების სიტყვებშიც შეინიშნება: **დობარა** (دوباره dobāre); **დარვაზა** (داروازه darvāze); **დუგუმა** (دکمه/دگمه dokme/dogme (თურქ.);

11. კომპოზიტური აგებულების ფუძეგარკეცებულ სიტყვაში, სპარსულისგან განსხვავებით და ქართული ანალოგიური წარმოების გავლენით, პირველი ფუძის მოდელი სრულადაა გამეორებული: **დურა-დურა** (دورادورā durā dur).

ნასესხები უცხოენოვანი სიტყვებისთვის საკუთარი მორფოლოგიური ყალიბის მორგებაც ინდივიდუალური ბილინგვიზმისთვისაა დამახასიათებელი. კოლექტიური ბილინგვიზმის დროს მიმდებ ენაში სიტყვები უცხოენოვანი მორფოლოგიური მოდელებით გადმოდის.

ამრიგად, **დ-** თანხმოვანზე დაწყებული ფერეიდნული სალექსიკონო მასალის კვლევამ დაადასტურა სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული შეხედულება, რომ ლექსიკური ინტერფერენციისთვის ყველაზე დრეკადი სფერო არსებითი სახელებია, ხოლო ყველაზე შეზღუდული სფერო – ნაცვალსახელები, თანდებულები, კავშირები და ნაწილაკები. საანალიზო მასალაში საერთოდ არ ჩანს კავშირები და ნაწილაკები, ხოლო ნაცვალსახელები და თანდებულები თითო-თითო მაგალითის სახითაა გამოვლენილი. რიცხოზრვიად ყველაზე მეტი ნასესხები სიტყვა (24 ერთეული) ადამიანთა სამყაროს თემატურ კატეგორიაში დაფიქსირდა, 21 სიტყვა დადასტურდა საგნებისა და ნივთების თემატურ კატეგორიაში, ხოლო ყველაზე ნაკლები (15 ერთეული) – ბუნების სამყაროს თემატურ კატეგორიაში.

თავისუფალი ადგილების, ანუ ლექსიკური დეფიციტის შესვების მიზნით, ბილინგვიზმის ადრეულ ეტაპზე უნდა იყოს ნასესხები სიტყვები: **დუზი, დირაგი, დაჰნართი, დალუა, დანაები** და სხვ. ხოლო კოლექტიური ბილინგვიზმის პერიოდში უნდა იყოს შეთვისებული სიტყვები: **დანეშმანდი, დასტანი, დანეშა, დელავარი, დუშვარი** და სხვ., რომლებიც ფერეიდნულ ლექსიკასთან სინონიმურ წყვილებს ქმნიან. ასეთი წყვილი სულ 49 შემთხვევაში. დადასტურდა.

წინამდებარე მოხსენებაში მხოლოდ საკითხია დასმული შესასწავლ თემასთან მიმართებით. ლექსიკური ინტერფერენციის კვლევა ფერეიდნულ დიალექტში ფართო სოციოლინგვისტური პერსპექტივებიდან საშურ საქმედ მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი 2018 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. ნახუცრიშვილი, ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი (ქართული დიალექტური კორპუსი), თბილისი.

გიუნაშვილი 1987 – ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მიქელაძე 2008 – მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში / I ნაწილი / ლექსიკა და ფონოლოგია, თბილისი.

საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი: დიდი ქართული დიალექტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი GEDA: <http://corpora.co/#/>

სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები:

https://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/Transliteration_Persia.pdf

Weinreich 1968 – U. Weinreich, Languages in Contact. Findings and Problems. Mouton Publishers, Prins, NewYork

გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ლომთაძე

მიგრაციული დიალექტიზმების შესახებ ქართულში (საკითხის დასმისათვის)

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ენისა და მიგრაციის პრობლემატიკის კვლევას ახალი განზომილებები შესძინა და მრავალი ასპექტით მოითხოვა მათი შესწავლა. სწორედ ამიტომ, რომ თანამედროვე შრომები აღნიშნული მიმართულებით ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებას მოითხოვს და ფართოდ ითვალისწინებს სოციოლოგიის, პოლიტოლოგიისა და ენობრივი პრობლემების ურთიერთმიმართების კვლევებს. როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, მიგრაცია პოლისემანტიკური ცნებაა და ფართო გაგებით გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერ გადაადგილებას გარკვეული დასახლებული ტერიტორიის საზღვრებს მიღმა. მიუხედავად მიგრაციის ხანგრძლივობისა და მიზნისა, უფრო ვიწრო გაგებით, მიგრაცია არის მოსახლეობის მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან. ამის მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია მსჯელობა შიგა და გარე მიგრაციების შესახებ.

ქართველურ ენობრივ სივრცეში შიდა მიგრაციები ხშირი და ბუნებრივი მოვლენაა. მასობრივ მიგრაციებს სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. „ტრადიციული“ შეიძლება ეწოდოს მცირემიწიანი მაღალმთიანი რეგიონებიდან ბარში ჩამოსახლებას. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს მთიულეთიდან და ფშავ-ხევსურეთიდან კახეთში, შირაქის ველზე სამი სოფლის გაჩენა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე; ზემოიმერეთიდან კახეთში (ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში) იმერელთა, მეგრელთა და რაჭველთა ჩასახლებას... სტიქიური უბედურებების გამო იძულებითი მიგრაციები აჭარა-სვანეთიდან ქართლში, იმერეთში, მესხეთში... ხელისუფლების არასწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გამო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ძირითადად ხევსურთა) ჩამოსახლება ბარში (პროპაგანდა ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში...)... პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის მასობრივი მიგრაციული ღონისძიებები (ალბათ ასე უნდა ეწოდოს): 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მე-

სხეთელი თურქების გასახლება და მესხეთში იმერლების, მთიულე-ბისა და გუდამაყრელების ჩასახლება. ამავე რიგის მოვლენა იყო იმ-ჟამად ქვემოქართლიდან გერმანელების გასახლება და ბოლნისში იმერლებისა და რაჭველების ჩასახლება და სხვა.

ამ პროცესებს ახლდა სირთულეები... ჩვენ ენობრივი ვითარე-ბა გვანტერესებს.

მასობრივი მიგრაციები სერიოზულ გავლენას ახდენს ენობ-რივ ვითარებაზე. მიგრირებულთა მეტყველება რა ცვლილებას განიცდის, ან გავლენას ახდენს ადგილობრივ მეტყველებაზე... ასე-თი კვლევები ჩვენს სინამდვილეში არ ჩატარებულა. არის ცალკეუ-ლი მცდელობები, მაგალითად შირაქში ჩასახლებულ მთიელთა მე-ტყველების ტრანსფორმაციის შესწავლისა (ნ. ციხიშვილი).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაზე დაკვირვებამ ერთ საინ-ტერესო ფაქტზე მიგვაქცევინა ყურადღება.

ქუთაისელი და ონელი ებრაელების ქართულში, დადასტურ-და **მო-** ზმნისწინის **ა** ხმოვნის ვარიანტი **მა-**: მაგალითები **ქუთაი-სელ ებრაელთა** მეტყველებიდან:

მე კარქი მეგონაო და არ **გამამადგაო**;

მაიარეთ ქვეყანა და გაიგეთ ვინ აკლია ამ ჩემ სუფრას;

გაიფიქრა უცვათა – ალბათაო **მამიკლესო** სიძეებიო;

არაფერ სიკეთეს არ **მამასწრო**;

ესროლა ტყვია, **მამკლა** და ჩემი სიხარული ოხრათ დამარჩინა;

რაბიმ უპასუხა: არც **გამამიკითხია**, არც თორაზე დამიხედებია მაგის თაობაზე;

რა **მამივიდაო**, რომა სულ ამისთანა არეულ სიმძრებ ვნახუ-ლობო;

აი აგერ სხვა სახენწიფომ ომი **გამამიგხადა**;

ნება **მამეცით** რომა, დაწეპილი იყოს ;

დღეიდან **გამამიყენე**, იცოდე;

ახლა კი **გამამიგ ზანაო** ღმერთმაო თავისი ბოლო ხაზინიდგა-ნაო;

ამა და ამ მისამართზე **წამამიდეო**, თითონ ფეხდაფეხ გაყვა მუ-შასა...

მაგალითები **ონელ ებრაელთა** მეტყველებიდან:

„გათენდა დილა. დაინახა ღია თავი გვერდში და უთხრა: რა-ტო მამატყულო“

„ხოლო ბინიამინი უნდა ჩამამიყვანოთ და სიძართლე თუ გაქვენო, ამითი დავამტკიცებო“;

„ორი შვილი მყავ, მამიკვდეს, თუ არ ჩაგაბაროო“;

„მე ვარ თქვენი ძმა იოსებო, რომენიც გამყიდეთო და არ შეგრცხვეთაო, მამაჩემი ჩამამიყვანეთო“...

ქუთაისელ და ონელ ებრაელთა გარემომცველი ქართული დიალექტური სივრცისათვის, ერთი მხრივ, ქვემო იმერულისათვის (ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შემთხვევაში) და, მეორე მხრივ, რაჭულისათვის (ონელ მეტყველების შემთხვევაში) მა- ვარიანტი ზმნისწინისა უცხოა... ეს ფაქტი თავისთავად კითხვას აჩენს და ინტერესს აღძრავს...

რატომ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება? რით არის საინტერესო ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული მა- ვარიანტი ზმნისწინისა?

მცირე გრამატიკული ექსკურსი:

გავიხსენოთ: ქართული დიალექტების დაჯგუფება აღმოსავლურ და დასავლურ კილოებად არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპზე დაფუძნებული: „აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად განდასება, რასაკვირველია, გეოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობა, მაგრამ ამას იმავდროულად მხარს უჭერს ენობრივი ნიშან-თვისებანიც. თითოეულ ამ ჯგუფში შემავალი დიალექტები ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციით ხასიათდებიან“ (ჯორბენაძე 1989; იხ. აგრეთვე: გოგოლაშვილი 2020).

ერთ-ერთი ასეთი განმასხვავებელი ენობრივი ფაქტი მო- და შე- ზმნისწინთა ა-ხმოვნაინი ვარიანტებია. ჩვენ ამჯერად მო- / მა- ზმნისწინი გვინტერესებს.

მო- / მა- ფონეტიკური ვარიანტები ერთერთი ის ენობრივი ფაქტია, რომელიც აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებს გამიჯნავს (მიიჩნევა, რომ მა- აღმოსავლური ვარიანტია)...

რა კავშირშია ყოველივე ეს ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებულ მა- ზმნისწინთან? ფაქტია: მა- აღმოსავლური დიალექტური მონაცემია...

გავიხსენოთ ებრაელთა საქართველოში მოსვლისა და განსახლების ისტორია: ებრაელები საქართველოში შემოდიან ეტაპობრივად: I ნაკადი – ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალმის დარბევის შემდეგ, ძვ. წ. VI საუკუნეში. II ნაკადი – ქართლში მივიდა ძვ. წ. 169 წ. ბარ-კოხბას აჯანყების დამარცხების შემდეგ. III – ებრაელების ახალი ტალღა საქართველოში გაჩნდა ახ. წ. I საუკუნეში (ჭიჭინაძე 1999, მამისთვალაშვილი 1995...)...

შენიშნავთ: საქართველოში ებრაელთა შემოსვლები შემდგომაც გაგრძელდა, მაგალითად, მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ლომთაძე 2020), თუმცა ჩვენთვის ამ შემთხვევაში უძველესი მიგრაციებია საყურადღებო.

ებრაელები თავდაპირველად დასახლდნენ მცხეთასა და მის შემოგარენში; შემდეგ გაიფართოვეს საცხოვრებელი არეალი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (იქვე). ებრაელთა **დასავლეთ საქართველოში გადასვლა** და იქ ებრაელთა თემების ჩამოყალიბება **მე-13 საუკუნიდან იწყება** (მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან (მამისთვალაშვილი 1995). ისტორიკოსები გახაზავენ, რომ საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებამ ადრევე შეითვისა **ქართული ენა** და ქართული ადათ-წესები. ხდება გარკვეულწილად შერწყმა და შეგუება გარემომცველ დიალექტურ სივრცესთან: ქუთაისელი ებრაელები – ქუთაისურ ქართულთან, რაჭველი ებრაელებისა – რაჭულ დიალექტთან... თუმცა **არის სურვილი გარემომცველი დიალექტური სივრცისაგან გამოიჯვინდეს;** ურთიერთგამიჯვინისათვის **ებრაული თემი ისევ ქართულ ენობრივ ფაქტებს იყენებს.** ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, გვესაუბრა ისეთ შემთხვევაზე, როცა იმერულში არსებული პარალელური ფორმათაგან მოხდა ვარიანტთა („გენაცვალე“ // „დაგენაცვლე“) გადანაწილება: „დაგენაცვლე“ ებრაელებმა „დაისაკუთრეს“ (გოგოლაშვილი, ლომთაძე 2020).

სხვა ვითარებაა **მა-** ზმნისწინის შემთხვევაში: აღმოსავლეთ საქართველოდან გადასულმა ებრაელებმა აღმოსავლური დიალექტური ვარიანტი (**მა-**), რომელიც, როგორც ითქვა, უცხოა დასავლური ქართულისათვის, გადაიტანეს და ეს ელემენტი გამოიყენეს ეთნოლექტის (ებრაელთა ქართულის) გასამიჯნავად გარემომცველი ქართული ნაირსახეობისაგან – ერთ შემთხვევაში ქუთაისური მეტყველებისაგან და მეორე შემთხვევაში რაჭული დიალექტისაგან.

შენიშნავთ: საბედნიეროდ, გვაქვს ქუთაისელ და რაჭველ ებრაელთა მეტყველების ადრინდელი ჩანაწერები; არსებობს სხვა ებრაულ თემთა მეტყველების ნიმუშებიც მოგვიანო პერიოდისა, მაგრამ საკითხის დასმისათვის ჩვენ ორი თემის მონაცემი გამოვიყენეთ, სადაც ებრაელები საკმაოდ ხანგრძლივ და კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდნენ.

დასკვნა: ებრაელთა ქართულისა და ადგილობრივი დიალექტური მეტყველებათა ურთიერთგამიჯვნის მიზნით აღმოსავლეთ საქართველოდან მიგრირებულმა ქართველმა ებრაელებმა ქუთაისურ და რაჭულ გარემოში შეინარჩუნეს აღმოსავლური ქართულისათვის ნიშანდობლივი **მა-** ვარიანტი ზმნისწინისა; ადგილობრივი ქართული მეტყველებისაგან გასამიჯნავად გამოიყენეს ისევ ქართული ენობრივი ფაქტი, ოღონდ სხვა რეგიონისათვის დამახასიათებელი. ამგვარ ენობრივ ფაქტს ვუწოდებთ **მიგრაციულ დიალექტიზმს**.

შენიშნავთ: ტერმინი **მიგრაციული დიალექტიზმი** გამოიყენება **მაგალითად** „ებრაელთა ენების“ შედარებით ლინგვისტიკაში (იხ.: სარა ბენორი 2008; ჰარი 2004; ბარ-აშერი 2002...). ანალოგიით ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აღნიშნული ტერმინი ჩვენც გამოვიყენეთ (ლომთაძე, გოგოლაშვილი 2022; გოგოლაშვილი, ლომთაძე 2023).

საუბარი ქართველურ დიალექტურ სივრცეში მიმდინარე მიგრაციებზე ჩვენ დავიწყეთ.

ფაქტია, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ ენობრივ სივრცეში მასობრივი მიგრაციისას დროთა განმავლობაში მეტყველების ნიველირება გარდაუვალი პროცესია. ამ პროცესში მიგრირებული ენობრივი ერთეული შეიძლება ცდილობდეს თავისი „მშობლიური“ კონკრეტული ენობრივი ფორმების შენარჩუნებას ახალ გარემოში; ამგვარ ფორმებს ვუწოდებთ **მიგრაციულ დიალექტიზმებს**.

მიგრაციული დიალექტიზმების გაჩენას სხვადასხვა მიზანი შეიძლება ჰქონდეს: ერთი მხრივ, მიგრირებული ნაირსახეობის წარმომადგენლები ამით თავისი ეთნოგრაფიული წარმომავლობის მინიშნებასა და ხაზგასმას ახდენენ; ანდა, მეორე მხრივ, დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციასთან გვაქვს საქმე (ამის კონკრე-

ტულ მაგალითად მივიჩნიეთ ზმნისწინის **მა-** ვარიანტი ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში).

ქართული დიალექტური სივრცის აღწერისათვის **მიგრაციული დიალექტიზმის** ცნებისა და ტერმინის შემოტანა და ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება პერსპექტიული გვეჩვენება.

გამოყენებული ლიტერატურა

ზარ-აშერი 2002 – Bar-Asher, M, 2002, ‘Behinot Beheker Leshonot Hayehudim Vesifruyotehem’, Pe’amim 93, pp. 77–89.

გოგოლაშვილი 1974 – გ. გოგოლაშვილი, ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში: სმამ, ტ. 75, N 3

გოგოლაშვილი 2000 – გ. გოგოლაშვილი, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები. 1. მა- და შა- ზმნისწინთა შესახებ ქართულში: საენათმეცნიერო მიუზანი, X, თბილისი.

გოგოლაშვილი, ლომთაძე 2020 – გ. გოგოლაშვილი, თ. ლომთაძე, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ერთი თავისებურება და მასთან დაკავშირებული საკითხები: ქართველური ენათმეცნიერება, კრებული VII- VIII, თბილისი.

გოგოლაშვილი, ლომთაძე 2023 – გ. გოგოლაშვილი, თ. ლომთაძე, მიგრაციული დიალექტიზმები ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში: VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი.

გოგოლაშვილი 2020 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტების აღმოსავლურად და დასავლურად განდასების ერთი ლინგვისტური პრინციპისათვის: მე-40 რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ლომთაძე 2020 – თ. ლომთაძე, საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი: იკე, XLVIII, თბილისი.

ლომთაძე, გოგოლაშვილი 2022 – თ. ლომთაძე, გ. გოგოლაშვილი, ებრაელთა ქართულის სტატუსი: საკითხის მნიშვნელობისათვის: საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, თბილისი.

მამისთვალაშვილი 1995 – ე. [მამისთვალაშვილი](#), ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი.

სარა ბენორი 2008 – Sarah Bunin Benor 2008, Towards a New Understanding of Jewish Language in the Twenty-First Century, Religion Compass 2/6 (2008): 1062–1080, 10.1111/j. 1749-8171.

ჭიჭინაძე 1999 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I.

ჰარი 2004 – Hary, B, 2004, ‘Jewish Languages, Are They Sacred?’ in P Bádenas de la Peña, S Torallas Tovar, ER Luján and MA Gallego (eds.), Lenguas en contacto de la Antigüedad a la Edad Media, pp. 225–44, CSIC, Madrid, Spain.

ნ ა ტ ა ლ ი ა ზ უ მ ბ ა ძ ე

ქართული მუსიკალური დიალექტები და სიმღერა „მზე შინა“

ქართული ხალხური მუსიკის მთავარ ღირსებათა შორის ერთ-ერთი მისი დიალექტური მრავალფეროვნებაა. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე ეთნომუსიკოლოგები გამოყოფენ 15 დიალექტს. ისინი ზოგჯერ იმდენად განსხვავებულია, რომ საერთო მუსიკალური ენის განშტოებებად ძნელად აღიქმება.

ერთი მუსიკალური დიალექტი ძირითადად მოიცავს ერთ ეთნოგრაფიულ კუთხეში მოსახლე ეთნიკური ჯგუფის ხალხურ მუსიკას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ის ორი მეზობელი კუთხის მუსიკას აერთიანებს.

თითოეულ მუსიკალურ დიალექტს საკუთარი სასიმღერო რეპერტუარი აქვს. ამავე დროს ამ რეპერტუარის რაღაც ნაწილი შეიძლება სხვა დიალექტშიც/დიალექტებშიც გვხვდებოდეს. ასეთი ნიმუში უფრო მეტია ქალთა რეპერტუარში. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ის

უნდა იყოს, რომ ქალთა სიმღერები მამაკაცთა სიმღერებზე უფრო კონსერვატიული და ნაკლებგანვითარებულია, რის გამოც სხვადასხვა დიალექტის ნიმუშები ერთმანეთისგან მცირედით სხვაობს.

საერთოქართულ სიმღერად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის დასაძინებელი „ნანა“, რომელსაც უკლებლივ ყველა კუთხეში მღერიან (რომელიმე კუთხის ფონო ან სანოტო ჩანაწერის არარსებობა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს იქ სიმღერის არარსებობას). აკვნის სიმღერის როგორც სხვადასხვა, ისე ერთი და იმავე კუთხეების ნიმუშები მუსიკალურად ერთმანეთისგან განსხვავდება: ეს ის სიმღერაა, რომელსაც თითოეული ქალი თავისებურად ამღერებს – იმპროვიზაციის წილი მასში მეტად დიდია. მიუხედავად ამისა, ყველა „ნანას“ აერთიანებს ზოგადქართული ნიშან-თვისებები, რომელთა წყალობითაც ეს განსხვავებული ნიმუშები ერთსა და იმავე, ქართულ მუსიკალურ ენას მიეკუთვნება. სხვადასხვა დიალექტის ნიმუშების ერთი ენისადმი კუთვნილება, პირველ რიგში, მუსიკალური აზროვნების ერთნაირ პრინციპებსა და აზრის განვითარების ლოგიკაში ვლინდება.

იგივე უნდა ითქვას „დატირებაზე“, რომელიც, „ნანას“ მსგავსად, უნივერსალური, მთელ საქართველოში გავრცელებული ჟანრია. განსხვავებული ვითარება გვაქვს ამინდის შესაცვლელი, სამკურნალო და სამეობო სიმღერების შემთხვევაში. ისინი ყველა კუთხეში არ გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ სხვადასხვა კუთხის ნიმუშებს მუსიკალურად უფრო მეტი საერთო აქვს. აღნიშნული სიმღერებიდან წინამდებარე წერილში შევხები ერთს – მზის თაყვანისცემის გადმონაშთს, საწესო ფერხულ „მზე შინას“/„მზე შინა და მზე გარეთას“ (ვარიანტებს ჰქვია „მზე შინაო“, „მზეო, მზეო, შენ ლამაზო“, „ზაშინაო“/„ზაშინავა“, „ნაფ-ნაფ, ნინაფა“/„ნაფ-ნაფ“).

მველად „მზე შინა“ თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული, სანოტო და ხმოვანი ჩანაწერების სახით არსებული, სხვადასხვა კუთხის ვერსიები – გურული, მეგრული, მესხური, ქართლური, იმერული, აჭარული, სვანური და კახური (დ. არაკჩიევი/არაყიშვილი 1908; ვ. მალრაძე 1987; გ. სვანიძე 1916; ე. გარაყანიძე 1981; ო. ჩიჯავაძე 1961; ალ. მსხალაძე 1968, 1969; გ. ჩხიკვაძე 1960; ქ. ჭითანავა 1985). გურული ვარიანტი („მზე შინა და მზე გარეთა“) ჩაწერილია 1902 წელს (დ. არაკჩიე-

ვი/არაყიშვილი 1908, 33). „მზე შინას“ ამზობდნენ მეობაში (გურია, კახეთი, აჭარა), ბავშვის დაძინებისას (სამეგრელო, მესხეთი), აკვანში პირველად ჩაწვენისას (აჭარა), მელოგინესთან (ქართლი), სახადით ავადმყოფ ბავშვთან (ქართლი, კახეთი) და რელიგიურ დღესასწაულებზე (სამეგრელო).

„მზე შინა“ მიეკუთვნება იმ იშვიათ სიმღერათა რიცხვს, რომლებიც ქართველთა რეპერტუარში სოფლურთან ერთად ქალაქური ფოლკლორითაც არის წარმოდგენილი. მისი იმერული ვერსია ევროპული პროფესიული მუსიკის, მაჟორულ-მინორული სისტემის კანონზომიერებებს ეფუძნება, თუმცა მაღალ ხმაში I საფეხურით დასრულებული მუხლები (ქალაქური სიმღერისთვის დამახასიათებელი III საფეხურის ნაცვლად) ამ ნიმუშს სოფლურ სიმღერასთანაც აახლოებს (ამასთან დაკავშირებით იხ. ნ. ზუმბაძე 2008, 300-301).

რა სურათს გვაძლევს „მზე შინას“ დიალექტური ნიმუშების შედარება?

„მზე შინას“ ჩანაწერებში იპოვება როგორც ერთხმიანი, ისე მრავალხმიანი (ორ- და სამხმიანი) ნიმუშები. მათ შორის ჭარბობს ერთხმიანები (გურული, მეგრული, მესხური, ქართლური, აჭარული და კახური), თუმცა ვიდრე ერთხმიან სიმღერებს დავარქმევდეთ, უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ: სიმღერის სოციალური ფუნქცია, ერთხმიანობის ტიპი და მოცემული დიალექტის თავისებურებები.

თავისი დანიშნულებით „მზე შინა“ ძირითადად კოლექტიური რიტუალების თანხლები სიმღერაა (მეობა, „ბატონების“ მოზოდინება, აკვანში ბავშვის პირველად ჩაწვენა, რელიგიური დღესასწაულები), ხოლო მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნებით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ასეთი სიმღერა, როგორც წესი, მრავალხმიანი უნდა იყოს. ერთხმიანი ვერსიების არსებობა ამ შემთხვევაში სიმღერის ერთხმიანობას არ ნიშნავს – ის მრავალხმიანი სიმღერის უჩვეულო გარემოში ჩაწერის შედეგია (ამასთან დაკავშირებით იხ. ნ. ზუმბაძე 1994, 80).

„მზე შინას“ ერთხმიანი გურული და მეგრული ვარიანტები ჩონგურზეა დამღერებული, ხოლო საკრავიერ თანხლებას ქართულ სიმღერაში შებანების/ბანის თქმის ფუნქცია აქვს, მარტომყოფ შე-

მსრულებელს ბანის მაგივრობას უწევს. ამიტომ საკრავზე დამღერებული სიმღერის ერთხმინად მიჩნევა არასწორია – ის მრავალხმიანი ნიმუშად უნდა განვიხილოთ (ამასთან დაკავშირებით იხ. ნ. ზუმბაძე 2008, 301-302).

„მზე შინას“ მესხურ და აჭარულ ერთხმიან ვერსიებთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს ამ კუთხეების ისტორიული ძნელბედობა, რომელმაც გავლენა იქონია მათი მკვიდრების რეპერტუარსა და სასიმღერო სტილზე (მესხეთში ამას მრავალხმიანი მღერის ტრადიციის დავიწყება-დაკარგვა მოჰყვა).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ერთხმიანი შეიძლება ეწოდოს „მზე შინას“ მხოლოდ იმ ნიმუშს, რომელიც თავისი დანიშნულებით არის ერთხმიანი, ერთი კაცის მიერ შესასრულებელი. ასეთია სიმღერის მეგრული ვარიანტი. რაც მთავარია, დაბალი ხმა, ბანი ერთ ხმაში ნამღერ ნებისმიერ ვერსიაში იგულისხმება.

სიმღერის აღმოსავლურქართული და დასავლურქართული ნიმუშები განსხვავდება ჰარმონიით – დასავლური ბევრად უფრო განვითარებულია. სამხმიან სვანურ და იმერულ ვერსიებში ოთხხმიანი მონაკვეთებიც გვხვდება. ამისი მიზეზი ორივეგან ბანია – მისი შემსრულებლები ერთდროულად ორ შესაძლო ვარიანტს მღერიან (ნ. ზუმბაძე 2008, 300-301). თუ აღმოსავლურქართულ ნიმუშებში რეალური და ნაგულისხმევი ბანი მხოლოდ 2-საფეხურიანია (I და VII – ორხმიანი ქართლური, ერთხმიანი მესხური, ქართლური და კახური ნიმუშები), დასავლურ ნიმუშებში ბანი 4 ან 5 საფეხურს მოიცავს (I, VII, VI და V – სამხმიანი აჭარული და იმერული ნიმუშები; I, VII, VI, V და IV – სამხმიანი სვანური ნიმუშები). სვანური სიმღერის ბანის დიდდიაპაზონიანობის მიზეზი ის არის, რომ ორპირულ შესრულებაში მეორე მხარე დაბალ IV საფეხურზე შედის. ერთხმიანი გურული და მეგრული ვერსიების საჩონგურო თანხლებაში იგივე 2 საფეხურია წარმოდგენილი, რაც აღმოსავლურქართულ უთანხლებო ვერსიებში (I და VII). ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ გურული და მეგრული სიმღერები ქართულ ხალხურ მუსიკაში განვითარების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა.

მეგრული „მზე შინაო“ (დ. არაყიშვილის მიერ მოსკოვში და ქ. ჭითანავას მიერ სამეგრელოში ჩაწერილი ნიმუშები) მხოლოდ ქარ-

თული ტექსტით არის ცნობილი (ქართული სიტყვები ურევია „მზე შინას“ სვანური ვერსიების ტექსტებსაც). მეგრულ მთხრობელებს ქ. ჭითანავასთვის „მზე შინას“ აღმოსავლეთ საქართველოდან გავრცელებაზე მიუთითებიათ (ქ. ჭითანავა 1985, 217). ამგვარი ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოა. მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, ერთი მხრივ, სიმღერის ვერსიების არსებობა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში – სვანეთში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში; ხოლო მეორე მხრივ, თავად მეგრულ მუსიკალურ დიალექტში არსებული, ინტონაციურად მონათესავე სიმღერები (ამის შესახებ იხ. ქ. ჭითანავა 1985, 216). შეიძლება ვეფიქრა, რომ მეგრული ტექსტი დაკარგულია და ქართულით არის ჩანაცვლებული, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ ვერც საპირისპირო ვარაუდს, რომ მეგრულ ვერსიაში უფრო ძველი, საერთოქართული ტექსტი იყოს შემორჩენილი, მით უმეტეს, რომ მეგრული სიმღერის მუსიკალური ნიშან-თვისებები – ჰანგის სიმარტივე, მცირე დიაპაზონი, დაღმავალი უნახტომო, სეკუნდური საფეხურებრივი მოძრაობა და გაუმღერებელი მარცვლები – მის სიმკვლეზე მიუთითებს.

ძირითადი ტექსტი თითქმის ყველგან ერთნაირია, ზოგან – უფრო ვრცელი. სხვადასხვა კუთხის ნიმუშების უმრავლესობაში (გურული, მეგრული, მესხური, ქართლური, იმერული) ყოველი მუხლი ბოლოვდება რეფრენით „მზევ, შინ შემოდიო“, სვანურში – „ზამი შაიამოდი“/„ზამი ჩოი ლამარე“. რეფრენის ფუნქცია აქვს გლოსოლალიებს „ნამნამ, ნინამნადა“, რომლებითაც იწყება აჭარული ნიმუშები (ნ. ზუმბაძე 2008, 300).

„მზე შინას“ სხვადასხვა კუთხის ვარიანტების შედარება მათ ერთი ძირიდან წარმომავლობასა და შემდგომდროინდელ ცვლილებებს წარმოაჩენს. ვარიანტებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობა სხვადასხვა დიალექტისადმი კუთვნილების, ლოკალური თავისებურებების შეთვისებისა და განვითარების განსხვავებული დონის პირობებშიც ამკარაა. ეს კავშირი მუსიკალური ენის კომპონენტებში – ინტონაციურ მხარეში, მეტრსა და რიტმში, ჰანგის საფერხულო წყობაში – ვლინდება.

გამოყენებული ლიტერატურა

გარაყანიძე 1981 – ე. გარაყანიძე, ქართლური საწესო სიმღერების ერთი ჯგუფის საკითხისათვის, სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი, თბილისი.

ზუმბაძე 1994 – ნ. ზუმბაძე, სიტყვიერი ინფორმაცია – ეთნომუსიკოლოგიური კვლევის აუცილებელი წყარო: მუსიკისმცოდნეობის საკითხები, თბილისი.

ზუმბაძე 2008 – ნ. ზუმბაძე, ქართული სამეობო სიმღერები: ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები, თბილისი.

მადრაძე 1987 – ვ. მადრაძე, ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, ხელოვნება, თბილისი.

მსხალაძე 1968 – ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ბათუმი.

მსხალაძე 1969 – ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, საბჭოთა აჭარა, ბათუმი.

სვანიძე 1916 – გ. სვანიძე (ჩამწერი), სოფელი ახრისი. ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი.

ჩიჯავაძე 1961 – ო. ჩიჯავაძე (ხელმძღვანელი), ექსპედიცია მაიაკოვსკის რაიონში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გ. ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია.

ჩხიკვაძე 1960 – გ. ჩხიკვაძე (ხელმძღვანელი), ექსპედიცია მესტიის რაიონში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გ. ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია.

ჭითანავა 1985 – ქ. ჭითანავა, მეგრული საწესო სიმღერა „მზე შინაო“: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, მეცნიერება, თბილისი.

არაკჩიევი/არაყიშვილი 1908 – Д. Аракчиев/Аракишвили, Народная песня Западной Грузии (Имеретии), Оттиски из II т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии», Товарищество Скоропечатни А. А. Левенсонъ, Москва.

ლ ე ლ ა თ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი

მეტონიმია, როგორც ონომასტიკური მოვლენა ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა მიხედვით

ტერმინი **მეტონიმია** (ბერძ. **Metonymia** **გადარქმევა**) – (ლიტ.) განიმარტება, როგორც მოვლენის, ცნების ან საგნის ერთი სახელწოდების მეორით შეცვლა მათი მეზობლობის შედეგად (მ. ჭაბაშვილი, 1989, 610). გარდა ლიტერატურისა, სადაც იგი გავრცელებული მოვლენაა, **მეტონიმია** არაა უცხო ონომასტიკისათვის, საკუთრივ, მით უფრო ტოპონიმიაში იგი ახალ ერთეულთა წარმოქმნის მნიშვნელოვანი გზაა. **მეტონიმია** (ტოპონიმიაში) გულისხმობს გეოგრაფიული სახელწოდების გადატანა-გავრცობას უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე (პ. ცხადაია, 1988, 67). ვფიქრობთ, **მეტონიმურ სახელთა** წარმოშობა განპირობებულია-რა უფრო მეტად შემეცნებითი ფაქტორებით, იგი შემეცნებითი ონომასტიკის ინტერესისა და კვლევის სფერო ნამდვილადაა. განმარტებისათვის, შემეცნებითი ონომასტიკის კვლევის ასპექტებია, თუ რა ონიმური ერთეულები არსებობს ადამიანთა მენტალურ ლექსიკონში და როგორ რეალიზდებიან ისინი. ეს მიზანი მას სრულიად ახალ ტენდენციად აქცევს საკუთარი სახელების შესწავლაში. მთავარი მახასიათებელი, რომელიც შემეცნებით ონომასტიკას განასხვავებს პრაგმატული ონომასტიკისგან, არის აქცენტი შემეცნებით ასპექტებზე. სახელები, როგორც ენობრივი ელემენტები, შემეცნებით ერთეულთა სისტემაა, ამდენად, პიროვნების მიერ საკუთარი სახელების გონებაში წარმოება და რეალიზება უნდა იყოს აღწერილი ზოგადი შემეცნებითი პროცესებით (ე. კარპენკო, 2006, 31; კ. რესზეგი, 2022, 234). ონომასტიკის შემეცნებითი მიდგომის მომხრეები განიხილავენ საკუთარი სახელის მნიშვნელობას, როგორც რეალობის ასახვას ადამიანის ცნობიერების მიერ.

რომ დავუბრუნდეთ მეტონიმის საკითხს და კიდევ უფრო ღრმად განვმარტოთ მისი არსი და მნიშვნელობა, მოვიხმობთ უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისებს, რომელთა მიხედვითაც **მეტონი-**

მია განიხილება, როგორც შემეცნებითი პროცესი, რომელიც გამოიყენება კონცეპტუალიზაციისთვის. ამ დროს ერთი კონცეპტუალური ერთეული (**წყარო**) უზრუნველყოფს გონებრივ წვდომას სხვა კონცეპტუალურ ერთეულზე (**სამიზნე**). ამ ჩარჩოში, **მეტონიმია** მოიაზრება, როგორც შემეცნებითი პროცესი, რომელიც გამოიყენება კონცეპტუალიზაციისთვის. იგი შეიძლება აიხსნას კონცეპტუალური დომენების ცნების საფუძველზე. სხვადასხვა დონის და სირთულის კონცეპტუალური დომენები შედგება გამოცდილებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კონცეპტუალური წარმოდგენების ქსელებისაგან (რ. ვ. ლანგეკერი, 1987, 154-166). მასში საგნები წარმოდგენილია ადამიანთა მიერ აღქმული ურთიერთობებით მენტალურ სისტემაში. ამ მიდგომის საფუძველზე, ერთ კონცეპტუალურ ერთეულს (**უფრო გამორჩეულ წყაროს**) შეუძლია გაააქტიუროს (უზრუნველყოფს გონებრივ წვდომას) სხვა კონცეპტუალურ ერთეულზე (**სამიზნე**). ასეთი კონცეპტუალური ბმული, რომელიც დაფუძნებულია უკვე არსებულ გამოცდილებასთან, ემსახურება კონცეპტუალური მეტონიმის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ **მეტონიმია**ს, უპირველეს ყოვლისა, აქვს მიმათითებელი ფუნქცია (გ. ლეკოფი, მ. ჯონსონი, 1980, 36).

მეტონიმია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტოპონიმიზაციის პროცესში. სხვადასხვა კლასის საკუთარი სახელი შეიძლება გადაიქცეს ტოპონიმად მეტონიმის გზით, ხშირია თავად ტოპონიმთა კლასში **მეტონიმის** პროცესი; ამასთან, ჩვენი დაკვირვებით, წყარო და სამიზნე სახელი უმეტეს შემთხვევაში ტერიტორიულ სიახლოვეს განიცდიან. მეტონიმური მექანიზმით წარმოქმნილ სახელებს შორის კონცეპტუალური შესაბამისობაა კავშირში მყოფ, თანამოსახელე ადგილებს შორის. ეს კავშირი ინდივიდის ან კოლექტივის გამოცდილებიდან გამომდინარეა. იგი შესაძლოა, ადგილის დასახელებაშიც აისახოს, რაც ენობრივად მრავალგვარად იყოს გამოხატული, მაგ. თანდართული გრამატიკული ფორმანტებით ან ლექსიკური ელემენტებით.

საკმაოდ მრავალი და მრავალგვარია ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა ნომენკლატურა. სამიზნე ოიკონიმურ სახელებზე დაკვირვებით **მეტონიმურ პროცესებს** ვხვდებით როგორც სტრუქტურ-

რულ, ასევე სემანტიკურ დონეზე. სტუქტურული თვალსაზრისით მეტონიმური სახელები შეგვიძლია მოვიაზროთ შემდეგ ჯგუფებად:

1. მეტონიმური დასახელების პირდაპირი შემთხვევები, ტოპომაწარმოებლის გარეშე;

2. არაპირდაპირი, მეორეული მეტონიმური წარმომავლობის სახელები:

ა. გაფორმებული ფორმანტებით;

ბ. რთული წარმოების მეტონიმური სახელები.

მეტონიმური დასახელების პირდაპირ შემთხვევებში მოვიაზრებთ ტოპომაწარმოებლის გარეშე წარმოდგენილ მუნიციპალიტეტის ოიკონიმებს, რომელებიც ამავედროულად ანთროპოტოპონიმური წარმომავლობისაა, მაგ. **ფერსა, მინაძე და ივლიტა.**

მეტონიმური გზით მიღებული გვგონია ოიკონიმი **ფერსა**. პირსახელი **ფერსა** მასკულინარულ ანთროპონიმად დასტურდება კიდევ მე-16 საუკუნის ოსმალთა მოხელეთა მიერ შედგენილ ფისკალურ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ჩვენსავე მუნიციპალიტეტში, სოფელ სვირსში ვხვდებით ვინმე – **ფერსას** შვილიშვილს (ს. ჯიქია 1941, 35).

ამავე ოიკონიმთა რიგში მოვიაზრებთ ტოპონიმ **მინაძეს**. სოფლის სახელი, რომელიც აქ მცხოვრები **მინაძეთა** გვარის მოტივაციით არის სახელდებული.

ყოველგვარი ტოპომაწარმოებლის გარეშე მეტონიმური გზითაა შემოსული ოიკონიმი **ივლიტა**, წმინდანის სახელი, რომლის სახელობის ეკლესია დღესაცაა წამოდგენილი ამავე სოფელში. სახელის მეტონიმური გზით წარმოშობის მოტივაცია, ვფიქროთ, სწორედ რომ ეკლესიონიმური სახის უნდა იყოს.

არაპირდაპირი, მეორეული მეტონიმური წარმომავლობის სახელების პირველ ჯგუფში, სადაც მოვიაზრებთ მაწარმოებლებით გაფორმებულ ოიკონიმებს, ახალციხის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია სოფლის სახელი **ურაველი**.

წარმომავლობის, სადაურობის გამომხატველი **-ელ** სუფიქსი უნდა ვივარაუდოდ ოიკონიმ **ურავ-ელ**-ში. **ურავლის** შესახებ გ. ბედომვილის „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**ურაველი** – ცნობილი სოფელი და მდინარეა (ძვ. ჩახრახულა) ახალციხის რაიონში. მკვლევარი ადას-

ტურებს, რომ ტოპონიმი **ურაველი** ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი გეოგრაფიული სახელი უნდა ჩანდეს. ის იმდაგვარადვე უნდა იყოს წარმოქმნილი, როგორც ყვარ-ელ-ი, სალებ-ელ-ი, ღულ-ელ-ებ-ი, ხორხ-ელ-ი, ოცხ-ელ-ებ-ი, ყარეს-(ე)ლ-ებ-ი... **ურაველი**, მაშასადამე, უნდა გავიგოთ, როგორც სოფელ **ურავიდან** (რაჭა) მესხეთში საცხოვრებლად გადასული ადამიანი. **ურაველი** ჯერ პიროვნული სახელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც შემდგომ სოფლის სახელის აღნიშვნა ეკისრა (შდრ. სოფლის სახელი დისევი და აქედან წარმოშობილი პიროვნული სახელი (ზედწოდება) დის-(ე)-ველი, რომელიც იმავდროულად სოფლის სახელადაც შემოგვრჩენია.

საბოლოოდ, მკვლევარი ასკვნის, რომ ვარაუდი ურავლის რაჭის სოფელ **ურავისაგან** მომდინარეობის შესახებ ლინგვისტურ ასპექტშია წარმოდგენილი. იგი უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ ისტორიულად დადასტურდა რაჭის კუთხიდან სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის, თუნდაც ნაწილობრივი მიგრაციის ცალკეული შემთხვევები“ (გ. ბედოშვილი 2002, 402-403).

საკმაოდ მრავლადაა ჩვენი საკვლევი მუნიციპალიტეტის იმგვარი ოიკონიმები, რომლებიც რთული წარმოების მეტონიმური სახელებს მიეკუთვნებიან. ამ ჯგუფში მოვიაზრებთ შემდეგ ეკლესიონიმებს: **ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, ელიაწმინდა, მიქელწმინდა** და **აბათხევი**.

კომპოზიტური წყობის ოიკონიმები (არსებითი + ზედსართავი) მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობითაა წარმოდგენილი, რაც არ იყო უცხო ძველი ქართულისათვის, ამასთან სავარაუდებელია, რომ სოფლის სახელები ტოპონიმური მეტონიმის გზითაა მიღებული. ვფიქრობთ, ნახსენებ სოფელში უნდა ყოფილიყო წმინდანთა სახელობის ტაძრები, ეკლესიები, რამაც შემდგომ ტერიტორიათა სახელდება განაპირობა. მართალია, დღეისათვის, ჟამთა ცვლის გამო, ეს სურათი მსგავსად არაა წარმოდგენილი (მხოლოდ. **ანდრიაწმინდაში** გვაქვს **წმ. ანდრიას სახელობის ტაძარი**), თუმცა ნახსენები თვალსაზრისის სარწმუნოა. სამიზნე ოიკონიმებში საზღვრულად საკუთარი სახელია, რომელიც პირველ ადგილას სრული ფორმითაა წარმოდგენილი. კომპოზიტთა მსგავსი სახით წყობა ვფიქრობთ, ტოპონიმიზაციის პროცესმა განაპირობა, წმინდანის სახელის პირველ ადგილას წარმოდგენა აძლიერებს სახელის

მნიშვნელობას და ნომინაციურ ფუნქციას კიდევ უფრო მატებს მას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მკვლევარი მერაბ ბერიძე შენიშნავს, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსი წყობა არაა უცხო ქართული ტოპონიმისთვის და მით უფრო სამცხისთვის. ენათმეცნიერს წიგნში „ტაძრები და სახელები“ საინტერესო მსჯელობა აქვს წარმოდგენილი ეკლესიონიმებზე, კერძოდ, ზედ. სახელ -**წმინდას** შესახებ ძველსა და ახალ ქართულში, იგი ნათლად განმარტავს, იმას, რომ როდესაც საუბარია რომელიმე წმინდანის სახელობის ეკლესიაზე, მაშინ ვამბობთ **წმინდა ანდრიას ტაძარი, ეკლესია, წმინდა გიორგისი, წმინდა ელიასი, წმინდა მიქელის** და ა.შ, მაგრამ სოფლის სახელების შემთხვევაში გვაქვს: **ელიაწმინდა, ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, სტეფანწმინდა, ზაქარწმინდა** და სხვ. (მ. ბერიძე 2010, 15).

რთული წარმოების, მეტონიმური გზით მიღებული ჩანს ოიკონიმი **აბათხევი**. სახელი ანთროპოპონიმური ოიკონიმია, რადგან კომპოზიტის პირველ ნაწილში მსაზღვრელად მამაკაცის საკუთარი სახელია წარმოდგენილი. თუმცა, ოიკონიმი რომ ერთი კაცის, ვინმე **აბას** ხევის საკუთრების დასტური ყოფილიყო იქნებოდა აბას ხევი, მაგრამ მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი და ჩანს, მეტგვარის **აბათების ხევის** შესახებ იტყობინებოდა, შემდგომ მეტონიმური პროცესის გავლენით სახელმა ტერიტორია გაიფართოვა და დღეს უკვე იგი პატარა დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელად გვევლინება. საზოგადო სახელი – ხევი საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ტოპონიმიაში, ბევრ გეოგრაფიულ ობიექტის სახელშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით, იქ, სადაც წყლის ფაქტორი დომინირებს, ოიკონიმიაში კი განსაკუთრებით აღსანიშნავია.

როგორც ზემოთ განხილული ოიკონიმებიდან დავინახეთ, სემანტიკური თვალსაზრისით მეტონიმის გზით მიღებული სახელებში დომინანტია ანთროპონიმული და ჰიდრონიმული ფაქტორები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია ახალ ტოპონიმურ ერთეულთა წარმოშობისათვის ზოგადად ქართული ტოპონიმის ჭრილშიც.

მეტონიმური მოვლენის შესახებ მსჯელობისას კი უნდა ითქვას, რომ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტოპონიმების შექმნაში, თუმცა ონომასტიკურ კვლევაში მეტონიმურ სახელებთან დაკავშირებით არაერთი წინააღმდეგობაა. ერთის მხრივ, მეტონიმუ-

რი ტოპონიმების კატეგორიის საზღვრების დახატვა თავისთავად წარმოშობს რამდენიმე პრობლემას, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა კატეგორია სხვადასხვა ქვეტიპებისთვის.

მეტონიმის, როგორც არა მარტო ლინგვისტური, არამედ მეცნიერებითი მექანიზმის უფრო სიღრმისეული შესწავლით ჩვენ შეგვიძლია ყოვლისმომცველი წარმოდგენა მივცეთ მეტონიმურად მოტივირებულ ტოპონიმებს, რაშიც ვგულისხმობთ იმას, რომ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, ერთის მხრივ, ენობრივი (სტრუქტურულ, სემანტიკური) განსხვავებები, რომლებიც გაბატონებულია ტოპონიმთა ლინგვისტური რეალიზაციის შედეგად, ხოლო, მეორეს მხრივ, გვეძლევა საშუალება აღვწეროთ პროცესი დინამიკურად, თუ როგორ აღწევს, იჭრება აპელატიური ლექსიკა ადამიანთა გონებრივ ლექსიკონში და როგორ გადადის სამიზნე ონომასტიკონში, ასევე ვიკვლიოთ მეტონიმური პროცესების წარმოშობის მოტივები, ინდივიდთა თუ კოლექტივთა „სამყაროსეული ხედვის“ მნიშვნელოვანი ასპექტები.

მეტონიმია მკარად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა წარმოშობაში. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის შესწავლას ნამდვილად სჭირდება უფრო კომპლექსური მეცნიერული კვლევა-ძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბედოშვილი 2002 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ბერიძე 2010 – მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბილისი.

კარპენკო 2006 – E. Karpenko, Когнітивна ономастика як напрямок пізнання власних назв. (Cognitive onomastics as a direction of proper names cognition, in Ukrainian), Doctoral thesis.

ლაკოფი, მ. ჯონსონი 1980 – G. Lakoff, M. Johnson, *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.

ლანგეკერი 1987 – R.W. Langacker, *Foundation of cognitive grammar 1*. Stanford: Stanford University Press.

რესზეგი 2022 – K. Reszegi, A cognitive approach in onomastics: some notes on metaphorical place names. Voprosy Onomastiki

ცხადაია 1988 – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჯიქია 1941 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი II, თარგმანი, თბილისი.

თ ი ნ ა ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

სიტყვა წვიმის სინონიმები სამცხე-ჯავახეთში

„რა გინდა რომ აქ არ იყოს, –
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! –
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა...“

მუხრან მაჭავარიანი

თითოეული ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში არის სიტყვები, რომელებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე ენის გარეშე რეალურ ობიექტებსა და მოვლენებს, მაგრამ განსხვავდებიან აზრობრივი, შეფასებითი, ემოციონალურ-ფუნქციონალური ან რაიმე სხვა სემანტიკით. ისინი მონაწილეობენ ენის მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკის შექმნაში, რომლის მეშვეობითაც ადამიანი გამოხატავს თავის აზრებსა და გრძნობებს, აფასებს და ახასიათებს სინამდვილის ფაქტებს და აძლევს მათ ხატოვან, მხატვრულ ფორმას; სინონიმები ხელს უწყობენ ენისა და მეტყველების სტილის ფორმირებასა და ფუნქციონირებას და ლიტერატურული ჟანრის ენობრივ თავისებურებას.

ქართული ენა თავისი შინაგანი თვისებებით ისეთია, რომ თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს მსოფლიოში დიდად გავრცელებულ ენებს", – ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა", – წერდა ნიკო მარი.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ქართული სალაპარაკო ენის ლექსიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი სინონიმებით. აღნიშნულის ერთ-ერთ ნიმუშად სიტყვა „წვიმის“ მაგალითის დასახელებაც საკმარისია.

მრავალფეროვანია წვიმის ტიპებიც, ვინაიდან თითოეულს უდასტურდება განსხვავებული მახასიათებლები და წარმოშობა. ჩვენ ვიცით, რომ ღრუბლებს წარმოქმნიან დიდი რაოდენობით გოთური წყალი და პატარა ყინულის კრისტალები, რომლებიც წყლის ორთქლის მდგომარეობის შეცვლიდან მოდის და ჰაერის მასიდანვეა მყარი. როდესაც ღრუბელი წყლის წვეთებით არის დატვირთული და გარემო პირობები ხელსაყრელია, იწყება წვიმა. შეგძლიათ დააკვირდეთ სხვადასხვა ტიპის წვიმებს და მათი მახასიათებლები განსხვავებულია.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ქართული სამეტყველო ენის ლექსიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი სინონიმებით. ასე მაგალითად წვიმის ბუნებრივ ფენომენს ასევე აქვს საკუთარი სინონიმები. წვეთების ზომისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, ამ მონაცემების შესაბამისად, ქართულ ენაში წვიმის რამდენიმე ათეული სინონიმი დაფიქსირებული.

1. აგდარი – ცუდი ამინდი, ცუდი დარი, ყიამეთი (სიცივე), უდარობა, უამინდობა, წვიმიანი ტაროსი ცუდი ამინდი, წვიმიანი ამინდი,

2. დელგმა – კოკისპირული წვიმა, ნიაღვარი, ღვარცოფი თავსხმა – ძლიერი წვიმა, თქეში (ზედგინიძე, 2014: 143).

- 3. თავსხმა** – ძლიერი წვიმა, თქეში (ზედგინიძე, 2014: 143)
- 4. თოვლ-ჭყაბი** – შემდნარი თოვა (ზედგინიძე,2014: 150).
- 5. თოვლიანი წვიმა** – წვიმანარევი თოვლი.
- 6. თრთვილი** - „რამე თუ პირველ ზამთრისა რა ღამის სიცივე-ში ცვარი შეათოოს უხმობენ თრთვილსა (ორბელიანი, 1966: 306).
- 7. თქეში** – შხაპუნა წვიმა, კოკურად ასხამს, კოკისპირული წვიმა, დელგმა, მერეხი, ღვართქაფი, დიდი წვიმა, თავსხმა (ქართული ენის., ნაკვთ. 1, 1990; 527).
- 8. თქორი** – მეტად წვრილი წვიმა.
- 9. თქორი/თქორვა** – ნისლიანი ამინდის დროს წვრილი წვიმა, წვრილად წვიმს, ცრის, ჟინჟღლავს (ქართული ენის., ნაკვთ. 1, 1990/; 527)
- 10. კოკისპირული წვიმა** – დიდი წვიმა, თავსხმა წვიმა [ქართული ენის., ნაკვთი 1, 1990: 579]
- 11. კობი** – მსხვილი სეტყვა [ნეიმანი . 1978: 559].
- 12. მანანა** – რბილი, სასიამოვნო, წვრილი, ნელი წვიმა.
- 13. მერეხი** – თავსხმა მსხვილი, ჩქარი წვიმა.
- 14. მზე პირს იბანს** – თან მზეა და თან წვიმს.
- 15. მსუზბუქი წვიმა** – წვიმის წვეთები ძალიან მცირეა და ნელა თანაბრად ეცემა
- 16. ნამი** – წვრილი, ნელი და ხანმოკლე წვიმა. „სხვათა ენაა, ქართულად ტენი ჰქვიან“ (ორბელიანი, 1966:470)
- 17. ჟინჟღლავს/ჟინჟღლა წვრილი,** სუსტი, ნელი წვიმა (ზედგინიძე, 2014: 240),
- 18. ჟუჟუნა წვიმა** – ნელი, სასიამოვნო, ხანგრძლივი წვიმა, წვრილი თქორი
- 20. სეტყვა** – გაყინული წვიმა...
- 21. სოკოს წვიმა** – ყველაზე საყვარელი წვიმა ხალხს შორის. ეს წვიმა ზაფხულისაა, თბილი და ხანმოკლე, ითვლება, რომ მას შემდეგ სოკო იწყებს ზრდას.
- 22. ძლიერი წვიმა** – ასეთი წვიმა ექსკლუზიურად შემოდგომის პერიოდის ნიშანია. ახასიათებს განსაკუთრებული სიგრძე დროით, რამდენიმე დღემდე. ამგვარი წვიმის დროს მზე არ იმალება ღრუბლების მიღმა, როგორც ყოველთვის, მაგრამ აგრძელებს

ბრწყინვას, რის შედეგადაც იქმნება მუდმივი შეგრძნება. ზოგადად მიღებულია ხალხში, რომ ასეთი წვიმის შემდეგ სოკო იწყებს ზრდას.

23. ტალახი – წვიმის ერთერთი სინონიმია ჯავახეთში. გვალვიანობისას ქალიშვილები [მასში გათხოვილ ქალებს მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ] შეიკრიბებოდნენ. ერთ-ერთს დედოფლად აირჩევდნენ და თავზე გვირგვინს დაადგამდნენ. გვირგვინი ალუმინის თასი იყო. მას პირადმა დაადებდნენ, ხელმანდილით დაამაგრებდნენ, რომ არ ჩამოცურებულიყო და ზემოდან თეთრ გამჭვირვალე თეთრ თავსაფარს გადააფარებდნენ, ქალიშვილები ყველა სახლის კართან ჩერდებოდნენ სიმღერით; "ლაზარ მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა, ცხავი აცხავებულა, წვიმა გაჩქარებულა. ღმერთო, მოგვე მზის თვალი, აღარ გვინდა ცის ნამი," ან "ღმერთო, მოგვე გორახი, აღარ გვინდა ტალახი".

24. ფიფქი – „პირველ დათოვასა .. და თუ დათოვა ტერფამდე მეტი მისი, იგი არს ფიფქი (ორბელიანი, 1966: 306)“

25. ბანბახი – ხანგრძლივი, უსიამოვნო ხშირი წვიმა.

26. ღვართქაფი – წყალუხვი წვიმა.

27. ღვარ-ცოფი – სეტყვა ნარევი მსხვილი ხშირი წვიმა, რომელსაც შეუძლია საგნები წაიღოს.

28.. შხაპუნა წვიმა – თავსხმა, მსხვილწვეთებიანი, ჩქარი ხშირი წვიმა.

29. ცა ფეხად ჩამოვიდა – წვიმს, წვიმს, ცა ფეხად ჩამოდის. გაზაფხულის მშვენიერ დღეს მოულოდნელად გაწვიმდა. ცა ფეხად ჩამოვიდა.

30. ცა ჩამოიქცა – ჩქარი და მსხვილწვეთებიანი წვიმა.

31. ცრის – მცირე წვიმა, როცა ძალიან წვრილი, თვალით თითქმის უხილავი წვიმის წვეთები ეფინება მიწას.

33. წინწველა – წვრილი წვიმა.

34. ჭყაპი – თოვლნარევი წვიმა

35. ხოშკაკალა – წვრილი სეტყვა

როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, მარტო სამცხე-ჯავახეთში ნალექის-წვიმის საკმაოდ დიდი რაოდენობის დღესაც მოქმე-

დი ცოცხალი სინონიმია; აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება, თუ საერთოდ საქართველოში ასეულობით სინონიმი აღმოჩნდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სინონიმები ამდიდრებს სამეტყველო და ცოცხალი ენას. მისი სილამაზე ოსტატურად შერჩეული სინონიმებისა და ანტონიმების არსებობით განისაზღვრება. სინონიმები საშუალებას იძლევა თითოეული ცნება, რაც შეიძლება ზუსტად და მოხდენილად გადმოსცეს. ამის ნათელი მაგალითია ჩვენს მიერ სტატიაში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სამეტყველო ენაში ჩამოთვლილი წვიმის სინონიმები, რომლებიც დღესაც ინტენსიურად გამოიყენება, რაც ჩვენი ენის უდიდეს სიმდიდრეზე მეტყველებს.

საუბარს ნიკო მარის სიტყვებითვე დავასრულებთ: "ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა"

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

ბერიძე 1981 – გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ზედგინძე 2014 – გ. ზედგინძე ჯავახური ლექსიკონი, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი.

მარი 1934 – ნ. მარი, ენა და აზროვნება, გამომც. „სახელგამი, ტფილისი“.

ნეიმანი – 1978 – ა. ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. გამომც. „განათლება“, თბილისი.

ორბელიანი 1966 – სულხან საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვთი პირველი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვთი მეორე, თბილისი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბილისი.

ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

ლექსუმის ოიკონიმიიდან (ოყურეში)

ცაგერის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ სოფელს **ოყურეში** ეწოდება. მდებარეობს ხვამლის მასივის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, ცაგერს დაშორებულია 18 კმ-ით, წარმოადგენს თემის ცენტრს და აერთიანებს ორ სოფელს – საკუთრივ ოყურეშს და ოფიტარას.

მ. ალავიძის ვარაუდით, სოფლის სახელწოდება ოყურეში **ო-შ** აფიქსებიანი ზანურ-სვანური სახელწოდება უნდა იყოს. მაშასადამე, „საყურეოდ გამოყოფილი ადგილი“ (მ. ალავიძე 2013, 45).

ოიკონიმ „ოყურეში“ წარმომავლობის გასარკვევად მნიშვნელოვანია მთიან სამეგრელოში, კერძოდ, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტყისა და სამოვრების ზონაში ჩაწერილ ისეთ ტოპონიმებზე დაკვირვება, როგორცაა **ოყურ(ე)შე, ოყურია, ოყურია / ოყურიე / ტეხურიმ დარდანელი, ოყურიადაღ, ოყურიაშგა, ოყურიაშდუდი** (ი. კეკელია III, 2011, 10, 12; პ. ცხადაია VI, 2012, 478-479).

ოყურ(ე)შე ეწოდება ტყიან ფერდობს სოფ. კურზუში, ნერჩის პირდაპირ, ლეცხედაში (პ. ცხადაია VI, 2012, 478); **ოყურია** ღრმა ხეობის სახელწოდებაა ლეჟვანიეში, მეორე კიწიასა და ლეზაჩე-გაჭედილში (იქვე, 478). **ოყურია / ოყურიე / ტეხურიმ დარდანელი** ტეხურის ვიწრობის, ღრმა და კლდოვანი კალაპოტის სახელწოდებაა ქობალიაშ ნაკარუსა და ჭკადუაშ ნოხორს შუა, რომლის სიგრძეც 3 კმ-ია (კურზუსა და ტალერის სატყეოები); **ოყურიადაღ** დღეებია ლეჟვა-

ნიესა და კურზუს სატყეოში (იქვე, 479). **ოყურიაშგა** ეწოდება დაბალ ვაკე-ბორცვს სოფ. დიდ ინჩხურში, დგებიაშ ნაეზუარსა და ბობოხოურს შუა, დიდი ინჩხის მარჯვენა ნაპირზე (იქვე). **ოყურიაშ ღალ(გ)** ღორჯგოლოს მარჯვენა შენაკადია მეორე კიწიაში, ხოლო **ოყურიე / ოყურია** კლდეებს შორის ჩამწყვდეული ბნელი და ღრმა ხევის სახელწოდებაა გურძემის მარჯვენა მხარეს, სადაც გაედინება ზემოთ დასახელებული ოყურიაშ ღალ(გ) (იქვე).

პ. ცხადიას მიერ ჩაწერილ ტოპონიმებს ახლავს შემდეგი განმარტებანი: „ოყურია რე ცურე დო რუმე ადგილი, კოც ვემიართენ ფერი“; „მღვდელმა ნადს ძაღლის ხორცი აჭამა და ღმერთმა დასაჯა – სახლკარიანად ქვესკნელში ჩაიქცა. ეს ქვესკნელია ოყურიე. ოყურიასთან დაკავშირებული წყევლაა: „ოყურიას გელაფედა“; „ოყურიას გიგოცოთას გორჩინუქე“; „ოყურიეშა გეთოილეზუდას“; „ოყურიას გოიტუასია გიმე“. ტოპონიმისათვის ამოსავალია ცურუ(მი) „ყრუ, ბნელი, ღრმა“ (პ. ცხადია VI, 2012, 479).

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **ოყურია** განმარტებულია როგორც „სადარაჯო, საყარაულო“ (ო. ქაჯაია III, 2002, 454). ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით **ცურუ** აღნიშნავს „ყრუს, ბნელს“ (ა. ქობალია 2010, 656). შესაბამისად, **ოყურია** შეიძლება გავიაზროთ როგორც „ულრანი (ტყე); ღრმა, ბნელი და მიუვალი ხევი“.

ლექსუმის ტოპონიმი „**ოყურეშიც**“ მეგრ. **ოყურია**ს შეიძლება დაუკავშირდეს. სიტყვის ორივე მნიშვნელობა: 1. სადარაჯო, საყარაულო; 2. ყრუ ადგილი, ღრმა, ბნელი და მიუვალი ხევი, შესაძლებელია, საფუძვლად დასდებოდა სოფლის სახელწოდების წარმომავლობას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლექსუმში „ბევრი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ზანურის საშუალებით შეიძლება, ანდა: მათ ცხადი ზანური დამახასიათებელი ნიშნები აქვთ“ (მ. ალავიძე). ზანურ ფორმებად არის მიჩნეული, მაგალითად, ონტოფი (მდინარე ქვემო ლექსუმში, რიონის შენაკადი), ოსუნელა (ნასოფლარი ქვ. ლექსუმთან, „საბოსტნე ადგილი“), ოფიჩხეთი (სოფელი ქვ. ლექსუმთან, „საფიჩხია“), ოფურეში (სამოვარი) (მ. ალავიძე, იქვე). ტოპონიმთა ამ ჩამონათვალში შეიძლება განვიხილოთ სა-

ხელწოდება „ოყურეშიც“. მაშასადამე, სვანურთან ერთად, ზანური (მეგრული) ენის გავრცელების არე ისტორიულად და მათი კვალი სოლიდურ ასახვას ჰპოვებს ლეჩხუმის ტოპონიმიში.

გამოყენებული ლიტერატურა

ალავიძე 2013 – მ. ალავიძე, ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ნარკვევები, ქუთაისი.

კეკელია III, 2011 – ი. კეკელია, მარტვილის რაიონის ტყისა და სამოვრების ზონის ტოპონიმი, III, (ტალერის სატყეო), ქუთაისი.

ქაჯაია III, 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაია VI, 2013 – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბილისი.

ლ ა მ ზ ი რ ა კ ო ზ ა ი ძ ე

-კე სუფიქსიანი ზმნები მთიულურ დიალექტში

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში თავს იჩენს მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ენის ისტორიის კუთხით. ცალკე გამოვყოფთ მთიულურ დიალექტს, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი ხოლმეობითის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, წარმოება. მრავალგზისობის გამოხატვას მთიულური დიალექტი ყველაზე უკეთ ავლენს, ვიდრე სხვა დიალექტები. პერმანსივის, როგორც ამას არნ. ჩიქობავა უწოდებს (1948,7), საწარმოებლად სხვა გამომხატველ ფორმათაგან ერთად იყენებს **-კე** სუ-

ფიქსსაც. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ დიალექტური მასალიდან რამდენიმე ნიმუშებს:

1. მემრე იმ კაცმა უთხრა, ხაზინმა, რო ერთმაო უნდა ვოჯახს **მოუაროთკეო** და მეორე კიდავ ცხორში უნდა იყოთო. (გვ. 204). 2017) (ორი ძმა)

2. წინავ ძალიან ჯაფა იყო ხალხისთვისა, მაშინ გადასახადი არ **იყვისკე**, მამულის გადასახადი არ იყვის (გვ. 206.) კაიშაურები)

3. ავილებდით თოკსა, მივდევდით და ვთიბვიდით, მემრე დავფარცხავდით, აბა რაის დაფარცხვენ, ყანას **ვფარცხავდითკე**, მოდიოდნენ ჯარები, დაუსხდით ზედ ჩონა, კოლი გავავლეთო, ვიტყვით, გაივლიდა კოლი გამოვიდოდა, გამოივლიდა კოლი გამოიდოდა (გვ. 206) კაიშაურები)

4. გუთნიდედა უნაყრო არ უნდა წავიდე, ერთ ლუკმას **ჩავიგდეტკე**, უნდა შანაყრდეს, გუგულმა არ დაგვძლიოსო (იქვე. 206).

5. ფევიტ ილეწებოდა, ქვა ბოლოს მაიგონეს, ქვას **მოუბიანკე**, მამრე გავანიავით (იქვე. 206).

6. ბოდა და მამრე მოვზელდით ცომს, ქატო ცალკე გადიოდის და კაი პური ცალკე, ქატოს ქათმებს **ვაჭმევდითკე** (გვ. 206. იქვე).

7. ქორწილი **იგოდიანკე** სამი დღე, ზოგჯერ ერთი კვირა გაეტანებოდა, ნიშნობას ბიჭიან იხდიდა, ის თავისას მოიტანდა. გარმონი და დაირა **იგოდიანკე** ქორწილში (გვ. 207. არახვეთი).

8. ქალი ისე არ გათხოვდებოდა, რო ფარდაგი არ მეექსოვა თავისი. ერთი მაზლიშვილი მყოვდა იმას ვაჩუქე ფარდაგი, ისეთი მოცეკვავე **იყვისკე**, რო (გვ. 207. არახვეთი).

9. ჩირადნები და ზღვენი ერთურთს მიჰყვებოდა, გამოვაცხით კვერები, რამე, ვინც თავის განაყრობა იქნებოდა, ბიძაშვილობა, იმათ ქათამი უნდა მიეტანათ ზღვენზე, მემრე შესაწირავი ოჯახისთვის, მემრე შაბამ გაშლიდა ნათლია და შაბამს **იძახოდისკე** (გვ. 207. იქვე. არახვეთი).

10. **თქვიანკე**, რომ სამნი ძმანი ყოფილან, დასახლებულან აქ. ერთი ჯაბანა ყოფილა იქ ჯაბანაანი რქმევია, შუალას ჩირიკი რქმევია, მესამეს კობა რქმევია და კობაანი იყვნენ. (გვ. 208. ჩირიკი). ჰოდა, მაგათ გავლენის ქვეშ ყოფილა ღვდლები **ჰყვანდისკე** მაგათ (იქვე.).

დასახელებული ნიმუშებს თუ დავუკვირდებით, მთიულური დიალექტი იყენებს თითქმის ყველა ფორმას მრავალგზისობის გამოხატვისა. მესხეთში ჩამოსახლებულ მთიულთა მეტყველებაშიც გვხვდება მსგავსი ტიპის ფორმები, მაგრამ უპირატესობა ენიჭება ორგანულ წარმოებას (გვულისხმობთ, ძველი ქართულის ხოლმეობითის წარმოება): იმახოდ-**ო**-ს, იყვ-**ო**-ს, ჰყვანდ-**ო**-ს, რომელთა განვითარებას დინამიკაში შეიძლება მოეცა შემდეგი ფორმები: იმახოდ-**ი**-ს-**კე**, იყვ-**ი**-ს-**კე**, ჰყვანდ-**ი**-ს-**კე**, ანუ **იმახოდ-ო-ს → იმახოდ-ო-ს-კე**, **იყვის → იყვ-ო-ს-კე**, **ჰყვანდ-ო-ს → ჰყვანდ-ო-ს-კე**. მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ ფორმებს მრავალგზისობის წარმოებისას არ იყენებს დიალექტი. მსგავსი ტიპის ფორმები გარდამავალ მესამე ტიპის ფორმებად მოიხსენიება გოგოლაშვილ-არაბულთან (გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული 2017, 323);

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზისობის კატეგორიასთან მიმართებით იკითხება შემდეგი: „რომ ძველ ქართულში მრავალგზისობის კატეგორია მკაფიოდ გამოხატული იყო. ერთგზისი მოქმედება მკვეთრად განირჩეოდა მრავალგზისისაგან და ცალკე მწკრივებით გადმოიცემოდა (ხოლმეობითებით) (რ. სალინაძე 2008,127); „აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ქმნიან მეორე ჯგუფს, უფრო რთულსა და მრავალფეროვანს, რომელსაც ფხოურს, უწოდებდა აკ. შანიძე. აქ შედის ხუთი დიალექტი ქართული ენისა: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ) და მოხეური. ძველი ქართულის სამივე ხოლმეობითი შემოგვინახა ხევსურულმა, დანარჩენ ოთხ დიალექტში მხოლოდ I და II ხოლმეობითია შემორჩენილი (გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული 2017,323); მეტად საინტერესოა, ბ. ჯორბენაძის მოსაზრება ხოლმეობითის წარმოებასთან მიმართებით. მეცნიერი თვლის, რომ მთიულურ დიალექტში მრავალგზისობის გამომხატველი მწკრივი სამი ნაირსახეობითაა გადმოცემული: 1. არქაული, -ი სუფიქსიანი წარმოება: უყორდ-**ი**-ს, ჭამდ-**ი**-ს (I ხოლმეობითი); ჭამ-**ი**-ს, გაანიავ-**ი**-ს... (II ხოლმეობითი). საყურადღებოა, მეცნიერის მიერ -**კე** (← *-ყე) სუფიქსის დიალექტურ გამოვლინებად მიჩნევა: აიღებს-**კე**, აიღებდა-**კე**... აქვე გვხვდება კონტამინირებული, -**ი**-**კე** სუფიქსიანი წარმოება: ეზიდებოდ-**ი**-ს-**კე** (ხოლმეობითი I), გაუშვ-**ი**-ს-**კე**, გაუშვ-**ი**-ან-**კე** (ხოლმეობითი II). ბ. ჯორბენაძის მოსაზრებით, მთიულურში სამივე

წარმოების ხოლმეობითი გამოიყენება ერთმანეთის პარალელურად, ერთსა და იმავე წინადადებაში და იგი დაერთვის აწმყო-მყოფადის, ნამყო უსრულის, საკუთრივ ხოლმეობითების ფორმებს. მაგ. „ზოგი ხანჯარს ამართავდ-ი-ს-კე, ისეთი ნეფე იყვ-ი-ს (ქართული დიალექტოლოგია). (ბ. ჯორბენაძე 1989,283-284);

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთიულური დიალექტი გამოჩეულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებიდან მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით. მასში მეტადაა შემონახული არქაული ქართულისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. -კე სუფიქსიანი ფორმები ჭარბადაა დიალექტში -ი-კე კონტამინირებულ ფორმასთან ერთად, როგორც მრავალგზისობის სემანტიკის შემცველი. ბუნებრივია, სხვა ფორმებსაც იყენებს დიალექტი მრავალჯერ განმეორებული მოქმედების აღსანიშნავად (I ხოლმეობითი და II ხოლმეობითი), მაგრამ იშვიათად. მესხეთში მცხოვრებ მთიულთა მეტყველებაში კონტამინირებული -ი-კე სუფიქსიანი წარმოება დომინანტი სხვა ნაირსახეობებთან შედარებით. ჩვენი დაკვირებიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის წარმოება, უფრო მეტად, გამოიყენება ნამყო-უსრულის გამოსახატავად. საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ დღევანდელი დიალექტი, რომელიც ენის იმანენტური ბუნებიდანაა გამომდინარე, სპორადულად მიმართავს მრავალგზისობის გამოხატველ თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელ აღწერით წარმოებას „ხოლმე“ ნაწილაკით და ან სხვა დამხმარე ლექსიკური საშუალებებით (ხშირად, ყოველთვის...) და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, არაბული 2017 – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, ახალი ქართული ენა, დიალექტების მორფოლოგია, პარადიგმები. წიგნი IV. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქოვავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

გოგოლაშვილი, არაბული 2017 – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, ახალი ქართული ენა, დიალექტების მორფოლოგია, კრეფსითი ანალიზი. წიგნი III. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

კაიშაური 1978 – ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბილისი.

სადინაძე 2008 – რ. სადინაძე, ძველი ქართული ენა, (V- XI საუკუნეები), თბილისი.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. მორფოლოგია, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ბ. ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

„საზიარო არტიკულაციის კანონის“ მოქმედებით დაკარგული {-ნ} ზმნური მორფემა ქიზიყურში

ცნობილია, რომ ქართულის დიალექტებში დრო-კილოთა მესამე სერიას ზმნები სხვადასხვაგვარად აწარმოებენ. ქიზიყური მათრიგს მიეკუთვნება, რომელთაც ახასიათებთ ამ მწკრივითათვის ზმნური ფუძის **-ნ** ბოლოსართით წარმოება¹. მესამე სერიის შედგენილობა, თავის მხრივ, ემთხვევა სამწერლობო ენისა და აღმოსავლური კილოების ჩვენებას და სამ ერთეულს შეიცავს: I თურმეობითს, II თურმეობითსა და III კავშირებითს. მოვიყვანოთ თითოეული მათგანის მაგალითები²:

I თურმეობითი: უ-ჭამ-**ნ**-ი-ა (*ბაღლ ნაყინი უჭამნია და ყელ იტკიებს.*); და-უ-თეს-**ნ**-ი-ა (*გელაჲ ცოლ ჯეჯილითვინ დაუთესნია ხორბალი და იგეთი ბიბინი გააქ.*); მა-უ-წველ-**ნ**-ი-ა (*აბა ჯერ ძროხა არკი მაუწველნია და როდილა უნა წავიდე?*!); და-უ-ნახ-**ნ**-ი-ა (*ირი-*

¹ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ქავთარაძე 1955, 61-78.

² მასალა მოპოვებულია ბოხორის ქედის სოფლებში ავტორის მიერ 2013-16 წწ. განხორციელებული ექსპედიციების დროს.

ნედ ვალაანთ ძალლი დაუნახნია და ველარ გავატოკეთ.) და-გ-ი-ჭერ-**5**-ი-ა (ჯო, როდი გითხარ-კე, დედალი უნა დაკვლა და მა აქამდინ ვერ დაგიჭერნია, მა ეგ საქმეა?); უ-სწავლ-**5**-ი-ა (კაციაანთ ჯულუტად შვილიშვილ ფსიქოლოგიურზე უსწავლნია ქალაქში.¹); **უშოვნიათ** (მაგი შვილებ იმოტოლა ფული უშოვნიათ გერმანიაში, სუ სახლებ ყიდულობენ-კე ქალაქში, მამ).

II თურმეობითი: ე-კითხ-**5**-ა (ყმაწვილ მასწავლებლითვინ და-ვალემა ეკითხნა და იმან კიდენა დააკვილა.); დე-გ-ე-წერ-**5**-ა (გან-ცხადება უნა დეგეწერნა, ოპერაცია რო დეეფინანსებინათ, ოქრი, იგ-რე ფულ ვინ მოგცემდა?); დე-ე-ხატ-**5**-ა-თ (ბალებ ნინოწმინდი ეკ-ლუსია დეეხატნათ და სკოლი ლობეზე გემეკროთ.); მ-ე-ყურ-**5**-ა (კი-ნოდთვინ უნა მეყურნა და შუქი არკი მოსულა.); ე-ჩუქ-**5**-ა (რო ჩაი-რიცხა და სტუდენტი გახდა ოცი წლი წინათ, ფული ეჩუქნა და ანგე ელა წამაძახა.); **ელოღნა** (კატა თაგვი ხაფანგში თათი ჩაყვა, სა-წყალ მთელი ღამე ელოღნა და კიდევ არ მაძენია.); **დეეთხოვნათ** (გაზი შაწყვეტილა და მასწავლებლებ ბაღლი დეეთხოვნათ სკოლი-დან.).

III კავშირებითი: ე-პოვ-**5**-ო-მ, ე-ხარ-**5**-ო-მ, ე-მრავლ-**5**-ო-მ (თავი ბედი ეპოვნოდ და ეხარნოდ, ემრავლნოდ, ქალ-ვაჟი დაძვევდნოდ.); გ-ე-ყიდ-**5**-ო-მ (იგეთი მანქანა გეყიდნოდ, შვილო, რომელსაცა რო მნატრობ-კე.); გ-ე-მუშავ-**5**-ო-მ (შენ კიდენა იგეთ ადგილად გემუ-შავნოდ, შვილო, მძლოლი წინ და უკან დაგატარებდედ.); მ-ე-ფიქრ-**5**-ო-მ (მემრის მეტი მეფიქრონოდ, მინამ ჰელ გაგიმართამდე, აბუეტო!).

ივანე ქავთარაძის დაკვირვებით, თურმეობითის ფუძის სა-წარმოებლად ახალ ქართულში **-5** ანაცვლებს აწმყოსეულ **-ებ/-ავ** ბო-ლოსართს და ეს მონაცვლეობა ფუნქციური (resp. მორფოლოგიური) სხვაობის მატარებელი არაა². იგი აღნიშნავს ერთ დამატებით გარე-მოებასაც: „ზმნის ფუძის აგებულებას **-5** სუფიქსის გაჩენისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუმცა... მისი შენარჩუნებისათვის ფუ-ძისეულ თანხმონებებს ერთგვარი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ“³.

ქიზიყურში ზოგჯერ მესამე სერიის ისეთ ზმნურ ფორმებსაც შევხვდებით, სადაც მოსალოდნელი **-5** მორფემა თითქოს არ ჩანს:

¹ კოკლამაზაშვილი 2020, 91.

² იხ. ქავთარაძე 1955, 63-68.

³ იქვე, გვ. 69.

დაუნიშნია (მაშ, მარიკ, გაკსომ ნანი მასწავლებელ და რო დეჟანდა სილნაღში, ლუიზა, ეგე იმაა ბიჭი დაუნიშნია.); **დაუგვიანია** (წუხელ ქალაქი რეის იგრე დაუგვიანია, სართიჭალი ჯიდზე უძრავათ ყოლილან ორი საათით-ო.); **დაუძინია** (კაცი ცხვრიდან მოიდა და დაუძინია.); **გაუბანიათ** (პატრა ბიჭი ლამფი შუქზე გაუბანიათ.); **დაიჩენია** (დედაკაც პომპა ჩაათული დაიჩენია.); **უზრუნიათ** (ეგე ჩემ ძმაა და რძალ როგო უზრუნიათ-ო!).

წარმოდგენილ მაგალითებს, რომლებიც I თურმეობითის ფორმებია, არ მოეპოვებათ მწკრივისთვის მახასიათებელი ზმნური ფუძის მაწარმოებელი -**ნ** აფიქსი. როგორც ჩანს, ამის მიზეზია კონტაქტური ბგერათშეერთებით გამოწვეული პოზიციური ცვლილება, რომელიც განხორციელდა მორფემათა ზღვარზე აღმოჩენილ ორ ერთნაირ ბგერას შორის, რამაც გამოიწვია „საზიარო არტიკულაციის“ ფონეტიკური კანონის (გ. ახვლედიანი) ამოქმედება – „უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ბგერის წარმოთქმისას მათი საზიარო არტიკულაცია წარმოებს მხოლოდ ერთხელ (და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის)“¹.

განხილულ შემთხვევებში ზმნურ ძირ-ფუძეთა აუსლაუტი (ნიშ**ნ**-, გვიან**ნ**-, ძინ**ნ**-, ბან**ნ**-, ზრუნ**ნ**-) და მასზე დართული ფუძის მაწარმოებელი -**ნ** მორფემა ფონეტიკურად ერთმანეთს დაემთხვა, რის გამოც მათი საზიარო არტიკულაცია უწყვეტივ გაგრძელდა და ერთ ბგერად, გემინირებულ თანხმოვნად ჩამოყალიბდა. განხორციელებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად სიტყვას (resp. ზმნას) შეეზღუდა მორფოლოგიური ხასიათი – ასახულიყო ყოველი მორფემული ელემენტი, რაც მის სტრუქტურირებას ძალუძს.

ივ. ქავთარაძე -**ნ** სუფიქსის გავრცელების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ ფაქტორად სწორედ იმ ზმნურ ფუძეებს მიიჩნევს, რომელთა ფუძის აუსლაუტიც **რ-ლ-ნ** სონორებითაა წარმოდგენილი, რომლებთან მეზობლობისასაც იგი ხშირად იკარგება². ქიზიყურში ამგვარი შეზღუდვა **რ** და **ლ** სონორებით დაბოლოებულ ზმნურ ფუძეებზე ნაკლებად ვრცელდება, -**ნ** ფლექსიური აფიქსი თავისუფლად დაერ-

¹ ახვლედიანი 1949, 100.

² ქავთარაძე 1955, 76.

თვის ასეთი სტრუქტურის მქონე ერთეულებს (მაგალითად, *დაუმალ-5-ია*, *მოუკალ-5-ია*, *მოუპარ-5-ია*, *დექერ-5-ა*, *მიყურ-5-ია...*)¹.

ფუძის მაწარმოებელი -5 მორფემა უნდა დაერთოდეს 5-სონორიანი აუსლაუტის მქონე ზმნურ ძირ-ფუძეებსაც, სადაც ფონეტიკური პოზიცია აბრკოლებს მის გამოხატულებას. ბოდბურ თქმაში დამიმოწმებია ერთი 5-აუსლაუტიანი ზმნური ფორმა (II თურმეობითი), რომლის ფუძეც არ კარგავს -5 ბოლოსართს და ინტერკონსონანტურ პოზიციაში ანაპტიქსური **o** ხმოვნის გაჩენის გზით ინარჩუნებს ერთი მხრივ – ფუძისეულ (აუსლაუტისეულ), მეორე მხრივ – აფიქსურ **5** სონორს: წე-ე-ყვა**5-ო-5-ა** (*მოტაცებული პატარძალი თავი დეიდადთან წეეყვანინა*).² ასეთი ფორმები სხვა ზმნათა მაგალითზე ჯერჯერობით არ შემხვედრია, თუმცა ფაქტი, რომ /5ნ/ მიმდევრობა სუპერიორებულ იქნა ანაპტიქსის მეშვეობით, უნდა მიანიშნებდეს -5 მორფემის მორფოლოგიურ ღირებულებას და მისი შენარჩუნების საჭიროებას მესამე სერიის ფორმათწარმოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 – ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

ქავთარაძე 1955 – დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი.

კოკლამაზაშვილი 2020 – აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებანი ქიზიყურში, XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

კოკლამაზაშვილი 2013-2016 – ქიზიყური ექსპედიციის მასალები 2013-2016 წწ. (პირადი არქივი).

¹ ივ. ქავთარაძე დასძენს კიდევ, რომ ასეთი ფორმები თანაარსებობს ახალ ქართულში (იხ. იქვე, გვ. 76).

² ეს ფორმაც ერთადერთხელ მომისმენია ერთი მთქმელისაგან, შესაძლოა იდიოლექტიზმად მივიჩნიოთ კიდევ, მაგრამ იმასად დავამატებდი აქვე, რომ ამავე მთქმელის მეტყველებაში შემინიშნავს არაერთი არქაული თუ გავრცელებული მახასიათებელი ნიშანი ქიზიყურისა.

ქეთევან მარგიანი

სვანური მკვებრი (მეკერბე?)

ეთნოლინგვისტური ტერმინი

(დინა კოჟენიკოვას ტექსტების მიხედვით)¹

თანამედროვე სვანურში **მკვებრი** მივიწყებული ლექსემაა. ჩვენი დაკვირვებით, ის ეთნოლინგვისტურ ტერმინთა რიგს განეკუთვნება და გულისხმობს სვანეთში დღეს ასევე მივიწყებული კონკრეტული რიტუალის – კერბის კვირეულის აკრძალვების შემსრულებელს. ლექსემა **მკვებრი** არ დასტურდება სვანური ენის ლექსიკონებში. თუმცა სხვადასხვა კონტექსტში, მრავალგზის გვხვდება დინა კოჟენიკოვას ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში (1927-1936 წწ.) შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **მკვებრი, მეკერბი, მეკერბ, კერბი მუჭვენნი...**

კერბის კვირეული მკაცრი წესების დაცვით ხასიათდება: **კერბის** მთელი კვირის მანძილზე ოჯახს ეკრძალება კერვა, ქსოვა, შუშის დაჩეხვა, საციქველის გაცემა... ლი-**კერბი**-ი „კერბის მკაცრი მოთხოვნებისა და აკრძალვების შესრულება“.

მკვებრი, მეკერბი, მეკერბ „კერბის აღმასრულებელი“. **მე-კერბი** < **კერბ** < **კერპი** „კერპი“. **მკვებრი** კერბისგან **მგ – ი** კონფიქსით ნაწარმოები მოქმედი სახელია, მოქმედებითი გვარის მიმღობაა, შეიძლება ითქვას, რამდენადაც აქვე გვაქვს **ლი-** თავსართით ნაწარმოები სვანური მასდარული ფორმა ლი-**კერბი**-ი. საინტერესოა ევდოკია კოჟენიკოვას სვანურ ტექსტებში ყველაზე ხშირად სწორედ ამ ტერმინის **მკვებრი** ფორმის გამოყენება, რისი გაგებაც მხოლოდ ვრცელი კონტექსტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი. დინა აქვე მოგვითხრობს ჰადიშელ ზურაბ ავალიანზე, რომელმაც ღმერთს აღუთქვა, რომ მისი ოჯახიდან წელს (ანუ იმ წელს) **მკვებრი** იქნებოდა ხარი, იმიტომ რომ თავად ოჯახის წევრებს ვერ ხელეწიფებოდათ **ლიკერბის** კვირეულის აკრძალვების აღსრულება.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100)

„აღაპების კვირეულში მისარაბიდან შავ ფხუმდე არის **კერბი** და მუშაობა არ შეიძლება. **კერბი** არის გარკვეული საქმეების აკრძალვა საქონლის დაცვის მიზნით. სოფელ ჰადიშში მისარაბიდან ლიქვრეშიმდე ოჯახში ძველი დროიდან ასეა, რომ ერთი კაცი არის კერბის დამცველი, **კერბ-ის** აღმასრულებელი (**მგკერბი**). თუკი უფროსებს არ ხელეწიფებათ ან არ შეუძლიათ **კერბის** მკაცრი მოთხოვნების შესრულება (**ლიკერბი**), მაშინ ბავშვებს აკეთებინებენ **კერბის** აღსრულებას. იმ კვირაში **კერბის** წესების შემსრულებელს (**მგკერბის**) არ შეუძლია არც დაბანა. **კერბი** სრულდება საქონლის დაცვის მიზნით. ერთ წელს ზურაბ ავალიანს ხარი ჰყავდა **კერბის** წესების შემსრულებლად (**მგკერბიდ**), იმიტომ, რომ ოჯახში იყვნენ სამნი – მამაკაცები და სამნიც ქალიშვილები და ამათ ყველას ეზარებოდათ კერბის მოთხოვნების შესრულება (**ლიკერბი**) – ეზარებოდათ დაუბანლად ყოფნა და არსებობა ერთი კვირის განმავლობაში. ლიქვრეში დღეს ზურაბ ავალიანმა ერთი სეფისკვერი აიღო და ეს ხარი ეზოში გაიყვანა. ეზოში შეალოცა ეს სეფისკვერი **მეკერბე ხარის** სახელზე, (კერბის აკრძალვების დამცველი ხარის და დანარჩენი საქონლის სახელზე) [კოჟენიკოვა: საქაღალდე, № 6 გვ. 76 –77].

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საყურადღებო ეს პასაჟი იმავდროულად ასახავს არქაულ სვანურ წესჩვეულებებს – ასე საინტერესოდ წარმოდგენილს სვანურ ენაში, სვანურ ყოფაში, საუკუნისწინანდელ სვანურ რეალობაში.

დინა კოჟენიკოვას სვანური ტექსტები ასევე ხასიათდება არქაული ენობრივი ფორმებით: **სარგაშ** „მისატევებელი“, **ლისაზრუინე** „მიტევება“, **მესყანაქლა**, **ტეტადაძარ**, **კათხტაბაგ** „ქელეხი“, **ლაყვლაში**, **საყან** „შერიგება“, **ლინწამურე-ლივარგულე** „ახლოობობა და ერთეულება“, **ქვინიგევეშ** „სულის საქმეები“, **ლაფანა ლიკაძლი**, **მონღლაბა** „მეამაღლებები“, **მუკმი** < სვან. **მუ-კუმ-ე!** ე. ი „კომლი“. საინტერესოა, რომ კომლის, ოჯახის მნიშვნელობით სვანურ ლექსემებს დინა აღნიშნავს პარალელის ნიშნით: **მუკმი / მეზგე** [კოჟენიკოვა: საქაღალდე, № 2 გვ. 66]. **მეყულფა** „ოჯახის წევრები“, **მე-ყულფ-ა** მომდინარეობს **ყველფ** „კერია, შუაცეცხლი“ ლექსემიდან, მრავლობითი რიცხვის ფორმაა **-ა** სუფიქსით, მოქმედებითი გვარის მიმღობის **მე-** პრეფიქსით; ზემოაღნიშნულ

ტექსტებში **მეყულფა** კონტექსტის მიხედვით ნიშნავს ოჯახის წევრებს. თუმცა თანამედროვე სვანურში ამ მნიშვნელობით იხმარება **ქორშალ** < **ქორ** „სახლი“. კოჟევნიკოვას **მეყულფა** კი არქაული ფორმაა. მაგ: გუიზ ხაშხა ეჯ ფექს, ხედუჭას აშხუნიხ მოშ შედის-გა. ი ალ გუიზი ლიზუტებ ქამე მწრას მანდ ხოშიდი ი ალ გუიზი დიწრს იზბიხ ქორ მწრე გარ, ეშხუ **მეყუელფ** [კოჟევნიკოვა: იფარი, საქალაღდე, №1]. „გვიზი ჰქვია იმ ფქვილს, რომელსაც ინახავენ განსხვავებულ (განსაკუთრებულ) შესანახში. ამ გვიზის ჭამა გარე კაცისთვის აკრძალულია, არ შეიძლება (მანდ ხოშიდი!) და ამ გვიზის პურით ტრაპეზობენ მხოლოდ შინაურები, ოჯახის წევრები, **ერთი კერიისანები**“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევდოკია (დინა) კოჟევნიკოვას სვანური ტექსტები უადრესად საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით; მისი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ჩანახატებთან, ფოტოებთან, ნახაზებთან ერთად მოიცავს 1200 ხელნაწერ ფურცელს და საოცარი სიზუსტით ასახავს თითქმის საუკუნის წინანადელ სვანურ რეალობას. ეს არის სამეცნიერო თვალსაზრისით უნიკალური სვანური (ენობრივი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული...) მასალა რელიგიური კალენდარული დღესასწაულების, მიცვალებულის დაკრძალვის, სულის მოსახსენიებელი წესების, სოციალური და საოჯახო ურთიერთობების, ხალხური სამართლის, არქაული ადათების, ნადირობის, გართობა-თამაშობების, სამეურნეო ყოფაცხოვრების შესახებ. დ. კოჟევნიკოვას ტექსტების სვანური ხასიათდება და გამოირჩევა მეტად საინტერესო გრამატიკული წყობით, არქაული გრამატიკული ფორმებით, როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსის თვალსაზრისით; ამ ტექსტებში ხშირად შევხვდებით ისეთ აფიქსებს, მორფემებს, სტრუქტურულ მოდელებს, ფრაზემებს, სინტაგმებსა და სიტყვათშეხამებებს, რომლებიც თანამედროვე სვანურში დაკარგულია, მივიწყებულია ან უბრალოდ გამქრალია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში: მაგ. ლაჭუმბი ძლუიდიღა მესუფელა **თემნი თემნ** ისგურხ ი **მეგნალი თემნი თემნ ხამგენებ**. [კოჟევნიკოვა: იფარი, საქალაღდე, №2 გვ. 66] „ეკლესიის გალავანში სოფლის მკვიდრნი თემების მიხედვით სხდებიან და სუფრის მოსამსახურე ზემდგომ კაცებსაც (**მეგნალ**) სხვადასხვა თემების მიხედვით ირჩევენ და აყენებენ“.

ლაკურძელას ხაჭიმხ „კვირიას თქმით დაივილიან სოფელს“. **ლაზრულა ფიჩქარ** „საკლავის დასასერავ-დასანაწილებელი პატარა მაგიდები“. **ჭეშხეხ** „ფერხულს უვლიან“. **მეთნაფ მეზგე / მეთნაფ მეზგე** „აღდგომის დღესასწაულის მასპინძელი ოჯახი“. **ლაზდერეყ** ← (ლიდრეყი) „დაიცავი, დაიფარე, უშველე“...

საინტერესო გრამატიკული ფორმებია: **მეზგან ი მეზგან** „კარდაკარ, კომლით კომლამდე“; **ყორნ ი ყორნ** „ჭიშკრიდან ჭიშკრამდე, კარით კარამდე“; **ზაგნ ი ზაგან** „გორიდან გორამდე, მაღლობიდან მაღლობამდე, ქედიდან ქედამდე“. სვანურში მიცემითი ბრუნვის ხუთი სხვადასხვა ნიშანი გამოიყოფა: [-ს, -ჟ, -ნ, -ა, -ემ]. სწორედ მიცემითი ბრუნვის საფუძველზე გამოიყოფა ხუთი ტიპის ბრუნება. ამ ალომორფთაგან უძველესად ითვლება -ნ სუფიქსიანი მიცემითი. **მეზგან ი მეზგან; ყორნ ი ყორნ; ზაგნი ზაგან** ... ტიპის მაგალითები დ. კოჩევნიკოვას ტექსტებში მრავლად გმოვლენილი არქაული მიცემითის ფორმებია. თანამედროვე სვანურში ამგვარი გამოთქმები, ასეთი ტიპის არქაული მორფოლოგია უკვე დავიწყებას მისცემია (ი. ჩანტლაძე).

ოშთხუდემდ მეზგე ლიხ ი კახაჭიმხ **მეზგანი მეზგან** [კოჩევნიკოვა: საქაღალდე, მულახ-მუჟალი] „სულ ორმოცი მოსახლეა და ჩამოყვებიან სათითაოდ ყველას“, სიტყვასიტყვით: კომლით კომლამდე დაივილიან!

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დინა სვანეთში ამ მასალებს იწერდა 1927–1936 წლებში. იწერდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა სვანური პროზაული ტექსტების ოთხტომეული, სვანური ენის ქრესტომათია თუ უნიკალური სვანური ლექსიკონი, (რომელიც თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე იქმნებოდა და მხოლოდ 2000 წელს იხილა მზის სინათლე...) შესაბამისად, კოჩევნიკოვას ტექსტების სახით ჩვენს წინაშეა თითქმის საუკუნისწინანდელი სვანური, თავისი ბუნებრივი იერით და არქაული ფორმებით.

კოჩევნიკოვასთან თანამედროვე ქართული, თუმცა წარმოშობით ბერძნული სიტყვის – **ეკლესიის** სინონიმად მუდმივად გვხვდება სვანური **ლაჯტში /ლაჯტჷმ** ლექსემა. **ეთნოლინგვისტური** ასპექტით განსაკუთრებით საინტერესოა ამ სიტყვის **ლაჯტში** „ეკლესია“ წარმომავლობა და სემანტიკა თანამედროვე სვანურში:

ლაკტმი / **ლა-კტმი-ი** < სვან. **მა-კტნამ** „მადლობა“, **ნა-ლ-კტამ-ი** < სვან. ***ნა-ლა-კტამ-ი** „ნაეკლესიარი“; სვან. **ლაკტმი** / **ლაკტმ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“. ლაკტმრი ძღუთისგა მესტფელა თემნი თემნ ისგურის [კოჟეენიკოვა: იფარი, საქალდე, №2 გვ. 66] „**ეკლესიის გალაფანში** სოფლის მკვიდრნი თემების მიხედვით სხდებიან“.

უნდა აღინიშნოს, რომ **ღენარ: ლალხორთე ღრიზი** „ლალხორში წასვლა“, **ლიფანწლი** „მიცვალეზულთა სულები კვირეული“, **ხვალმი**, **ლიმპარი**, **ლიქურეში**, **ელიობ**, **ლიშიაში** „ხელის ახსნის რიტუალი“, **შუმხვამ**, **მეშხე ფხუ**, **თვეთნე ფხუ** – სახალხო დღესასწაულების ამსახველი ლექსიკა და თავად ამ რელიგიურ დღესასწაულთა დეტალური აღწერა, შეიძლება ითქვას, გასაოცარი სტრუქტურა-სემანტიკის სვანურით, თანამედროვე სვანური მეტყველებისაგან განსახვევებული არქაული სვანურით არის წარმოდგენილი დინა კოჟეენიკოვას ტექსტებში.

კოჟეენიკოვა ტექსტებში განმარტავს არაერთ ტერმინს: მაგ. **ოხკაბახ** „საკუთარი თავისთვის აუკრძალავთ“ (< **ლი-კბ-ენ-ი** „აკრძალვა“). **მეფჯი** „მეფჯვილე“ < ***მე-ფეჟ-ი**. **მესყანელა** გულისხმობს **სწყანის** რიტუალის აღმასრულებელებს; სეგმენტაცია იქნება ამგვარი: **მე-სყ-ან-ელ-ა მე-** პრეფიქსი მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელია. **სყ-** არის რედუცირებული ძირი. **-ან** გენეზისურად თემის ნიშანია, ამიტომ გამოვლინდება მხოლოდ ზმნის I სერიის მწკრივებთან. **ელ-** მოქმედების მრავალგზისობის მაწარმოებელია. **იტჰმის** „მარხულობენ (შდრ. ძვ. ქართ. „იმარხვის“) სვან. < **ვიჰმ** < **უჰმი** „მარხვა“. **ინწახიხ** „მოწეულ მოსავალს ნიჩბით (ლახირით) იღებენ“. დღეს სვანეთში ამ ზმნას ვერ იგებენ და ვერც გითარგმნიან. სეგმენტაცია ამ ზმნისა იქნება შემდეგი სახისა: **ო-წახ-ი-ხ** ეჯიარ: სადაც ხმოვანფრეფიქსი **ო-** სათავისო ქცევის ნიშანია. [შდრ. **ხ-ო-წახ-ი-ხ** ფორმა]. მრ. რიცხვის მესამე პირი გამოხატულია **-ხ** სუფიქსით. შევნიშნავთ, რომ კოჟეენიკოვას ტექსტებში ამ ზმნის მნიშვნელობის გაგება ჩვენთვისაც კი მხოლოდ კონტექსტის გააზრებით გახდა შესაძლებელი.

ლიჰყუილნე (< ჰყიუ „ბალახი, ლორთქო ბალახი“) „საქონლის, პირუტყვის ბალახობანა“. გენეზისი და სეგმენტაცია დღეს მი-

ვიწყებული ამ ლექსებისა იქნება შემდეგი სახისა: **ლიკყუილნე** < **ლი-კყიუ-ილ-ნ-ე**. **ლიკყუილნე** არის მოქმედების სახელი; **ლი-** თავსართიანი მასდარი, საწყისი. კოჟევნიკოვა დეტალურად აღწერს, რომ როცა მთვარდება **ლიკგრწლის** რიტუალი, მუხლმოდრეკილი ჭირისუფლები მხოლოდ მაშინ დგებიან ჩოქებიდან. **ლიკგრწლ** „მრავალგზის ვედრება, შემოვედრება“. სემენტაცია: **ლი-კგრ-წლ**, სადაც **ლი** თავსართი არის მასდარის, საწყისის მაწარმოებელი, **-კგრ-** არის ძირი; **-წლ** სუფიქსი ამ ნაზმნარ სახელში არის მოქმედების მრავალგზისობის სპეციფიკური მარკერი. **მუს-გრონჭილპრ** – რიყის ქვები (კნინობითი ფორმა) **მუსგრონჭილარ / მუს-გრონჭ-ილ-არ** < **გურჭ** „რიყის ქვა“. **სკარ** – რელიგიურ დღესასწაულზე გაერთიანებული რამდენიმე ოჯახის ერთად ლოცვა. **მოსკარ** – სკარის დამხვდომი, მასპინძელი“ შდრ. **ლისკარაწლ** – სკარში შემოერთება). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სვანეთის წერილობით ძეგლებში დადასტურებული ცნობა: „ვიდრე ისი არ გარდაიკადოს, ნუცა ეკლესიასა, ნუცა **ლასკარსა**, ნუცა ანჯუმანსა, ნუცა სადა გამოუშვებთ ძმაი ძმასა [სწმ I 1986: 218].

უნდა აღინიშნოს ერთი დეტალიც: რიტუალების დეტალურად აღწერასთან ერთად დინა კოჟევნიკოვას აქვს ჩანაწერები ონომასტიკიდანაც. მაგ. ივარულ ტექსტებში გვთავაზობს გვარების (კორძაია, პირველი...) წარმომავლობას და ერთგვარ გენეზისს: კორძაია ადრე იყო კუერზიანი; პირველი ადრე იყო ფირიანი [კოჟევნიკოვა: ივარი, საქაღალდე, № 6 გვ. 45].

კოჟევნიკოვა ჩამოთვლის ჩიტების სახელებსაც: ლამპრიწ ქოქოჩა, ლუამალ, ჭუტერ, ჟერბ, მიმილ, ჟუინა, ჯაუიჩ, მაყგუნა, მემუს, მულუწ ჭუტერ, შყაჟუ, მგკლრნდ, შდეკრან, მუწულ, შდატალ, მეთნაფოლ, ჩხგრგშტ, მაღლატ, ლუჰ, მალიდ, გუაწალ... [კოჟევნიკოვა: ივარი, საქაღალდე, №6, გვ. 40-41].

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ; განსაკუთრებით მრავალფეროვანია სვანური ენა ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიით და დარგობრივი ლექსიკით, (სოფლის მეურნეობის მოქმედებისა და იარაღების სახელწოდებებით სხვა; მაგ. სვანურს აქვს სიარულის აღმნიშვნელი 300-მდე საწყისი და შესა-

ბამისად ზმნაც). სიმდიდრეს ქმნის ერთი, ერთსა და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში, ლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება, ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა აფიქსით წარმოება... ასევე, სიტყვათწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით [თოფურია, 2002: 214].

სვანურში დღეს მივიწყებული ლექსემა **მეკერბი** ფონეტიკური ვარიანტებით **მეკერბი, მეკერბ, კერბი მუჭკენი**... სწორედ არქაულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, ეთნოლინგვისტური ტერმინია და გულისხმობს კერბის კვირეულის რიტუალების, აკრძალვების აღმსრულებელს.

გამოყენებული ლიტერატურა

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, სვანური სინტაქსი, შრომები, ტ. II თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“.

სწმ 1986 – სვანეთის წერილობითი ძეგლები, (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ) ტ. I, ტ. II თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

დ. კოყენიკოვას სვანური ტექსტები [ხელნაწერი 1200 გვერდი].

მ ა ყ ვ ა ლ ა მ ი ქ ე ლ ა მ ე

„რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

მარადიულად საფიქრალი და ყოველისმომცველი საპასუხო კითხვა გვიანდერმა დიდმა ილიამ მომდევნო თაობებს:

– „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვიტოვა ღმერთმა ქართველებს: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

კითხვაში დასმული საკითხებიდან ამჯერად მხოლოდ ჩვენს დედა ენასთან მიმართებით არსებულ ვითარებას შევეხებით. ცნობილია, რომ დედა ენა ეროვნების უკანასკნელი თავშესაფარია. მისი ასეთი ღვთაებრივი როლის შესახებ საგანგებოდ მომღვრავს მკითხველს საახალწლო ეპისტოლეში ჩვენი ბრძენთაბრძენი კათალიკოს-პატრიარქი ილია II:

– „ქართული ენა ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა. იგია ჩვენი ქვეყნისა და ერის გადამრჩენი.“

რა ძალა ჰქონია დედა ენას, ეროვნების მართლაც ამ უკანასკნელ თავშესაფარს?! არა ჯარის სიმრავლე, არა თოფი და ზარბაზანი, არა ხმალი და ხანჯალი, არამედ დედა ენა გადაარჩენსო ერსა და ქვეყანას! ეს სასწაულებრივი ძალა დედა ენისა ბოლომდე იწამა მსოფლიომ სამშობლოდან დევნილი და აუარებელი ქვეყნის ემიგრანტად ქცეული ებრაელი ხალხის მაგალითზე: მხოლოდ დედაენის საოცარმა სიყვარულმა და ასეთმავე საოცარმა ერთგულებამ გადაარჩინა ეს ხალხი ქვეყნისა და ეროვნების დაკარგვას უცხოებაში არნახული ტანჯვით გამოვლილი 26 საუკუნის მანძილზე.

დედა ენას სხვაც ბევრი აქვს ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფასეულობები:

– დედა ენა მასზე მოლაპარაკე ადამიანების ზნეობრივ კანონთა თავისებური კრებულია, კოდექსია. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ენაზე გაზრდილი ადამიანები ზნეობრიობითა და მსოფლმხედვით ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან;

– დედა ენა მფარველია და საიმედო მკურნალი მშობელი ქვეყნის წოსტალგით დაავადებული ადამიანებისა; ამის შთამბეჭდავ მაგალითს გვაწვდის XI საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ისტორიული ხასიათის თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი.“

– საგანგებოდ უნდა აღნიშნოს ქართული ენის გამომსახველობით საშუალებათა საოცარი სიმდიდრე, მოქნილობა და კეთილხმოვანება, რის გამოც გაცნობიერებული სიამაყით უწოდა მშობლიურ ენას ჯერ კიდევ X საუკუნეში ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერმა იოვანემ „ენაჲ შემკული და კურთხეული“.

– ჯერხანად ვერც იმაზეც გავამახვილებთ ყურადღებას, რომ დედა ენას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადამიანის გენეტიკაში და რომ გარკვეულ გენეტიკურ ტიპს გარკვეული მშობლიური ენა შეესატყვისება, რის გამოც მხოლოდ დედა ენაზე მიღებული სწავლა-განათლება ავითარებს მოზარდის გონებას ბოლომდე, ანუ აჰყავს შესაძლებლობის უმაღლეს ზღვარზე. საკითხის მოცემული კუთხით განხილვა დღეს ჩვენი ქვეყნის ოჯახებსა, საბავშვო ბაღებსა თუ სკოლებში დედა ენის სწავლების თვალსაზრისით არსებული ბევრი შეუსაბამისობის შესწავლას მოითხოვს და კვლევა-ძიების ცალკე სფეროს ეკუთვნის.

ამჯერად კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებთ დღეს, XXI საუკუნეში, თანამედროვე ქართველები მშობლიური ენის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და მისი უმაღლესი ფასეულობების დაცვა-შენარჩუნებისათვის, ანუ როგორ გრძნობს თავს ჩვენს ხელში „ენაჲ შემკული და კურთხეული?“

მშობლიური ენის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიტყვათა სესხების საკითხი. ნასესხები სიტყვები მეტ-ნაკლები რაოდენობით ყველა ენაში გვხვდება. თვითონ პროცესი სესხებისა დადებითია, როცა შემოგვაქვს სიტყვა, რომლის ბადალი მსესხებელ ენას აკლია და უარყოფითია იგივე პროცესი, როცა ახალი სიტყვის მაგიერი მსესხებელ ენას თავისი აქვს. ეს უკვე ზედმეტი სესხებაა და მას რიგი უარყოფითი შედეგი მოსდევს:

– ერთი, რომ ასეთი ნასესხები სიტყვა დროთა სვლაში სდევნის ადგილობრივს;

– მეორე კი ისაა, რომ ასეთი სესხებით ფუნქციას კარგავს ადგილობრივი სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა; და დავიწყებას ეძლევა მსესხებელი ენის საკუთარი სიტყვათმოდებელი.

ორი საუკუნის შემდეგ, როგორც იქნა, მოვეშვით რუსული ენიდან ზედმეტი სიტყვების სესხების, ანუ „ვაის გავეყარეთ,“ მაგრამ „სამწუხაროდ, „ვუის შევეყარეთ“: კიდევ უფრო ფართო გზა მივეცით ზედმეტი სიტყვების შემოდინების ანალოგიურ პროცესს ინგლისურიდან. პრესასა თუ ზეპირ გამოსვლებში გახშირდა მავანთა და მავანთა მიერ ინგლისური სიტყვების გაუმართლებელი გამოყენება, რასაც პირდაპირი გაგებით „ტერმინოლოგიური კეკლუცობა“ შეიძლება დაერქვას, ანუ მცდელობა გვიჩვენონ თავიანთი „ზეგანათლებულობა“. ამ გზით კეკლუცობენ ქალებიც და, სამწუხაროდ, კაცებიც, რაც ბოლო ჯამში ძალიან ძვირი უჯდება ჩვენს დედა ენას.

გრძელა რიგი ასეთი გაუმართლებელი ნასესხობებისა, გვაქვს, მაგალითად: ჰობი -გატაცება, კასტინგი – შერჩევა, ბულინგი – ჩაგვრა, მესიჯი – გზავნილი, შოუ – ჩვენება, პრაიმ შოუ – მთავარი ჩვენება, ლეგიტიმური – კანონიერი, ბრიფინგი – გადაუდებელი შეხვედრა, ნარატივი – კონტექსტი, პერმანენტული – უწყვეტი...

ბოლო ხანებში ჩვენი საკომუნიკაციო სივრცეები მთლიანად გადაფარა მოწონების გამომხატველმა იტალიურმა სიტყვამ „ბრავო“, რომელიც რუსულის გზით შემოვიდა ქართულში. საკონცერტო დარბაზებში, სცენასა თუ ეკრანებზე სულ უფრო ხშირად ისმის ე.წ. წამყვანების ომახიანი ბდავილი: ბრავო-ო! და საპასუხოდ კიდევ უფრო მაღალი ხმით ღრიალებს დარბაზი: ბრავო-ო-ო! ეს ხდება, სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ ისმოდეს ყველასათვის გასაგები და შინაარსიანი ქართული სიტყვები: – ვაშაა! – კარგია! – მშვენიერია! – დიდებულია! – შესანიშნავია! – ზღაპრულია! – ძალიან კარგია!

ამავე თვალსაზრისით მეტადრე გულსატკენია ის ფაქტიც, რომ სწორედ ჩვენს დროში ძალიან გახშირდა, ანუ მოდად იქცა მაღაზიებისა, რესტორნებისა თუ სასტუმროების შესასვლელზე უცხოენოვანი წარწერა – სახელები. ესეც ხომ ფაქტიურად ტერმინოლოგიური კეკლუცობის თავისებური სახეა და უდიდეს ზიანს აყენებს დედა ენას.

სამწუხარო ვითარებაშია დღეს ჩვენი დედა ენა სიტყვათმახვილის საკითხშიც. ცნობილია, რომ ყველა ენას თავისი დამახასიათებელი სიტყვათმახვილი აქვს, რომელიც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს წინადადების ინტონაციურ მოდელზე და ქმნის მის სახასიათო თავისებურებას. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თანაბრად სუსტმახვილიანი წევრებიდან რომელიმეზე მახვილის გაძლიერება მასზე შინაარსობრივი აქცენტირების მარტივ საშუალებას იძლევა.

ქართული წინადადებას მრავალფეროვანი მოდელირების საშუალებას აძლევს ის გარემოება, რომ თანაბრად სუსტმახვილიანი დანარჩენი წევრებისაგან ისევ თავში დასმული, მაგრამ რამდენადმე მაღალი მახვილით გამოირჩევა ზმნა-შემასმენელი. სწორედ აღნიშნული განსხვავებული მახვილის გამო ჩვეულებრივი პოზიციიდან ზმნის ყოველგვარი ადვილგადანაცვლება საინტერესოდ ცვლის მთლიანი წინადადების ინტონაციურ მოდელს. მრავლისმთქმელია ამ მხრივ ის ფაქტი, რომ სწორედ წინადადების თავში გადანაცვლებული ზმნა გახდა ერთ-ერთი საყრდენი სახელოვანი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას – პროზის ენის განსხვავებული შთამბეჭდავი რიტმისა.

ქართული ენის სიტყვათმახვილის ყველა ეს მახასიათებელი სათქმელის მსმენელამდე თუ მკითხველამდე მიტანის დამატებითი ეფექტური საშუალებებია და მნიშვნელოვანწილად ზრდის ენის გამომსახველობით შესაძლებლობებს. ჩვენი დაუდევრობით და უგულისყურობით სხვა ენებისაგან განსხვავებით მქონე გამომსახველობითი სისტემის ამ დიდ უპირატესობასაც ვუკარგავთ მშობლიურ ენას. დღეს ქართველების მეტყველებაში დაჩქარებული ტემპით იწყებს დამკვიდრებას ე.წ. „ფრანგული მახვილი“, რომელიც ბევრად უფრო მკვეთრია და სიტყვას ბოლო მარცვალზე მოუდის, ანუ მთლად საპირისპირო ვითარებას ქმნის.

ჩვენს რადიო თუ ტელეგადაცემებში ხშირად მოვისმენთ ასეთი მახვილით შემკულ გამოსვლებს, როგორცაა მაგალითად:

– მაშინ, როცა გადაცემა მიდიოდა, იხილებოდა საკითხებზე, რაზეც ჩვენ...

– რთულია, ემოციების გარეშე უყურებ ამ ყველაფერს და ილაპარაკებ...

– თბილისი და კიევი დამეგობრებული ქალაქები არიან, რის გამრც...

ამ რიგის მოქართულეების მეტყველებაში მთლიანად უცხოვდება ქართული წინადადების ინტონაცია და მოკლდება მისი გამომსახველობითი შესაძლებლობების სია; იკეტება წინადადების ინტონაციური მოდელირების ყველა გზა. საკითხი მისახედია საჩქაროდ, სანამ არ დაგვიანებულა.

თანამედროვე ქართველების მეტყველებაში არსებული კიდეც სხვა ცდომილებებიდან ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი მომხსენებლების მიერ ზეპირმეტყველებაში შემოტანილ ყოვლად გაუმართლებელ უადგილო და უაზრო ბგერებზე, ხან რომ კვენესას ჰგავს, ხან ბანია თითქოს სიმღერისა, ხან კი, ბოდიშით – და, დმუილია უნიათობისა. ამ დაუნაწევრებელ ცხოველურ ბგერებს „სასტარტო ხმიანობა“ შეიძლება ეწოდოს, რადგან მოსაუბრე თუ მომხსენებელი მაშინ იყენებს, როცა ლაპარაკის დაწყება უჭირს, ან კიდეც შუა საუბარში უძნელდება მომდევნო აზრის თავმოყრა და ისევ დროს ეძებს.

არცერთ სხვა ენაში ეს არა ხდება, ამას მარტო ჩვენ ვაკეთებთ, ქართველები; საკითხავია, რა მოგვდის? სიტუაციას ხომ თავად მომხსენებელი განაგებს, ანუ დრო მის ხელშია. მიატოვოს დალოცვილმა ეს ცხოველური ხმები და ისარგებლოს პაუზით, რაც ბევრად უფრო ადვილი იქნება მისთვის და მსმენელებისთვის მისაღები.

ბოლო ხანს ამ ვაი- თუ უი- მოქართულეებმა თავიანთ ისედაც საჩოთიროდ გახმოვანებულ მეტყველებაში დამატებით საიდანღაც კიდეც შემოიტანეს ახალი „საკრუტუნო“ თუ „სასიმღერო“ ერთეული „მნ-მა-ა!“ საუბრის ასეთი მანერა ბევრი ქალისა და, სამწუხაროდ, უკვე ბევრი კაცისთვისაც საჯარო კეკლუცობის საყვარელ საშუალებად იქცა. ნათქვამთან დაკავშირებით ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმავე რიგის დამნაშავეები ვართ დედა ენის წინაშე, როცა საუბარს ვიწყებთ მაიგივებელი კავშირით – „ესე იგი“.

საფრთხე ჩვენს ქართულ მეტყველებაში სხვაც ბევრია და დიდი, დედა ენის გადასარჩენად ფეხზე უნდა დადგეს ქუდზე ქართველი. დაე, ყოველი დღე თითოეული ჩვენგანისა იწყებოდეს პასუხით კითხვაზე, გენიალურმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა რომ დაგვიტოვა მომდევნო თაობებს: – „კრწანისის მიწად,

ასპინძის მიწად,
დიდგორის მიწად,
მარაბდის მიწად...
განა ქართველი არაერთი იმიტომ იქცა,
ქართულს ნატრობდეს ქართველი სიტყვას?!”

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ქსნის ხეობის ონომასტიკიდან სოფელი ქურთა და მისი მიდამოები

დასახლება მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, შე-
მალლებულ ადგილზე, შედის კორინთის საკრებულოში. ამჟამად კი
მოსახლეობა შემცირებულია ოკუპაციის გამო. სოფელი იყოფა ოთხ
უბნად: ზემო ქურთა, ქვემო ქურთა, ხრიკულაანთ უბანი, ჯაბანაანთ
უბანი. სოფლის მცხოვრებთა გვარებია: ბიტიაშვილი, დავითური,
ხრიკული, ბერიანიძე, პაპიაშვილი, გუთნიაშვილი, ჯაბანაშვილი,
ელოშვილი, პავლიაშვილი.

შესავალი

სოფელი მოხსენებულია მთელ რიგ წყაროებში, რაც იძლევა
საშუალებას, რომ თვალი მივადევნოთ ონომასტიკური მასალების
ცვალებადობას ისტორიულად, განვსაზღვროთ მიგრაციისა და იმიგ-
რაციის შედეგად როგორ განვითარდა ტოპონიმია, ანთროპონიმის
საკითხები, რომლებიც დღეს ძალზე საინტერესოა პოლიტიკური და
მეცნიერული თვალსაზრისით.

სოფელი მოხსენებულია ცნობილი მეცნიერის იოანე ბაგრატი-
ონის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“, სადაც არის ასეთი თავი:
ქსნის ხეობა, რომელიც თვის ეყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროე-
ბით და ეკლესიის მამულნიც არიან აქა: „ქურთა მოსახლენი“ (ბაგრა-
ტიონი ი., 1986, 36). როგორც ნაშრომის შესავალში აღნიშნულია იოა-
ნე ბატონიშვილი თვითონ გვამცნობს, რომ „ქართლ-კახეთის სოფ-
ლების აღწერა“ შეუსრულებია ორი მეფის - ერეკლე II-ისა და გიორ-

გი XII-ის დავალებით 1794-1799 წლებში. როგორც აღწერიდან ჩანს, ქსნის ხეობის მთელი რიგი სოფლები მისი საკუთრება ყოფილა და აქედან დასკვნა, რომ მონაცემები სანდოა.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლებში (ივ. ჯავახიშვილი 1967, 195), სათაურით „ქურთის ქსნის ერისთავის ყმა: ცხოვრობდნენ:

უთლენიანთ მახარებლის შვილი კომლი ა, თავი ბ, ირემა და ზურაბა.

უთლენიანთ პაპიას შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და მახარე.

უთლენიანთ ოთარას შვილი კომლი ა, თავი ბ, აბრამ და აღდგომელა.

ჟამურელი გოგოლას შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და ბერი.

ჯაბაური ბუჯიას შვილი კომლი ა, თავი ბ, ჯაბანა და ბერი.

ჯაბაური გამიხარდის შვილი კომლი ა, თავი ა, ფაცია.

ჯაბაური ქურციკას შვილი კომლი ა, თავი ა, ქიტესა.

ხრიკული ბერის შვილი კომლი ა, თავი ა, პატარკაცი.

1781 წლის ქსნის ხეობის აღწერაში სათაურით ქურთიდან (ივ. ჯავახიშვილი 1967, 218) დასახელებულები არიან:

ბიტჩიას შვილი კომლი ა, თავი ა, გიორგი.

უთნის შვილი კომლი ა, თავი ა, აღდგომელი.

უთნის შვილი კომლი ა, თავი ა, შიო.

პაპის შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და მახარა.

დავითურის შვილი კომლი ა, თავი ა, დათუნა.

ექვსი ოჯახი ჯაბაური, რომელთა სახელებია: კაცია, ბერი, ელისბარ, გოგია, აბრამა, ქიტესა, მახარებელი, გრიგოლა, გიორგი, ლოთიკა, ზაზა, კურციკა.

ხრიკული შვილი კომლი ა, თავი ა, პატარკაცი.

დავითურის შვილი კომლი ა, თავი ა, მახარებელი.

ზემოხსენებულ ორ აღწერას შორის სულ შვიდი წელია გასული, მაგრამ დროის სიმცირის მიუხედავად, ანთროპონიმთა შორის სხვაობა მაინც არის ძირითად წარმოებაში. 1774 წელს გვარი უთნელიშვილი მოხსენებულია როგორც უთნელიანთი, რაც ენობრივად კუთვნილებას გამოხატავს, ხოლო 1781 წლის აღწერაში იგივე ზე-

მოხსენებული აღდგომელა, გიორგი, მახარე, ზურაბ არიან უთნელიშვილები.

რაც შეეხება საერთოდ ამ გვარის წარმოშობას იოანე ბაგრატიონი ასე მოგვითხრობს: „უთნელიშვილი დროსა ახალციხის დაპყრობისა თურთაგან შთავიდნენ იმერეთს, რომელნიმე გადმოვიდნენ ქართლს. 1724 წელს მოსულან ქართლს (საქართველოში) და დაესახლნენ გვერდისძირს ადგილს ფლავს – ქსანს საერისთაოს ადგილსა შინა და დაჩნდნენ ესენი აზნაურად ვახტანგ მეფის დროსა და სხვათაცა“... (ი. ბაგრატიონი 1997, 56).

ჯაბაურის გვარი ორივე აღწერაში არის მოხსენებული. როგორც ადრინდელი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, მეჯუდის ხეობის სათავეში ადრე მცხოვრები ბუჯიაშვილები მოგვითხრობენ, რომ ისინი წარმოშობით არიან ჯაბაურის გვარიდან და სალოცავად დადიოდნენ სოფელ ქურთის ეკლესიაში – ღვთისმშობელში.

დავითურის გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ ზემო ქურთაში და ჩამოსახლდნენ ქვემო ქურთაში, მაგრამ ზემო სოფელში ყოველთვის ადიოდნენ და თავიანთ კუთვნილ მამულს ამუშავებდნენ.

შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობის XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსულ კამერალურ აღწერებში დასახელებულია სოფელი ქურთა (ი. ალიმზარაშვილი 2021, 284). სოფელში ცხოვრობდნენ: პატარკაცი და იოსებ ხრიკულიშვილები, კაცია ჯაბაურაშვილი, ვეფხია, გოგია, მახარა, ნინია, აღდგომელა უთნიაშვილები, ბერი დავითური, ნინია დავითაშვილი; როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, კერძოდ 1784 წლის აღწერაში მოხსენებული პატარკაც ხრიკული 1804 წლის აღწერაში უკვე ხრიკულიშვილია, ხოლო კაცია ჯაბაური არის ჯაბაურიშვილი.

ქსნის ხეობაში, რომელიც დიდი ისტორიული წარსულით გამოირჩევა ბევრი ტოპონიმი, რომლებშიც შემონახულია ცნობები თუ ვის უცხოვრია ამ ტერიტორიაზე. შემონახულია ფაქტები წინაპრების საქმიანობის შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობის რიგი დარგების შესახებ.

ტოპონიმებში შემონახულია არამარტო გეოგრაფიული წარსული, არამედ ძვირფასი ინფორმაციები ისტორიული, ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიის და სხვა სახელწოდებათა მიხედვით.

სოფელი ქურთა მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში მდებარეობს, ვრცელი მამულები ოთხივე მხარეს გარს არტყია და ინტენსიური მეურნეობისათვის ყოველთვის ხელსაყრელი იყო, თუმცა ბოლო დროს ოკუპაციის გამო მეურნეობა მთლიანად მოშლილია, ასევე მთავარი მიზეზია მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით არის ასეთი გეოგრაფიული ერთეული, რომელსაც სახასო მთა ეწოდება. ეს ადგილები გამოყენებული იყო როგორც სახნავ-სათესად, ისე სამოვრებად, დაბალი და მაღალი ზონები და იყო ეკონომიკის საფუძველი სოფლისათვის.

როგორც ნიჭიერი რესპონდენტი ანტონ ილიას ძე დავითური მოგვითხრობს, ქურთა და მისი მიდამოები იყო სახასო, ე.ი. სამეფო საკუთრება, იყო სამეფო დიდი ხოდაბუნების გამგებელი მათი კაცები იყო, რომლებიც ჩვენი პაპებიდან ყოფილან დანიშნული და მათ ეკითხებოდათ პურისა და ქერის შემოსავლის ანგარიში, მეურნეობის მართვა განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში. მეფის ამ დარგის მოხელეებს ჰქონიათ გარკვეული შემოსავალიც.

როგორც სპეციალურ ლექსიკონში აღნიშნულია სახასო სხვათა ენაა, ქართულად ბლისტი ჰქვიან (ს.ს. ორბელიანი 1993, 74). ბლისტი კი არის საკუთარი აგარაკი, სათავისთაო ხოდაბუნი, სახასო (ს.ს. ორბელიანი 1991, 106). როგორც ზემოხსენებული მთხრობელი გვარწმუნებს, სოფლის მიდამოები და სხვა ადგილებიც ჩრდილოეთით ეკუთვნოდათ ერეკლე მეფის შვილებს და ასევე მათი იყო დიდი მამულები დასავლეთით მდინარე ლეხურისკენ.

კომპოზიტის მეორე ერთეული მთა, სპეციალურ ლიტერატურაში ასეა განმარტებული: დედამიწის ამაღლებული ადგილი, ამობურცული ფორმა, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“ (ვ. ხარაძე 2021, 88). სიტყვა მთა იწარმოება ანთროპონიმების საწარმოებლად, რომელიმე პიროვნების, გვარის, კომლის სახელის აღსანიშნავად. მაგალითად სახასო მთა არის, მაგრამ დანაწილებულია სათიბებად, რომელიც ასე იწარმოება: დავითურიანთ მთა, მილათ მთა (მილაძე), გუთნიაანთ მთა (გუთნიაშვილი), ელოაანთ მთა (ელოშვილი), პავლიაანთ მთა (პავლიაშვილი). არის ასეთი წარმოება გადაშენებული გვარების მიხედვით, რომელიც ხსოვნამ შემოგვინახა: უთნიაანთ მთა (უთნელიშვილი), ჟამურაანთ მთა (ჟა-

მურელი), ქურციკანთ მთა (ქურციკაშვილი), გამიხარდიანთ მთა (გამიხარდიშვილი), ბერიაანთ მთა (ბერიშვილი) და სხვა.

ზებეყურის მთა, ამ ერთეულს აღნიშნავს თავის შრომაში ვახუშტი ბაგრატიონი და იძლევა მის დახასიათებას: „ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოდგების ცხვირად ქსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ და დავიწროებებს ქსანსა კლდითა“ (ივ. ბაგრატიონი 1997, 70). მთა მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მთის ნაწილი ყანჩავეთს ეკუთვნოდა. როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, ეს მთაც დიდი სამეურნეო კერა იყო წარსულში და მერე ყველაფერი მოიშალა, რაც მოსახლეობის ყოფას უარყოფითად დაეტყო.

ზემოხსენებული მთები ხშირად არის დამოწმებული წყაროებში, მაგრამ ნაკლებად არის ქედი, როგორც ტოპონიმი, ალბათ ეს გამოწვეულია მისი სიმცირის გამო დიდ გეოგრაფიულ არეალში. ქედი ჩვენს შემთხვევაში სოფელ ქურთაში რამდენიმეა, რომლებიც ინდიკატორით არის ნაწარმოები, მაგალითად: ხაზინი ქედი, რომელიც სახასო მთასთან მდებარეობს და უნდა ითქვას, რომ მცირე ერთეულია, გამოყენებული იყო სამეურნეო საქმიანობისათვის, მათ შორის სახნავ-სათესად. ეს სახელი ეწოდება იმის გამო, რომ ადრე ხვნის დროს გუთნის დედას და მის თანამეხრეებს უპოვიათ ძვირფასი ლითონის ნაკეთობები და ეს სახელიც ამის გამო დაერქვა. არის ტოპონიმიც ხაზინი (ხიზნი) ვაკე. სოფლის სამხრეთით, ჩრდილოეთით ასევე დავადასტურეთ: საცქერი ქედი, ახოთ ქედი, პატარა ქედი, ხრიკულთ ქედი, წყაროთ ქედი, სასვენი ქედი, ზემოთ ქედი, ქვემოთ ქედი, შუა ქედი...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული გეოგრაფიული ტერმინი ასეა განმარტებული: „წაგრძელებული მთა, სერი მთაგრეხილი“ (ხარაძე ვ. 2021, 88). აღსანიშნავია, რომ ქსნურ მეტყველებაში ქედს - გორასაც უწოდებენ.

სოფლის ტოპონიმების დიდი პროცენტი ნაწარმოებია -ებ სუფიქსით, რაც ადგილის სიდიდეს გახაზავს. მაგალითები:

ბაღნარები, სოფლის სამხრეთით ამჟამად საძოვრებია, ადრე იყო სახნავები, არის ოთხი ჰექტარი.

გოგდურები (ასევე იწოდება როგორც გოგდური). სახნავი სოფლის ჩრდილოეთით, შვიდი ჰექტარი.

მელქუთები, ახოები, ადრე იხვნებოდა, ამჟამად სამოვარია, სოფლის დასავლეთით.

ნატურები, სახნავი სოფლის დასავლეთით, 3 ჰექტარი.

საგულეები, სათიბები მთის ძირას ჩრდილო-დასავლეთით, 3 ჰექტარი.

ხისოტები, სამოვრები სოფლის სამხრეთით.

დიდველები, 2 ჰექტარი, სახნავი, სოფლის სამხრეთით.

კვრიტავეები, სახნავები სოფლის სამხრეთით, 3 ჰექტარი.

სამგლეები, იყო დასახლებული ადგილი, ამჟამად სათიბები.

კოდეები, დამრეცი ველები სოფლის დასავლეთით.

წმინდა გიორგი (ასევე ეწოდება ოთხი წმ. გიორგი), იცოდა ოთხი დღეობა ზემო ქურთაში.

ნაბურლები, სამოვრები სოფლის ჩრდილოეთით.

წირქოლურები, ქურთის საკუთრება სამოვრები წიქროლის მხარეს ჩრდილოეთით, ექვსი ჰექტარი.

ღელემიწა (მიწები), სახნავი, 2 ჰექტარი.

პანტნარი (პანტიანები), სახნავი, არის ტყეზადები, 2 ჰექტარი.

შერეული ტყეები, ტყე, ბუჩქნარი, სოფლის ჩრდილოეთით.

ვენახები, ჯაბანანათ უბანში.

ნავენახრები, ხრიკულთ უბანში.

ბუცხვირები, მუხიანი ადგილი სამხრეთ-დასავლეთით.

მუხები, შემახლებული გორა, ადგილი არის ნიში, სალოცავი.

საშაბათოები, სახნავი სამხრეთით, 2 ჰექტარი.

საჯღაბარდლოები, პატარა ახოები ტყეში.

ჰიდრონიმები

არის ონომასტიკის ნაწილი, უფრო მისადაგება ტოპონიმისას, რომლებიც შეიცავენ წყალს (ბერძნული სიტყვებიდან ჰიდრო – წყალი და ონომა – სახელი). ჰიდრონიმები ტოპონიმების მსგავსად ძველია, რადგან ადამიანები სახლდებოდნენ იქ, სადაც წყალი იყო, რაც არსებობისათვის აუცილებელი იყო. ჰიდრონიმებში, როგორც ტოპონიმებში შემონახულია ლექსიკა, რომელიც წარსულს ამოტივტივებს და ადვილად არ იკარგება.

სოფლის ჰიდრონიმები მთელ რიგ მოვლენებთან არის დაკავშირებული და გადმოცემები შემონახულია დღესაც.

მუშია წყალი არის საჯღაბარდოში და სოფელს ეხლაც ემსახურება. როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ, ირანის წინააღმდეგ მებრძოლი დიდი სარდალი გივი ამილახვარი წირქვალს ციხეზე ამყარებდა დიდ იმედს და გამაგრებული ჰქონდა, მუშია წყარო ისე იყო შენიღბულად შეყვანილი ციხეში, რომ მტერმა ვერ მიაგნო და წყლის დიდი მარაგები ჰქონდათ ქვევრებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წყარო, როგორც გვაცნობეს, ამკურნალოც ყოფილა, რასაც ასევე გადმოგვცემენ დღეს წირქვალის ციხესთან მცხოვრებნი.

კოდას წყარო, მდინარე სოფლის დასავლეთით, ადგილი კოდაში, რომელიც იყო საძოვრები, მაგრამ არის ნასახლარებიც, სადაც ძველ ქურთელებს უცხოვრიათ. სადაც წყაროა, იქ ჩადგმულია ხის კასრი და ნაწილობრივ გადახურულია ხემასალით, რომლითაც მინდორში მომუშავენი იყენებდნენ, ჩაედინება იქვე ხევში.

ბებრის წყარო, არის ზებეყურის მთის ძირში, ცივია, იქ მისული კაცი თუ ჩრდილში წამოწვა ძნელად რომ ხელმეორედ მუშაობა დაიწყოს, ჩანს ამიტომ უწოდეს ეს სახელი.

ვერმა წყარო, არის სოფლის ჩრდილოეთით, რომელსაც ადგილობრივები უწოდებენ ვერძას და ვეძას, რომელიც არს მარილიანი და საქონელის დასარწყულბელი, ეტანება გარეული ნადირ-ფრინველი. ს.საბა ასე განმარტავს: „ვემა მომჟაო წყარო ბუნებით“ (ს.ს. ორბელიანი 1991, 262).

ყინანურის წყარო, სოფლის დასავლეთით, გამოდის სახასო მთიდან და მართლაც ყინულივით ცივია, სახელიც ასე აქვს დარქმეული.

ქურთუ წყაროც ასევე ცივია და სასიამოვნო დასალევია, გამოდის სახასო მთის ძირში.

დამპალწყლები, გამოდის ჩრდილოეთის მხარეს და წყალს აქვს შმორის სუნი. ორ ათეულამდე სახელწოდება დარქმეულა მინდვრის, ადგილის, ფერდობის მიხედვით, საიდანაც წყაროები გამოდიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი წყარო გაზაფხულობით დიდნაკადიანია, რადგან მარაგდებიან თოვლის წყლით, მერე შრებიან, მაგრამ სახელწოდებები მაინც შენარჩუნებულია ავტომატურად.

კვირიტავის ხევი, გამოდის ადგილი ყინანურიდან და არის მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადი.

წყენიწყაროები, არის როგორც ნაკვეთები, ისე წყაროები, მაგრამ ამ წყლის დაღვევა ბევრი არ შეიძლება, იწყინება და სახელიც ამის მიხედვით არის დარქმეული.

ბიჭათ ხევა, სახელი დარქმეულია ნასახლარის ხევის ქსანთან შერთვის ადგილას.

ნასახლარის ხევი გამოდის აღმოსავლეთის მხრიდან და მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადია.

საკვირიკეს ხევი, გამოდის მილათ (მილაძეები) მიწებიდან და ქსნის მარჯვენა შენაკადია.

ტოპონიმიაში -ანთ სუფიქსური წარმოება გამოხატავს კუთვნილებას რომელიმე პირისა, გვარისა და შტოგვარისას:

ჯაბანანთ ნაფუძრები, სოფლის ჩრდილოეთით, სადაც ჯაბანაშვილები ცხოვრობდნენ.

ეკლესიონიმები

თითქმის ყველა სოფლის სალოცავია ლომისა, თითქმის ყველგან არის ნიშები. დღეობა იწყება ივნისის დასაწყისიდან, მათ შორის სოფელ ქურთაშიც. ხრიკულაანთ უბნის დარბაზული ეკლესია აგებულია ფლეთილი ქვითა და დუღაბით, გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვაც. ეკლესიის გრძივ კედლებზე ასევე გადადის შირიმის ქვის თაღები, ამავე ქვითაა გაჭრილი მაღალი დაღოვანი სარკმელი.

ზემო ქურთაში არის ლაშარობის ეკლესია, რომელიც სხვადასხვა ზომის ფიქალითაა ნაგები, ნაწილობრივ ჩამოქცეულია ქვის სახურავი.

ღვთისმშობლის ეკლესია ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული, დღეობა აღინიშნება აღდგომის მეორე კვირას.

მეორე ღვთისმშობელი არის პატარა ეკლესია მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე აგებული, სადაც ასევე აღინიშნებოდა დღეობა აღდგომის მერე კვირას.

ენობრივ-დიალექტური მოვლენები

სოფლის ტოპონიმებისა და ანთროპონიმების დასახელებისას გრძელი ხმოვნები არ ისმის და პირდაპირ გამოითქმის: პაპიანი, პავლიანი, ალექსანი, ბუჯიანი, გამიხარდიანი, გიორგანი, კაციანი, პატარკაციანი. მოფარებულ ადგილებს ეწოდებათ ჩირდილი - ჩირდილები და არა ჩრდილები. მიხას ნაქოხვარი, აქ ჩართულია ხმოვანი ა, რომელიც სხვა მაგალითშიც ჩანს.

რედუქციის მაგალითები: მზვარე < მზვრი ადგილები, ქსანი < ქსნური გზა, ქსნური ღელე, ნაყვრები ახო < ნაყვერების ახო.

როგორც ქსნის, ისე ლიახვის, ფრონეს და სხვა ხეობებში მსგავსად ქურთისა -თა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები საკმარისად არის წარმოდგენილი. როგორც ცნობილი მკვლევარი ვარლამ თოფურია თავის წერილში აღნიშნავს: „-თა სუფიქსი ნათესაობით ბრუნვაში დასმული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია, მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელთა სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა. მართალია აღნიშნული სუფიქსის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, მაგრამ გასაზიარებელია მხოლოდ ზემოხსენებული გამოკვლევა, რომ აღნიშნულ სუფიქსს რაიმეს სიმრავლის აღნიშვნა ეკისრებოდა“ (ჩვენი მეცნიერება 1924).

ზემო ქურთის ტოპონიმები

ალალოანი, სათიბი 10 ჰა.

აღნიშნურები, ნაკვეთები დასავლეთით.

ბუცხვირები, მუხიანი ადგილი.

ბებრის ახო, დასავლეთით.

ბოლოფუძნარები, სათიბი 4 ჰა.

ბიტიაშვილი ახო, დასავლეთით.

გოგლურები, სათიბი 7 ჰა.

დავითურიანთ, ნაფუძრები.

ვენახები, ჯაბანანთ უბანში.

ზებაყური, მთა დასავლეთით.

კვირაცხოვლის მამულები, დასავლეთით.

კოდას ჩირდილი, დასავლეთით.

კალიები, ველები, სამოვრაი, დასავლეთით.

მილათ მიწები, ჩრდილოეთით (გვარი მილამე).

ნატირები, მამულები.

სახასო მთა, დასავლეთით.

საგულეები, სამოვარი, ჩრდილოეთით.

ხიხიტები, სამოვარი, სამხრეთით.

სამგლეები, სამხრეთით 3 ჰა.

ქოწყობილის ჩირდილი, სამხრეთით.

ღელემიწა, სათიბი 20 ჰა.

ყინანურის ჩირდილი, სამხრეთით.
წიწიანთ ახო, მილაძეების შტოგვარის მიხედვით არის და-
რქმეული.

წითელეები, საძოვარი, დასავლეთით.
წირქოლურები, სათიბი 6 ჰა.
ჭალები, ქსნის პირზე.
ხრიკულაანთ უბანი (გვარი ხრიკული).
ხიზნი ქედი, აქ ადრე იპოვეს ხაზინა.
ჯაბანაანთ ნაფუძრები (ჯაბანაშვილი).
მზარეულაანთ, ქენქაძეების შტოგვარი.
ქიტიაანი, ქენქაძეების შტოგვარი.

ქვემო ქურთის ტოპონიმები

ბაკურთკარი, ნასოფლარი, დასავლეთით.
ბატონის საჯდომი, დასავლეთით.
ბეგურიანი მთა, დასავლეთით.
ბიჭათ ხევი, ქსნის მარჯვენა შენაკადი.
დიდველი, სათიბი, ჩრდილოეთით.
ვანოს ახო, დასავლეთით.
ნაორმოები, სათიბი, ჩრდილოეთით.
ნახელნარები, მინდორი, დასავლეთით.
ნაწისქვილარი, ქსნის მარჯვენა მხარეს.
ნახაზარი, სამხრეთით.
ნიშიქედი, მთა, დასავლეთით.
სახასო მთა, დასავლეთით.
ნაფუმნარები, ველები, დასავლეთით.
ქურთაწყაროს ველები, დასავლეთით.
წალკოტი, მამულები, დასავლეთით.
ჯვრები, ნავენახრები, დასავლეთით.

მეთოდოლოგია:

გამოყენებულია აღწერისა და კვლევის მეთოდი ქართული
ენის კვლევის მიზნებით.

დასკვნა

სოფელ ქურთის ონომასტიკური მასალები: ტოპონიმები, ან-
თროპონიმები, ჰიდრონიმები, შტოგვარის სახელები მთლიანად ქარ-
თულია.

გამოყენებული ლიტერატურა

ალიმბარაშვილი 2021 – ალიმბარაშვილი ი., შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობის XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორი.

ბაგრატიონი 1986 – ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი.

ბაგრატიონი 1997 – ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბილისი.

ბაგრატიონი 1997 – ბაგრატიონი ი., შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბილისი.

ორბელიანი 1991 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

ორბელიანი 1993 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

ხარაძე 2021– ხარაძე ვ., ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინების ლექსიკონი, თბილისი.

ჩვენი მეცნიერება, (თოფურია), №11-12, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1967 – ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბილისი.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

უძველესი რელიგიური (ქრისტიანული თუ წარმართული) ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური გააზრებისათვის სვანურში

I. ლიგბტი/ლიგბატ/ლიგბტენი...¹

სვანურ ეთნოგრაფიულ მასალაში არაერთი ეთნოკულტურული ინფორმაციის შემცველი ისეთი ლინგვისტური მონაცემი დასტურდება, რომელთა ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით საკმაოდ რთულია. აღნიშნულ ლექსიკაზე მუშაობა, ეთნოლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან დროთა განმავლობაში მივიწყებული რელიგიური (ქრისტიანული თუ წარმართული) რიტუალები-სა და წეს-ჩვეულებების ამსახველი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დაუნჯებულა, გაქვავებულა და ხშირად მხოლოდ რიტუალთა აღსრულების გამოსახატავად გამოიყენება, დროთა განმავლობაში იკარგება და მივიწყებას ეძლევა.

ამჯერად სწორედ ერთ-ერთი უძველესი წეს-ჩვეულების (რომელიმე ღვთაებისა თუ წმინდანის სახელზე მიწის შეწირვის წესის) – **ლიგბტი/ლიგბატ/ლიგბტენი...** შესახებ გვექნება მსჯელობა როგორც სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსხემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური), ასევე ჩოლურული მეტყველების მიხედვით. აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური და შესაძლო ეტიმოლოგიური ანალიზისას, ბუნებრივია, გათვალისწინებული იქნება სხვა ქართველურ ენათა მონაცემებიც.

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში გვხვდება **-გბტ/-ცხატ/-ცხატ-** ძირის შემცველი არაერთი მასდარული და მიმღობური ფორმა, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელობა უდასტურდებათ დიალექტების მიხედვით, მაგ.:

¹ ნაშრომი მომზადდა 2023 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნოლინგვისტური ასპექტები“ ფარგლებში.

1. **ლიცხტი** (ბქ.)/**ლიცხატ** (ლშხ.) „შეწირვა (მიწისა, საქონლისა...) რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე“, „მიწის ნაკრძალად, სალოცავ ადგილად გამოცხადება“; **ლიცხტენი** (ლშხ., ჩოლ.) 1. ლშხ. „შეწირვა (საქონლისა ცოცხლად)“, 2. ლშხ. „მიწის ნაკრძალად გამოცხადება“, 3. ჩოლ. „შეჩვენება, დაწყევლა, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“; **ლაცხტი** (ბქ.)¹ „შეწირული, ნაკრძალი, საკულტო ადგილი“; **ლალცხატ** (ზს.)/**ლალცხატ/ლალცხატე/ლალცხატა** (ბზ.) „ღვთაების ან რომელიმე წმინდანის სახელზე შეწირული საკულტო (სალოცავი) ადგილი (ნაკრძალი)“; **ლეცხატ** (ბქ., ლშხ.) „აკრძალული, ღვთაებისადმი შეწირული ადგილი“; **ლეცხატ** (ზს.)/**ლეცხატ** (ლშხ.) „შეწირული/ნაკრძალი ადგილი“; **ცხატა** (ჩოლ.)² „აკრძალვის გამტების დაწყევლა, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“...

2. **ლიცხტე** (ზს.)/**ლიცხტენი** (ზს., ლშხ.)/**ლიცხტი** (ლნტ.)/**ლიცხტე** (ჩბხ., ლხმ.) „ყელში გადაცდენა, გაჩხერა; გაკვეხება, გაკვეტება...“; **ლეცხატ** (ზს.)/**ლეცხატ** (ლშხ.) „გადაცდენილი (ყელში, მუცელში,...); გაჩხერილი, გაკვეხებული (ეკალბარდებში, ხეებში...) ჩასობილი, ჩარჭობილი (მიწაში...)“...³

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, წეს-ჩვეულებებს შორის სვანეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომელიმე ღვთაებისა თუ წმინდანის სახელზე მიწის შეწირვის წესს. ამ შეწირული (საეკლესიო თუ სახატო) მიწების შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ 1939 წელს ვ. ბარდაველიძე გვაწვდიდა. მისი ცნობით, „**ლალცხატ**“-ი ეწოდებოდა პატარა საყანე მიწის ნაკვეთს, რომელსაც ოჯახი სხვადასხვა სახის უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ჩამოჭრიდა და შესწირავდა რომელიმე წმინდანის სახელზე. მასზე მოყვანილი ქვრითა და პურით კი სადღეობო კვერები ცხვებოდა ან შესაწირი არაყი იხდებოდა (ბარდაველიძე 1939:63). ვ. ბარდაველიძის შემდეგ არაერთმა მეცნიერმა

¹ საანალიზო ლექსიკური ერთეული სვანურში კნინობითის ფორმითაც დასტურდება, მაგ., **ლაცხტილ** (ლხმ.) „მთისკენ მიმავალი გზა (ზედმიწ. – სალოცავუკა)“.

² შდრ. ჩოლ. **ცხადა** „გაჩხირება, გაკვეტება, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“.

³ შესაძლოა, ეს მეორე მნიშვნელობა („ყელში გადაცდენა, გაჩხერა; გაკვეხება, გაკვეტება...“) მეორეული იყოს, რასაც ერთგვარად მასალის ანალიზიც ადასტურებს (იხ. ქვემოთ!).

(დ. ფირცხელანი, ჯ. ონიანი, რ. გუჯეჯიანი...) გაამახვილა ყურადღება სვანურ „**ლალცხატებ**“-ზე და ბევრი საინტერესო მოსაზრებაც გამოითქვა. დ. ფირცხელანის თვალსაზრისით, „გარდა „საზოგადო“ მიწებისა, შეიწირებოდა „საკუთარი“ მიწაც, რომელიც „**ლალცხატ**“-ის სახელითაა ცნობილი“. ამ მიწების შეწირვა ხდებოდა ძირითადად **ხოშა ღერბეთ**¹ის „დიდი ღმერთის“ სახელზე, თუმცა ხშირად წმ. გიორგის, წმ. მარია-მის, წმ. ბარბარეს და სხვ. სახელზე შეწირული მიწებიც ფიქსირდება სვანეთში (ფირცხელანი 1999:165). ღვთაებისადმი შეწირულ ყანას, ჯ. ონიანის თქმით, ეწოდებოდა „**ლეღცხატ დაბ**“, ხოლო მიწის ნაჭერს „**ლეღცხატ გიმ**“, ამ მიწების დამუშავება კი, შეწირვის შემდეგ, უზედურების მომასწავებლად ითვლებოდა (ონიანი 2020:149), ამიტომ სამეურნეო დანიშნულებით დღემდე არ იყენებენ, იმ ადგილას გავლისას კი აუცილებლად პირჯვარს გადაისახევენ და ლოცულობენ.

„სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით (ჭკადუა 2020), **ლალცხატ**ები სვანეთში, განსაკუთრებით ზემო სვანეთში, ტოპონიმების ფუნქციით საკმაოდ ბევრ ადგილას ფიქსირდება. **ლეღცხატ/ლალცხატ** მიწის გარდა შეიძლებოდა ყოფილიყო *კლდე, ხე, ქვა, გზა* და ა. შ. მაგ.: **ლალცხატე იცხ** (ბზ., სვან. ტოპონ., 2020:168) „ყანა (ზედმიწ. – საკულტო/სალოცავი მსხ-ალ-ი)“; **ყიბე ლაცხტი** (ბქ.) „გზა (ზედმიწ. – ზემო სალოცავი)“; **ბაჩემ ლაცხტი** (ბქ.) „გზა (ზედმიწ. – ქვის სალოცავი)“; **ლამზერ ლაცხტი** (ლხმ.)¹ „კლდე (ზედმიწ. – საზოგადო-აგ-ი/სალოცავი კლდე)“; **ლაცხტამშ ზაგარ** (ლხმ.) „ქედი (ზედმიწ. – ლაცხტამის გორა)“; **ლამარამშ ლაცხტარ** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – წმინდა მარიამ-ის ნაკრძალი/სალოცავი)“; **ლამარამ ლალცხატარ** (ბზ.) „სათიბ-სამოვარი (ზედმიწ. – წმინდა მარიამის ნაკრძალი/სალოცავი)“; **პაპშ ლეღცხატ** (ბქ.) „სამოვარი; მღვდლის ცხენის დასაბმელი საკულტო ადგილი, რომელსაც არავინ თიბავს, რადგან

¹ ტობარიდან სამანქანო გზამდე გასავლელი ბილიკი, „სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონის“ მიხედვით, საკმაოდ ვიწრო და საშიში ყოფილა, ამიტომ წმინდა გიორგის იმ ადგილამდე მშვიდობით მიღწევას ევედრებოდნენ: „**ჯგერა ლაცხტამშ**, ხოჩა გუყი ანუელაღინ ჩიგარ (ლხმ.) „ლაცხტამის წმინდა გიორგი, მშვიდობით გვატარე მუდამ (ზედმიწ. – წმინდა გიორგი ლაცხტამისა, კარგ გულ-ზე გვასიარულე ყოველთვის!)“, თან ნაძვის ტოტს მოტეხდნენ და ერთ ადგილას დებდნენ (ჭკადუა 2020:223). ხშირად სალოცავების მიმდებარედ გვხვდებოდა ნაკრძალი ტყეც, სადაც ხის მოჭრა და სხვა რამე სამეურნეო საქმიანობა აკრძალული იყო და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს აკრძალვა დღემდე მოქმედებს.

მღვდელს დაწყველილი ჰქონია (ზედმიწ. – მღვდლის ნაკრძალი/სალოცავი)“...

ასევე საინტერესოა შემდეგი საკულტო ადგილები: **ნახატუ** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – ნაკრძალი/შენაწირი)“; **ცხირ-ლაცხტი** (ბქ.) „გზა, რომელიც ძნელად გასავლელია, ამის გამო იმ ადგილას გამვლელები ტოტის ნატეხს აგდებენ და ლოცულობენ: „ჯგვრანგ, სი როქ ლწნემდ ი ხოჩა გუჟი როქ ანზელალინ „წმინდა გიორგი, შენ შეგვეწიე და მშვიდობიანად გვატარე (ზედმიწ. – წმინდა გიორგი, შენო გვიშველე და კარგ გულ-ზე-ო *გვასიარულე!)!“; **ლაცხტენი** (ბქ.) „სადოვარი, რომელიც წმინდა, საკულტო ადგილად (ანუ **ლალცხატ** ადგილი) ითვლება“; **ცხალასტანი** (ბქ.) „ტყე კიჩხულდაშის დასახლებაში (ანუ **ლაცხტი/ლალცხატ** ადგილი), მთისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ლოცვის რიტუალსაც ასრულებდნენ და წმინდა გიორგის მშვიდობიან მგზავრობას ევედრებოდნენ“... ეს უკანასკნელი ტოპონიმიკური ერთეული ფონეტიკურად აშკარად სახეცვლილია, რაც მის არქაულობაზე მიანიშნებს. ჩვენი აზრით, იგი მომდინარეობს **ცხირ-ლაცხტი** ფორმისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა გავლით, რომელიც ბალსქვემოურში ისედაც ფიქსირდება.

შენიშვნა: საანალიზო ლექსიკური ერთეული სვანურ პოეზიაშიც გვხვდება, მაგალითად, „დიდებ-დიდებ თარიგძელას..., **ლალცხატამ** მიჩა გიცრალე, ზაგანიშ ზაგარნ იბაცქჟაელხ (ონიანი 1917, 27:9-10) „დიდება მთავარანგელოზს..., შეწირული მისი ვერძები, გორაკებზე ბულრაობენ (ზედმიწ. – **დიდება-დიდება მთავარანგელოზ**-ს, შეწირული მისი ვერძები, გორა-გორა ბულრაობენ)“...

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უთუოდ უნდა შევეხოთ შემდეგ ტოპონიმიკურ მასალას: **ლაჩხტელი/ლაჩხტელში** (ბზ.) „სადოვარი (ზედმიწ. – საკენჭო/საკენჭოოს[ი])“; **ლაჩხტი** (ბქ.) „სადოვარი/სათიბი (ზედმიწ. – საკენჭი)“; **ლაჩხტელ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – საკენჭუკა)“; **ლეჩხტერ** (ჩბზ.) „ქვიანი ადგილი (ზედმიწ. – საკენჭო)“; **ჩხუტ** (ბზ.) „სადოვარი (ზედმიწ. – კენჭი)“; **ლწხელტგრ** (ბქ.) „ტყე; ქვიანი ადგილი (ზედმიწ. – საკენჭო)“; **ლაჩხტერგლდში** (ბზ.) „სათიბ-სადოვარი (ზედმიწ. – საკენჭუკა)“; **ლეჩხტგლ** (ლწტ.) „ყანები (ზედმიწ. – საკენჭუკა)“; **ლეჩხტერა/ლაჩხტარი ზაჩ** (ბქ.) „მთისკენ მიმავალი გზა, სადაც გამვლელი ყველა კენჭს აგდებდა და თან ლოცუ-

ლობდა, ვინაიდან აკრძალულ/სალოცავ /შეწირულ (ანუ **ლალცხატ**) ადგილად ითვლებოდა¹. როგორც აქ მოყვანილმა მასალამ აჩვენა, **-ჩხგტ-** ძირის შემცველ ფუძეებს, გარდა **ლენჩხეტრა** ფორმისა, რელიგიური დატვირთვა არ გააჩნიათ (**-ცხტ-/ცხატ-/ცხატ-** და, **-ჩხტ-/ჩხგტ-/ჩხუტ-** ფორმათა შორის შესაძლო კავშირის შესახებ მსჯელობას წარმოვადგენთ ახლო მომავალში!).

რამდენადაც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალებით ირკვევა, **ლი-ცხტ-ი/ლი-ცხატ/ლი-ცხტ-ენ-ი/ლა-ცხტ-ი/ლა-ლ-ცხატ/ლე-ლ-ცხატ** და ა. შ. ფორმათა ქართველური შესატყვისი დღემდე არ გამოვლენილა, თუმცა იყო ზოგი მინიშნება როგორც სიტყვის მნიშვნელობის გააზრებაზე (ფირცხელანი 1999:165), ასევე ეტიმოლოგიაზე (გუჯეჯიანი 2008:382) სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან შედარება-შეპირისპირების გარეშე. რ. გუჯეჯიანის ფრიად საინტერესო ნაშრომში „საეკლესიო მიწები სვანეთში“ არის ცდა სვან. **ლალ-ცხატ/ლაცხატ** ფუძეში **-ხატ-** „ხატი“ ძირის გამოყოფისა, შესაბამისად კი საანალიზო ტერმინებს „სახატოდ“ მოიხსენიებს (იქვე). ცხადია, დაბრკოლებას ქმნის **-ცხ-** კომპლექსი, რომელიც არცერთ ზემოდასახელებულ ფუძეში არ იშლება.

ლიცხტი/ლიცხატ/ლიცხტენი/ცხატა’ს დიალექტ-კილოკავთა მიხედვით, როგორც უკვე ვნახეთ, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. „შეწირვა (ადგილისა, საქონლისა...) რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე“, 2. „მიწის ნაკრძალად, სალოცავ ადგილად გამოცხადება“; 3. ჩოლ. „შეჩვენება, დაწყევლა, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“, 4. „ადგილის მონიშვნა, ნიშნის/ჭდის დადება“..., ამ მნიშვნელობებიდან ძირითადია სწორედ მეოთხე მნიშვნელობა (შდრ. **ლიცენი/ლიცხენი** „ჭდის/სერის დადება, მონიშვნა...“, **ლკპც** „ჭდე, ნაჭდევი...“), რომელმაც დროთა განმავლობაში რელიგიური დატვირთვა მიიღო. ვინაიდან საანალიზო ძირ-ფუძეთა შესახებ მსჯელობა და მათი შესაძლო დაკავშირება სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან, როგორც უკვე ითქვა, დღემდე არ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში, შევეცდებით, ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოვადგინოთ ჩვენი მოკრძალებული თვალ-

¹ ამგვარ აკრძალვას სვანები **ჟი ლიყენი**’ს/**ლიცხტი**’ს/**ლიცხტენი**’ს და პარალელურად **ჟი ლიკენი**’საც უწოდებენ, აკრძალულს კი – **ჟი ლყენ**’ს/**ლგხატ**’ს და **ჟი ლკენი**’ს.

საზრისი აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით და შემდგომში დაგვარად გამოვავლინოთ ამ არქაულ ფორმათა ქართველური შესატყვისები, კომპარატივისტიკაში მიღებული კანონების შესაბამისად კი მოვახდინოთ მათი რეკონსტრუირება.

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ (ტ. III) შეტანილია შემდეგი სიტყვები: **ჩხოტ**-უ-ა „დაჭრა; გაკაწვრა, დასერვა, გაფატვრა; რქენა, რჩოლა; მუცელში ჭრა, გვრემა“; **ჩხოტ**-ი „ნიშანი, სერა, იარა პირუტყვის ყურზე (ანუ ცხვარ-თხის სერის ერთ-ერთი სახეობა ყურზე)“; **ჩხოტ**-ილ-ი „დაჭრილი, დასერილი“... ფორმები!; **ჩხუტ/ჩხოტ/ჩხუდ** „დასერვა, დაჭრა“, **ინოჩხოტუა** „ჩაფატვრა, ჩასერვა“ (ანუ დასერილი ადგილი), **ჩხუთთელია/ჩხუტთელია** „სამსხვერპლო შეწირვის პროცესი (< **ჩხუტ** „დაჭრა, დასერვა“, **თელია** „ცოცხლის მოკვდინება“, შდრ. ასევე ლეჩხ.-რაჭ. **წიფეთელიობა/ელიაწიფეთელიობა /წიფეთელია/ელიობა/კვირტობა** „წარმართობის დროინდელი დარ-ავდრისათვის განკუთვნილი რიტუალი, რაც ასევე სისხლმდინარე ცოცხალის მოკვდინებასაც ნიშნავს“, ინტ. მასალ.)“ და სხვ. აღნიშნული მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია სოფელ ჩხუტელის თავზე მდებარე სალოცავმა, რომელსაც **ცხეთა**¹ს (/მზის სალოცავს) უწოდებენ. ამავე სოფელში ყოფილა შემორჩენილი უძველესი წარმართული რიტუალი-დღეობა „ჩიტობა“, რომელიც 2 სექტემბერს აღინიშნება და არის უძველესი სალოცავი ნაკარეში, მგზავრის სალოცავი (||დედა ღვთისას სალოცავი) ადგილი, ასევე მურის სალოცავი ბოგაშობის დღესასწაულით... ამ სოფელს გამორჩეული რელიგიური ცენტრის დატვირთვა უნდა ჰქონოდა, რაზეც მოწმობს ეს უძველესი წარმართული სალოცავები (ინტ. მასალები).

ვინაიდან ***ცხათ**-/***ცხეთ**- ძირებს შევეხეთ, გავკადნიერდებით და გამოვთქვამთ ჩვენს საკმაოდ ფრთხილ ვარაუდს ქალაქ **მცხეთა/ცხეთ**¹ის „ქალაქ-მუზეუმად აღიარებული უძველესი ქალაქი“ შესახებ, რომლის ეტიმოლოგიის გარკვევას ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული არაერთი მეცნიერი შეეცადა და ბევრი საინტერესო თვალსაზრისიც გამოითქვა, თუმცა სპეციალისტთა მიერ ბოლო-

¹ შდრ. რაჭ. ტომ.: **ჩხოტები, ჩხოტევი, ჩხოტ(ებ)ი, ჩხოტი, ჩხოტია, ჩხოტი(ებ)ი, ჩხოტიის** ყანა, **ჩხოტილა, ჩხოტის** ტყე, **ჩხოტიდელე**... (ცხადაია, ჯოჯუა 2010) სხვადასხვა მნიშვნელობით, რომლებიც სტრუქტურულად ზანური სიტყვა-ფორმების ფარდია, თუმცა არ გამოვრიცხავთ უბრალოდ ფორმათა დამთხვევას.

მდე გაზიარებული არცერთი თვალსაზრისი არ არის. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ **მცხეთა/ცხეთა** სალოცავის მნიშვნელობით აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, დასავლეთ საქართველოშიც ფიქსირდება, მაგ.: **მცხეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია** ისტორიული ლეჩხუმის ერთადერთი გუმბათიანი ძველი ეკლესიაა, რომელიც აგებულია **XVIII საუკუნეში** და დგას მთის კონცხზე, მდინარე **ლაჯანურის** ხეობის მარჯვენა კალთაზე; როგორც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, საქართველოს საეკლესიო ცენტრის, დიდი **მცხეთის** სახელი, ლეჩხუმის გარდა მეორდება ოლთისის რაიონშიც (თაყაიშვილი 1910). ცნობილია ასევე ორი ეკლესია სოფელ ერდვში – **დაბლა მცხეთის ჯვარი** და **მაღლა მცხეთის ჯვარი**; არსებობს აგრეთვე **მცხეთის კვირაცხოველი** და ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები **ცხეთა/(მ)ცხეთა** „სალოცავი ქედზე“ (რაჭა, სადმელი)... (ცხადაია, ჯოჯუა 2010). საინტერესოა, რომ **ცხეთა/მცხეთა** ფუძე ადგილის მნიშვნელობით დასტურდება ქვემო სვანეთშიც, კერძოდ ლაშხეთში, მაგ.: **ცხეთაშ/მცხეთაშ**¹ „სათიბ-სახნავები, ასევე დასახლება სოფელ ჟახუნდერში, სადაც მდინარე ფიშყორის მარჯვენა მხარეს დღესაც დგას გელოვანების კოშკი“. და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ ადგილს **ლალცხატ/ლგცხატ**² ად „საკულტო, სალოცავ ადგილად“ მოიხსენიებენ ლაშხელები, რაც ასევე ჩვენს თვალსაზრისს **-ცბტ-/-ცხატ-/-ცხატ-** ძირთან ქართული **მცხეთა/ცხეთ**³ის დაკავშირებისა ამყარებს.

ჩვენ მიერ თავმოყრილი მასალების საფუძველზე შევეცდებით საანალიზო ძირ-ფუძეთა რეკონსტრუქციას კომპარატივისტიკაში მიღებული კანონების შესაბამისად და აღვადგენთ სავარაუდო საერთოქართველურ არქეტიპს. მაგ.:

სვან. **-ცბტ-/-ცხატ-/-ცხატ-**, ლი-**ცბტ-ი/ლი-ცხატ/ლი-ცხატ** „შეწირვა (ადგილისა, საქონლისა...) რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე“, „მიწის ნაკრძალად, სალოცავ ადგილად გამოცხადება“; ლი-**ცბტ-ენ-ი** (ლშხ., ჩოლ.) 1. ლშხ. „შეწირვა (საქონლისა ცოცხლად)“, 2. ლშხ. „მიწის ნაკრძალად გამოცხადება“, 3. ჩოლ. „შეჩვენება, დაწყევლა, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“; ლა-**ცბტ-ი** (ბქ.) „შეწირული, ნაკრძალი, საკულტო ადგილი“; ლა-ლ-**ცხატ**

¹ ადგილობრივთა განმარტებით, ეს სახელწოდება სოფლის შემალეხულ ადგილს ჰქვია, ადგილი კი რაღაცით მცხეთის ჯვრის მიდამოებს წააგავს.

(ზს.)/ლა-ლ-**ცხატ**/ლა-ლ-**ცხატ**-ე/ლა-ლ-**ცხატ**-აჲ (ბზ.) „ღვთაების ან რომელიმე წმინდანის სახელზე შეწირული საკულტო (/სალოცავი) ადგილი (/ნაკრძალი)“; ლე-ლ-**ცხატ** (ბქ., ლშხ.) „აკრძალული, ღვთაებისადმი შეწირული ადგილი“; ლგ-**ცხატ** (ზს.)/ლგ-**ცხატ** (ლშხ.) „შეწირული, ნაკრძალი ადგილი“; **ცხატ-ა** (ჩოლ.) „აკრძალვის გამტების დაწყევლა, ხატზე გადაცემა ნაჭდევი ჯოხის დასობით“... : ქართ. **მცხეთა**-/**ცხეთა**-, **მცხეთა**/**ცხეთა** „ქალაქმუზეუმად აღიარებული უძველესი ქალაქი; სალოცავი ადგილი“ : ზან. (მეგრ.) **ჩხოტ**-უ-ა „დაჭრა; გაკაწვრა, დასერვა, გაფატვრა (წვეტიანი საგნით); რქენა, რჩოლა; მუცელში ჭრა, გვრემა“; **ჩხოტ**-ი „ნიშანი, სერა, იარა პირუტყვის ყურზე (ანუ ცხვარ-თხის სერის ერთ-ერთი სახეობა ყურზე); **ჩხოტ**-ილ-ი „დაჭრილი, დასერილი“; **ჩხუტ**/**ჩხოტ**/**ჩხუდ** „დასერვა, დაჭრა“; ინო-**ჩხოტ**-უ-ა „ჩაფატვრა, ჩასერვა“; **ჩხუთ-თელისა**/**ჩხუტ-თელისა** „სამსხვერპლო შეწირვის პროცესი... ფორმათა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე საერთოქართველური ფუძემენის დონისათვის აღდგება ***ცხეთ**- „სალოცავი, შეწირული ადგილი, ნაკრძალი...“ არქექტიპი.

ს.-ქართვ. **ცხ** კომპლექსის შესატყვისად სვანურში **ცხ** გვაქვს, ხოლო მეგრულში **ჩხ**, (მსგავსი შემთხვევების შესახებ ქართველურ ენებში იხ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები!). ბგერთმესატყვისობა: ქართ. **ე** : ზან. **ო/უ** : სვან. **ჰ** (← **ე**) შესადარებლად მოხმობილ ფუძეთა საერთო წარმომავლობას განახავს. ქართ. **თ** : ზან. **ტ/დ/თ** : სვან. **ტ** სუბსტიტუციითაა მიღებული, რაც ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენაა. ზოგადად ქართულ **თ**’ს სვანურში **შდ** კომპლექსი უნდა მოეცა, თუმცა ეს პროცესი არ განხორციელებულა.

საანალიზო ძირ-ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: ს.-ქართვ. ***ცხეთ**- „სალოცავი, შეწირული ადგილი, ნაკრძალი...“ → ქართ. **ცხეთ**- → **მცხეთა** : ზან. ***ცხოთ**- → ***ჩხოთ**- → ***ჩხოტ**¹ || **ჩხუთ**/**ჩხუდ**/**ჩხუტ** : სვან. -**ცხტ**-/**ცხატ**-/**ცხატ**- ← ***ცხეთ**.

¹ ჩვენ მიერ აღდგენილი სავარაუდო ***ჩხოტ**- ძირი უნდა იყოს შემორჩენილი მეგრულ **ჩხოტ**-ორ-ი-ა „ემვიანი; ბაგეჩახეული, ფერჩხუტიანი, გრძელრქებიანი“ ფუძეში, შდრ. სვან. (ბქ.) ნა-**ცხტ**-უნ-არ, ჩოლ. ნა-**ცხტ**-უნ-არ „რქები (მონადირულ ენაზე)“, რომელიც ტაბუირებული სიტყვაა და მხოლოდ მონადირეები იყენებენ.

ვფიქრობთ, ქართული **მცხეთა/ცხეთა** „უძველესი სატახტო ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში“, რომელსაც მეცნიერები **მეორე იერუსალიმად** მიიჩნევენ, შესაძლოა, სწორედ *სალოცავ/ნაკრძალ/შეწირულ/ნიშანდებულ* ადგილად ითვლებოდა, სადაც იყო თავმოყრილი ჯერ კიდევ წარმართობის დროინდელ საქართველოში როგორც ქართველთა სალოცავი კერპები, ასევე მართლმადიდებლობის გავრცელების შემდგომ – ქრისტიანული სალოცავები. თუკი ჩვენი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, მაშინ აღნიშნულ ფუძეში **-ეთ** სუფიქსის გამოყოფა ნაკლებ მოსალოდნელია, თუმცა არც იმ ვარაუდს გამოვრიცხავთ, რომ ეს სუფიქსი ძირს შეუხორცდა და გაქვავდა, რასაც მეგრულ-სვანურის ჩვენებაც მხარს უჭერს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფილისი.

გელოვანი 1983 – აკ. გელოვანი, **მითოლოგიური ლექსიკონი**, თბილისი.

გუჯეჯიანი 2008 – რ. გუჯეჯიანი, საეკლესიო მიწები სვანეთში, სვანეთი – ქართული კულტურის სვანე, თბილისი.

თაყაიშვილი 1910 – ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი.

ონიანი 1917 – არ. ონიანი, ლუშნუ ამბჯარ ლელაშხუ შუმი ნინშუ, პეტროგრადი.

ონიანი 2020 – ჯ. ონიანი, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, IV, თბილისი.

ფირცხელანი 1999 – დ. ფირცხელანი, **ლალცხატ** (რელიგიური და ხალხური ასპექტები), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. III, თბილისი.

ცხადაია, ჯოჯუა 2010 – პაატა ცხადაია, ვილენა ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ტ. III, თბილისი.

ჭკადუა 2020 – ა. ჭკადუა, სვანური ტოპონიმიკა, თბილისი.

ნ ე ს ტ ა ნ ს უ ლ ა ვ ა

ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებათა შესახებ

ძველ ქართულ მწერლობაში ყურადღებას იქცევს ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებები, რომლებიც მიუთითებენ სასულიერო პირთა ბუნებას, სულიერ სამყაროს, წარმომავლობას, სადაურობას, მამის სახელს, ნაწილი დაკავშირებულია კონკრეტულ არსებით ან ზედსართავ სახელთან და სხვ. ზოგიერთი ზედწოდება ქართულის ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით ქართველური ენების ან დიალექტის ფორმასაც იყენებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ენების ლექსიკურ ერთეულთა შესასწავლად. ძველ ქართულ ლიტერატურაში ზედწოდებების შემდეგი სახეობები დასტურდება:

1. სულიერ სამყაროსა და სასულიერო წოდებაში სტატუსს გამოხატავს წმ. გიორგი შავმთელის ზედწოდებები: შეყენებული და დაყუდებული, რომელიც სპეციალურ განხილვას იმსახურებს; იოვანე ბერამ, ათონზე მოღვაწე სულით შემოსილი იოვანე ბერი მარტოდ-მყოფი, თეოფილე ხუცესმონაზონი, არსენ ბერი;

2. წარმომავლობას, სადაურობასა და მოღვაწეობის ადგილს მიუთითებენ: პეტრე იბერი, ზოგჯერ - ქართველი; წმ. კონსტანტი კახი; მაკარი ლეთეთელი, ძმ. გიორგი გრძელისაჲ; წმ. ილარიონ ქართველი; გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი, რომლებმაც გაბრიელ პატარაის გაუწიეს დიდი დახმარება პარხლის მრავალთავის შედგენისას; პიმენ კახი; იოვანე მინჩხი; ვენევენტოს დუკის ძმა ლეონ ჰრომი; იოვანე ანჩელი, იოვანე შავთელი და სხვ.;

3. მამის სახელის მიხედვით იხსენებიან: იოვანე საბანის ძე, ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძე, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და მწერალი, მთარგმნელი სტეფანე სანანოძს ძე, ჰიმნოგრაფები იოვანე ქონქოზის ძე, ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი, ათონელი მოღვაწეები წმ. იოვანე გრძელის ძე და იოვანე თავლაის ძე, არსენ ვაჩეს ძე, საქართველოს კათალიკოსები ნიკოლოზ გულაბერის ძე და არსენ ბულმაისიმის ძე; ტბელ აბუსერის ძე;

4. რელიგიური და საგანმანათლებლო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია X საუკუნის მწერალ-ჰაგიოგრაფის გიორგი მერჩულის

ზედწოდება, რომელიც პ. ინგოროყვამ განმარტა (პ. ინგოროყვა 1954, 17-28);

5. თანამდებობის მქონეთა ან პატივის აღმნიშვნელი ზედწოდებები: საბა სვინგელოზი, სოლომონ მამასახლისი;

6. საქმიანობის აღმნიშვნელი: წმ. გიორგი მაშენებლის ზედწოდება „მაშენებელი“;

7. ბერული თავმდაბლობის გამოხატულებაა რამდენიმე სასულიერო პირის ზედწოდება: მიქაელ მოდრეკილი; გაბრიელ პატარა, გიორგი მცირე, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით; წმ. ეფრემ მცირე.

ჩვენი მოხსენება ეხება XI საუკუნის მოღვაწის, წმ. გიორგი შავ-მთელის, ზედწოდებებს: „შეყენებული“ და „დაყუდებული“, რომლებითაც მოიხსენიება წყაროებში შავი მთის მოღვაწე წმინდა მამა. თითოეული მათგანი განდევნილობის, მარტოდმყოფობის ინსტიტუტის შესახებ გვაწვდის გარკვეულ ცნობას. ამასთან, „დაყუდებული“ დაკავშირებულია სიტყვასთან „დასაყუდებულონი“, რომელიც გავრცელებული ტერმინი ჩანს ძველ ქართულ მწერლობაში.

„დასაყუდებულონის“ შესახებ. წმ. გიორგი მთაწმინდელმა დეტალურად აღწერა ყოველივე, რაც მამა-შვილ წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელებთან, მათს ნათესავთან, იოვანე-თორნიკესთან, იყო დაკავშირებული ათონის ქართული მონასტრის აღმშენებლობის შესახებ და აღნიშნა: „ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი, ცათა მობაძვნი, და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“ (ძეგლები 1967, 40). წმ. იოვანე მთაწმინდელმა, წმ. ეფთვიმემ და იოვანე-თორნიკემ „მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და **დასაყუდებულონი** და განუწყესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და ჴელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი“ (ძეგლები 1967, 40). ასევე, თხზულების იმ ეპიზოდში, რომელშიც ასახულია ბიზანტიის გამარჯვების შემდეგ იოვანე-თორნიკეს მიერ მოპოვებუ-

ლი საფასით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და სხვა მონასტერთა მშენებლობა, ტაძრებთან ერთად სხვა დამხმარე ნაგებობებიც ააშენეს, მათ შორის „**სადაყუდებულონი**“: „და ღმრთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობლისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა. და ადგილნი მრავალნი მონასტერნი და **სა(და)ყუდებულონი** გარემოჲს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი–იგი შუენიერ არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“ (ძეგლები 1967, 49). ამ ორ ეპიზოდში ყურადღებას იქცევს ტერმინი „**დასაყუდებულონი**“//„**სა(და)ყუდებულონი**“, რომლის მიხედვით, წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულებისათვის დართულ კომენტარებში ექვთიმე-თამაზ კოჭლამაზაშვილმა განმარტა იქ მყოფი ბერი როგორც მღვიმესა თუ გამოქვაბულში დაყუდებული ბერი, ერთ ადგილას, სხვაგან გაუსვლელად განმარტოებით მოღვაწე, რომელიც მხოლოდ იშვიათად, მცირე ხნით თუ დატოვებდა სენაკს (ე. კოჭლამაზაშვილი 2016, 169). ასეთი ბერი მთელ სიცოცხლეს გამოქვაბულში ან კელიაში ატარებდა და თავს უძღვნიდა ღმერთს, დროს ღვთისადმი ლოცვასა და ადამიანურ ვნებებთან ბრძოლაში ატარებდა.

„**შეყენებულისა**“ და „**დაყუდებულისა**“ **შესახებ**. საყურადღებოა, რომ „დაყუდებულად“ მოიხსენიება წმ. გრიგოლ ხანცთელი გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“: „და მარტოდ იყოფენ თჳსსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამის-თჳსცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი“ (ძეგლები, 1963/1964: 249), რაც, ფაქტობრივად, წმ. გრიგოლის მარტოდმყოფობას, განმარტოებით ცხოვრებას, მის ანაქორეტულ ცხოვრებას მოწმობს ახალგაზრდობისას, სანამ ის კლარჯეთის უდაბნოებს მიაშურებდა; ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ამგვარი „სადგურები“ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. იგივე თხზულება გვამცნობს წმ. გრიგოლის განზრახვას მარტოდ დაყუდების შესახებ კლარჯეთში ჩასვლისას: „ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხოვრებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწვანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა

პურითა“ (ძეგლები 1963/1964, 253). მაგრამ ტექსტიდან ვიცით, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი მარტოდმყოფ ბერად, ანუ „დაყუდებულად“ არ დარჩენილა.

გიორგი მცირე ეპისტოლეში წმ. გიორგი შეყენებულისადმი და თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. გიორგი მთაწმინდელის შესახებ რამდენიმეჯერ ახსენებს წმ. გიორგი შავმთელს როგორც გიორგი შეყენებულს ან დაყუდებულს. ორივე ზედწოდება განდევილობის, მარტოდმყოფობის ინსტიტუციური ტერმინია და ბერსათვის საგანგებოდ განკუთვნილ მღვიმის ან გამოქვაბულის სენაკში ცხოვრებასა და მოღვაწეობას გულისხმობს. წმ. გიორგი შეყენებულის სივრცული არეალია „ნაპრაღი კლდესა შინა“, მისი სამყოფელი, მღვიმე, საიდანაც უდიდეს სამწერლო-მთარგმენლობით და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვება. წმ. გიორგი შეყენებული შავ მთაზე კლდის ნაპრაღს, ე. ი. მღვიმეს არ გასცილებია. ცხადია, მემღვიმეობას, სხვა ასკეტურ ყოფასთან ერთად, უდიდესი სულიერი მისია ეკისრებოდა, მღვიმე სულიერი განდმრთობის ადგილია, საიდანაც მოღვაწეს, სულიერად მცხოვრებ წმინდანს ზეცათა მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობა ეძლევა.

საქართველოდან წასული წმ. გიორგი მთაწმინდელი მივიდა შავ მთაზე, სადაც მოილოცა ყოველი მონასტერი და სულიერი მოძღვრის ძიებას შეუდგა, რადგან იცოდა, რომ სულიერი ცხოვრება და მონაზვნური ღვაწლი მოძღვრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამ ეპიზოდს კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქ, შავ მთაზე, „მთასა საკვრველსა პოვა ნაპრაღსა შინა კლდისასა ბერი წმიდად შეყენებული, ვითარცა გურიტი, უბიწოდ და ტრედი უმანკოდ, კაცი ზეცისად და ანგელოზი ქუეყანისად, ყოვლითურთ უცხო და განშორებული ჯორცთაგან და ჯორციელთა ზრუნვათა და გონებითა ღმრთისა მიცვალებული, გიორგის ვიტყვ დაყუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩუენისასა, კაცსა ყოველთა მიერ გულისსათქუმელსა, რომელმან-ესე ჩუენ უნდოთა ამათ ამისი აღწერად გუაიძულა“ (ძეგლები 1967, 121).

წმ. გიორგი მთაწმინდელმა წმ. გიორგი შეყენებულის სიახლოვეს რომანწმინდაში გაატარა სამი წელი „დიდითა შრომითა და მოღვაწეებითა, მარხვითა და მღვდარებითა და უფროდს ხოლო სიმდაბლითა და მორჩილებითა“ (ძეგლები 1967, 121). აქ იგი თავისი მო-

ძღვრისაგან, წმ. გიორგი შეეყენებულისაგან სწავლობდა და ეჩვეოდა ბერმონაზვნურ ასკეტურ ყოფასა და ცხოვრებას, ეცნობოდა, სწავლობდა საღვთისმეტყველო ლიტერატურას, იძენდა ღვთაებრივ სიბრძნეს. როდესაც წმ. გიორგი შეეყენებულმა შენიშნა, რომ გიორგი სულიერად და ფიზიკურად მომზადებული იყო დიდი ღვაწლისათვის, სქემით აკურთხა და იერუსალიმს წარგზავნა: „იხილა ნეტარმან ბერმან გიორგი შეეყენებულმან მოძღუარმან მისმან, ვითარმედ ყოვლითა სრულქმნილ არს ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა, სქემითა აკურთხა, და ესრეთ სრულ-ყო მონაზონებისა მოღუაწებად სქემისა გზრგვნითა და მერმელა იერუსალემად წარგზავნა“ (ძეგლები 1967: 122). რისთვის მიიჩნია საჭიროდ წმინდა მამამ მომავალი დიდი მოღვაწისა და მთარგმნელის, ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფის იერუსალიმს წარგზავნა? უწინარეს ყოვლისა, სულიერი გამოცდილების შესაძენად. წმ. გიორგი შეეყენებულის მოწაფეს, წმ. გიორგი მთაწმინდელს, უნდა მოეხილა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული წმინდა ადგილები, მაცხოვრის ჯვარცმის საიდუმლო დრო-სივრცულად აღექვა, ჯვარსახოვნებით გაეაზრებინა და ზიარებოდა მას, სულიერად გაწვრთნილს და მომზადებულს მიეღო ღვთის მადლი, წყალობა, რათა ამგვარად განსწავლულს, ღვთაებრივი სიბრძნით განათლებულს ქართველი ერის სულიერ განსწავლასა და წრთობაში შეეტანა თავისი წვლილი.

გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას - „ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა“ - წინ უძღვის გიორგი შეეყენებულისადმი თხზულებასთან ერთად გაგზავნილი გიორგი მცირის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ეპისტოლე, რომელშიც ჰაგიოგრაფის სახისმეტყველებითი და ესთეტიკური მრწამსია გაცხადებული. ეპისტოლეს აქვს მრავალმხრივ საყურადღებო ზედწერილი, რომელიც ფაქტობრივად ეპისტოლის ანოტაციაა: „ეპისტოლე მიწერილი გიორგის მიმართ, დიდისა მის შეეყენებულისა, რომელი მკვდრ იყო მთასა საკვრველსა მონასტერსა წმიდისა სკმეონისსა, ბერისა მის, რომლისად ეთხოვა, რათა აღუწეროს ცხოვრებად და მიცვალებად წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა. ზედაწერილი ესრეთ იტყვს: ღმრთივ სანატრელსა, სათნოებათა შინა განთქუმილსა, მოძღუარსა მოძღუართასა და სულიერსა წინამძღუარსა ჩუენსა გიორგის შეეყენებულსა უფლისა მიერ

გიხაროდენ! მთით წმიდით მთასა საკვრველსა ქრისტეს მიერ ღმრთისა ჩუენისა გახარებ!“ (ძეგლები 1967, 101).

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „დაყუდებულის“ ზედწოდებით ცნობილია წმ. ნეოფიტე დაყუდებული, თეოფანე დაყუდებული.

ჰყონდიდის ტაძრის XI საუკუნის წარწერაში დამოწმებულია მეგრული სიტყვა „დოჲონელი“, რომელიც „დაყუდებულის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული (ვ. სილოგავა 2008: 29-47). მეგრულის სხვა „ჲუდ//ყუდ“ ძირი ქართულში სახლს, საცხოვრებელ ნაგებობას უკავშირდება, მაგ., „ჲუდე“.

ამრიგად, წმ. გიორგი შავმთელის ზედწოდება შეყენებული//დაყუდებული წარმოაჩენს წმინდა მამის, საცხოვრებელ გეოგრაფიულ სივრცეს, მოღვაწეობის სახეობას, მის სულიერ სამყაროსა და ხატ-სახეს, რომელსაც პარალელი ეძებნება მეგრულში „დოჲონელის“ ფორმით მონაზვნური ცხოვრების სახეობის აღსანიშნავად.

გამოყენებული ლიტერატურა

კოჲლამაზაშვილი 2016 – გიორგი მცირე, წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ახალი ქართული ტექსტი და კომენტარები დაურთო ექვთიმე-თამაზ კოჲლამაზაშვილმა, თბილისი.

სილოგავა 2008 – ვ. სილოგავა, ორი მეგრული სიტყვა XI საუკუნის ჰყონდიდის ქართულ წარწერებში: ქართველოლოგია, 2, თბილისი.

ძეგლები 1963/1964 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ძეგლები 1967 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, ილია აბულაძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

მამია ფაღვა

ურ//ულ სუფიქსი კლარჯეთის ტოპონიმიაში

-ურ||-ულ სუფიქსს ავ. შანიძე განიხილავს როგორც წარმომავლობის აფიქსს და აღნიშნავს: „-ურის დართვისას (ისე როგორც -ელის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში -ეთ და -ის აქვს, შეიძლება ეს -ეთ ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: **დუშეთი – დუშური...**“ (შანიძე, 1973:127-128. შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988; ზურაბიშვილი, 1961:149; ფაღვა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 224-227).

არნ. ჩიქობავას **-ურ||-ულ** სუფიქსი რა კატეგორიის (არაადამიანთა კლასის – ავტ.) მაწარმოებლად მიაჩნია (ჩიქობავა, 2013:137).

კლარჯეთის ტოპონიმიაში **-ურ (-ულ)** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავლადაა, რამდენიმე ათეულს აღწევს:

მუშა-ურ’ი (კარჩხალა), **ასმა-ურ**’ი (კარჩხალა), **ზინე-ურ**’ი (კარჩხალა), **სუმ-ურ**’ი, **გალახ-ურ**-ა (< *გალახ-ულ-ა? ზიარეთია), **ბუჯ-ურ**’ი (მურღული. შდრ. **ბუჯერი** – შინაური ფრინველის **ბუდე** – ნიჟარაძე, 1971. გადატ. ოჯახი, სახლი, საცხოვრისი...), **ჯანათ-ურ**’||**ჯანეთ-ურ**’ (ენი რაბათი), **კუფატა-ურ**’ი (< ***კუპატა-ურ**’ი. ანაკერტი. შდრ. კუპატეთი, გვარი – კუპატაძე), **გალაზა-ურ**’ი (ანაკერტი), **ხანაჯა-ურ**’ი (სამწყალი), **სონა-ურ**’ი (სამწყალი), **ზაქ-ურ**’ი, **ბისკინათ-ურ**’ი (კარსნია), **გუგუც-ურ**’ი (ქართლა), **კამკას-ურ**’ი (სოლნ. 8. ართვინის კვარტალი. შდრ. **კავკას-ორ**’ი შავშეთში), **ჭიკატ-ურ**’ი, **ხახ-ურ**’ი (< **ხახ-ულ**’ი. ქურა), **გუნათ-ურ**’ი (სახრე. შდრ. **გუნათლე**’ს ვანი (ხანძთ.), **გურნათელი** – სოფ. მეთურქულე შავშეთში, შავშათს ზემოთ), **ოსანათ-ურ**’ი (სახრე), **აპირონ-ურ**’ი (კლარჯეთი), **ბურღა-ურ**’ი (გულეშენი. შდრ. **ბულაური** (ზ. აჭარა). **ბურღაურ**’ში რ’ განვითარებული ჩანს), **ბოღა-ურ**’ი (მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ნანა-ურ**’ი (გულეშენი), **მინა-ურ**’ი (ჯმერკი), **ჩაკით-ურ**’ი (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ჩაკით-ურ**’, **ხუც-ურ**’ (სინკოთი), **ნუთეხან-ურ**’ი (სინკოთი), **მუთეხან-ურ**’ (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **კოშვალ-ურ**’ (სხალთეთრი), **ხელმიქად-ურ**’ი (სხალთეთრი), **ღონტივალ-ურ**’ი (სხალთეთრი), **ასანათ-ურ**’ი (ანჩა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **შულვათ-ურ**’ (კონტრომი. მე-

მედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **კილდის-ურ**'ი (ზ. ქლასკური), **ქება-ურ**'ი (ზ. ქლასკური), **ქედელ-ურ**'ი (ძვ. ირსა, ახალდაბა), **სინდა-ურ**'ი (ახალდაბა. შდრ. **სინდი-ეთ**'ი), **ოკრანთ-ურ**'ი (ანჩა. მდინარე), **კვინტა-ურ**'ი (დევსქელი. შდრ. **კვინტრა**, **კვინტრაძე**).

რამდენიმე **-ურ** სუფიქსიანი ტოპონიმი დატანილია „ხუთვერ-სიან რუკაზე“:

Бейджурь – **ბეიჯ-ურ**'ი (მზრ. ართვინი), Гогонаурь – **გოგონა-ურ**'ი (მთ. ართვინი), Джилаурь я.- **ჯილა-ურ**'ი, Лекнаурь – **ლექნა-ურ**'ი (მთ. ართვინი), Тавкатурь – **თავკატ-ურ**'ი (ართვინი), Хохлаурь – **ხობლა-ურ**'ი (ართვინი. შდრ. ხობლევი) (Пагирев, 1913).

ხმოვნების წინ **-ურ** სუფიქსისეული ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევს ვ'ს: **აურ**>**აგრ** (||**აულ** > **აგლ**), **იურ** > **იგრ** (||**იულ** > **იგლ**)...

ჩიტაგრ'ი (< ჩიტაური. დევსქელი), **ჩიტაგრ**'ი (ზ. ქლასკური), **საზაგრ**'ი (< საზაური. ხება), **ძაღლაგრ**'ი (< ძაღლაური. გურბინი), **ჭილაგრ**'ი (< ჭილაური. მურღული. შდრ. ჭილათი – ტაო), **აბედევრ**'ა (< **აბედევრ**'ა. გოროშეთი), **ქებაგრ**'ი (<ქებაური. ზ. ქლასკური), **წიქვაგრ**'ი (< წიქვაური. ზ. ქლასკური), **კვესაგრ**'ი (< კვესაური. ქლასკური), **წინწკალაგრ**'ი (წინწკალაური. ქლასკური), **წიქაგრ**'ი (< წიქაური. ქლასკური. შდრ. წიქარეული < *წიქარაული. ორთაბ.), **ბახტიგრ**'ი (< ბახტიური. ახალდაბა).

გორგავლ'ი (< *გორგაული. ხება), **ბეშავლ**'ი (< *ბეშაული), **ბლეველ**'ი (< *ბლეული), **კატამეველ**'ა (< *კატამეველა. გულემენი).

გვაქვს შემთხვევები, სადაც ფუძისეულ და აფიქსისეულ ხმოვნებს შორის **ვ** თანხმოვანი განვითარებულა: **ჭალბა-ვ-ურ**' (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **სისინა-ვ-ურ**'ი (<სისინაური. სინკოთი), **რანდა-ვ-ურ** (< რანდაური. სხალთეთრი).

ზ. ქლასკურში არის მიკროტოპონიმი **ლუკავი** (< *ლუკავრი < ლუკაური). ქლასკურშივე ინფორმატორმა ჩაგვაწერინა **ლეღვათვი-რი**, ჩავითხვის შემდეგ დააზუსტა – **ლეღვათური**.

-ურ უნდა გამოიყოს საგეოგრაფიო სახელში **აზნა-ურ**'ი (მელო).

კლარჯეთის ტოპონიმიში **-ურ** სუფიქსის გვერდით იხმარება მისი ფონეტიკური ვარიანტი **-ულ**:

ნარნიკა-ულ’ი||**წარნიკა-ულ**’ი (კარჩხალა), **ზარათე-ულ**’ა (ჭი-დილა. შდრ. ბარეთელთა), **დახატ-ულ**’ა, **კორუჯ-ულ**’ა (ერეგუნა), **ძანც-ულ**’ი||**ზანც-ულ**’ი (მურღული. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Дзансуль – **ძანს-ულ**’ი. ც:ს მონაცვლეობით), **მურღ-ულ**’ი, **ჭერ-ულ**’ი (კორიდეთი), **ჭერ-ულ**’ი (ისკები), **ჩაკიდ-ულ**’ი (კორიდეთი), **არნა-ულ**’ი (ენი რაბათი), **გურიტა-ულ**’ი (კატრევანი. შდრ. **გვრიტა, გვრიტიშვილი**), **კორზ-ულ**’ი (< ***კორმული**. ართვინის ჭოროხისპირა უბანი. სოლნ. 9), **ორთ-ულ**’ი (ამბობენ – ორთისსაც. სოფ. კლარჯეთის მხარესაა. შდრ. ოლთისი), **დაჭერ-ულ**’ი (ანჩა), **პეტრ-ულ**’ი (მარ-მაწმინდა), **კორს-ულ**’ი (ზ. ქლასკური), **ჯანს-ულ**’ი (ისკები).

რამდენიმე **-ულ** სუფიქსიანი ტოპონიმი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“:

Бешаули – **ბეშა-ულ**’ი (ართვინი), Буюрульть – **ბუიურ-ულ**’თი (ართვინი), Буюрульть – **ბუიურ-ულ**’თი (მთ. ართვინი), Хараула – **ხარა-ულ**’ა (ართვინი) (Пагирев, 1913).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში **-ურ** (||**-ულ**) სუფიქსი წარმომავლობის სახელების მაწარმოებლად არის მიჩნეული (ა. შანიძე), **-ურ** (||**-ულ**) სუფიქსი **რა** კატეგორიის სახელებს აწარმოებსო, აზუსტებს არნ. ჩიქობავა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რა დატვირთვა აქვს აღნიშნულ სუფიქსს ტოპონიმებში, ამჯერად კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელებში. ვფიქრობთ, გეოგრაფიულ სახელებში **-ურ** (||**-ულ**) აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილს, ანდაც კონკრეტული პიროვნების კუთვნილს. სხვაგვარად, წარმომავლობის სახელი ქცეულა ტოპონიმად და აღნიშნავს კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის კუთვნილებას.

ა. გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილებას:

ასმა-ურ’ი – **ასმა** გეოგრაფიული პუნქტი უნდა უყოს. **ასმაური** შეიძლება იყოს როგორც ნივთი (ასმაური ყველი, ასმაური ვაშლი...), ისე ადამიანი – ქალი, კაცი, რძალი (ასმაური ნენეა, ასმაური მუშა...).

ბუჯ-ურ’ი (< ***ბუჯა-ურ**’ი), **ბუჯა** ადგილის სახელია, **ბუჯური** **ბუჯადან** მოსულის კუთვნილს აღნიშნავს.

გუნათ-ურ’ი (< ***გუნათლ-ურ**’ი **ლ**’ს დაკარგვით) – **გუნათლე** ადგილის სახელია. **გუნათური** გეოგრაფიული სახელია, **გუნათლედან** მოსულის კუთვნილს აღნიშნავს.

ჭერ-ულ’ი – ჭერი გეოგრაფიული პუნქტი ჩანს, აქედან მოსულის კუთვნილია **ჭერული**.

კორზ-ულ’ი//**კორძ-ულ**’ი – **კორზი**//**კორძი**’დან მოსულის კუთვნილი მიწაა **კორძული**.

ხობლა-ურ’ი (შდრ.: **ხობლევი** – სოფ. შავშეთში).

ხობლა-ურ’ი ხობლეველის მიწაა ართვინში.

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **კილდისურიც**. **კილდისი** გეოგრაფიული პუნქტი ჩანს; **კილდისური** – **კილდისიდან** მოსულის კუთვნილია.

დასახელებულ მაგალითებში წარმომავლობის სახელები ტოპონიმებად ქცეულა, კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილების აღსანიშნავად.

ბ. უფრო მეტია გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც ფუძედ პიროვნების სახელი/მეტსახელი უდევს და აღნიშნავს კონკრეტული პირის კუთვნილებას:

შუღვათური დაიშლება: **შუღვა-თ-ურ**’ი (< ***შუღვა-ეთ-ურ**’ი).

შუღვა < ***შულვა** (შდრ. გვარი შულვამე – შავშეთში).

შუღვათური შუღვაეთელის კუთვნილია ახალ საცხოვრისში.

ჩაკი-თ-ურ’ი – **ჩაკი** პიროვნების სახელი უნდა იყოს, **ჩაკითი** (< ***ჩაკიეთი**) გეოგრაფიული პუნქტი.

ჩაკითური ჩაკიეთიდან მოსულის კუთვნილის აღმნიშვნელია.

ჯანათური დაიშლება: **ჯანა-თ-ურ**’ი (< ***ჯანა-ეთ-ურ**’ი).

ჯანა საკუთარი სახელი ჩანს (დაცულია გვარებში: ჯანამე (მაისურამე, 1990), ჯანაშვილი...).

ჯანათური ჯანას კუთვნილს აღნიშნავს.

კუფატაური < ***კუპატაური** აღნიშნავს **კუპატას** კუთვნილს (**კუპატა** ანთროპონიმი, დაცული გვარში – **კუპატამე**).

ზაქური დაიშლება: **ზაქ-ურ**’ი. **ზაქი** ანთროპონიმი ჩანს. შდრ.

ზაქი-ეთ’ი, სოფელი შავშეთში.

ზაქური < ***ზაქიური ზაქის** კუთვნილია.

ბისკინათური დაიშლება სეგმენტებად: **ბისკინა-თ-ურ**’ი (< ***ბისკინა-ეთ-ურ**’ი). **ბისკინა** კაცის სახელი ან მეტსახელია.

ბისკინათური ბისკინას კუთვნილის აღმნიშვნელია.

კამკასური დაიშლება შემდეგ ელემენტებად: **კამკას-ურ**'ი (< ***კავკას-ურ**'ი მ:ვ მონაცვლეობით). **კავკასი** ანთროპონიმი, დაცულია გვარში კავკასისძე (ტაო. ქ.ცხ. 1: 4; ქ.ცხ. IV:28).

შეენიშნავთ: შავშეთში დასტურდება ტოპონიმი **კავკასორი** (<*კავკასური).

კამკას-ურ'ი (< ***კავკას-ურ**'ი) **კავკასის** კუთვნილის აღმნიშვნელია.

ხახური||**ხახული** დაიშლება: **ხახ-ურ**'ი (||**ხახ-ულ**'ი). **ხახი** ადამიანის საკუთარი სახელი ან მეტსახელია, შდრ. ხახიაშვილი, ხახიძე (მაისურაძე, 1990:228).

ხახური||**ხახული ხახის** კუთვნილია.

ოსანათური დაიშლება სეგმენტებად: **ოსანა-თ-ურ**'ი (< *ოსანა-ეთ-ურ'ი). **ოსანა** მამაკაცის სახელია, შენახულია გვარში **ოსანაძე**.

ოსანათური **ოსანას** კუთვნილია.

აჭირონული – მიწა, რომელიც **არონს** ეკუთვნის.

ბურღაური დაიშლება: **ბურღა-ურ**'ი (< ***ბუღა-ურ**'ი). **ბუღა** საკუთარი სახელი // მეტსახელი ჩანს (შდრ. **ბუღაძე**).

ბურღა-ურ'ი (< ***ბუღა-ურ**'ი) – **ბუღას** კუთვნილია.

ბოღაური ფონეტიკურად სახეცვლილი **ბუღაური** უნდა იყოს.

ნანაური დაიშლება: **ნანა-ურ**'ი. **ნანა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში **ნანაძე**, **ნანეიშვილი**... (მაისურაძე, 1990:122).

ნანაური **ნანას** კუთვნილი მიწაა.

მინაური სეგმენტაციით შემდეგ ნაწილებად დაიშლება: **მინა-ურ**'ი. **მინა** მამაკაცის სახელი ჩანს. შდრ. მინაშვილი, მინაძე.

მინაური **მინას** საცხოვრისია.

ხუცური დაიშლება: **ხუც-ურ**'ი; **ხუცა** – საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში **ხუცაძე**, **ხუციშვილი**... (იხ. მაისურაძე, 1990:236).

ხუცური – **ხუცას** კუთვნილია.

ასანათური დაიშლება სეგმენტებად: **ასანა-თ-ურ**'ი (<*ასანა-ეთ-ურ'ი). **ასანა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარში **ასანიძე**.

ასანათური **ასანას** კუთვნილი მიწაა.

შუღვათური დაიშლება: **შუღვა-თ-ურ**'ი (< ***შუღვა-ეთ-ურ**'ი). **შუღვა** საკუთარი სახელი თუ მეტსახელი ჩანს.

შუღვათური **შუღვას** კუთვნილი მამულია.

ლეღვათური დაიშლება სეგმენტებად: ლეღვა-თ-ურ'ი (<*ლეღ-ვა-ეთ-ურ'ი. **ლეღვა** მეტსახელი უნდა იყოს კაცისა.

ლეღვას კუთვნილი მიწაა **ლეღვათური**.

ქებაური სეგმენტაციით დაიყოფა: **ქება-ურ'ი**. **ქება** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ქებაძე**.

ქებაურია ის, რაც **ქებასია**.

ქედელაური (< *კედელაური) დაიშლება: **ქედელ-ა-ურ'ი** (<***კედელ-ა-ურ'ი**). **ქედელა**, **კედელა** საკუთარი სახელი ჩანს.

ქედელაური ქედელას კუთვნილია.

სინდაური დაიშლება: **სინდა-ურ'ი**. **სინდა** // **სინდი** საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია ტოპონიმში **სინდიეთი** (მაჭახელი).

სინდაური სინდას კუთვნილი ყანაა.

კვინტაური სეგმენტირდება: **კვინტ[რ]ა-ურ'ი**. **კვინტრა** ან-თროპონიმი, შდრ. გვარი **კვინტრაძე**.

კვინტაური (< *კვინტრაური) **კვინტ[რ]ა**'ს საკუთრებაა.

ჩიტაური დაიშლება: **ჩიტა-ურ'ი**. **ჩიტა** კაცის სახელი/მეტსახელია. შდრ. გვარები **ჩიტაძე**, **ჩიტიშვილი**... (იხ. მაისურაძე, 1990).

ჩიტაური ჩიტას კუთვნილია.

გეოგრაფიულ სახელთა ერთ ჯგუფში სუფიქსისეული **უ ვ**'დ ქცეულა:

საზაგრი < ***საზაური** დაიშლება: **საზა-ურ'ი**.

საზაური საზას კუთვნილს აღნიშნავს.

ძალღავრი < ***ძალღაური** შედგება: **ძალღა-ურ'ი**. **ძალღა** მეტსახელი უნდა იყოს კაცისა.

ჭიღავრი < ***ჭიღაური** დაიშლება: **ჭიღა-ურ'ი**. **ჭიღა** მამაკაცის სახელია, დაცულია გვარებში **ჭიღაძე**, **ჭიღაშვილი**, **ჭიღაია**... ტოპონიმში **ჭიღათი** (ტაო).

ჭიღავრი < ***ჭიღაური ჭიღას** კუთვნილია.

აბედევრა < ***აბედეურა** დაიშლება: **აბედე-ურ'ა**. **აბედა** კაცის სახელი ან მეტსახელია.

აბედეურა აბედას კუთვნილია.

ქებაგრი < ***ქებაური** სეგმენტაციას გვაძლევს: **ქება-ურ'ი**. **ქება** მამაკაცის სახელია, დაცულია გვარში **ქებაძე** (გვხვდება შავშეთში, ადასტურებს ი. მაისურაძეც (იხ. მაისურაძე, 1990: 172).

ქებაგრი < ***ქებაური ქებას** მამულია.

წიქვავრი < ***წიქვაური** დაიშლება: **წიქვა-ურ**’ი. **წიქვა/წიქა** მაკაცის სახელი უნდა იყოს, დაცულია გვარში **წიქვაძე**.

საკუთარ სახელს **წიქა** ადასტურებს სერგი მაკალათია ხევსურეთში (იხ. მაკალათია, 1935).

წიქვას კუთვნილია **წიქვავრი** < ***წიქვაური**.

კვესავრი < ***კვესაური** დაიშლება: **კვეს-ა-ურ**’ი. **კვესი**, **კვესია** საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში **კვესაძე** (იხ. მასურაძე, 1990: 87).

კვესის, **კვესიას** კუთვნილებას აღნიშნავს **კვესავრი** < ***კვესაური**.

ზახტივრი < ***ზახტიურ**’ი (//ზახტური) დაიშლება: **ზახტი-ურ**’ი. **ზახტა**’ს// **ზახტი**’ი საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ზახტაძე**.

ზახტივრი < ***ზახტიურ**’ი//**ზახტური** **ზახტას** საკუთრებაა.

გორგავლი < ***გორგაული** დაიშლება: **გორგა-ულ**’ი. **გორგა** (< გიორგა <გიორგი) **გიორგის** დიალექტური ფორმაა. დაცულია გვარში **გორგაძე**. **გორგავლი** < ***გორგაული** **გორგას** კუთვნილი მიწის სახელია.

ბლეელი (< ***ბლეული** < **ბაღეული**’ი) დაიშლება: **ბლე-ულ**’ი < **ბაღე-ულ**’ი. **ბალა**’ გავრცელებული სახელი ჩანს სამხრეთ საქართველოში.

ბლეელი (< ***ბლეული** < **ბაღეული**’ი) **ბალა**’ს მიწის სახელია.

კატამეელი (< ***კატამეული** < ***ქათამეული** **კ** : **ქ** : **ტ** : **თ** მონაცვლეობით). **ქათამა**, **ქათამი** ანთროპონიმი ჩანს, შენახულია გვარებში **ქათამაძე**, **ქათამიძე**.

კატამეელი **ქათამას** საკუთრებაა.

ბარათეულა დაიყოფა: **ბარათ-ე-ულ**’ა (< ***ბარეთ-ელ-ულ**’ა).

ბარათეულა **ბარათელის** მიწაა ჭედილაში.

გურიტაული დაიშლება: **გურიტა-ულ**’ი (> **გვრიტა-ულ**’ი). **გურიტი** გვხვდება ძველ ქართულში: „მიცემად შესაწირავი... ორნი **გურიტნი** ანუ ორნი მართუენი ტრედისანი“ ლ.2.24 (აბულაძე, 1973). **გურიტ**’ი ახალ ქართულში ფონეტიკურ ნიადაგზე (უ > ვ) გვაძლევს **გვრიტ**’ს. **გვრიტა** ქალის სახელი ჩანს (ლლონტი, 1967), დაცულია გვარებში **გვრიტაძე**//**გვრიტიძე**, **გვრიტიშვილი**.

გურიტაული **გვრიტას** კუთვნილი მიწაა კატრევანში (ართვინი).

კორძული დაიყოფება: **კორძ-ულ**'ი. **კორძი//კორძა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში: კორძამე, კორძაია.

კორძული კორძას კუთვნილია.

პეტრული დაიყოფა: **პეტრ-ულ**'ი (< *პეტრე-ულ'ი).

პეტრული პეტრეს კუთვნილი მიწაა.

ხარაული დანაწევრდება: **ხარა-ულ**'ი. **ხარა**' მამაკაცის სახელი ან მეტსახელია, დაცულია გვარებში **ხარამე, ხარაიშვილი**.

ხარაული ხარას მამულია ართვინში.

ყურადღებას იქცევს **სხალთეთრში** (< *წყალთეთრში) ჩაწერილი ორი ტოპონიმი: **კოშავალური** და **ღონტივალური**. ორივე სახელში გამოიყოფა **-ურ** სუფიქსი, უცხოდ გვეჩვენება **კოშავალი** და **ღონტივალი**. იქნებ მეტსახელებია კაცისა?

ასევე საინტერესო ჩანს ტოპონიმი **ლუკავი**, რომელიც გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს: **ლუკა-ვ**'ი < **ლუკა-ვრ**'ი < **ლუკა-ურ**'ი.

ლუკას კუთვნილი მიწის სახელია **ლუკავრი**.

ერთი ტოპონიმი შეგვხვდა, რომელიც რომელიმე ერთი პირის კუთვნილებას კი არ აღნიშნავს, არამედ საწილო მიწას. ასეთად მივიჩნიეთ **ჯილაური** (მაილა კლარჯეთში).

ჯილაურ'ი ასე დაიშლება: **ჯილა-ურ**'ი.

ჯილა თანამედროვე კლარჯულში არ შეგვხვედრია. ჩანს, წინათ იხმარებოდა (იქნებ ახლაც იციან მისი მნიშვნელობა თანამედროვე კლარჯებმა და ჩვენ ვერ დავადასტურეთ?). **ჯილა** გვხვდება ქართულ დიალექტებში და ნიშნავს **წილი** (ღლონტი, 1984), აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგრამ ახლა იგი ჩვენთვის არაა საინტერესო.

ჯილა საწილოს უნდა ნიშნავდეს ჩვენს ტოპონიმშიც. მაილაც ხომ საწილოა და არა ერთის საკუთრება?

საყურადღებო ინფორმაცია შეუნახავთ **-ურ//ულ** სუფიქსიან ტოპონიმებს:

ა. წარმომავლობის სახელები ქვეულა გეოგრაფიულ სახელად და აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან (სოფლიდან, კუთხიდან) მოსულის საკუთრებას.

ბ. **-ურ//ულ** დაერთვის საკუთარ სახელებს/მეტსახელებს და აღნიშნავს კონკრეტული პირის კუთვნილ მიწას.

გ. გეოგრაფიულ სახელებს დროთა განმავლობაში განუცდიათ ფონეტიკური ცვლილება, რაც ექვემდებარება სამხრული მეტყველების კანონზომიერებებს.

დ. მნიშვნელოვანია, რომ გეოგრაფიულ სახელში დაცულა ან-თროპონიმები, რომელნიც დღეს უცხოა კლარჯულისათვის და ასახავს კლარჯეთის ძველ, ოსმალობამდელ ვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Пагирев 1913 – Д. Д. Пагиревъ, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказскаго края, издания Кавказскаго Военно-типографическаго Отдела... Тифлисъ.

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

ზურაბიშვილი 1961 – თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის. ქესს, II, თბილისი.

მაისურაძე 1990 – ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები. გამომცემლობა „საქინფორმინო“, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, (ლექსიკა) ბათუმი.

სოლნ. 1912 – Н. Солнишкин, Артвин и Артвинский Округ, Тифлис.

ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2022 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი, ბათუმი.

ქ. ცხ. I, 1955 – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ქ. ცხ. IV, 1973 – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ბილისი.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ღლონტი 1967 – ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1973 – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჩიქობავა 2013 – არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, შრომები, VII, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბუკი ქირია

ფუძეკვეცადი სახელები ქართულსა და მეგრულ-ლაზურში¹

„შეკვეცა (აპოკოპე) ჰქვია, როცა ხმოვანს ბოლო ადგილი უჭირავს ფუძეში და იგი მომდევნო სუფიქსის დართვის გამო ამოდებული იქნება; მაგ., ღვინო: ღვინ-ისა, სა-ღვინ-ე; დედა: დედ-ისა, დედები და მისთ.“ [შანიძე, 1980, 28].

როდის ხდება კვეცა?

„ბოლოკვეცილი სახელები ფუძის უკანასკნელ ბგერად ორ ხმოვანს გვიჩვენებს: **ა**-სა და **ე**-ს, რომლებიც ხმოვნით დაწყებულ სუფიქსებს უშუალოდ ხვდებიან და იკვეცებიან. კვეცა ხდება მხ. რიცხვის ორ ბრუნვაში: ნათ.-სა და მოქ.-ში და **ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. მხ. რიცხვის ორი დასახელებული ბრუნვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ა** მოუღის ფუძეს ბოლოში თუ **ე**; **ებ**-იანი მრავლობითის წარმოებისათვის კი ამას მნიშვნელობა აქვს: თუმცა აქ ორივე ხმოვნით გათავებული ფუძეები თანხმოვნიან

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „მეგრულ-ლაზურის პრაქტიკული გრამატიკა“ – ფარგლებში.

სახელთა ჯგუფში გადადის, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ **ა** იკვეცება, **ე** კი – არა“ [შანიძე, 1980, 61].

კვეცა (ისევე როგორც კუმშვა) არ არის ავტომატური პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში როდი რედუცირდება ფუძის ბოლოკიდური **ა** და **ე**.

მინც რა ტიპის სახელებთან ხდება კვეცა?

„არსებითებში ბოლო ეკვეცება: საზოგადოთაგან თითქმის ყველას, საკუთართაგან კი – გეოგრაფიულებს და ისეთ გვაროვნულ სახელებს („გვარებს“), რომელთაც ბოლოს **-ძე** აქვთ, ან რომლებიც წარმოშობით საზოგადო სახელებია. ბოლო ეკვეცება აგრეთვე აბსტრაქტულ სახელებს... საზოგადო სახელებში არ მოიპოვება ფუძე, რომ უკვეცელი **ე** ჰქონდეს. მხოლოდ პირის სახელებია, რომლებიც **ე**-ს არ იკვეცენ, ესენია ადამიანთა სახელები და მათთან გათანასწოებული უცხო წარმოშობის გვარები: ალექსანდრე, კირილე, კოტე, პავლე, პეტრე; ელენე, მაკრინე; ბერანჟე, ბროსე, გოეთე, ლავუაზიე, ჰაინე და სხვ. **ა** ფუძიანი საზოგადო სახელებიც აგრეთვე თითქმის ყველა იკვეცება, გამონაკლისს წარმოადგენს ის სახელები, სადაც **ა** მაწარმოებელია: დედოფალ**ა**, ცისარტყელ**ა**, წითელ**ა** (ავადმყოფობა), ნიბლი**ა**ს ბუდე (რაზიკ.), მაგრამ შეკვეცილია **ა**: ნიბლიები... საკუთარ სახელთაგან **პ ი რ ი ს** სახელები ყველა უკვეცელია: ელგუჯ**ა**, შოთ**ა**, ლუკ**ა**, უჩ**ა**, მართ**ა** და სხვ. **ია**, **უა** და **ავა**-ზე გათავებული ქართული გვარები (ქირია, ლორია, ჯიქია, გაგუა, სტურუა, ჯაბუა, გუგუნავა, ქოიავა, ხაინდრავა და სხვ.) მხოლობითში არ იკვეცენ ბოლოკიდურს (ლორიას ქალი, გუგუნავას პოემა), მაგრამ მრავლობითში იკვეცენ: ლორიები, გუგუნავები“ [შანიძე, 1980, 61-66].

ასეთია კვეცის შესახებ არსებული ძირითადი დებულებები სალიტერატურო ქართულისთვის.

აქედან (და, საერთოდ, სათანადო მასალიდან) გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: სახელს რომ ფუძეკვეცადის სტატუსი ჰქონდეს, ამისთვის არ არის აუცილებელი, რომ ის ყველა ბრუნვაში კარგავდეს ბოლო ხმოვანს:

ფუძეკვეცადია სახელი, რომლის ფუძის ბოლო ხმოვანი მოიკვეცება პარადიგმის მიწიწმუმ რომელიმე ერთ სეგმენტში.

ქართულში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქციის სამი შემთხვევა და, შესაბამისად, კვეცადობის თვალსაზრისით სამი ტიპის ფუძე შეიძლება გამოვყოთ:

1. **მიწა – მიწ-ის/მიწ-ით – მიწ-ებ-** ტიპი: კვეცა ხდება მხოლოდ ბითის **ორ ბრუნვასა და მრავლობითის ყველა ბრუნვაში**;

2. **დღე – დღ-ის/დღ-ით** ტიპი: **მხოლოდ მხოლობითის ორ ბრუნვაში** ხდება კვეცა;

3. **გოგონა – გოგონ-ებ- / პაპარაცი – პაპარაც-ებ-** ტიპი: კვეცა არ ხდება მხოლობითში, ხდება **მრავლობითის ყველა ბრუნვაში**.

აქედან გამომდინარე, სალიტერატურო ქართულში **ფუძეკვეცადების კლასში უნდა გადაინაცვლოს ფუძეუკვეცელებად კვალიფიცირებულმა ფორმებმა**, სადაც ბოლოკიდური **ა** სიტყვამაწარმოებელია ან გვარსახელის დაბოლოება, ასევე **ო-ფუძიანებმა** საზოგადო და საკუთარმა სახელებმა, რომელთაც მრავლობითში ეკვეცებათ ეს **ო**.

როგორია ვითარება მეგრულ-ლაზურში?

„ბრუნების პროცესის მხრივ მეგრულს გარდამავალი მდგომარეობა ახასიათებს: **ფუძის აქტიურობა, საერთოდ, მეტია, ვინემ ქართულში**, მაგრამ **იმ ზომისა არ არის, როგორც ჭანურში**, სახელდობრ: ფუძისეული ხმოვანი **დაბოლოების** ზეგავლენით არ იკარგება; ქართულისეული შეკუმშვა და შეკვეცა მეგრულმა არ იცის; შდრ. ქართ.: **ქათმის, ქათმით, ქათმად** – მეგრ.: **ქოთომიშ(ი), ქოთომით(ი), ქოთომო;** ქართ.: **ძმის, ძმით** – მეგრ. **ჯიმაშ(ი), ჯიმათ(ი)...** ამაში მეგრული მიჰყვება ჭანურს და შორდება ქართულს“, – წერს არნოლდ ჩიქობავა [იხ. ჩიქობავა, 1936, 59].

„ზუსტად ქართულისეური“ კვეცა მეგრულშიც შეგვიძლია დავადასტუროთ – სახელების ერთ ჯგუფს ხომ **მრავლობითში** ყველა ბრუნვაში მოკვეცილი აქვს ფუძის **ა** დაბოლოება: „მრავლობითის მაწარმოებელ **-ეფ** სუფიქსის ზეგავლენით იკვეცება ფუძისეული **ა: ბირცხა – ბირცხ-ეფ-ი; ბიგა (ჯოხი) – ბიგ-ეფ-ი...**“ [ჩიქობავა, 1936, 59]).

და ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული სათანადო მასალის მიხედვით წარმოდგენილი კლასიფიკაციიდან რიგით მესამე (**გოგონა – გოგონ-ებ-**) მოდელის ზუსტი ანალოგი.

ცხადია, აქვე იქნება **ა**-ფუძიანი გვარსახელები, – **არა მხოლოდ მეგრული:**

მარშანია – მარშანი-ეფ-, უკლება – უკლებ-ეფ-, ქეცბა – ქეცბ-ეფ-, კუჩმა – კუჩმ-ეფ-, ალიევა – ალიეფ-ეფ-, ოლიევირა – ოლიევირ-ეფ...

რაც შეეხება **ე**-ფუძიან სახელებს:

არნ. ჩიქობავას შეფასებით, „**ა**-ს მსგავსად იკვეცება ფუძისეული **ე**-ც: **მაყარე – მაყარ-ეფ-ი; მოზირე (მომღერალი) – მოზირ-ეფ-ი...**“ [ჩიქობავა, 1936, 59].

ეს უკვე სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ვითარებაა: ამ ტიპის კვეცა ქართულში ნამდვილად არ დასტურდება.

თუმცა იზადება კითხვა:

რამდენად შეიძლება ამ შემთხვევაში ბგერათშერწყმის გამო-რიცხვა? ანუ, ის, რომ **მაყარე – მაყარ-ე-ეფ-ი > მაყარ-ეფ-ი/მაყარ-ე-ი** ჩავთვალოთ **საათი > სათი, პაატა > პატა...** რიგის ტრანსფორმაციად: თუ ეს ასეა, მაშინ **მაყარ-ე-ეფ-ი** ფორმაში გამოვლენილი **ე** (< **ე + ე**) საზიარო იქნება, ერთი მხრივ, ფუძის, ხოლო მეორე მხრივ, მრავლობითის სუფიქსისთვის, რაც, რა თქმა უნდა, ობიექტურად ართულებს სეგმენტაციას.

არის კიდევ ერთი ახსნა: ფუძის ხმოვნის გავლენით დაიკარგა მრავლობითის ხმოვანი კომპონენტი, – ისე როგორც ეს ხდება ლაზურში (ხე – ხე-ფე... კატუ – კატუ-ფე...).

ვფიქრობთ, სწორედ მესამე ახსნა უნდა იყოს უფრო მართებული. ამ შემთხვევაში, **ე**-ფუძიანები მეგრულში ფუძეუკვეცელებად უნდა ჩავთვალოთ.

ეს დაშვება ნაკლებად წინააღმდეგობრივი იქნება იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც აღინიშნა, „მეგრულში **ფუძის აქტიურობა, საერთოდ, მეტია, ვინემ ქართულში**“ (ჩიქობავა).

საინტერესოა, რომ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ეფ** სუფიქსის „ზოგჯერ ავიწროებს **ო**-ს **უ**-დ. მაგ.: კოტო – კოტუ-ეფ-ი ქოთან – ქოთნები; ეზო – ეზუ-ეფ-ი ეზო – ეზოები...“ [ქაჯაია, 2001, 34; იხ. ასევე ჩიქობავა 1936, 47)]¹.

¹ ქართული ენის დიალექტებში მრავლობითის სუფიქსის ანალოგიური გავლენა ჩანს ფუძის ბოლოკიდურ **ო**-ზე ამგვარ შემთხვევებში: გოგო-ებ-ი > გოგუ-ებ-ი...

კოტუეფი (< **კოტოეფი** „ქოთნები“), **ბორუეფი** (< **ბოროეფი** „სულელები“) კვეცის (resp. ნაწილობრივი რედუქციის) ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, – ისევე როგორც **ნიერ-ის** (< **ნიორ-ის**) ითვლება კუმშვის ნიმუშად: არსებითად, **კუმშვა** და **კვეცა** ხომ ერთი და იგივე მოვლენაა, ორივე გულისხმობს ხმოვნის ნაწილობრივ ან სრულ რედუქციას; კვეცის შემთხვევაში რედუცირდება ფუძის ბოლო ხმოვანი, ხოლო კუმშვისას რედუცირებული ხმოვანი ფუძის ბოლოკიდული არ არის, – სულ ეს არის განსხვავება¹.

ამდენად, თუ ყველაფერს მოვუყრით თავს, შეიძლება ითქვას, რომ მეგრული **ფუძეკვეცადი სახელების** კლასში შედის:

1. ა-ფუძიანი გვარსახელები:

ა) კანკია, ბესელია, ბაბუხადია... *შდრ.* მრ. რ.: კანკი-ეფ-, ბესელი-ეფ-, ბაბუხადი-ეფ-...

ბ) კანკავა, ჯოზავა, კვესელავა... *შდრ.* მრ. რ.: კანკავ-ეფ-, ჯობავ-ეფ-, კვესელავ-ეფ-...

გ) გვათუა, გოთუა, ხუჭუა... *შდრ.* მრ. რ.: გვათუ-ეფ-, გოთუ-ეფ-, ხუჭუ-ეფ-...

დ) უკლება, ბურძგლა, ინგოროყვა... *შდრ.* უკლებ-ეფ-, ბურძგლ-ეფ-, ინგოროყვ-ეფ-...

ე) ალიევა, ივანოვა, კუჩმა... *შდრ.*: ალიევ-ეფ-, ივანოვ-ეფ-, კუჩმ-ეფ-...

2. ა-ფუძიანი დერიატები:

ყუჯა („ყურა“), გურმეჭვია („გულწითელა“), მაბოშია „ძალიან ახალგაზრდა ბიჭი, მოზარდი, რომელიც უკვე ბიჭობს“), ოსურია („ქალაჩუნა კაცი“)... *შდრ.*: ყუჯ-ეფ-, გურმეჭვი-ეფ-, მაბოში-ეფ-, ოსური-ეფ-...

3. ი-ფუძიანი სახელები:

საზოგადო:

ა) პაპარაცი, ტაქსი, ხიპი... *შდრ.*: პაპარაც-ეფ-, ტაქს-ეფ-, ხიპ-ეფ-...

ბ) გვარსახელები:

¹ რედუქციის მიზეზი შეიძლება იყოს დერიაციული აფიქსიც (როგორც ქართულში): **ონჯღორე** „სირცხვილი“ > **ონჯღორ-იან-ი** („სირცხვილიანი“): **ონჯღორიან** რინას ურინუობა (ვარდენ) უჯგუნია (ქაჯაია, 439) „სირცხვილიან ყოფნას არ ყოფნა (რომ არ იყო) სჯობაო“. **სინთელე** („სიმრთელე“) > **სინთელ-უან-ი...**

პავროტი, გარიბალდი, სპალეტი... პავროტ-ეფ-, გარიბალდ-
ეფ-, სპალეტი-ეფ-...

4. ო-ფუძიანი საზოგადო სახელები:

ოქრო, ბორო ... შდრ.: ოქრუ-ეფ- ბორუ-ეფ-...

რაც შეეხება ლაზურს:

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ლაზურში დღეს
თანხმოვანფუძიანი სახელი არა გვაქვს, სახელობითის ისტორიული
ო სუფიქსი ფუძეშია გადასული, ფუძის ნაწილია.

მხოლოებითი რიცხვის პარადიგმაში ეს **ო** ყველგან დასტურდებ-
ა.

„ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ **კოჩი** („კაცი“) სახელის პა-
რადიგმას ლაზურში ასეთი სახე აქვს: **კოჩი, კოჩი-ქ, კოჩი-ს, კოჩი-
შ(ი), კოჩი-შა, კოჩი-შე(ნ), კოჩი-თე(ნ)** [ჩიქობავა, 1936, 45].

ლაზურში **ო-ზე** დაბოლოებულ სახელებთან დაკავშირებით
არნ. ჩიქობავა წერს: „სახელობითის **ო**, როგორც ვიცით, გადაჰყვება
სახელს მხოლოებითის ყველა ბრუნვაში, მაგრამ მოეკვეცება მრავლო-
ბითის **-ეფ** სუფიქსის დართვისას“ [ჩიქობავა, 1936, 62].

შეგნიშნავთ, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა **ფუძის კვეცა**.

„ყველა ბრუნვაში გადასული“/„ფუძესთან შეხორცებუ-
ლი“/ფუძეს „შემტკიცული“ **ო** აღარ არის მორფოლოგიური ფუნქციის
მქონე, ის ფუძის ორგანულ ნაწილადაა ქცეული; თუკი ასეთი **ო**
მრავლობითის პარადიგმაში გაუჩინარებულია, მარტივი ლოგიკით
ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ, როგორც კვეცის კლასიკური შემთხვე-
ვა: ანუ, გვეჩინა ორი ფუძე – სრული (**კოჩი**) და ხმოვანმოკვეცილი
(**კოჩ**).

მანც ვერ მივანიჭებთ ამ შემთხვევას კვეცის კვალიფიკაციას,
– იმის გამო, რომ ჩვენი აზრით, ეს არის თანხმოვანფუძიანი სახელი
როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში¹. ასე რომ, კვეცის საკითხი, აქე-
დან გამომდინარე, ავტომატურად მოიხსნა.

ლაზურში, ისევე როგორც მეგრულში, ისევე როგორც ქარ-
თულში, დასტურდება **ო-ფუძიანი** სახელებიც (დუგუნჯი „მექორწი-
ლე“ – დუგუნჯი-ფ-ე...).

¹ ამასთან (საერთოდ, სახელის ფუძესთან) დაკავშირებით უფრო ვრცლად სხვა
ნაშრომში გვექნება მსჯელობა.

ამ შემთხვევაში ეს **o** მრავლობითში არ იკვეცება, პირიქით: როგორც ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, იწვევს **-ეფ** სუქსის **ე-ს** და-პარგვას (ჩიქობავა, 1936, 62).

ვფიქრობთ, სეგმენტაციის საკითხი კიდევ ერთხელ ჩანს აქტუალური, – **ე-ფუძიან** სახელებთან:

თუ ლაზურ-მეგრული **ე-ფუძიანი** (**ე-ზე** დაბოლოებული) სახელის პარადიგმაში წარმოდგენილ **სეგმენტაციას** სარწმუნოდ მივიჩნევთ და დავეყრდნობით, ამგვარი სახელები ფუძეკვეცადად უნდა მივიჩნიოთ ლაზურშიც და მეგრულშიც¹, რადგან მხოლოდითისა და მრავლობითის ფორმათა მარტივი შეპირისპირებით გამოდის, რომ აქაც ორი ფუძე გვაქვს: ლაზური **კუჩხე** და **კუჩხ-**, მეგრული **მაყარე** და **მაყარ-**.

ლაზ.

მეგრ.

სახ.	კუჩხე (ფეხი)	კუჩხ-ეფ-ე	მაყარე (მაყარი) მაყარ-ეფ-ო
მოთხრ.	კუჩხე-ქ	კუჩხ-ეფ-ე-ქ	მაყარე-ქ მაყარ-ენ-ქ
მიც.	კუჩხე-ს	კუჩხ-ეფ-ე-ს	მაყარე-ს მაყარ-ენ-ს
ნათ.	კუჩხე-შ(ი)	კუჩხ-ეფ-ე-შ(ი)	მაყარე-შე(ნ) ² მაყარ-ეფ-იშ(ი)
მიმართ.	კუჩხე-შა	კუჩხ-ეფ-ე-შა	მაყარე-შა მაყარ-ეფ-იშა
დაშორ.	კუჩხე-შე(ნ)	კუჩხ-ეფ-ე-შე(ნ)	მაყარე-შე მაყარ-ეფ-იშ-ე
მოქმ.	კუჩხე-თე(ნ)	კუჩხ-ეფ-ე-თე(ნ)	მაყარე-თ(ი) მაყარ-ეფ-ით(ი)
[დანიშნ.]	მაყარე-შო(თ)	მაყარ-ეფ-იშ-ო(თ)	
ვნებ.	ანუ მაყარე-თ	მაყარ-ეფ-ო	
გარდაქც.	[იხ. ჩიქობავა, 1936, 45]		

კუჩხე („ფეხი“ /შდრ. მეგრ. კუჩხი/, **ნოპინწკალე** /„ნაპერწკალი/, **დეკიკე** /თურქ. „წუთი“/)... დღეს **ე-ფუძიანი** სახელებია (თავი გავანებოთ მათ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ წარმომავლობასა და ფუნქციას), ისეთივე, როგორიცაა **მაყარე**. მრავლობითშიც მათ იდენტური წარმოება უჩანთ: **კუჩხ-ეფ-** და **მაყარ-ეფ-** სეგმენტაცია, როგორც აღინიშნა, მათ ფუძეკვეცადობაზე მეტყველებს.

თუმცა, ვფიქრობთ, არც **ე-ფუძიანი** ლაზური სახელებია ფუძეკვეცადები (ისევე, როგორც მეგრული – იხ. ზევით). უბრალოდ, **ა-**,

¹ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს ამ ელემენტის დიაქრონიული ანალიზი, მისი მხოლოდ დღევანდელი სტატუსი და ფუნქცია მნიშვნელოვანი.

² მექანიკური უზუსტობაა: უნდა იყოს **მაყარე-შ(ი)**.

ო-, უ- და **ო-**ფუძიანების პარადიგმას თუ გავითვალისწინებთ, ამ გრამატიკულ კონტექსტში ბუნებრივად ჯდება **ე-**ფუძიანების ფორმაცვალბაც:

სახ. ორძო (სკამი) ორძო-ფ-ე ბუცხა (ფრჩხილი) ბუცხა-ფ-ე

მოთხრ. ორძო-ქ ორძო-ფ-ე-ქ ბუცხა -ქ ბუცხა-ფ-ე-ქ

მიც. ორძო-ს ორძო-ფ-ე-ს ბუცხა -ს ბუცხა-ფ-ე-ს

ნათ. ორძო-შ(ი) ორძო-ფ-ე-შ(ი) ბუცხა-ში ბუცხა-ფ-ე-ში(ი)

მიმართ. ორძო-შა ორძო-ფ-ე-შა ბუცხა -შა ბუცხა-ფ-ე-შა

დაშორ. ორძო-შე(ნ) ორძო-ფ-ე-შე(ნ) ბუცხა -შე ბუცხა-ფ-ე-შე(ნ)

მოქმ. ორძო-თე(ნ) ორძო-ფ-ე-თე(ნ) ბუცხა-თ(ი) ბუცხა-ფ-ე-თე(ნ)

სახ. კატუ (კატა) კატუ-ფ-ე დუგუნჯი (მექორწილე) დუგუნჯი-ფ-ე

მოთხრ. კატუ-ქ კატუ-ფ-ე-ქ დუგუნჯი-ქ დუგუნჯი-ფ-ე-ქ

მიც. კატუ-ს კატუ-ფ-ე-ს დუგუნჯი -ს დუგუნჯი-ფ-ე-ს

ნათ. კატუ-შ(ი) კატუ-ფ-ე-შ(ი) დუგუნჯი-ში დუგუნჯი-ფ-ე-ში(ი)

მიმართ. კატუ-შა კატუ-ფ-ე-შა დუგუნჯი-შა დუგუნჯი-ფ-ე-შა

დაშორ. კატუ-შე(ნ) კატუ-ფ-ე-შე(ნ) დუგუნჯი-შე დუგუნჯი-ფ-ე-შე(ნ)

მოქმ. კატუ-თე(ნ) კატუ-ფ-ე-თე(ნ) დუგუნჯი-თ(ი) დუგუნჯი-ფ-ე-თე(ნ)

ანალოგიური და სისტემურად გამართული იქნება **ე-**ფუძიანების პარადიგმაც ამ სახით:

სახ.	კუჩხე (ფეხი)	კუჩხე-ფ-ე
მოთხრ.	კუჩხე-ქ	კუჩხე-ფ-ე-ქ
მიც.	კუჩხე-ს	კუჩხე-ფ-ე-ს
ნათ.	კუჩხე-შ(ი)	კუჩხე-ფ-ე-შ(ი)
მიმართ.	კუჩხე-შა	კუჩხე-ფ-ე-შა
დაშორ.	კუჩხე-შე(ნ)	კუჩხე-ფ-ე-შე(ნ)
მოქმ.	კუჩხე-თე(ნ)	კუჩხე-ფ-ე-თე(ნ)

შდრ. [ჩიქობავა, 1936, 45]

ლაზური მასალის მიხედვით დასკვნა ასეთი შეიძლება გაკეთდეს: სახელის ფუძე აქ არ იკვეცება, განსხვავებით მეგრულისაგან, განსხვავებით ქართულისაგან.

ამგვარი პოზიციის გასამყარებელ არგუმენტად კიდეც ერთხელ მოვიხმობთ დებულებას იმის შესახებ, რომ „ფუძის აქტიურო-

ბა მაქსიმალურად არის გაზრდილი ჭანურში. არც შეკუმშვა, არც შეკვეცა ჭანურში სახელის ფუძემ არ იცის: არც ფუძის შიგნით, არც ფუძის ბოლოს ბრუნების პროცესში ხმოვანი არ იკარგება“ [ჩიქობავა, 1936, 57]; „ლაზურში სახელის ფუძე ფორმას არ იცვლის – არ გვაქვს არც კუმშვა (ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა-დაკარგვა) და არც კვეცა (ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა)“ [ასათიანი, 2011, 17].

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი 2011– ასათიანი რუსუდან, ლაზურის გრამატიკული კონსპექტი, თბილისი.

ქაჯაია 2001– ქაჯაია ოთარ, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1980 – შანიძე აკაკი, თხზულებანი, III, თბილისი.

ჩიქობავა, 1936 – ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ქ ე თ ე ვ ა ნ ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე

ქართულ წყაროებში შემორჩენილი ქვის ადმნიშვნელი სახელწოდებები და ტოპონიმები

ქვას ჰქონდა როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე რიტუალური დანიშნულება, ზოგიერთი მონოლითური ქვა საკულტო მეგლსაც წარმოადგენდა. ქვის სახელწოდებით ტოპონიმების წარმოშობას ხელს უწყობდა ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, როგორცაა კლდოვანი მასივი, გამოქვაბულები, სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ქვიანი მხარე.

ქართულ **ქვა/ქვა**-ს, შეესატყვისება ზან. **ქვა(ლ)**, სვან. **ქტან** (მ. ჩუხუა 2000-2003, გვ. 258), ეს უკანასკნელი სვანურში ჭიუხს, კლდოვან ადგილს ნიშნავს (ვ. თოფურია, მ. ქალდანი 2000, 1768).

სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს ქვის სხვადასხვა სახელწოდებას, სადაც განსაზღვრულია ქვის ზომა, ფიზიკური თვისება, სიმკვრივე და სხვ.: **ქვიშა**¹, **კენჭი**² („მცირე ქვათაგან(ი)“), **ხინჭკა**³ („კენჭი წყალთა შინაჲ“), **ლორღი**, რომელსაც **ჭოჭყსაც**⁴ ეძახიან, **რიეჲ**⁵ („ქვა-ქვიშა წყლის კიდურისა“), **კაჭარი**⁶ („უწყლო ალაგს რიეის მსგავსი ქვაჲ“), **ლოდი**, **არძანი** („მარილის ქვაჲც არძანად ითქმის), **ბალავარი** („სამირკვლად დასადები კედელთათვის“), **კარკარი** („სალი წელტუ კლდე“), **სალა**⁷ (ქვა ბრტყელი ვაჟთ სამღერელი), **ფიქალი**⁸ („ქვის ფი-

¹ ქვიშას უნდა უკავშირდებოდეს ქართულ წყაროებში მოხსენებული ტოპონიმები „ქვიშეთი“ და „ქვიშილეთ/ქვიშილეთის ციხე“ (ს. ყაუხჩიშვილი 1971, 220, 237, 378, 380, 761).

² შდრ. „კენჭნარი“ გურულ დიალექტზე – „კენჭოვანი, ქვიანი ადგილი“ (ალ. ლლონტი 1984, 280).

³ ქიზიყურ დიალექტზე „ხინჭკა“ არის „წვრილი ქვები, კენჭები“, „ხინჭკი“ რაჭულად – „ქვის წვრილი ნატეხი“, გურულ და ლეჩხუმურ დიალექტებზე „ხინჭკა“ – „ქვიშა, კენჭი“. ასევე ყურადღებას იმსახურებს „წვრილი კენჭის აღმნიშვნელი სახელწოდება „ღვიჭკა“ (ალ. ლლონტი 1984, 751, 588), რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი გადმოგვცემს, როგორც „ღვნჭკა/ზვნჭკა“ – „კენჭი წყალთა“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 261,435) (შდრ. ტოპონიმი „ღვინჭრობი“ (ს. ყაუხჩიშვილი 1959, 367, 511, ი. ბაგრატიონი 1986, 46). ერთ-ერთ დოკუმენტში მოიხსენიება სოფ. „ხინჭები“ (ი. დოლიძე 1970, 236).

⁴ მთიულურ დიალექტზე „ჭოჭ“–ი ძალიან წვრილ ქვას ნიშნავს, რომელსაც შეესაბამება ქიზიყურ დიალექტზე „ჭოჭყა“ – „ხურდა ქვა, წვრილი ქვა ან ნამტვრევი ქვისა“ (შდრ.ჭაჭის ქვა - მთიულურ დიალექტზე - „ნასვრეტებიანი ქვა“). არ არის გამორიცხული, რომ ტოპონიმები „ჭოჭები“, „პეობა ჭოჭოვან/ჭოჭკან/ჭაჭკანისა“, „ჭაჭკა/ჭაჭკარი“ (ს. ყაუხჩიშვილი 1973, 309, ს. ჯიქია 1958, 319, 364) „ჭოჭ/ჭაჭ“ სიტყვებსაც უკავშირდებოდეს. იმერულ და რაჭულ დიალექტებზე ქვის წვრილ ნამტვრევებს და ღორღს „როჭვი“ ჰქვია (შდრ. „როჭკნარი“ (რაჭ.) „წვრილი ელემენტებისაგან შემდგარი ნაზავი“), „როჭვი ქვა“ კი ქვემო იმერულ დიალექტზე არის „ხინჭკა“ (ალ. ლლონტი 1984, 455-456, 718, 729).

⁵ შდრ. „წყლის პირის ქვაწარი“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 12). ქიზიყურ დიალექტზე რიე არის „ხევის ნაპირას ქვიშა და ღორღი“ (ალ. ლლონტი 1984, 454)

⁶ შდრ. ტოპონიმი „კაჭრეთი“

⁷ „სალა“ ქიზიყურ დიალექტზე – „ბრტყელი მრგვალი რიეის ქვა სალაობის სათამაშო“. (შდრ. თამაშის სახელწოდება „ქვასალობია/ქვასალობანა“ (იმერ.), კახურ დიალექტზე - „ქვატალაობა“, სადაც ქვის ერთ-ერთი სახელწოდება „ტალ“ უნდა დავინახოთ) (ალ. ლლონტი 1984, 566, 568). მთიულურ დიალექტზე „კლასობანას“ სათამაშო პატარა სიხ ქვას „ლიპარიტი“ ჰქვია (ალ. ლლონტი 1984, 332).

⁸ სვანურად „ფიქალი ქვის“ აღმნიშვნელია „კა“, გადატანითი მნიშვნელობით, კერიის (შდრ. „კა-კერა“ – კერა/ფიქალი ქვის კერია⁸) (ვ. თოფურია, მ. ქალდანი 2000:

ცარი“), **სპონდიო** („წყალთა მიერ ქვაქმნილი“), **სასრევი** („ქვა მახვილთ(ა) აღმლესველი“), **სიბი** („ქვა პირ-გლუვი“), **კოხი, კაყი**¹ („ქვა ცეცხლის მშობელი“), **ქარწხია** (ქარწხაბი/ქარწხაბი/ქარწხავი)(„ქვა ჭიქის მსგავსი“²), **გოხი** („ქვითვირის მსგავსი“), **კიდონტი** („ქვა გიშრის ფერი ოქროსა და ვეცხლის გამომცდელი“), **აღრალეხი** („მოწი, ამარტა და ლაჟუარდი და მისთანანი“), **სპეკალი** („ქვა ყო(ვ)ელივე თვალი პატიოსანი და ძვირფასი“). მას მოხსენიებული აქვს აგრეთვე **ცის-ნატეხარა**³ („ქვა შავი, მსგავსი ჭიქისავე და გა(ნ)მკვეთელი, ვითარცა მახვილი“). ძვირფას ქვას იგი მოიხსენიებს **„გუჰარ/გუარის“** სახელწოდებით. ასევე, სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს **კლდე, ტინი, სალი, თირი, აკრა** („ზღვის პირი კლდოვანი“), **კბოდე** (ს.ს. ორბელიანი 1993, 222-225).

ვახუშტი ბატონიშვილი ხშირად მოიხსენიებს ადგილებსა და მდინარეთა ხეობებს, როგორც **„კლდოვანი“**, **„ხრამი ქვიანი“** (ს. ყაუხჩიშვილი 1973, 661). ქართული ენის დიალექტებში გვხვდება **ქვავნარი, ქვარნალი** (აჭარ.), **ქვაბინარა** (ლეჩხ.) – ქვაბნარი, ქვიანი ადგილი (ალ. ლლონტი 1984, 567). ქვავნარის შესაბამისობად შეიძლება განვიხილოთ **ქვაყრილი, ლოდოვანი, კარკნალი, გოხნარი**.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ **„ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა“** (ს. ყა-

738, 741). **კერის ქვა** ქიზიყურ დიალექტზე არის „კერასთან დედაბოდისკენ დადებული დიდი ქვა, რომ ცეცხლმა დედაბოძი არ დაწვას“ (ალ. ლლონტი, 1984, 281). ასევე, ძალზედ საინტერესოა რაჭულ დიალექტზე **„ქვაკერა“** – „ყვერბზე მიყრდნობილი მოგრძო ქვა მზის სიმბოლოებით“, ყვერბი კი ქართულ დიალექტებში კერაზე დადებულ ბრტყელ ფილაქანს ჰქვია, სადაც ცეცხლს ანთებდნენ (ალ. ლლონტი 1984, 567, 608). ქართულ კერა/კერიას შეესაბამება ზანური (ჭან.) „კირ-ა/კერ-ა“ - კერია) (მ.ჩუხუა 2000-2003, 118).

¹ **კაყ**-ს სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს აგრეთვე **„ტალ“-ის** და **„საღრტილ“-ის** სახელწოდებით, იგივე ინფორმაცია დაცულია თუშურ, ხევსურულ და მოხევურ დიალექტებში (ს.ს. ორბელიანი 1991, 352, ს.ს. ორბელიანი 1993, 62, ილ. აბულაძე, 1973, 375, ალ. ლლონტი 1984, 506).

² ძველი ქართული ენის ლექსიკონში **„ჭიქა“** განმარტებულია, როგორც შუშა (ილ. აბულაძე 1973, 558). ამიტომ **ქარწხია** შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მინისებური. სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს **„ქარასტას“**, როგორც „ჭიქის კრიალოსანი“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 213).

³ სახელოვანი მეცნიერი მას ასახელებს აგრეთვე, **„ცის-ნატეხა/ცის ნატეხის“** ფორმით, „ცის-ნატეხარას ქვის დანას“ კი მოიხსენიებს, როგორც **„ქასრი“** (ს.ს. ორბელიანი, 1993, 217, 338-339) (შდრ. ქასრი/კაყი (ილ. აბულაძე 1973, 452).

უხჩიშვილი 1973, 658). დიალექტური მასალიდან მას შეესაბამება **ქერები** (იმერ). – „ქვა-ხვინჭიანი ადგილი“, **ქერაზი/ჭოროზი** (ქართლ.) – „წყლის მიერ მოგროვილი ქვები“, „რიყე“, **ჭოროზი** (რაჭ.) – „ქვა უსწორმასწორო, ხორკლიანი“ (ალ. ლლონტი 1984, 719, 728). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, – „არსიანის მთას უწოდებენ **არტანს - ქვაყრილს**. იგი ასევე მოიხსენიებს „**ყალნუ-ქვაყრილს**“ (ს. ყაუხჩიშვილი 1973, 668, 674, 681, 682). ერთ-ერთ საეკლესიო დოკუმენტში მოიხსენიება თუხარისს სოფ. **ქვაყრილი** (ი. დოლიძე 1970, 178). ხევსურულ, ქართლურ, მოხევურ და სხვ. დიალექტზე ქვების გროვის აღმნიშვნელია ასევე **ღორდი** – სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვების გროვა (ალ. ლლონტი 1984, 594), რომელიც ხშირად **ქვა-ღორდის** სახელწოდებითაც მოიხსენიება¹. – მოხევურ და ქიზიყურ დიალექტზე „წერილი ქვა, ღორდი“ არის **კორაზი** (ალ. ლლონტი 1984, 303). ქვების გროვას ანუ ქვაყრილს მესხურ დიალექტზე შეესაბამება **კარკანალი** (ალ. ლლონტი 1984, 273), რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი **კარკანლის** („ლოდ-არძანნი სიმრავლით მიყრილი ვრცლად“) ფორმით მოიხსენიებს (ს.ს. ორბელიანი 1993, 223). **ლოდოვანი** (**ლოდი/ლოდონი** – **კლდე**) ლოდების სიმრავლეს ნიშნავს. ლოდი შეიძლება ყოფილიყო როგორც **ლოდი მსტუარი**, ანუ „**ლოდი სალოცარი**“ (სალოცავი) (ილ. აბულაძე 1973, 210). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „გოხი არს ქვა გორთა ზედა(ნ) ფანჩვით კლდოვანი (ან კლდე), რომელსაც „ვიეთნი სოდომის ნალეწს უკმობენ“, როგორც „გრძლად კლდოვანი სერზედ“ (ს.ს. ორბელიანი 1991, 168, 376, ს.ს. ორბელიანი 1993, 223, 224). მისი მრავლობითი ფორმაა **გოხნარი** (შდრ. თეთრი წყაროს რნ-ის სოფ. „გოხნარი“ (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987, 32).

ქართულ წყაროებში მოიხსენიება ტოპონიმი **რები / რევისკევი**. გურულ დიალექტზე **რებ**-ი არის „მძიმე ქვიანი გზა, ურემს რომ გავლა უჭირს, ქვიანი ადგილი, რაჭულ დიალექტზე კი **რები / რებეზი** მთის კლდოვან კალთებს ნიშნავს (ალ. ლლონტი 1984, 452). ეს სიტყვა მართლაც, რომ ქართველურია ამტკიცებს ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში სახელწოდება **როხონი**, რომელიც „ლოდებიან ად-

¹ შდრ. „**ხრემ**“-ი (იმერ., გურ.) – ღორდი (ალ. ლლონტი 1984, 762). ქვემო ქართლის ტოპონიმებში გვხვდება „**ღორდიანი კლდე**“ (ჩაშყერი ქ. გოდერძიშვილი) (ქ. ქუთათელაძე 2011, 90).

გილს“ ნიშნავს. **როხი** არის „ლოდი, მსხვილი ქვა – კლდე“ (საქართველოს ტოპონიმია 1999, 295).

სვანურ ლექსიკაში ძალზედ საინტერესოა **„ქურმუხუ“** (გზ.) / **„მუქობ“** (ლმხ), რაც რიყის ქვას ნიშნავს (ვ. თოფურია, მ. ქაღდანო 2000, 1766). ქვის აღნიშნული სახელწოდება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მას უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმი **„ქურმუხი/ქურმუხის წყალი“**, რომელიც მართლაც გამოირჩევა თავის კლდოვანი, დიდი ქვებით და გამოქვაბულებით დამახასიათებელი ლანდშაფტით¹. „ქურმუხუს“, როგორც ქვის აღმნიშვნელ სახელწოდებას, ერთგვარად შეიძლება შეესატყვისებოდეს **გორმები** – მესხურად „უსწორ-მასწორო უკუთხო ქვა“ (ალ. ლლონტი 1984, 303, 159).

ქართულ წყაროებში ქვასთან დაკავშირებული ტოპონიმებიდან აღსანიშნავია **„ქვიანი“**, **ქვათეთრისი / ქუათეთრისი**, **ქუაჭურელი²**, **ქვა-ციხე** (ი. დოლიძე 1970, 796, 993, ი. ბაგრატიონი 1986, 31, ს. ყაუხჩიშვილი 1955, 307, ს. ყაუხჩიშვილი 1973, 756, 877). „ქვა-ციხე“ შეიძლება დავუკავშიროთ **„ქავ-ციხე“**-ს (ა. არაბული). ხალხურ პოეზიაში გვხვდება **ქავისკარი**. ფშავ-ხევსურულ და და თუშურ დიალექტზე **„ქავი“** ციხე-სიმაგრეს, ზღუდეს, ან გალავანს ნიშნავს, სხვა მნიშვნელობით, „მაღალი კედელი“, „საქონლის სადგომი“, „ყორემ-მოვლებული“ (ალ. ლლონტი, 1984, 558). თუმცა მ. ჩუხუა ქავ-ს სხვაგვარ შესატყვისის უძებნის სვანურ-კავკასიურში (ჩუხუა, 2018).

ქართულ წყაროებში საქართველოს მრავალ მხარეში ვხვდებით **ქვან** სეგმენტით ნაწარმოებ ტოპონიმებს, როგორიცაა **ქუაბი³/ქუაბთა/ქუაბეგანი**, **მთაი ქუაბთა-თავისაი**, **ქუაბთა-ხევი**, **ქუაბლიანი / ქუაბლოვან/ქუაშლოვანი**, **ქუაბისმანი**, **საქუაბე**, **ქუაბოან-ქარ-**

¹ „ქურმუხი“ უდიურ ენაზე ახსნა ევგ. ჯეირანაშვილმა, როგორც „ქურ“ (თხრილი, ორმო, უფსკრული) და „მუხ“ მრავლობითობის სუფიქსი, რომლის საფუძველზეც „ქურმუხი“ გამოდის, როგორც „ქუაბნი“ (ე. ჯეირანაშვილი 1962, 357)

² „ქვახვრელი“, გარდა ხვრელისა, არის ასევე „ნაპრალი, „ქუაბი“. მას შეესაბამება „ჭურელი კლდისა“ (ილ. აბულაძე, 1973, 572). „ქვახვრელი“ მდებარეობდა გორთან და უფლისციხესთან ახლოს, დღევანდელ სოფ. ქვახრელთან. მის სახელწოდებას ამტკიცებს სოფლის ახლოს გამოქვაბულების კომპლექსი, უფლისციხის მოპირდაპირე მხარეს.

³ შდრ. **ქვაბი/ქვაბისხევი** (ს. ჯიქია 1958, 145).

ტუნი, კლდეში ნაკვეთი **ქვაბები**¹ (ქ. ქუთათელაძე 2011, 198-199, ი. ბაგრატიონი 1986, 71), რაც ასახავს კიდევ „ქუაბის“ მნიშვნელობას, როგორც „კლდე გამოკვეთილი/გამოკაფული“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 77, 235).

მთის ქვიან მასივს **კლდე** ეწოდება. კლდის სახელწოდებებიდან, რომელიც მის თვისებას გამოხატავს მნიშვნელოვანია **ქარაფი**² – „დიდი კლდე“, **ტინი**³ – „კლდე აღმა აღმართული და მაგარი“, **წყლტუკლდეობა** (მდრ. წყლტუ „გლუვი, სწორი“) - **სალი** კლდე უვალი (ს.ს. ორბელიანი 1993, 213, 224, 395). ტინისა და სალისგან განსხვავებით, რბილი და ადვილად სათლელი კლდის ან ქვის სახელწოდებაა **თირი**. კვერნაქის აღწერისას, კლდეს, როგორც „თირი“ ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს (ს.ს. ორბელიანი 1991, 306, 376, ს.ს. ორბელიანი 1993, 224, ს. ყაუხჩიშვილი 1973, ს. ყაუხჩიშვილი 1973, 364). კლდის აღნიშნული სახელწოდებებით, ქართულ წყაროებში არსებული ტოპონიმებიდან, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია: კლდე-

¹ ფშავ-ხევსურულ და თუშურ კილოზე გამოქვაბულს, მღვიმეს, კლდის გამოქვაბულს **ეხი** ჰქვია (მდრ. წოვათუშურად „**ჰეხ**“ – გამოქვაბული) (ალ. ლლონტი 1984, 222).

² **ქარაფ** ფშავ-ხევსურულ დიალექტზე არის „დიდი ლოდი, ციცაბო კლდე, უსწორ-მასწორო ზედაპირის მაგარი კლდე“ (მდრ. **ქარაპი** თუშურ დიალექტზე – „ციცაბო, მაღალი და გაუვალი კლდეები“) (ალ. ლლონტი 1984, 561).

³ ქართული ენის დიალექტებში (ქართლ., ქიზიყ., ფერეიდნ., ლეჩხ.) **ტინი** არის „ქვა, ლოდი, სალი კლდე“. თუშურ დიალექტზე გვაქვს **ქვატინი** („დიდი ქვის ლოდი“) (ალ. ლლონტი 1984, 510, 568). მ. ჩუხუას ქართულში ძირად მიაჩნია **ტილ** (ტინ), რომლის ზანური შესატყვისი **„ტკილ/ტკირი“** („ლოდი, სიპი კლდე“) კ თანხმოვნით გართულებული ფორმაა (მდრ. ტკილ-ამ-ი – „ქვიანი“, კოდუმე-ტკირი – „კლდანი სანაპირო“). მკვლევრის მოსაზრებით, „ტილ“ ფუძით ხევსურულ დიალექტში შემოქვრჩა **„ტილაპი“** და იგი კირქვას ნიშნავს. ამრიგად, საერთო ქართვ.-ა **ტილ**- „ლოდი“, ქართ. – **ტინ**-ი, **ტილ**-აპ-ი, ზან. **ტკარ**-ი//**ტკილ**-ი-**ტილ**-ი (მ. ჩუხუა, 200-2003, 214-215, ალ. ლლონტი 1984, 510). შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ჯავახეთში ტოპონიმ **დრტილას** (დრტილა/დირტილა/ზრტილა/იხტილა) ქვის რომელიმე სახელწოდება დადებოდა საფუძვლად? (მდრ. „სადრტილი“ –კაჟი). ამასთან დაკავშირებით, სემანტიკურად საინტერესოა აგრეთვე, გურულ დიალექტზე არსებული სიტყვა **ხრტენლო**, რაც ხრამს, კლდეს ნიშნავს. სხვა დიალექტებზე (ქართლ., თუშ., ზ/იმერ.) მას შეესაბამება **დრე/დრატო/დრატე/დრანტელი**. რაც ფლატეებიან, დახრამულ ადგილს, უფსრკულს ნიშნავს (ალ. ლლონტი 1984, 595, 768). სულხან-საბა ორბელიანიც ადასტურებს, რომ **დრე** არის „დაფლატული ადგილი და სოროვანი“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 255) (მდრ. კლდე-დრე).

კარი¹/კლდე-კარნი/კლდეკრის მთა/კლდეკრის სოფლები, კლდისა / ხევი კლდისისა (შდრ. „დიდი და პატარა კლდისა), ქუაბი კლდისა, „ტინისკიდი“/„ტინისკიდის ჭალა“, „ტინის მათა“, „ტინის გზა“, „თირის მონასტერი/თირის მონასტრის ხევი“ (ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი). (ს. ყაუხჩიშვილი 1955: 313, ს. ყაუხჩიშვილი 1973, 321, 325, 318, 321, 348, 354, 364, 370-371, 373 462)².

ქვას, ქვიანს უკავშირდება **კოჟორ/კოჯორი**, რომელიც ოროგრაფიული წარმოშობის ტოპონიმაცაა ამავდროულად (ქ. ქუთათელაძე 2016, 203, გ. ბედოშვილი 2002, 206-207). **კოჟორი** ქართლურ დიალექტზე „ქვიან ადგილს“, ლეჩხუმურად **კოჟე/კოჯე** „ქვიან ბორცვს“ ნიშნავს. იმერულ დიალექტზე კი **კოჟი** – „მაღალი, ხვინჭვიანი ადგილია“ (ალ. ლლონტი, 1984, 302). სვანურში **კოჯ** „კლდეს“ ნიშნავს (ვ. თოფურია, მ. ქალდანი 2000, 762). წყაროში შემოგვრჩა **ციხე კოჟრისა** – „თხემსა ზედა კლდისასა“, „კოჟრის მთა“, „კოჟრის ციხის გორა“, „კოჟრის წყალი“, „სასახლე მეფისა კოჟორი“ (ი. ბაგრატიონი 1986, 46, 81, ს. ყაუხჩიშვილი 1973, 325, 327, 328, 329, 343).

განსაკუთრებით საინტერესოა **საკულტო ქვების** სახელწოდებები, სადაც ჩანს მათი საკრალურობა. ასეთ ქვებს ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. საკულტო ქვის, როგორც სალოცავის მნიშვნელობას აფიქსირებს ტოპონიმი **ქვაჯვარი/ქვაჯვარა/ქვაჯვარიანი**, რომლებიც მრავლად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე. საკულტო-სალოცავი ქვები ასევე გვხვდება **ნიშის** სახელწოდებით, რომლის საინტერესო ფორმაა **ქვანიში** (ქ. ქუთათელაძე 2011, 89). საკულტო ქვებს **მაშიდას ქვა, ქვათარძალი** («Каменная невестка»), **ქალქვა, ქვაკაცა**³

¹ შინაარსობრივად კლდეკარის მსგავსი ტოპონიმი უნდა იყოს „**ტაშისკარი**“, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი **ქვისკარს** უწოდებს (ს. ყაუხჩიშვილი 1973, 380).

² შდრ. დუშეთის რნ-ში ნარეკვავის მარცხენა შენაკადი – **ტინისხევი** (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987, 98).

³ „ქვაკაცას“ სახელწოდებით ქვის სალოცავები გვხვდება თეთრი წყაროს რნ-ის სოფლების ტოპონიმიში (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი) (ქ. ქუთათელაძე 2011, 86). სხვა მნიშვნელობით, **ქვაკაცა** – მთიულურ დიალექტზე „სერებზე აგებულ გზის მარჯვენებელ ბოძს“ ნიშნავს (ალ. ლლონტი 1984, 567). იგი მოიხსენიება „დასტურლამალში“ (ი. დოლიძე 1965, 324). **ქვაკაც-თა** ტოპონიმი მოხსენიებულია „მესხური დავითნის ქრონიკაში“ (ქ. შარაშიძე 1961, 40). ამ სახელით აზუსტებს ს. ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ჩილდირის ლივას ჯანბაზისა და ქანარბელის რნ-ში მოხსენიებულ ტოპონიმებს. სულხან-საბა ორბელიანი აგებულ „ქვაკაცას“ რაიმეს ნიშნად, **ჭორტის** სახელწოდებით მოიხსენიებს (ს.ს. ორბელიანი

ეწოდება. ზოგიერთს კი კონკრეტული სახელწოდება აქვს. მაგ., **მარიამჯვარი, ძუძუს ქვას ან რძის ქვა**, ქვაჯვრის სახელწოდება **ძუძუე-ბიანი ქალი** (ჩამწერი ს. მელიქიძე) (ქ. ქუთათელაძე 2011, 88). საკულტო ქვების გარდა, დიდ ქვებს გამმიჯნავ, სასაზღვრო ნიშნად იყენებდნენ. მაგ., **ჯვრიანი ქვა, გელაზის ქვა, ამართული ქვა, დიდი ქუა** (ი. დოლიძე 1965, 325, 326). ასეთ ქვებს **სამანი ქუა/დიდი სამანი ქუა**, ან **ქვასამანი/დიდი ქვასამანი** ეწოდებოდათ, რომლის იდენტურია **სამძლარი ქუა/დიდი სამძღვრის ქუა**.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბაგრატიონი 1986 – იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბედოშვილი 2002 – გურამ ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით – ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

დოლიძე 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

დოლიძე 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

1993, 406). ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჭორტი განმარტებულია, როგორც კონცხი (შდრ. **ჭორტი ქვისაი** და **კონცხი ქვათაი**) (ილ. აბულაძე 1973, 558).

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987 – ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

საქართველოს ტოპონიმია 1999 – საქართველოს ტოპონიმია (მასალები), 2, თბილისი.

ქუთათელაძე 2011 – ქეთევან ქუთათელაძე, ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები ქვემო ქართლში თეთრი წყაროს რნ-ის სოფლების მიხედვით), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III, თბილისი.

ქუთათელაძე 2016 – ქეთევან ქუთათელაძე, ძიებანი „ქართლის ცხოვრების“ ტოპონიმებიდან, I, თბილისი.

ღლონტი 1984 – ქართულ კოლო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955 – ქართლი ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1959 – ქართლი ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973 – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

შარაშიძე 1961 – სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2018 – ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი.

ჯეირანაშვილი 1962 – ევგენი ჯეირანაშვილი, ქურმუხ-ის თავდაპირველი მნიშვნელობის საკითხი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, თბილისი.

ჯიქია 1958 – სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

სვანური გამოცანები „მამ მოშარ“
(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული
მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია აკაკი შანიძის ხელნაწერი სათაურით „ქართული ხალხური შემოქმედების მასალების შეკრებისა და შესწავლისათვის“, სადაც ვკითხულობთ „...როდესაც სკოლა საბოლოოდ დაიპყრობს ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მიყრუებულ კუთხეებსაც კი, როდესაც უსწავლელი არ დარჩება უმგულელი სვანი, ჯუთელი ხევსური და ახატელი ფშაველიც კი, მაშინ მითების ადგილს უბრალო მოთხრობები დაიჭერს. როდესაც ძველი ზეპირსიტყვიერებიდან ოროლა ძველად ჩანაწერი ნიმუში დაგვრჩება, მაშინ გვიანლა იქნება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე ფიქრი და ზრუნვა. საჭიროა ხალხური შემოქმედების მასალების შეკრება და მათი მეცნიერულად დამუშავებასა და შესწავლას სისტემური ხასიათი მიეცეს. საამისოდ გამოყენებულ იქმნეს ყველა, ვისაც კი უნარი და ხალისი აქვს ამ საქმეში მუშაობისათვის“ (სეა, N-424, 1935).

როგორც ცნობილია, 20-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის სვანეთში. ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩართული იყვნენ როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ისე სტუდენტები და ადგილობრივ მთქმელებსა და მასწავლებლებს შორის შერჩეული პირები. ერთ-ერთი ასეთი მთქმელი და ამავე დროს ტექსტების ჩამწერი, იყო სეზი გულედანი, რომელსაც „...ტექსტების დიდი ნაწილი ჩაწერილი აქვს 1923 წელს ა. შანიძის დავალებისა და ინსტრუქციის თანახმად. ეს მასალები (ორი დავთარი) მიიღო ა. შანიძემ 1923 წელსვე ზაფხულში და ჩანაწერების ნაწილი შეა-

მოწმა ს. გულედანთან ერთად; ხოლო 1924 წელს შეკრებილი მასალები (სულ 18 ნომერი) ჩამწერმა გადასცა ვ. თოფურიას სვანეთში 1926 წელს“ (სვან. პრ., ტექსტ. 1939:487-488). ნაწილი მისი შეგროვებული მასალებისა დაიბეჭდა პროზაული ტექსტების I ტომსა და სვანური ენის ქრესტომათიაში.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ამ გამოცემული ტექსტების ხელნაწერი ვარიანტები, ასევე ის მასალა, რომელიც ვერ მოხვდა დღემდე გამოცემულ სვანურ ტექსტებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1921 და 1923 წლებით დათარიღებული სვანური გამოცანები, რომლებიც გამოსაცემ სვანურ ტექსტთა სიაში კი მოხვედრილა, მაგრამ რატომ არ დაიბეჭდა არ არის ცნობილი.

აღნიშნული გამოცანები ბალსზემოური დიალექტის (კერძოდ ლენჯერულის) ნიმუშებია, ნაწილი 1921 წელსაა ჩაწერილი (5/IX 1921), ნაწილი კი 1923 წლითაა დათარიღებული (18/IX 1923) – სათაურით „**მწა მოშარ**“ და ბოლოში მიწერილი აქვს „**სები გულედან (ლენჯარისგა ნანზორ მწა მოშარ)**“ (სეა, N-1640, 1921).

სვანური გამოცანების თემატიკა მრავალფეროვანია. მასში ასახულია ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივ არსებობს: მიწა, ცეცხლი, ბუნების მოვლენები, დრო, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, მწერები, საყოფაცხოვრებო ნივთები, საჭმელ-სასმელი, შრომის იარაღები, იარაღი და აღკაზმულობა... გაცილებით ნაკლებია გამოცანები კონკრეტულად ადამიანზე, თუმცა ბევრია ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი:

ჰამს ვრშთხჷ ლეჭიშხ ლი, ისგლადწღჷნ დორი ი ნწხოზს სემი (**ამსვწღ**) „დილას ოთხფეხაა, შუადლისას ორი და სადამოს სამი (**ადამიანი**)“¹

ქორისგა ეჩურ მწმგვეშ ისკეთი, ჭირ მასწრდ ხწრ, გვი ჟადუშწლ ხეზგი, მწგ მანდროვწრ ხწრ (**ლგჷთე ზურწლ**) „სახლში იმის გარეშე არაფერი კეთდება, ბევრი შრომა უწევს („ჭირ-ი ბლომად აქვს“), გული ძალლივით სტკივა, ყველა მომდურავი ჰყავს (**ავი ქალი**)“

დეცხწწრჷ წწწყად ი გიმს ლწხგწყწწ (**წინ**) „ციდან ჩამოვარდა და მიწას მიეკრა (**ენა**)“

¹ სვანური ვარიანტი ხელნაწერს მისდევს!

დორი კუდურ დეცე პილდ ქ'ანკესგის (**კიშხარ**) „ორი მორი ცის ნაპირამდე მისწვდება (**ფეხები**)“

დორი ლდმხანლ ზექ ქორ გვემის ასწლევხ (**შიარ**) „ორტოტიანი შემა მთელ ოჯახს („სასვე სახლს“) არჩენს („არჩენენ“) (**ხელები**)“

დართ მურგვალ კოლეფს მეშხე ლაშგარ ხაცხიპ (**თაღანგალ**) „ორ მრგვალ ყუთს შავი ლაშქარი ერტყმის გარს (**წამწამები**)“.

გამოცანაში ზოგჯერ საგანი ან მოვლენა რთული ალევორითა გადმოცემული, არ არის მოცემული ისეთი მინიშნებები, რომელიც ადვილად გამოგვაცნობინებს პასუხს:

ეჯა მან მოშ ლ'ერე რშთხუ ლავდილა აშხუდ იღრანლხ?
(**ფირტი ლუსვარ**) „ის რა არის, ოთხი და რომ ერთად მღერიან (ძროხის ძუძუები)?“

ლდგარ ლდარს ითრინე (**ბად ი კალმახ**) „მკვდარი ცოცხალს მიათრევს (ბადე და კალმახი)“

სგა ხოხურა ესდრი ი ქა ხომა ტეხნი (**ქირს**) „შიგნით პატარა შედის და გარეთ დიდი გამოდის (ოსპი)“.

ხშირად გვხვდება ისეთი მინიშნებები, რომლებიც საკვანძო სიტყვებია გამოცანის პასუხის დასადგენად:

ტან **ლეღვიშ** ი ლერქურ **კვეცანშ** (**კუბანდ**) „ტანი ხორცის და ტანსაცმელი ცომის („ხორბლის“)“

ტან **თაშიშ** ი ლერქურ **კვეცანშ** (**ქუთ**) „ტანი ყველის და ტანსაცმელი ცომის („ხორბლის“)“

ეშხუ **მეპურს** ლგარიშ, ლდგარიშ ი ღერთა სარგებ ხეფსი (**ლადტბან მერ**) „ერთი მფრინავი ცოცხალი ადამიანის, მკვდრის და ღმერთის სარგებელია (სკვის ბუზი)“

ეშხუ ლდმდიქ **მანტყს** დესა ცვირე (**ლანფთირ**) „ერთი კბილე-ბიანი მატყლს არ ტოვებს (საჩეჩელი)“.

დასტურდება ისეთი გამოცანებიც, რომელთა გამოცნობა რთულია და პასუხები გარკვეული ჯგუფისათვისაა ცნობილი, ვინაიდან კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს ან პირს ახასიათებს:

აშხუ საფვარს ქვეყანა ლათრას დემ შდიხე (**ლენჯარა სგიმ**) „ერთ საფუარს ქვეყანა სმით ვერ გამოლევს“ (მჟავე წყალი)

ლდარ ჭემს ი ჭემინს იზბი, ლდგარ მარემი ზისხს დთრე (**სამსონი და ვირის ყბა**) „ცოცხალი თივას და ქერს ჭამს, მკვდარი კაცის სისხლს სვამს“.

ცალკე გამოსაყოფია რიცხვითი სახელების შემცველი გამოცანები, რომელთა რაოდენობაც საკმაოდ მრავალია, თუმცა რიცხვითი მინიშნებები იმდენად პირობითია, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია პასუხის გამოცნობა:

აშუ ერევმდ ი ძორი ლი, შედ ეშუ ხნრ (**ლამტუარწლ**) „ერთი ოცდაორია, ჭურჭელი ერთი აქვს (საკვარე)“

რშთხტ უღვა გწნს წემამ ხაბხ ი ეჩნოვმ ხორიკხ (**ლამტვარწლ**) „ოთხ უღელ ხარს ჭაპანი აქვთ მობმული და იმით არიან დაკიდებული (საკვარე)“

აშტ ემდ ლერექტ ხტუ ი ქა დწრ ხოსგდი (**სიმიინდ**) „ერთს ათი ტანსაცმელი აცვია და არავინ უყურებს (სიმიინდი)“.

სვანურში თვალშისაცემია იმ გამოცანათა რაოდენობა, რომლებიც რამდენიმე ობიექტის, ან მოვლენის რთულ აღწერას შეიცავს, შესაბამისად, გამოსაცნობია რამდენიმე საგანი ან მოვლენა და პასუხებიც რამდენიმე ლექსიკური ერთეულით გამოიხატება:

ოხვიმდ ლიხ, ჩრმიმდ ხაყახ, ქვინმიმდ, ლერთაშმდ ი ამ-სვალდწმდ (**ლაპრწყა ცხვად, ლაფრი, გვებზლდ, დორამ ი ჰარაყ**) „ხუთნი არიან, ყველაფრისთვის ვარგანან, სულისთვის, ღმერთისთვის და ადამიანისთვის (სახდელი ქვაბი, თავსახურავი, გობი, დოქი და არაყი)“

ჩიქე ლგძრ ლი, ღო ლგდგარ ი ღო ლგძრ (**ჩწჟ, ჰენგიორ ი მწრე**) „ჯერ ცოცხალია, მერე მკვდარი და შემდეგ ცოცხალი (ცხენი, უნაგირი და კაცი)“

აშხტ მეგამს ეშდიორი აშხალ ხაყა, აშხალს თვით სემემდ ბალე ხნრ, ხოშგდნი მარე ეჩზუმ სგად ხეტხენი (**ზწამ, თივწრ ი ლადღწრ**) „ერთ მორს თორმეტი ტოტი აქვს, ტოტს 30 ფოთოლი აქვს, სცვივა, მაგრამ იმდენივე უბრუნდება“ (წელიწადი, თვეები და დღეები)“.

როგორც ცნობილია, გამოცანას ახასიათებს რიტმულობა, ზოგჯერ რითმაც, თუმცა სვანურში ასეთი გამოცანები ნაკლებად დაიმუშნა:

ლახ ხაკწგ ი ათუს იხნე, ლახ ხაკწგ ი დემა (**მწრე**) „თუ სურს და ცხელს უშვებს, თუ სურს და არა (ღრუბელი)“

იღუწწლ ეჩქას დემგვამ ყგლე ი ნადგაჟენლო ილჭწლ (**ქათალ ლანგრაჟინ**) „როცა მშობიარობს, მაშინ არაფერს ამბობს და მშობიარობის მერე მოთქვამს (ქათამი კვერცხის დებისას)“

ჩუ ლზე ამშიე ი ჩუ უბად დემა **(ნესყე)** „დაბმული მუშაობს და დაუბმელად არა (ნემსი)“.

ნაწილი გამოცანებისა ვრცელი მონოლოგია და გადმოიცემა მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების მეშვეობით და კავშირთაგან ყველაზე ხშირად **o** „და“ კავშირი გამოიყენება:

თვეფ ზეჟიმ, ფინდის ლიციმ, ზექს აზფაშუდ ი ქახხვრდ ი ბჰად ქანდსკინე **(ლეჟერ)** „თოფი ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ესროლა და მოხვდა და ქვა გადახტა (წისქვილი)“

რშთხუ ლიხ, უშხვარ ესღვიჰხ, მაგ ილლი-მიღლის ხაყლებ ი ჟი დარ იღღლევ **(ლაღვბაბარ)** „ოთხი არიან, ერთმანეთს მისდევენ, ყველა მოცდას ეუბნებიან და არავინ იცდის (ფუტკრები)“

ეჩი ნამშავ ქვინი სარგებგი ლი ი მარემი სალხინ **(ლაღუბ მერ)** „მისი ნაშრომი სულის სასარგებლოცაა და კაცის სალხენიც (ფუტკარი)“

მეშხე ლიხ, ჩუ მანდხუა ლი, მარე ლიშუპარს ხაბნანენე მარა **(ზისყ)** „შავია, პატარაა, მაგრამ ცეკვას აწყებინებს კაცს (რწყილი)“

დორი ლავდილა ლახ შიარს ჩუ ფხიჟხ ჩი სვა იხნეხ ი ლახ უშხვარ ხატყცხ, დას **(ყორარ)** „ორი და თუ ხელებს გაშლიან, ყველას უშვებენ შიგნით და თუ ერთმანეთს შემოარტყამენ, არავის (კარები)“...

გამოცანებში ზმნის სამივე პირის ფორმა გვხვდება, თუმცა სვანურში დომინანტია ზმნათა მესამე პირის ფორმები, იშვიათია პირველი და მეორე პირისა. ზმნათა I პირის ფორმებით გადმოცემული გამოცანები ადამიანის სხეულის ნაწილებს უკავშირდება:

ეშხუ სადგვემ ჯიჯუშუ გვეში მარ **(ტიშჟუ o შდიქარ)** „ერთი სადგომი ძვლით მაქვს სავსე (პირი და კბილები)“

დორი ლემზორ მარ ი დეცმეჟუ ისგდხ **(თერარ)** „ორი სალოცავი მაქვს და ცისკენ იყურებიან (თვალეები)“

აშხუ კარვათე ლიცს ჰალ ხაგუშუნი ჟი დემ ხაგუშილე **(ცხი-რილ)** „ერთ ჩანახში წყალი რაც არ უნდა ასხა ვერ აავსებ (საცერი)“

ამგვარს იმ ხიჩო, ჟი დემ ხაკუშდანღლე **(შუჟუ)** „რაც არ უნდა ქნა, ვერ დაკვეცავ (გზა)“.

ხელნაწერი ტექსტი საინტერესოა ორთოგრაფიული თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ „...ჩამწერი კარგად ერკვევა სვანურის ბგერითს თავისებურებაში და, ლაფსუსებს თუ არ მივი-

ღებთ მხედველობაში, თავის ადგილას ხმარობს უმლაუტებს, გრძელ ხმოვნებსა და სხვა სპეციფიკურ ბგერებს“ (სვან. პრ., ტექსტ. 1939:487-488), ბალსზემოურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონ-ზომიერებები ხშირად დარღვეულია, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული სვანურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მახასიათებლების ჩაწერისა და გამოხატვის პრინციპები.

სტატიაში გამოცანათა სვანური ვარიანტი ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი (ქართული თარგმანი ჩვენი დართულია), რომ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას 20-იან წლებში არსებულ ტექსტებსა და ჩაწერის წესებზე. ცვლილება მხოლოდ სასვენ ნიშნებს შეეხო, ვინაიდან მათი დაურთველობა ართულებდა აზრის სწორად გაგებასა და წინადადებათა სახეებისა და შინაარსის დადგენას.

გამოყენებული ლიტერატურა

სეა, უიგა, 1935 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, N-424

სეა, უიგა, 1921 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, N 1640

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 - სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

შორენა შავრეშიანი

ერთი ზღაპრის ხალხური წყაროს შესახებ¹

იაკობ გოგებაშვილს რომ ხალხში ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში პედაგოგიური თვალსაზრისით ცვლილებები შეჰქონდა, ამის დასამოწმებლად აკაკი შანიძე ზაქარია შერაზადაშვილის წერილს იშველიებს, რომელიც 1976 წელს დაბეჭდილია „თუ ი. გოგებაშვილი საჭიროდ თვლიდა ცვლილება შეეტანა ხალხურ ლექსსა და ზღაპარში, რომელიც სახელმძღვანელოში უნდა მოეთავსებინა, ყოველთვის აღნიშნავდა, რომ იგი შეცვლილია „გადასხვაფერებულა“ ან დაბეჭდილია „ცვლილებით“. მაგალითად ის აღნიშნავს „ყაყაო და ყმაწვილი“ – ხალხური ლექსი, შეცვლილი; „მოწვევა სწავლაზე“ – ხალხური ლექსი, გადასხვაფერებული; „რწყილი და ჭიანჭველა“ – ხალხური ზღაპარი, ცვლილებით. თუ როგორი სახით იყო ჩაწერილი ხალხში „ყაყაო და ყმაწვილი“ და „მოწვევა სწავლაზე“ და როგორ გადააკეთა ისინი დიდმა იაკობმა პედაგოგიური მოსაზრებით „დედაენაში“ შესატანად, ამის შესახებ ცნობები მოიპოვება დასახელებულ ზაქ. შერაზადაშვილის წერილში. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იყო და როგორ გადაკეთდა „რწყილისა და ჭიანჭველას“ ზღაპარი, ამის შესახებ იქ არაფერია ნათქვამი. ი. გოგებაშვილის არქივში უთუოდ აღმოჩნდება, თუ როგორი სახით იყო ჩაწერილი ეს ზღაპარი პირველად“ (სეა, N-443, 1976).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია აკაკი შანიძის ხელნაწერი, შენიშვნა „იაკობ გოგებაშვილის ჩაწერილი ერთი ზღაპრის ხალხური წყაროს შესახებ“, სადაც მსჯელობს და ვარაუდობს, რომ ხალხურ ზღაპარში „რწყილი და ჭიანჭველა“ ჭიანჭველას ნაცვლად ტილი უნდა ყოფილიყო: „ცვლილებით არის შეტანილი დედანშიო, რომ ამბობს ი. გოგებაშვილი, იგულისხმება, პირველ ყოვლისა, უთუოდ რომ მკბენარის სახელის ნაცვლად მან „ჭიანჭველა“

¹ კვლევა განხორციელდა 2022 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების პროექტის („სვანური ზღაპრების ქართულ-ინგლისური თარგმანები – YS-22-953“) ფარგლებში.

ჩასვა. მართლაც, სად რწყილი და სად ჭიანჭველა, მაგრამ ასეთი ცვლილება გამოწვეულია პედაგოგიური მოსაზრებით. უთუოდ სწორად აღნიშნავს ზაქ. შერაზადიშვილი, რომ ტექსტის ჩაწერის, გადამუშავებისა და გამოყენების საქმეში იაკობს შემუშავებული ჰქონდა სწორი და მისაღები პრინციპებიო“ (სეა, N-443, 1976).

აკაკი შანიძე ვარაუდობს, რომ მსგავს ზღაპარს სხვა ფოლკლორისტებიც ჩაიწერდნენ წლების განმავლობაში. ხოლო საკუთარ მოსაზრებას, რომ ჭიანჭველას ნაცვლად ტილი უნდა ყოფილიყო, სვანური ზღაპრის „ტიშნლ ი ზისყრლ“ (ტილაი და რწყილაი) საფუძველზე გამოთქვამს, რომელიც 1920 წელს ჩაუწერია ნესტორ ონიანისგან სვანეთში (სასასში) მივლინებაში მყოფს და დაიბეჭდა სვანური ენის ქრესტომათიაში (სვან. ქრესტ., 1978:273-275).

როგორც ჩანს აკაკი შანიძეს არ ჰქონდა ნანახი იაკობ გოგებაშვილის მიერ დაბეჭდილი წერილი „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“, რომელიც 1907 წელს დაუბეჭდავს (ისარი, 1907, N-143), სადაც ის მსჯელობს სწორედ ამ ზღაპრის შესახებ „სახალხო ზღაპარი რწყილი და ჭიანჭველა ჩვენ გავიგონეთ ერთი ახლად მოყვანილის პატარძლისგან... ხსენებულს ზღაპარში ჩვენ მოვახდინეთ ერთი პატარა ცვლილება. სახალხო რედაქციაში მას ასეთი სათაური აქვს: ტილი და რწყილი. ტილი ისეთი საზიზღარი სულდგმულია, რომ ამ სიმპატიურს ზღაპარს ანტიპატიურ ელფერსა სდებს, და სწორედ ამის გამო ტილი შეეცვალეთ ჭიანჭველაზე, თუმცა კარგად გვესმოდა, რომ რეალიზმის მხრივ ტილს უაღრესობა აქვს ჭიანჭველასთანა“ (გოგებაშვილი, 1910:488-489).

იაკობ გოგებაშვილი ამ წერილში მკვეთრად გახაზავს, რომ არ უნდა მოხდეს ხალხური და რედაქტირებული ვარიანტების აღრევა „...რომ არ წაიშალოს ზღვარი ფრიად საჭიროა, რომ სახალხო ნაწარმოების კრებულში ეს მეტად თავისებური ზღაპარი იბეჭდებოდეს ისე, როგორც ხალხში არის დარჩენილი: „ტილი და რწყილი“ ...ჩვენ სრულ ნებას ვაძლევთ ყველას თავისუფლად ისარგებლონ ჩვენ მიერ შეკრებილი სახალხო პოეზიის ნიმუშებით, მაგრამ ვავალებთ კი, რომ აღნიშნონ ხოლმე წყარო, სადაც ეს ნიმუშები ცვლილებით არის დაბეჭდილი, რათა ჩვენი რედაქცია სახალხო რედაქციად არ იქნას მიღებული“ (იქვე, 1910:487-489).

ეს აღრევა და უხეში დარღვევები გოგებაშვილის სიცოცხლე-შივე დაწყებულია და ისეთი მასშტაბებისთვის მიუღწევია, რომ მავან-ნი ცალკეული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ქართულობასაც გამიზნულად აყენებდნენ ექვტვემ „ბევრად უარესს სჩადის ბ-ნი კორხანიდი, რომელსაც პედაგოგიურ ექსპროპრიაციაში ბადალი არ ჰყავს: იგი ამახინჯებს ქართულის ერის ნაწარმოებს, მა-გალითად „რწყილსა და ჭიანჭველასა“, ჩვენს საკუთარს მოთხრობას „კატა და ძეხვები“ და ასაღებს, როგორც **აკაკასიურს** ნაწარმოებსა, და, მაშასადამე, ქართველის ერის ქმნილებას უსაკუთრებს სხვა ერებსა“ (იქვე), სწორედ ამან განაპირობა ის, რომ გოგებაშვილმა სა-განგებო წერილი დაწერა და გამოაქვეყნა, სადაც თავისი მოსაზრებე-ბი და პრინციპები ჩამოაყალიბა ხალხური მასალების გამოყენებისა და „დედაენით“ სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

აკაკი შანიძესაც ამ შენიშვნის დაწერა მას მერე გადაუწყვეტია, როცა უნახავს 1974 წელს გერმანიაში გერმანულად გამოცემული ქართული ზღაპრები, სადაც სხვა ზღაპრებთან ერთად ასევე შეტანი-ლი ყოფილა „რწყილი და ჭიანჭველა“, თუმცა „წიგნში არსად არაფე-რია ნათქვამი, თუ რა მასალა საიდან არის ამოღებული, არაფერია ნა-თქვამი ამ ზღაპრის შესახებაც, რომელიც ზღაპარი კი არის, მაგრამ მთარგმნელებს, რომლებმაც იგი უთუოდ ი. გოგებაშვილის „დედაე-ნიდან“ ამოიღეს ფიქრადაც არ მოსდისთ, რომ იგი იაკობ გოგებაშვი-ლის მიერაა გადაკეთებული“ (სეა, N-443, 1976).

აღნიშნული საკითხის შესწავლისას მივაკვლიეთ აკაკი შანი-ძის მიერ ჩაწერილ სვანური ტექსტის ხელნაწერ დედანსაც, რომე-ლიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (სეა, N-402, 1920:87-91). ხსენებული ტექსტი შევადარეთ დაბეჭდილ და გამო-ქვეყნებულ ვარიანტს და აღმოჩნდა რომ უცვლელადაა დაბეჭდილი.

როგორც აღმოჩნდა, აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი სვანური ტექსტი არ ყოფილა ერთადერთი ვარიანტი, იგივე ზღაპარი სახელ-წოდებით **ზგსყღლ ი ტიშილდ** „რწყილუკა და ტილუკა“ ვარლამ თოფურისაც ჩაუწერია 1957 წელს ლენტეხში, კერძოდ ჯაჩეშში (გე-რონტი ივანეს ძე ლიპარტელიანისგან), თუმცა ეს ვარიანტი არ და-ბეჭდილა. რაკილა ლენტეხური ვარიანტის არსებობის შესახებ აქა-მდე არ იყო ცნობილი, გადავწყვიტეთ ეს ტექსტიც წარმოგვედგინა:

ზესყელდ ი ტიშილდ

ლემწრდელის ზესყელდ ი ტიშილდ. აღსემწზლის. ამეყედხ ბოგმოყ. ზესყელდს ხოქვა ტიშილდამშე:

– ჟი ლოქ ლწხებოცან, ქა ლოქ ადამესკ ლიცქა! ტიშილდს მანდ ხორომნა. ლახაპერა ზესყ ი ქამერედ ერეხე პილხო. ლახაპერა ტიშილდ, ნესკა ლიცისკა ამეშყედ. ამერედ ზესყელდ ხანხო:

– ძაგვ ლოქ ლახვემ!

ხანს ხოქვა: – შვეიბ ლოქ ახოჯიდ ი ქა ლოქ ლახიდნე ძაგვს.

ამერედ ზესყ. ხოქვა ჯიემე: – შვეიბ ლოქ ლახვემ!

ჯის ხოქვა: – ჯარჩუვ ლოქ ათაყვილ, ერქა ქა ლოქ ლახიდნე შვეიბს.

ამერედ ჯარჩუხო, ხოქვა: – ქა ლოქ ათეყვალ ჯის!

ჯარჩუს ხოქვა: – ცხანკვ ლოქ ათაყვილ, ერქა ქა ლოქ ათეყველნი ჯის.

ამერედ ზესყ, ხოქვა ცხანკვიმ: – ქა ლოქ ათეყვალ ჯარჩუს!

ერქა ცხანკვს ხოქვა: – წიწილ ლოქ ლახვემ ი ერქა ქა ლოქ ათეყველნი ხარჩუს.

ამერედ ქათალხო. ხოშვემნა წიწილ. ქათალს ხოქვა: – ფანტვ ლოქ ახოჯიდ, ერქა ქა ლოქ ლახიდნე წიწილს.

ამერედ ბედელხო: – ფანტვ ლოქ ლახვემ!

ბედელს ხოქვა: – შტუგვ ლოქ ათაყვილ!

ამერედ შტუგხო ზესყ. ხოქვა: – ქა ლოქ ათეყვალ ბედელს!

შტუგვს ხოქვა: – ციცვ ლოქ ათაყვილ, ერქა ქა ლოქ ათეყველნი ბედელს.

ამერედ ციცვხო. ციცვიმ ხოქვა: – ქა ლოქ ათეყვალ შტუგვს!

ციცვს ხოქვა: – ლეჯე ლოქ ახოჯიდ, ერქა ქა ლოქ ათეყველნი შტუგვს.

ზესყ ამერედ ფირვხო: – ლეჯე ლოქ ლახანემ!

ფირვს ხოქვა: – ჟემ ლოქ ახოჯიდ!

ამერედ ლარახხო: – ჟემ ლოქ ლახვემ!

ლარეს ხოქვა: – ლიც ლოქ ლახოფიშტვ, ერქა ქა ლოქ ლახიდნე ჟემს.

ამერედ ზესყ. სკა ხოფიშტვა ლიც ლარემშდ, ლარეს ჟემ ლახოვოდა, ჟემ ფირვიმ ასოშიდა, ფირვს ლეჯე ლახოვოდა, ლეჯე ციცვიმ ლახოთუნა, ციცვ შტუგვს ათაყველა, შტუგვ ბედელს ათაყველა, ბე-

ღელს ფატვ ლახოვოდა, ფატვ ქათალშ ასოშიდა, ქათალს წიწილ ლახოვოდა, წიწილ ცხაკვიშ ლახოვოდა, ცხაკვ ჯარჩუს ათაყველა, ჯარჩუ ჯის ათაყველა, ჯის შკვიბ ლახოვოდა, შკვიბ ხმშიშ ასოშიდა, ხმშს ძაგვ ლახოვოდა, ზესეს ძაგვ ჟ'ახომტერნა, სკ'ასოყია ლიცისკა, ჟ'ახოყედა მიჩა მუხვზე ტიშილდ.

ადნიშნული ზღაპრის ჩვენს ხელთ არსებული (ქართული, ლაშხური, ლენტეხური) ვარიანტების შედარება-შეპირისპირების ანალიზმა შემდეგი მსგავსება-განსხვავება აჩვენა:

* ქართულ ვარიანტში **ყვავია**, სვანურის ლაშხურ ვარიანტში **ჯაჩუ** „ჩხიკვი“ გვხვდება, ხოლო ლენტეხურში – **ჯატიჩ** „ჩხიკვი“ და **ცხაკუ** „ქორი“ ორივე ერთად; ჩხიკვი ითხოვს ქორისგან თავდახსნას (რაც მხოლოდ ლენტეხური ტექსტის თავისებურებაა);

* ქართულში **კრუხია**, ლაშხურში **დედუ** „დედალი“, ხოლო ლენტეხურში **ქათალ** „ქათამი“;

* ქართულსა და ლაშხურ ვარიანტში **ორმოა**, ლენტეხურში **ბე-ღელი**;

* ქართულსა და ლენტეხურ ვარიანტში **რძეს** ითხოვს კატა, ხოლო ლაშხურში **შტელს** „შრატს“;

* ქართულ-ლენტეხური ვარიანტისგან განსხვავებით ლაშხურ ვარიანტში რწყილი **ჯაგარს** კი არა, მატყლის **ქულას** სთხოვს ღორს (**ა, საბა, ხამ, კოჭორღ ქულორღუ ლახორმ** „აი, საბრალო, ღორო, ცოტა ქულა მომეციო“);

* ქართულ ვარიანტში რწყილი თითქოს ნიშნისმოგებით ეუბნება ჭიანჭველას „– მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებო? – განა მე კი ვერ გადავხტებიო?! – უთხრა ჭიანჭველამ ნიშნისმოგებითვე; ლენტეხურ ვარიანტში რწყილი დაუფიქრებლად სთავაზობს ტილს აცოცებას და გადაყვანას, მაგრამ ტილი იუარებს და გადახტება; ლაშხურ ვარიანტში ტილი იწყებს გადახტომაზე საუბარს და თან ორჭოფობს, რომ – ვაითუ ვერ გადავხტეო. რწყილის პოზიცია არც ჩანს, ისე გადაწყვეტენ გადახტომას;

* ქართულისგან განსხვავებით, ლაშხურ-ლენტეხურ ვარიანტებში სიუჟეტი გრძელდება მინდორთან დიალოგით, წყალს ითხოვს მინდორი, რომ მოირწყას და ამის შემდეგ აძლევს თივას;

* ლენტეხურ ვარიანტში რწყილს რძე კატასთან უბრალოდ კი არ მიაქვს, არამედ ასმევს კიდეც (**ღჯკე ციცვიშ ლახოთუნა** „რძე კა-

ტისთვის დაუღევინებია“), ასევე თავად ემსახურება ქათამსა და ღორს (**ფატე ქათამად ასოშიდა** „ფეტვი ქათამისთვის დაუყრია“; **შევიბ ხამიშ ასოშიდა** „რკო ღორისთვის დაუყრია“);

* ლაშხური ვარიანტი იწყება დალოცვით (-**ჯამზერაბ ღერთემ** „დაგლოცოთ ღმერთმა“), რაც სვანური ზღაპრებისთვის ნიშანდობლივია, თუმცა ლენტეხური ვარიანტი პირდაპირ ამბის თხრობით იწყება;

* ლენტეხური ვარიანტი შედარებით მოკლეა, რაც განპირობებულია მონოლოგების არარსებობით, ქართულ-ლაშხურ ვარიანტში რწყილის მონოლოგი ერთგვარი რეფრენია და მეორდება, ხოლო ლენტეხურში მონოლოგი მხოლოდ ბოლოს ერთვის, ასევე თხრობის სტილიც ლაკონიურია, არ შეიცავს თხოვნას და ჭარბობს ბრძანებითი წინადადებები.

შენიშნული მცირეოდენი სხვაობები (სიუჟეტისა და პერსონაჟებისა) არცაა გასაკვირი, ვინაიდან ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობას ზეპირი გზით სხვადასხვა ინტერპრეტაციებით გადაეცემა.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგებაშვილი 1910 – იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, თბილისი

სეა, უიცა, 1920 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, N 402

სეა, უიცა, 1976 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, N 443

შერაზადაშვილი, 1976 – ზაქარია შერაზადაშვილი, აი იას ბადალი, გაზ. ლიტერატურული საქართველო.

მერაბ ჩუხუა

ქართული ენისა და ქრისტიანობის ისტორიული სტატუსი კავკასიის რეგიონში

ტრადიციულად ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აღიარებული იყო ყველა სამეფო-სამთავროში უგამონაკლისოდ და იგი ქართველთა იდენტობის განმსაზღვრელი მოცემულობაც იყო ამავედროულად. ქართული ენის მნიშვნელობა ქვეყანაში სრულად იყო გაცნობიერებული. სტატუსი ურყევად სტაბილურია ქვეყნის ისტორიის მანძილზე, თვით ყველაზე დიდი დაქსაქსულობის დროსაც კი (მ. ქურდიანი, ტ. ფუტკარაძე). საერთოქართული აღიარების ნათელ ნიმუშად 1790 წელს „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ხელმოწერ მმართველთა ეროვნული პათოსი გვევლინება, როდესაც ერთობილ ქართველნი, მაშინდელი საქართველოს მეფე-მთავრები, ერთხმად აღიარებდნენ: „ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“.

ფარნავაზის მიერ ქრისტეს წინ მესამე საუკუნეში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების ფაქტს მასშტაბურობა და ყოვლისმცველობითობა ახასიათებდა; რაც გამოიხატა კიდევ სათანადოდ „ქართლის ცხოვრების“ ეროვნულ პლატფორმაში, როცა მემატანის ოფიციალური პოზიცია მეტად შთამბეჭდავად გამოიხატა: „განავრცო [ფარნავაზ] ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ამის შესახებ სამართლიანად ასკვნიდა ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებელი დიდი მეცნიერი და მოქალაქე ივანე ჯავახიშვილი, როცა წერდა: არამც თუ საზოგადოდ ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ წარმართობას ტერმინოლოგი-

აც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა. ფუძემდებლურ დებულებას ფაქტობრივი მასალითაც ადვილად დავადასტურებთ, თუ მოვიხმობთ ქართველური ქვესისტემებიდან, ერთი შეხედვით, ყველაზე პერიფერიული რეგიონის სვანეთის მეტყველებაში შემორჩენილ წარმართულ ტერმინებს. მაგალითისთვის გავაანალიზოთ სვანურიდან კარგად ნაცნობი ეთნოგრაფიული ტერმინი **ვესკაცხ** „ოჩოკოჩი“, რომელიც მთელი ქართული სისტემისთვის დაკარგული სიტყვაა, მაგრამ ქართული კომპოზიტი სწორედაც რომ სვანურმა შემოინახა და მხოლოდ ამით დასტურდება მისი **[ვაც-კაც-ის]** ოდინდელი არსებობა სალიტერატურო ქართულში; თავად **ვესკაცხ** უდრის **ვაც- + კაც-**ს, ანუ *ვაც(ი)კაცი*, შდრ. მეგრ. ოჩო-კოჩი = ვაცა-კაცი... ასეთი შემთხვევები ხშირია მეგრულ-ლაზურშიც; ასე მაგალითად, *ადამიანის* აღმნიშვნელი წინარექრისტიანული ქართული **ამსვა** „ადამიანი“, რომელიც სვანური **ამსვა-**ლდ-ის შესატყვისი უნდა ყოფილიყო, ლაზურმა შემოგვინახა ოდნავ დავიწროებული მნიშვნელობით, შდრ. ლაზ. (← ქართ.) **ამსვა** „ოჯახის ვაჟიშვილი, რომელიც დაოჯახებულია, მაგრამ გაყრამდე ცხოვრობს მამისეულ სახლში“... **ამსვა** საკუთრივ ლაზური (resp. ზანური) რომ ყოფილიყო **უმსო / უმსუ** სახეობით იქნებოდა წარმოდგენილი, ვარაუდს ქართველურ ბგერათმესატყვისობათა ჩვენება განამტკიცებს.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდგომ, ქართული, როგორც პოლიტიკის, ღვთისმსახურების, განათლებისა და კულტურის ენა, მძლავრ საშუალებად იქცა შუასაუკუნეების დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში (დურძუკეთში, ჯიქეთსა და ოვსეთში, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ენებში ჯვრის აღმნიშვნელი სიტყვა უმთავრესად ქართულ *ჯვარს* ემთხვევა [ჟორ/ჟარ, ჯჰარა/ჯჰარგ...], რომ არაფერი ვთქვათ **მოზღარ** „მოდღარი“, **მარხ** „მარხვა“, **ღუდელო / ღუდეულუ** „მღვდელი“ და სხვ. საღვთისმსახურებო ტერმინებზე კავკასიურ ენებში. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ მხოლოდ დაღესტანში XV საუკუნემდე ქართულ ეკლესიას სამი მოქმედი საეპისკოპოსო წარმოადგენდა: ხუნძახი, ანწუხი და წახ(ური). ამიტომაც ადეკვატურად გვეჩვენება ნიკო მარისეული შეფასება ქართული ენის სტატუსისა კავკასიაში: ქართული დღემდე ტომობრივი

კი არა, ეროვნული ენაა... - ერთიანად კავკასიური საზოგადოებრიობის ენა.

ქართული კულტურის, დამწერლობისა და ქრისტიანული რელიგიის ამსახველი ძეგლები, რომლებიც საკმაოდაა შემორჩენილი ჩრდილოკავკასიაში, განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში. მატერიალური კულტურის ძეგლებს – ტაძრებს, საკულტო ნაგებობებს, სამარხებს თან ახლავს ქართული დამწერლობით (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური) შესრულებული წარწერები, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივთა ენობრივი მასალის ქართული გრაფემებით რეალიზებაა ასახული. ამგვარი ფაქტოლოგია, სავარაუდოდ, მიუთითებს ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი დამწერლობების ფუნქციონირებაზე, უფრო ზუსტად, დამწერლობის შექმნის (ენის მატერიალიზაცია) მცდელობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კავკასიელთა ისტორიის მანძილზე ჩვენი რეგიონის მშვიდობიანი ინტეგრაცია, არამალისმიერი გზით გაერთიანება, ისევე, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად, მხოლოდ საქართველომ მოახერხა. ქართული გავლენა კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით დღესაც ცოცხალია ჩრდილოკავკასიის ხალხებში. როგორც ინგუშური ანდაზა გვამცნობს: გურჟეჩოჰ მოასთად ხუგავც - „ქართველი არასოდეს იქნება მტერი“... ასევე მრავლისმთქმელად გვევლინება დიდოური წყევლა დაღესტანში – „თამარ დედოფლის დაგორებულმა ქვამ დაგიტანოს“, სადაც თამარის, როგორც დაღესტნელთათვის ღირებული ისტორიული მოღვაწისა და მმართველის, პოზიტიური სახეა წარმოჩენილი.

სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ დაღესტნის ისტორიაში დამოწმებულია ათეულობით მოწამეები, რომელმაც არ მიიღეს ისლამი და ეწამნენ ქრისტესათვის; ხოლო გადარჩენილებმა მოიპოვეს უფლება, ეცხოვრათ სოფელ ხუნძახის განაპირა ტერიტორიაზე. მოგვიანებით მათ, რელიგიის გამო, ქართველებს უწოდებდნენ. დაღესტნის ხანდაზმულ მოსახლეობაში დღემდე ცოცხალია ხსოვნა იმის შესახებ, რომ დაღესტნელების წინაპრები ქართველები იყვნენ, რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადრეულ ეტაპზე დაღესტნური მოსახლეობის საკმაოდ

დიდი წილი ქრისტიანი (= ქართველი) იყო. დაღესტანში, მის ალბანურ ნაწილში, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად უკვე IV საუკუნის დასაწყისში იყო აღიარებული. VII საუკუნიდან მართლმადიდებლობამ დაღესტნის სხვა ნაწილებშიც დაიწყო შეღწევა. ამ დროიდან საქართველო აქტიურად ეწეოდა მაღალმთიანელთა „სულიერ განმანათლებლობას“. როგორც ცნობილია, დერბენტის ტერიტორიაზე არსებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა ციტადელი "ნარინ-ყალას" ტერიტორიაზე მდებარეობს და, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს დერბენტში ქრისტიანობის გავრცელებასთან (სავარაუდოდ თარიღება მე-4-5 საუკუნე). მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მეცნიერები თვლიდნენ, რომ ეს ნაგებობა კლდეში ამოჭრილი წყლის ცისტერნა იყო. და მართლაც, გვიან შუა საუკუნეებში აქ წყალი ინახებოდა, მაგრამ ამ სტრუქტურის თავდაპირველი დანიშნულება, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, განსხვავებული იყო. შენობის განლაგების (ჯვრის სახით) შესწავლისას მყისვე მიიპყრობს ყურადღებას მისი მსგავსება კავკასიის, საქართველოს და რიგი სხვა რეგიონების ადრეულ შუა საუკუნეების ეკლესიებთან. IX – X საუკუნეები ჩრდილოეთ კავკასიაში ხასიათდება ქრისტიანული ძეგლების ფართოდ განაშენიანებით. ეს იყო ბიზანტიის, განსაკუთრებით კი საქართველოს კულტურულ-რელიგიური საქმიანობის შედეგი. სინაის ერთ-ერთი ქართული მონასტრის XV საუკუნის სინოდიკაში მოხსენიებულია დასკვნა „ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიის არსებობის შესახებ დაღესტანში“. ქრისტიანული ძეგლი მდებარეობს ხეობაში, ღრმა კლდოვან კანიონში, ფატან-ბუგებ-კვალ (ხუნძურიდან თარგმანი ნიშნავს "კვირის ხეობას") უსახელო მდინარის ნაპირზე შამილის რაიონის სოფელ დათუნასთან. საკულტო სტრუქტურა წააგავს პატარა ელეგანტურ სახლს, რომელიც აგებულია ოქროს ყვითელი ქვიშაქვის სუფთა ბლოკებით. შენობის ერთ ნაწილში ორმაგი კედლებია, რომლებშიც საკნებია განთავსებული (რაც შესაძლოა სამონასტრო ცხოვრების არსებობაზე მიუთითებდეს). ბედი ეკლესიისა საოცარია: მე-10 საუკუნეში ქართველი მისიონერების მიერ დაღესტნის მთებში აღმართული ძეგლი, ქრისტიანობის გავრცელებისა და ისლამის დამკვიდრების შემდეგ მიტოვებული იყო სამი საუკუნე, მაგრამ კვლავ გაცოცხლდა იმამ შამილის კავკასიის ომის დროს (XIX საუკუნის პირველი ნახევარი).

ტრადიციულად დერბენტის ამირები ცოლად დაღესტნის არამუსლიმი მმართველების ქალიშვილებს ირთავდნენ, ხოლო ემირ აბუ-ლ მუზაფარი დაქორწინდა საქართველოს მეფის დიმიტრის (დემეტრე, 1125-1156) ქრისტიან ასულზე, რომელიც იყო დავით აღმაშენებლის შვილიშვილი. როგორც იბნ ალ-აზრაკი მოწმობს, დემეტრე ეწვია დერბენტს 549 წელს – ჰიჯრი (1156 წ.) და დახვდა სიძე აბუ-ლ მუზაფარი.

VII საუკუნიდან დაღესტანში დაიწყო ქრისტიანობის კიდევ ერთი მიმართულების შეღწევა – მართლმადიდებლობა. ამ დროიდან დიოფიზიტურმა საქართველომ სომხეთს წაართვა ინიციატივა მთიელთა „სულიერი განმანათლებლობის“ საკითხში და VII საუკუნიდან „საქართველოს კათალიკოსი მეფეებს და ყველა ხალხისა და ქვეყნის მწყემსებს აკურთხებდა შავი ზღვიდან დერბენტამდე. მათ შორის იყო ოვსეთი და ჩერქეზეთი. X-XII სს. კიდევ უფრო გააქტიურებულია ქრისტიანობის ქადაგება საქართველოს მხრიდან, დაღესტნის გარდა, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. მთიან დაღესტანში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები აჩვენებს, რომ აქ ქრისტიანობის შემოღების პროცესი ხანგრძლივი იყო. დაღესტანზე საქართველოს იდეოლოგიურ გავლენას არაერთმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. საქართველოში XI-XII სს. მიმდინარეობდა განსხვავებული ტერიტორიების ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი. ამავდროულად, დაღესტანი იყო პოლიტიკური ერთეულების კონგლომერატი, ამიტომაც ქართველი მისიონერები მოქმედებდნენ ზაქათალის რაიონის წახურის მონაკვეთზე – "წუქეთში". „მთელ წუქეთს“, თუშეთს, ხუნზახსა და მთიან რაიონებს განაგებდა ვინმე აბუხვასრო, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ქრისტიან მისიონერებს. ქართული მატანეს მიხედვით, მეფე არჩილმა იძულებით გააქრისტიანა წარმართები: წუქეთს მოვიდა და იქ ააშენა კასრის ეკლესია. ამრიგად IX-X საუკუნეები ჩრდილოეთ კავკასიაში ხასიათდება ქრისტიანული ძეგლების ფართოდ გავრცელებითა და ქრისტიანობის პოზიციების მნიშვნელოვანი განმტკიცებით.

ქრისტიანობის მასობრივი შეღწევა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ყველაზე აქტიურად X საუკუნეში დაიწყო, მეზობელი სახელმწიფოს „ინიციატივებს“ ეყრდნობოდა. მანამდე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ჩრდილო-დასავლეთ კავკა-

სიაში ქრისტიანობის გავრცელების ინიციატორები იყვნენ აფხაზეთი და ბიზანტია; კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში (დეალეთი, ინგუშეთი) – ქართლი და კახეთი; ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში (დაღესტანში) – კახეთის სამთავრო, შემდეგ კი ცენტრალიზებული საქართველო. ფაქტია, რომ აღმოსავლეთ ალანია და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია ქართული ეკლესიის უდავო იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მართლმადიდებლობის წარმატებას პოლიტიკურმა გარემოებებმა შეუწყო ხელი – დავით აღმაშენებლის (1089 – 1125 წწ.) და თამარ მეფის თავდაცვითმა პოლიტიკამ საქართველოს პოლიტიკური და იდეოლოგიური პრესტიჟი უაღრესად აამაღლა.

ამდენად, პირველ ეტაპზე დიდი როლი ითამაშა ქრისტიანობის გავრცელებამ დაღესტნის დასავლეთ რეგიონებში. ავარია-ხუნძეთში მე-8-მე-10 საუკუნეების ქრისტიანული სამარხები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. სოფლები ურადა, ტიდიბი, გალა, ტინდი, კვანადა, რუგუჯა მოწმობს პროტომართლმადიდებლობის მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯებს და ქრისტიანული ელემენტების ღრმად შეღწევას მთიანი დაღესტნის რეგიონებში.

„ქართლის-ცხოვრების“ ცნობით, საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე (1318-46) აგრძელებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინება გულისხმობდა პოლიტიკური გავლენის ზრდას დაღესტანზე. სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების გააქტიურება – ყველა ეს ფაქტი ხელს უწყობდა ქართველი მმართველებისა და ქართული ეკლესიის პოლიტიკის განხორციელებას და ასევე მეტყველებს რელიგიური ფაქტორის აქტიურ გამოყენებაზე. დაღესტნის საზოგადოებებში ქრისტიანობის დამკვიდრების ახალი მცდელობები გადაიზარდა მისიონერული მოღვაწეობის გაშლა-გავართობაში, დაიდგა ქრისტიანული კულტის ახალი ძეგლები. წერილობითი წყაროები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ქრისტიანობის შეღწევისა და დამკვიდრების თაობაზე; არაერთი ქართველი ქრონოგრაფი დაღესტანში პიმენ სალოსის მისიონერულ მოღვაწეობასა და ცნობილ მოხსენებებს ასახელებს. არაბი ენციკლოპედისტი იაკუტი წერს ლაქზეში (სამხრეთ დაღესტნის ნაწილი) ქრისტიანთა ყოფნის შესახებ. ხოლო 1310 წლით დათარიღებულ პოსტრიპტში, სახა-

რებაში, რომელიც ეკუთვნოდა მ. მაღალაშვილს, წერია დაღესტანში რამდენიმე ეპარქიის არსებობის შესახებ – ანწუხი, წახური და ხუნ-ზახი. სინაის ერთ-ერთი ქართული მონასტრის XV საუკუნის სინოდის კი მოხსენიებულია დასკვნა – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიის არსებობის შესახებ დაღესტანში [ხან-ბაბაევი 2006].

ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

მეტგვარი სახელების წარმოება კახეთში მიგრირებულ მთიულ-გუდამაყრელებში

ქართულ სინამდვილეში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ამა თუ იმ საგვარეულოსა თუ ოჯახს ოფიციალურ გვარსახელთან ერთად შერქმეული ჯგუფური მეტსახელითაც მოიხსენებენ. განსხვავებით საპასპორტო გვარსახელისაგან, პიროვნების იდენტიფიკაციისას მას არა აქვს იურიდიული სტატუსი, მაგრამ გარკვეულ სოციუმში ამავე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) იდენტიფიცირების პროცესში ჯგუფურ მეტსახელს გაცილებით მეტი სიძნადე შეაქვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა „მოსახლეობის მჭიდრო თანაცხოვრების პირობებში ანთროპონიმთა დამთხვევის დიდი პროცენტის დროს იქმნება სიტუაცია, როცა ე. წ. საპასპორტო გვარ-სახელი უქმია. იგი ერთბაშად რამდენიმე პიროვნებას მიემართება. ასეთ შემთხვევაში აქტიურად ამოქმედდება პარალელური ანთროპონიმული სისტემა – შტოგვარი, რომლის დართვა ძირითად გვარ-სახელზე აკონტროლებს და აზუსტებს დასახელებულ პირს“ (ფურცხვანიძე 2003, 111). იგი ემსახურება იმას, რომ „დაახასიათოს რაღაც ნიშან-თვისებით, სოციალური თუ ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შეასრულოს მისათითებელი, მაორიენტირებელი ფუნქცია“ (მელიქიძე 2005, 92). ჯგუფური მეტსახელები ისტორიულად საერთოქართველური ფენომენია. „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს გარდა, გვა-

რის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებით სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის ან პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები... განტოტებას გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უდევს საფუძვლად. გვარის მეტსახელი განტოტება საერთო-ქართველური მოვლენა ყოფილა“ (დლონტი 1986, 43). გვართან დაკავშირებულ მეტსახელთა შინაარსის გადმოსაცემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სიტყვა გვხვდება: „გვარის განაყოფთა სახელი“, „შტოგვარი“, „გვარზე მეტი“, „თიკუნი“, „მისაგნები“, „კილი“, „სახინჯარი“, „ქობის სახელი“ და ა. შ. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამ მნიშვნელობას რამდენიმე ტერმინით აღნიშნავენ. გვხვდება „გვარის განაყოფთა სახელები“, „შტოგვარი“, „მეტგვარი“ ან „გვარზე მეტი“, „ოჯახის სახელი“, „მეტსახელი გვარი“. თუმცა, როგორც მიუთითებენ, ისინი შესაძლოა ყოველთვის იდენტური არ იყოს. პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ შტოგვარი განიმარტება როგორც „არაოფიციალური ჯგუფური ანთროპონიმი, გვარის განაყოფის (განშტოების) ზედწოდება, ჩვეულებრივ, მომდინარე ეპონიმის სახელისგან ან მეტსახელისგან“ (ცხადაია 1988, 66-67). აქვეა ახსნილი „მეტგვარიც“: „ჯგუფური მეტსახელის სახეობა, გვარის მეტსახელი. დამატებითი არაოფიციალური სახელი, რომელიც ერქმევა ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ მთელ გვარს მისი ძირითადი მოსაქმეობის, საერთო ნიშან-თვისების, ეპონიმის ან სხვ. მიხედვით“ (ცხადაია 1988, 128-129). „ოჯახის სახელი“ კი ერთი რომელიმე კომლისთვის შერქმეული მეტსახელია. ს. მელიქიძე „მეტგვარს“ აღჭურავს კიდევ უფრო მეტი ფუნქციით და ამ ტერმინოლოგიური სიჭრელისა და უზუსტობისაგან თავის დასაღწევად გვთავაზობს, რადგან ეს უკანასკნელი „გვარის ან კიდევ საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფთა“ სახელებს „ერთი ზოგადი მნიშვნელობის ქვეშ გააერთიანებს“ (მელიქიძე 2005, 91). რ. თოფჩიშვილი სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დასამკვიდრებლად დიალექტურ ფორმას („მამიშვილობა“, „განაყოფობა“) ანიჭებს უპირატესობას (თოფჩიშვილი 1996, 96).

ენობრივი ფენომენი, რომლის აღსანიშნადაც ჩვენ „მეტგვარ სახელს“ გამოვიყენებთ, შესწავლილი და გამოკვლეულია ქართვე-

ლური ენებისა და დიალექტების დონეზე. მოცემულია სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, გამოვლენილია საერთო მოდელები და დიალექტური თავისებურებანი (ი. ჩანტლაძე, გრ. ბერიძე, ი. მასურაძე, ალ. ღლონტი, ბ. ჯორბენაძე, ზ. ფურცხვანიძე, მ. კობიაშვილი, ს. მელიქიძე, ლ. კობაიძე, მ. ქუქჩიშვილი, მ. ფადავა).

ამ მიზნით ვაკვირდებოდით მთიულეთ-გუდამაყრიდან საუკუნეზე მეტი ხნის წინ კახეთში, სოფელ ზემო ქედში, ჩასახლებული მთიელების სამეტყველო ქცევას. მოვაგროვეთ შესაბამისი მასალა ადგილობრივებთან. ამოვკრიბეთ და დავამუშავეთ ეროვნულ არქივში 1948-1950 წლების აღწერის დროს საკომლო დავთრებით შემონახული ინფორმაცია. შევეცადეთ, თავი მოგვეყარა და შემდეგ ფორმობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაციის მეშვეობით დაგვედგინა, ქმნიან თუ არა თავისებურ სისტემას ზემოქედელ მთიულებში აღნუსხული მეტგვარი სახელები; შეიცვალა თუ არა რამე ამ თვალსაზრისით მეტგვარ სახელთა ტრადიციულ წარმოებაში, რომელიც რელიეფურად მოჩანს გასულ საუკუნეში ფიქსირებულ ტექსტებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში? ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს პერსპექტივაში, თუკი წარმოდგენილი კვლევის შედეგს შევუდარებთ მთიულ-გუდამაყრელებთან ერთად აქ ჩასახლებული ფშავლებისა და ხევსურების მეტყველებაში ასახულ ვითარებას. ვინაიდან დიალექტთა ურთიერთგავლენის სიღრმე და მასშტაბი მათი კონტაქტის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, თავისთავად საინტერესოა ინტერფერენციის კვალი განსახლების ისეთ არეალში, სადაც საუკუნეზე მეტ ხანს თანაცხოვრობენ მთიულები, ფშავლები, ხევსურები, მოხევეები, ურუმები და მეზობელი აზორიგენი ქიზიყელები.

მთიულურ-გუდამაყრულში (ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად) შტო-გვარის წარმოების ტიპები გამოიკვლია ბ. ჯორბენაძემ (ჯორბენაძე 1993). მეცნიერი ამავე პრობლემას კიდევ ერთხელ შეეხო, როცა შტო-გვარის სახელთა წარმოების ზოგადი პრინციპები ქართველური ენების მასშტაბით წარმოადგინა (ჯორბენაძე 1995). აღნიშნული საკითხის შესწავლას დაეთმო მაია კობიაშვილის სადისერტაციო ნაშრომიც „შტო-გვარის აღმნიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში“, სადაც ქართული ენის მთის სხვა დიალექტებს შორის მთიულურ-გუდამაყრულიც არის გა-

ანალიზებული (მ. კობიაშვილი 1995). ბ. ჯორბენაძე მთიულურ-გუდამაყრულისათვის შემდეგ სურათს წარმოადგენს: შტო-გვარის სახელების საწარმოებლად გამოყენებულია ძირითადად -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი. წარმოების ეს ტიპი გვიჩვენებს რამდენიმე მოდიფიკაციას. კერძოდ, ერთ შემთხვევაში -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს (ბაკურ-ნ-ი, ბაკურ-თ); მეორე შემთხვევაში -ნ/-თ(ა) დაერთვის -ან, -იან, -ურ სუფიქსებით გართულებულ ფუძეს (ტუხა-ან-ნ-ი, ნანუკ-იან-ნ-ი, ფიცხელა-ურ-ნ-ი; ტუხა-ან-თ, ნანუკ-იან-თ, ფიცხელა-ურ-თ). მ. კობიაშვილი შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებს ჯერ საწარმოებელი ფუძის მიხედვით ალაგებს, მერე კი მათ კლასიფიკაციას მაწარმოებელი სუფიქსების მეშვეობით ახდენს. საწარმებელ ფუძეთა მიხედვით, მაგალითად, გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ოჯახის უფროსი წინაპრის სახელისაგან წარმომდგარი სახელები (*„ჭალაში წისქვილს უდგავარ თორღვათ ნანაის ქალი“ (ელ. ვირს., 1958, 122, 40)*); ფუძე პიროვნების საკუთარი სახელი, ოჯახის უფროსი წევრისადმი ან მთელი ოჯახისადმი შერქმეული მეტსახელია, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს სხვადასხვა პიროვნულ ნიშან-თვისებაზე, საოჯახო თუ საგვარეულო საქმიანობასა და თანამდებობაზე, წარმომავლობაზე (*„ცოდვიანთ შიოს ედახოოდენ მაგას, მეჯოგეებს დამჭრა თავი“ (ლ. კაიშ., 1978, 84, 15)*); ავტორი ცალკე ჯგუფად წარმოადგენს სახელებს, რომელთა ფუძეც ცხოველის, ფრინველის, მწერის, ქვეწარმავლის აღმნიშვნელი სიტყვებია (*„კოლღანთ თამარა ხო იცი, ეგა ზიდავდა ფომტას“ (ლ. კაიშ., 1978, 122, 10)*); რაც შეეხება მაწარმოებელი სუფიქსის მიხედვით შტო-გვარის სახელთა გადანაწილებას, მ. კობიაშვილი, არსებითად, იმავე ტიპებზე საუბრობს, რომლებსაც ბ. ჯორბენაძესთან გავეცანით. მოგვყავს ავტორის მიერ დამოწმებული მაგალითები: უშუალოდ ანთროპონიმის ფუძეზე დართული -ნ/-თ სუფიქსი (*„შალვიათ ივანია-სა ბაღლებში უყორს სიცილი“ (აკ. შან., 1951, 179, 30)*); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -იან სუფიქსით გართულებულ ფუძეს. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ მთიულურ-გუდამაყრულში უმეტეს შემთხვევაში ფონეტიკურად გამარტივებული, ერთი ნ-ს ჩავარდნით მიღებული, ფორმებია (*„სანამ ის ბრძოლა არ დამთავრდა, იქ ნამყოფილა, მღვდლიანთას უცხოვრია“ (ლ. კაიშ., 1978, 99, 25)*); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ან სუფიქსით გართულებულ ფუძეს (*„გვიდაქეში ნადი-*

რანთ დათუნადსთვის ეკითხნათ რჩევა“ (ლ. კაიშ., 1978, 202, 20));
-ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ურ სუფიქსით გართულებულ ფუძეს
(„იქ ეხლა სამძღვარია, *ტუქურთ აუშენებიათ, რო არ გადმოვიდენო“*
(ლ. კაიშ., 1978, 104, 20));

ამ ფონზე საინტერესოა, რა ვითარებაა კახეთში, დედოფლის-წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში, მიგრირებულ მთიულ-გუდამაყრელთა მეტყველებაში. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ მეტგვარ სახელთა -ნ/-თ სუფიქსიანი ტრადიციული წარმოების ტიპები ჩვენთვის საინტერესო ენობრივ კოლექტივში, შეიძლება ითქვას, ნაშთის სახით ან გარკვეული მოდიფიკაციებით ჯერ კიდევ შემონახულია. მაგრამ ძველი წარმოების გვერდით უკვე მოჩანს ახალი წარმოება, სადაც -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი -ებ სუფიქსიანი მრავლობითითაა ჩანაცვლებული.

თითქმის რარიტეტის სახითაა შემონახული წარმოების ის ტიპი, სადაც ძველი -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ დაერთვის ანთროპონიმის ფუძეს:

კედელანი (კედელათ) < **კედელაშვილი**
მიყორანი (მიყორათ) < **მიყორაშვილი**
მკერვალნი (მკერვალთ) < **მკერვალიძე**
კობანი (კობათ) < **კობაიძე**
ოგბანი (ოგბათ) < **ოგბაიძე**
ნადიბანი (ნადიბათ) **ნადიბაიძე**

ამ უკანასკნელთან შედარებით საკმაოდ ძლიერი და პროდუქტიულია წარმოების ტიპი, სადაც -ნ/-თ სუფიქსი დაერთვის -ან, -იან, -ურ ბოლოსართებით გართულებულ ფუძეებს:

ციხიანი (ციხიანთ) < **ციხიშვილი**
ლაზვიანი (ლაზვიანთ) < **ლაზვიაშვილი**
ქურციკიანი (ქურციკიანთ) < **ქურციკიშვილი**
გვრიტიანი (გვრიტიანთ) < **გვრიტიშვილი**
გუდაანი (გუდაანთ) < **გუდაშვილი**
ციხელაანი (ციხელაანთ) < **ციხელაშვილი**
ხარებაანი (ხარებაანთ) < **ხარებაშვილი**

ყველა ზემოჩამოთვლილი მაგალითისათვის სახელობით ბრუნვაში ამოსავალია ორი ნ-ს შემცველი ფორმა, რომელთაგან ერთ-

თი -ან/-იან სუფიქსისეულია¹, მეორე კი – მრავლობითობის ნიშანია (*ლაზვიანნი, *ციხელაანნი). მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ჯერ კიდევ მთიულეთ-გუდამაყარში, მიგრაციამდე, „უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფონეტიკურად გამარტივებული ფორმები (ერთი ნ-ს ჩავარდნით მიღებული)“ (კობიაშვილი 1995, 67). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა იშვიათობად ქცეულ და -ან/-იან სუფიქსებით გართულეულ მეტგვარ სახელებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გვარებისაგან წამომდგარი სახელები. რაც შეეხება ეპონიმისაგან ან მეტსახელისაგან მომდინარე მეტგვარებს, აქ -ან/-იან სუფიქსები უალტერნატივოა (სათანადო მაგალითებს ქვემოთ სემანტიკური კლასიფიკაციისას შესაბამის მსჯელობასთან ერთად წარმოვადგენთ).

ჩოქურნი (ჩოქურთ) < **ჩოქური**

ბუბუნაური (ბუბუნაურთ) < **ბუბუნაური**

როგორც აღვნიშნეთ, წარმოების ამ ტიპთან ვხვდებით გარკვეულ მოდიფიკაციებსაც. მაგალითად, ხშირად -ან/-იან სუფიქსებით გართულეულ ფუძეში შენარჩუნებულია გვარსახელთა მაწარმოებელი -მე, -ურ (-ულ) ფორმანტიები:

სუნტიძენი (სუნტიძენთ) < **სუნტიძე**

გაგაძენი (გაგაძენთ) < **გაგაძე**

ბურჟუურიანი (ბურჟუურიანთ) < **ბურჟუური**

ადგილნაცვალი მთიულ-გუდამაყრელების მეტყველებაში ინოვაციად შეიძლება მივიჩნიოთ ოდენ-ებ-სუფიქსიანი წარმოება. ახალი წარმოება იგუა მთიულური გვარსახელების თითქმის ყველა მაწარმოებელმა სუფიქსმა (წარმოების უახლეს ინოვაციადაა მიჩნეული აღნიშნული წარმოება სხვა დიალექტებთანაც (ჯორბენაძე 1995, 425)):

გოგიშვილები (გოგიშვილების) < **გოგიშვილი**

ქაწაშვილები (ქაწაშვილების) < **ქაწაშვილი**

ზაქაძეები (ზაქაძეების) < **ზაქაძე**

ბეგოძეები (ბეგოძეების) < **ბეგოძე**

ჩიტაურები (ჩიტაურების) < **ჩიტაური**

¹. -ან სუფიქსის უმველესი ქართველური წარმომავლობისა და მისი პირვანდელი ფუნქციის – კრებითობა-კორპორაციულობისა და წარმოშობა-სადაურობის მნიშვნელობის შესახებ იხ. ჯანაშია 1959, 34-47.

პარკაულები (პარკაულების) < **პარკაული**

ჩოხლები (ჩოხლების) < **ჩოხელი**

ბუთხუზები (ბუთხუზების) < **ბუთხუზი**

გვხვდება იშვიათი მოდიფიკაციაც, რომელიც ძველისა და ახლის საინტერესო სიმბიოზი უნდა იყოს. თუმცა აქ ძველი მრავლობითის, როგორც ფორმობრივი, ისე შინაარსობრივი, კვალი დაფარულია. იან-სუფიქსიც ფუძის ნაწილადაა გააზრებული და კრებითობა-ჩამომავლობის მნიშვნელობის გამოხატვა -ებ სუფიქსს უტვირთავს. ამიტომაც შესაბამისი ირიბი ბრუნვების თან-იანი ფორმა არც დასტურდება:

ბურჟუკურიანები (-)

გვრიტიანები (-)

ასე რომ, ერთი და იმავე გვარისაგან წარმომდგარი სახელი ორი და ზოგჯერ სამი პარალელური ფორმითაც შეიძლება მოგვევლინოს:

გვრიტიანი (გვრიტიანთ) // **გვრიტიშვილები** (გვრიტიშვილების) // **გვრიტიანები** (-)

ნადიზანი (ნადიზათ) // **ნადიზაიძეები** // (ნადიზაიძეების) // **ნადიზაიძენი** (-)

ჩოქურნი (ჩოქურთ) // **ჩოქურები** (ჩოქურების)

ბურჟუკურიანი (ბურჟუკურიანთ) // **ბურჟუკურები** (ბურჟუკურების) // **ბურჟუკურიანები** (-)

შევეცადეთ, სოფელ ზემო ქედში ჩასახლებულ მთიულ-გუდამაყრელთა მეტყველებაში საანალიზოდ მონიშნული მეტგვარი სახელები საწარმოებელი ფუძის მიხედვით სემანტიკურ ჯგუფებად გაგვეერთიანებინა.

მეტგვარ სახელთა ერთი ნაწილი ოჯახის გვარისახელისგან იწარმოება:

ხეტიანი (ხეტიანთ) < **ხეტეშვილი** ჯავარა მამუკას ასული

ლაზვიანი (ლაზვიანთ) < **ლაზვიაშვილი**

ქურციკიანი (ქურციკიანთ) < **ქურციკიშვილი**

გვრიტიანი (გვრიტიანთ) < **გვრიტიშვილი**

მკერვალნი (მკერვალთ) < **მკერვალიძე**

ნადიზანი (ნადიზათ) < **ნადიზაიძე**

ჩოქურნი (ჩოქურთ) < **ჩოქური**

ბუბუნაური (ბუბუნაურთ) // < **ბუბუნაური**
მამულაიძენი (მამულაიძენთ) < **მამულაიძე**

გაცილებით დიდ ჯგუფს ქმნიან ეპონიმური სახელისაგან წარმომდგარი მეტგვარი სახელები. ამგვარ სახელთა ფუძედ მოიაზრება ოჯახის წინაპრის (პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის) ან ოჯახის უფროსის / მამის სახელი. იმ განსხვავებით, რომ თუ წინაპრის სახელით ამ წინაპრის ჩამომავალ რამდენიმე თაობას და, შესაბამისად, რამდენიმე ოჯახს მოიხსენებენ, ოჯახის უფროსის სახელი რომელიმე ცალკეულ კომლს მიემართება. და კიდევ ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: როცა წინაპრის სახელით ხდება სახელდება (თუკი ამ უკანასკნელმა თავი დაიმკვიდრა და ნომინაციის ობიექტად დარჩა), აღარავინ იკითხავს, „ვინ სოლომნიანთიო?“. მაგრამ პიროვნების იდენტიფიცირებისას ოჯახის უფროსის / მამის სახელმა შეიძლება მხოლოდ პატარა უბანში შეასრულოს თავისი ფუნქცია, რადგან ნაკლებად შესაძლებელია, იქ ერთ პიროვნებას ბევრი სეხნია ჰყავდეს. მაგრამ ისეთ დიდ სოფელში, როგორც ზემო ქედია, ოჯახის უფროსის / მამის სახელს შეიძლება დაკონკრეტება დასჭირდეს. იკითხავენ, „ვინ ოთარაანთიო?“. სწორედ ამიტომ მათზე განცალკევებით აღარც ვისაუბრებთ.

როგორც ვთქვით, წინაპარი შეიძლება იყოს პაპა, პაპის მამა ან პაპის პაპაც:

შაშოანი (შაშოანთ) < ბერიანიძე **შაშო** მიტროს ძე

ირემანი (ირემანთ) < წიკლაური ანდრო **ირემას** ძე

პეტოანი (პეტოანთ) < ბექაური **პეტო** პავლეს ძე

ყარამანაანი (ყარამანანთ) < ქავთარაძე **ყარამანი** დავითის ძე

გლახაანი (გლახაანთ) < ბუქური პავლე **გლახას** ძე

გვერდით ცხოვრობენ ბიძაშვილები, მაგრამ ბუქური ბასილის შთამომავლები „ბასილაანი“ ვერ გახდნენ. რატომ?

ბეჟანიანი (ბეჟანიანთ) < ბუთხუზი **ბეჟანი** თედოს

სოლომნიანი (სოლომნიანთ) < პატაშური ბესო **სოლომნის** ძე

დათაანი (დათაანთ) < ბუჩუკური **დავითი** გიორგის ძე

ლეგანი (ლეგანთ) < ხეტეშვილი **ლეგა** სიმონის ძე

გივიანი (გივიანთ) < ბურდული **გივი** გურასპის ძე

სიხაანი (სიხაანთ) < ბექიშვილი იობა **სიხას** ძე

სიჯანაანი (სიჯანანთ) < წიკლაური სანდრო **სიჯანას** ძე

ტეფიანი (ტეფიანთ) < წიკლაური მიმა **სტეფანეს** ძე

ცალკე უნდა ვახსენოთ წინაპრის სახელისგან წარმომდგარი მეტგვარი საკომლო სახელი, რომელიც რუსული ყალიბით გვხვდება:

გერმანიჩიანი (გერმანიჩიანთ) < გოგიშვილი **გერმანა** ივანეს ძე შენიშნულია, რომ მთის დიალექტებში „ასეთ შემთხვევაში, განურჩევლად დიალექტისა, გამოყენებულია ძირითადად მამაკაცის სახელები“ (კობიაშვილი 1995, 34). თუმცა ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ არეალში მეტგვარი სახელის ფუძედ დედაკაცის (ბებინის, დედის) სახელის არსებობაც რეალური ფაქტია:

დეუკანი (დედეუკანთ) < პაპიაშვილი ალექსი გიგოლას ძე (**დედეუკა** ალექსის დედაა, მესამე-მეოთხე თაობის შთამომავლებს სოფელში დღესაც „დედეუკანთ“ ეძახიან).

1915-1918 წლების გენოციდისას ოსმალეთის იმპერიიდან გამოქცეულმა რამდენიმე სომხურმა ოჯახმა ქედებს, მათ შორის ზემო ქედსაც, შეაფარა თავი. მიგრანტმა მთიელებმა, რომლებიც ლტოლვილ სომხებს „ბეჟენცებს“ ეძახდნენ, არამართო შირაქის ბარაქიანი მიწა და კეთილი გული გაუნაწილეს მოსულებს. მათ საკუთარ ყალიბში მოაქციეს არაქართველი თანასოფლელის მეტგვარი სახელიც. მაგალითად:

ვიტისაანი (ვიტისაანთ) < მისეილოვი **ვიტისა** ჯავათას ძე (1931 ვოროშილოვი).

მეტგვარ სახელად გვხვდება ასევე შერქმეული სახელიც, რომელიც შეიძლება იყოს ოჯახის წინაპრის, ოჯახის უფროსის და ზოგჯერ რომელიმე წევრის ზედმეტსახელი. ზედმეტსახელით ნაწარმოები მეტგვარი სახელი საუკეთესო „მისამართის“ ფუნქციას ასრულებს. აქაც შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა. შესაძლოა მეტგვარი სახელის ფუძედ გამოყენებული იყოს პიროვნების გარეგნული იერ-სახის, ხასიათის ნიშან-თვისებისა და უნარ-შესაძლებლობების აღმნიშვნელი სიტყვე

კობტოანი (კობტოანთ) < **კობტო** (სიმპათიური, წარმოსადგეი კაცი იყო);

ტანი (შოლტანთ) < **შოლტამ** (მაღალი და გამხდარი კაცი იყო);

მოკლიაანი (მოკლიაანთ) < **მოკლიამ** (დაბალი კაცი იყო);

მელიაანი (მელიაანთ) < **მელიამ** (ემმაკი, ენაკვიმატი კაცი იყო);

წინწალაანი (წინწალაანთ) < **წინწალამ** (წინწალივით სწრაფი, ჩინებული მოცეკვავე ყოფილა);

ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ერთეული შესაძლოა ნომინაციის ობიექტის ეთნიკურ წარმომავლობასა და მის უწინდელ საცხოვრებელზე მიუთითებდეს. მითუმეტეს, როცა გვარი დიდია, რომელიმე ოჯახის სახელდებისას მიგრაციამდელი საცხოვრებელი ადგილის სახელწოდების გამოყენება ლოგიკურია:

ჩაბარუხიანი (ჩაბარუხიანთ) < **ჩაბარუხი** (მთიულეთის არაგვის მარჯვენა შენაკადი 6-კილომეტრიანი მდინარე ჩაბარუხი და ამავე დასახელების სოფელი. იქვეა სოფელი ქავთარანი. ზემო ქედში ემახიან ქავთარაძეების ერთ ოჯახს. გვარი დიდია);

წიფორლიანი (წიფორლიანთ) < **წიფორი** (2014 წლის აღწერით 3-კომლიანი სოფელი მთიულეთში, ფასანაურის თემში. ემახიან პატაშურების ორ ოჯახს. გვარი დიდია);

დიხჩოვლიანი (დიხჩოვლიანთ) < **დიხჩო** (სოფელი მთიულეთში, გუდამაყრის თემში. ემახიან წიკლაურების ერთ ოჯახს);

ქისტანი (ქისტანთ) < **ქისტი** (ბებია ჰყოლიათ ქისტი);

მთიულაანი (მთიულაანთ) < **მთიული** (დღესაც ამ სახელით მოიხსენებენ კედელაშვილების ერთ ოჯახს, რომელიც თითქმის ყველაზე გვიან, 1969 წელს, ჩამოსახლდა ზემო ქედში. მ. კ. ინტერვიუში ამბობს: „ჩვენ რო აქ ჩამუდით, მთიულაანთ გვემახოდენ... მე მითხრიან კე, შენი ქმარი როგო... ყბებსა ძგრეხავსო“ (ციხიშვილი 2019, 212- 218). „ყბების გრეხვა“ ამ შემთხვევაში გრძელი ხმოვნების წარმოსათქმელი საარტიკულაციო მოძრაობაა. 50-80 წლის წინ ადგილნაცვალი მთიულებისთვის უკვე გაუცხოებული იყო მშობლიური დიალექტისათვის დამახასიათებელი გრძელი ხმოვნები. უცნაურია, თავად მთიულები „მთიულაანთ“ ემახიან და ამით თითქოს ემიჯნებიან კიდევ ახალმოსახლე მთიულებს).

ზოგი მათგანი რაიმე ხელობის ან საქმიანობის მიხედვით შერქმეული მეტსახელიდან მომდინარეობს:

მეჯოგანი (მეჯოგანთ) < **მეჯოგე** (კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი იყო);

მეყესტიანი (მეყესტიანთ) < **მეყესტე** (მეთუნუქვა);

თავჯდომარიანი (თავჯდომარიანთ) < **თავმჯდომარე** (სოფელ ზემო ქედის ერთ-ერთი, წითელი ვარსკვლავის, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო);

კუპრიჩიანი (კუპრიჩიანთ) < **კუპრიჩი** („კუპრიჩი“ სანდრო იოსების ძეა. სანდროს მამას, იოსებს, კანის ფერის გამო მეტსახელად „კუპრაძე“ რქმევია. შვილს „კუპრიჩს“ ეძახდნენ, ოჯახის წევრებს კი – „კუპრიჩიანთ“).

გვხვდება ისეთებიც, სადაც ნომინაციის მოტივი უკვე ბუნდოვანია: ხაფანგაანი, დურბინდაანი, ცვეთიანი, პაკლიაანი. ალბათ, თავგადასავალები, რეალური ისტორიებია შენახული თითოეული ასეთი სახელის უკან, როგორც ეს ე. წ. „დათვი მიშაანთ“ შემთხვევაშია. ეს სახელი ჩემთვის ყოველთვის ასოცირდებოდა დენოტატთან, რომელიც რაღაცით დათვს ჩამოჰგავდა. და, აი, სულ ახლახანს, დედოფლისწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის“ 1949 წლის 27 აგვისტოს ნომერში ახალგაზრდა მონადირის, მიშა ბექაურისა და დათვის ორთაბრძოლის დაუჯერებელ ისტორიას გადავაწყფი, სათაურით „დათვზე ნადირობის იშვიათი შემთხვევა“. მდინარე ალაზნის ჭალაში დაჭრილმა ნადირმა მონადირეს ჯერ ქვების სროლა დაუწყო, მერე კი მისკენ გაექანა. მიშას ტყვიები უკვე გასთავებოდა და მხოლოდ ხანჯალმა იხსნა დათვის ტორებისაგან. დაღლილი ბექაური სოფლისკენ გაიქცა, დათვმა მკერდიდან ამოიგლიჯა ხანჯალი და ხევში დაგორდა. მკვდარი დათვი მოსახლეობამ დილით ნახა. სახელდების მოტივი გასაგებია – თავად დათვი უნდა იყო, ხელჩართულ ბრძოლაში რომ დათვი დაამარცხო.

მეტგვარი სახელის ფუძედ ზოგჯერ ისეთი სიტყვები გვხვდება, რომელსაც სახელდების ობიექტი სპეციფიური არტიკულაციით წარმოთქვამდა ან კიდევ ამოჩემებული ჰქონდა:

ტრიციანი (ტრიციანთ) < тридцать три (ამას გამოთქვამდა დენოტატი როგორც „ტლიციტლი“. გამორჩეული არტიკულაციის გამო შეარქვეს).

1930-იანი წლების რეპრესიებს გადარჩენილი და პატიმრობაგამოვლილი მოხუცის მიერ ამოჩემებული რუსული გამოთქმის („ნიუჟელი?“ неужели) გამო მოხუცს **ნიუჟელაძე** ერქვა, ოჯახობას **ნიუჟელაძეანთ** ეძახდნენ.

მოვიყვანთ უცხო სიტყვებით ნაწარმოები მეტგვარი სახელის მაგალითს, რომელსაც აქვე ქართული შესატყვისიც მოეპოვება:

სუბოტანი (სუბოტანთ) < **სუბოტაი** (Cyნoтa)

შაბათანი (შაბათანთ) < **შაბათაი**

როცა სემანტიკურ ჯგუფებად განაწილებულ მეტგვარ სახელებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე პროდუქტიული ეპონიმებისგან, უფრო კი მეტსახელთაგან, წარმომდგარი სახელებია. ალბათ, იმიტომაც, რომ მათ ყოველთვის უშეცდომოდ მივყავართ ადრესატამდე. სამართლიანად არის შენიშნული: მეტსახელთა დარქმევის ტრადიცია უძველესი ეპოქებიდან მომდინარეობს... რომელიც ხალხის ალღოიანი დაკვირვების, ცხოველი ფანტაზიის, მისი დალხინება-გაჭირვებისა, თუ მახვილი იუმორისა და პოეტური ნიჭის გამოწაშუქია (მაისურაძე 1979, 26-27).

დასკვნისათვის კი შეიძლება ითქვას, რომ კახეთში, სოფელ ზემო ქედში, ჩასახლებული მთიულ-გუდამაყრელების მეტყველებაში მეტგვარი სახელების წარმოება ძირითადად ასახავს იმ ვითარებას, რაც, ზოგადად, მთიულური დიალექტისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა, როგორც ვნახეთ, შეინიშნება გარკვეული თავისებურებანიც. კერძოდ, იშვიათობადაა ქცეული ოდენ-ნ-სუფიქსიანი წარმოება (როცა მრავლობითობის -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს: მკერვალნი/მკერვალთ; ჩოქურნი/ჩოქურთ); სამაგიეროდ თვალშისაცემია ძველი მრავლობითის ადგილას ახალი -ებ სუფიქსიანი წარმოების გაჩენა (გოგიშვილები/გოგიშვილებს(-ის, -მა); ქავთარაძეები/ქავთარაძეებს(-ის, -მა)), რასაც ინოვაციად მივიჩნევთ; აქვე დასტურდება მოდიფიკაციები -ან, -იან, -ურ, -ძე სუფიქსების მონაწილეობით (გაგაძენი, ბუჭუკურიანი), რაც, ასევე, გვიანდელი ფაქტი ჩანს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე 1972 – გრ. ბერიძე, გვარის განაყოფთა სახელების წარმოება ჯავახურში, ქართული ენა დალიტერატურა სკოლაში, №3, თბილისი.

თოფჩიშვილი 1997 – რ. თოფჩიშვილი, მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ქართლის ეთნოგრაფიული მასალები, თბილისი.

თოფჩიშვილი 1997 – რ. თოფჩიშვილი, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი.

კობაიძე 2015 – ლ. კობაიძე, ვალის გვარსახელები, ახალციხე.

კობიაშვილი 1995 – მ. კობიაშვილი, შტო-გვარის აღმნიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში (დისერტაცია), თბილისი.

მაისურაძე 1979 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბილისი.

მელიქიძე 2005 – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბილისი.

ფაღავა 2019 – მ. ფაღავა, მეტსახელი გვარები ტაოდან, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ფურცხვანიძე 2003 – ზ. ფურცხვანიძე, ბესარიონ ჯორბენაძეს, თბილისი.

ქუქიშვილი 2016 – მ. ქუქიშვილი, მეტსახელისა და მეტგვარის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი სამცხურ-ჯავახურში, ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი.

ღლონტი 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

ჩანტლაძე 1967 – ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, მაცნე, №7, თბილისი.

ციხიშვილი 2019 – ნ. ციხიშვილი, მთიულური ტექსტები, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ცხადაია 1988 – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბილისი.

ჯორბენაძე 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.

ჯორბენაძე 1995 – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

ნ ი ნ ო წ ე რ ე დ ი ა ნ ი

„ლემზირიდან“ „სეფისკვერამდე“

„დიალექტოლოგიური კვლევა ეროვნული ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია“¹ – ვკითხულობთ ბესარიონ ჯორბენაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ I (ბ. ჯორბენაძე, 1989, წინასიტყვა) და, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ. სვანური საკრალური პური „ლემზირ“ და, მისი ვარიანტები, ეროვნული ენის შემსწავლელ თავისებურ მაგრამ, განსაკუთრებულად მდიდარ საინფორმაციო წყაროდ გვესახება. იგი გვაზიარებს კონკრეტულად სვანურის და, ზოგადად, ეროვნული ქართულის სიმველეს, სიდრმეს და მისი შემქმნელი ადამიანის წარმოსახვით სიმდიდრეს; გვიხსნის და გვხობლავს ქართველი ხალხის მსოფლხედვის სიდიადით და სულიერი კულტურის იმ მრავალფეროვნებით, რაც საკრალური დღეების რიტუალებით იწერებოდა სვანეთში; „ლემზირ“ სვანური ენის ყველა დიალექტზე საკრალური პურის ზოგადი სახელია. იგი მრგვალია და გვერდზე, გარკვეული მდებარეობით (გრაფიკით) ცერა და საჩვენებელ თითს შორის პურის ცომის მოქცევით, დასახული აქვს სამი ნაწიბური, რომელსაც ასევე ჰქვია „ლემზირ“; „ლემზირ“ – ის ფუძე არის „მზირ“.

კვლევით აღმოჩნდა, რომ „მზირ“ არის თეონიმი, რომელსაც თავის დროზე (როცა იგი შეიქმნა) ჰქონია „სამყაროს შემოქმედის“ ბუნება და სვანური ეთნოგრაფიული მასალებით იგი გვევლინება როგორც, „სამყაროში“/(„სამყაროს) „ერთი“ დამზადებელი ქალ – ღმერთი“. ² (ნ. წერედიანი. 2023). მაგრამ, დროთა განმავლობაში, მასში (ამ „ერთ“ შემოქმედის საკრალურ არსში), ქალ – ღვთაება გამხდარა იგნორირებული და, წინ წამოწეულა მანამდე „იგნორირებული“ „ერთი ღმერთი“ – მამრობითი ბუნებით და წარმოჩინდა იგი როგორც პირველი და წინამძღოლი „სამყაროს შემოქმედი“. „ხომა ღერ-

¹ ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია I. მეცნიერება . თბ. 1989 წ. წინასიტყვა. <http://sml.corpora.co/files/texts/14.pdf>

² ნ. წერედიანი. ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები. 2023 წ. <https://we.tl/t-3RJVxfST90>

ბეთ“ სვანურში, ამ კონტექსტს ავითარებს. ის დიდია, სამყაროში ყველაფრის შემოქმედი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის საკრალური ცნობიერების სათავე „დაბადების“// „შესაქმის“ მისტერიაა. ამ მისტერიის შემცნობივ და საკრალურ სივრცეში მისი „გადამტანიც“ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია. სხვა დანარჩენი, ყველა, რაც რამ არსებობს სამყაროში, არის სიმბოლო, რომელიც გამოყენებულია აზრის გასამყარებლად, გამოსახატად, დროში გადასაცემად, რიტუალის შესაქმნელად – სამყაროს „შემქმნელ – დამბადებლის“// „ბატონ – პატრონის“ სადიდებელ – სავედრებლად; ამ ისტორიული პროცესის („შემოქმედთა“ – რომელია დაბადებაში პირველი – მამრი თუ მდედრი) მონაცვლეობის, რომელიც თურმე ჩვენში თეონიმ „მზირით“ იწყება, ამსახველიც და მსახურიც არის სვანური „ლემზირ“, რადგან „მზირასადმი“ აღვლენილი „ლემზირის“ დანიშნულება იმ თავიდან დღემდე სწორედ, „სამყაროს შემოქმედისადმი“ დიდება, ვედრება და სათხოვარია. ამიტომ ჰქვია მას „ლემზირ“// სა – „მზირ“ – ო, „მზირასადმი“ განკუთვნილი საკრალური პური. ეს სიტყვა სულ რჩება – უცვლელად. იცვლება მხოლოდ იმის სახელწოდება, ვისთვისაც ხდება მისამღვნელი, თუმცა ვიმეორებთ, იგი ყოველთვის ლემზირია, რომელიც ძირითადი ფორმით (მრგვალი, სამი ნაწიბურით – ლემზირით) პირველად შექმნილა „მზირ“- ისთვის, როგორც სამყაროს ამ სახელით ცნობილი შემოქმედისათვის; „მზირმა“ შექმნა „ლემზირ“ – ლემზირი შეიქმნა „მზირისთვის“;

მიგვაჩნია, რომ „ლემზირის“ „მზირ“ ნამდვილად არის ივანე ჯავახიშვილისეული (ივ. ჯავახიშვილი 1979)¹ „მზირ“, რომელიც ასახავს ისტორიული მეტყველების იმ დროს, როდესაც ქართველებში მზესაც და მთვარესაც, როგორც მანათობელ, „მზირალ“ და „მზირანავ“ ციურ სხეულებს მანამ, სანამ მზეს „მზე“ დაერქმეოდა და მთვარეს – „მთვარე“ „ერთი სახელი უნდა ჰქმეოდათ“ და ეს სახელი უნდა ყოფილიყო „მზირ“, თანაც საკრალური სახელი, რადგან იგი საერთოა მზისთვისაც და მთვარისთვისაც და, რადგან მისთვის და მისით იქმნება „ლემზირ“; რადგან საკრალური პურის სახელში არის სწორედ ეს სიტყვა – „მზირ“ და მას აღუვლენენ ვედრებას, მიმართავენ სათხოვრით, ჩანს, რომ ეს „მზირ“ ადამიანისთვის არის ის სული-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წარმართობა საქართველოში 1979 წ. 164 – 170

ერი, რომელსაც შეუძლია სურვილის (სათხოვარის) ასრულება. სწორედ ამ სულიერი დამოკიდებულების გამოა საწელიწადო, სადღესასწაულო წეს-რიგი სვანეთში შექმნილი და არა მხოლოდ სვანეთში, მთელს საქართველოში, რომლის კვლევასაც ქართველ ეთნოგრაფთაგან ერთ-ერთმა, ვერა ბარდაველიძემ¹ ჩაუყარა საფუძველი და გაუკვალა გზა; ვერა ბარდაველიძის და სხვათა კვლევების კვალდაკვალ, ახალი ეთნოგრაფიული მასალების ფონზე, გამოიკვეთა, რომ „ლემზირ“ არის:

1. სადაგი პურიდან („დიარ“-იდან) საკრალური პურის („ლემზირ“ – ის) და, შესაბამისად, საკრალური ცნობიერების გამომავლინებელი, სადაგისგან საკრალურის გამომყოფი ერთ-ერთი უძველესი ქართული ლექსემა და შემონახულია იგი სვანეთსა და სვანურში.

2. სამყაროს შემოქმედის ერთ-ერთი უძველესი სახელის და არსის – „მზირის“ – შემნახველი და ჩვენამდე მომტანი.

3. იმ სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც შექმნა წინარე ქრისტიანული „ხალხური რელიგია“ – სამყაროს შემოქმედის (შემოქმედთა) რწმენის და მსახურების ეროვნული (ჩვენებური) სისტემა. ამ სისტემის თავში, სვანური ეთნოგრაფიული მასალებით და „ლემზირის“ კონტექსტით, წარმოდგენილია დამბადებელი ქალღვთაება – სვანურად „დალ იმზუჟამიშ“, ფუძე ქართულით – „მზირ“. მიწაზედ მისი ორეულია „ლამწრია“, ზეცაში, მითიურ სამყაროსა და საკრალურ მეტყველებებში – „მზირ“.

4. „ლემზირს“ დაესახა სამი ლემზირი ნიშნად იმისა, რომ ეს „წმინდა პური“ ნამდვილად არის საკრალურ-რელიგიური და საიდუმლო ინფორმაციის მომცველი. საიდუმლო ინფორმაციის გამომცემია მისი წრიული, მრგვალი ფორმა და მასზე დასახული „სამი ლემზირი“ რაც შესაძლოა ასახავდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან ყველას ერთად. ყოველ შემთხვევისთვის, ყველა აქ ჩამოთვლილი კონტექსტი იკითხება „დღეობებით მოყოლილ ამბებში“² და ამ ამბების მოყოლას იწყებს „ლემზირ“

¹ ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი 1939 წ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1953 წ...

² ნ. წერეთლიანი. ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები. 2023 წ. <https://we.tl/t-3RJVxfST90>

5. „ლემზირის“ ფორმა და „ლემზირზე“ დასახული სამი ლემზირი ნიშნავს:

ა) საკრალურ წელიწადს – ერთ სრულ დროს და სივრცეს, რომლის ბოლო დღე ამავე დროს არის პირველი დღე და სადღესასწაულო კალენდარში ასეთი დღე გახლავთ არდადეგის თვის 14 რიცხვი. დღე ახალწლისად, სვანურად „ბიხობ“. გრაფიკულად საკრალური წელიწადი გამოისახება წრეწირით. სვანური სახილველი ხაზი მას არ შეესაბამება. საკრალური პურიც შესაძლოა ამიტომ იყოს მრგვალი.

ბ) ადამიანის საცხოვრებლის ფორმას – ძალიან ძველ წრიულ საცხოვრისებს, რაც დასტურდება გორა ნამოსახლარებით საქართველოში (შულავერი, იმირი...) და რაც სვანეთში შენარჩუნდა ზოგადად პურის და კონკრეტულად, „ლემზირის“ სიმრგვალით. სვანეთში ყველა პური მრგვალია, გარდა მიცვალებულის სარკოფაგის ამსახველი ოთხკუთხა („ცხუინილ“) პურისა და მთვარის სახიანი ლემზირისა – „მუსჭაღლ“. შესაძლოა, მრგვალი პური მრგვალი საცხოვრისიდან აღევიანა ჩვენში პირველად. გ) „ზირის“ საკრალურ სახეს, ხატს, როგორც სრულყოფილის ნიშანი. „წრე“ – სრულყოფილებაა. იგი არასდროს არ მთავრდება და არსებობს მუდამ თავის თავში იგივე ფორმით და დანიშნულებით. სახიერად სამყაროში ასეთი არის მხოლოდ „მზე“. ქრისტოლოგიაში – ქრისტე „მზეა“ სიმართლისა.

დ) ოჯახის შემადგენლობას – მამას, დედას და ძე – შვილს, როგორც სიცოცხლის გამგრძელებლის საკრალურ თუ რეალურ//ზუნებით ერთობას, მზირის მადიდებელს და მავედრებელს – „მიწიერ შემოქმედს“. სიცოცხლის სადიდებლად „ლემზირის“ შემქმნელს.

ე) ღვთაებათა „პირველ სამეულს“, რომელიც უნდა იყოს მიწიერი შემოქმედის, ან პირიქით, მათი საკრალური სახე დედამიწაზე.

6. და, ეს ყველაფერი ერთად „ლემზირის“ ფორმასა და დანიშნულებაში, რომელიც იკითხება დღესასწაულებით, ლემზირების ფორმებით, სახელწოდებებით, მათი აღვლენის და შექმნის წესით, სავედრებლით და მირთმევითაც კი – ქალმა უნდა მიირთვას იგი თუ მამაკაცმა, როდის და რა ვითარებაში.

7. ეს საკრალური გარემოებები გვიქმნის ერთგვარ მოძღვრებას სამყაროსა და ადამიანზე და მას, პირველ რიგში, ახმოვანებს საკრა-

ლური ენა, რომელიც სუნთქვასავით დაჰყვება ადამიანის ცხოვრებას, მათ აზროვნებას, მორალს, სამართალს, სულერ თუ ყოფით კულტურას სვანეთში.

8. ამ მოძღვრებაში უმთავრესია ადამიანი, რომელსაც სწამს და სჯერა უზენაესის („სამყაროს შემოქმედის“) არსებობის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ მოძღვრების შემქმნელი ადამიანი არასდროს არ უტოლდება „ღმერთს“, არასდროს (!!!) მხოლოდ უსმენს მას თან ისე ძალიან, რომ საკუთარ სულივით დაატარებს და მისგან მომდინარე უნარს, მადლს და ძალას, სასწაულებს, შესაძლებლობას მარცხს თუ გამარჯვებას... მხოლოდ მისად და არა თავისად, იღებს. ამ მადლს მამაკაცი, თავის თავში არსებულს და თანდაყოლილს, „ჯგერაგს“ უძახის, დედაკაცი – „ლამარიას“. დროთა განმავლობაში კი, სწორედ ამ რწმენის საფუძველზე იქმნება და შენდება სინკრეტიზმის „შენობაც“ თან ისე, რომ საერთოდ არ ვნებს ხალხური და ქრისტიანული ერთმანეთს, პირიქით – ელოდებიან კიდეც ქრისტეს მოძღვრებას და მიიღეს იგი, როგორც საკუთარი სულის და სხეულის ნაწილი.

„ლემზირთან“ დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია ის გარემოება, რომ სვანეთში არსებობდა ე. წ. „ნაცრის ლემზირი“: „ლიფანალიში საგანგებო ნაცარტუტის კვერს აცხოვდნენ და წლის განმავლობაში მას სახლის, ჯამ-ჭურჭლისა და ავეჯეულის გასაწმინდავებლად, ადამიანთა და საქონლის სამკურნალოდ იყენებდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გუბის ნაცარი“¹ (ვ. ბარდაველიძე 1953); ვერა ბარდაველიძის მიერ დაფიქსირებულ ამ ინფორმაციას დავამატებდით, რომ აღნიშნული დანიშნულების ლემზირისთვის მხოლოდ და მხოლოდ „გუბის“ ნაცარს იყენებდნენ. „გუბი“ იყო ძველით ახალი წლის („ზომხას“) წინა დღეს („დეშხაჟამს“) ოჯახში შემოტანილი თხილის მრავალკვირტიანი ტოტი, რომელიც თავსდებოდა საფერხავ პურებზე და მეკვლის მიერ ხდებოდა მათით ოჯახის წევრების დალოცვა – „ლიშიაში“. ეს ტოტი უნდა დამწვარიყო მხოლოდ „ადგომს“ ლიფანალის პირველ დღეს, დილით და მისი ნაცრისგან უნდა მოხელილიყო ამავე დღეს „ნა-

¹ ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ. 1953 წ. გვ. 9

კრის ლემზირი.“ მას მოზელდნენ წყაროს წყლით, დასახავდნენ სამ ლემზირს და შედებდნენ თეთრი ყავრით კერის აყარზე გასახმობად. საჭიროების დროს ჩამოილებდნენ გახსნიდნენ წყალში და იყენებდნენ: ა) გარემოს გასაწმინდავებლად ისე, როგორც ეს ხდება დღეს ნაკურთხი წყლით. ბ) სამკურნალოდ – ადამიანის და საქონლის ავისაგან დამცველად. დ) ლიფანალის მხატვრობის შესასრულებლად. ეს და ამდენი ფუნქცია „ნაცრის ლემზირს“ გააჩნდა იმიტომ რომ თავად ეს „გუიზ“, აღნიშნულ საკრალურ დღეს, წარმოადგენდა სამყაროს შემოქმედის ერთ-ერთი თვისების გამოხატულებას – სიუხვის და ავისგან დაცვის უნარ-ნიშანს და იგი, აღნიშნული წესებით იყო რიტუალურ დღეებში (ახალი მთვარის ორშაბათს და შაბათს) გამოსაყენებელ – გამოვლენილი. სხვანაირად, არც ეს წესები იარსებებდა; დროთა განმავლობაში ნაცრის ლემზირის მოზელვისას წყაროს წყალს ჩაენაცვლა „განცხადების“ (წყალკურთხევა) დღეს მოტანილი ნაკურთხი წყლი; აქ, ამ ნაცრის ლემზირში უამრავი საკრალური დეტალია გაერთიანებული, რომელიც შესაძლოა დაიშალოს „არქეოლოგიურ ფენებად“ და მივიღოთ ცნობიერების ერთგვარი კალეიდოსკოპი, რომლის წარმოდგენაც ძალიან შორს წაგვიყვანდა, თუმცა ერთს აუცილებლად ვიტყვით, რომ ლემზირიდან სეფისკვერამდე ქართველმა ერმა გაიარა და წარმოგვიდგინა სულიერი კულტურის უწყვეტი ისტორიული პროცესი, თუნდაც ამ კულტურული „ელემენტით“, რომელიც კავკასიაში ჩვენი, როგორც აბორიგენი მოსახლეობის, არსებობის მილიონ წლებს ითვლის. მიგვაჩნია, რომ „ლემზირის“ კვლევა სვანეთში და საკრალური პურების კვლევა მთელს საქართველოში, ქართველთა სულიერი და მატერიალური კულტურის კიდევ ერთი უნიკალურ ნიმუშს შექმნის; იგი ხორბლის კულტურის და მემინდვრობის მდიდარ ეთნოგრაფიულ – ისტორიულ სივრცეს მოიცავს. საქართველოს ყველა კუთხე მასთან დაკავშირებით ერთ მთლიან საკრალურ სისტემას წარმოგვიდგენდა და ნათელ სურათს შექმნიდა უძველესი ქართველების ხალხურ მსოფლხედვასა და „სამყაროს შემოქმედის“ რწმენა – მსახურებაზე, რომელიც ჩვენში დაგვირგვინდა ქრისტეს მოძღვრებით.

„ლემზირ“ ფუნქციების მიხედვით იღებს სახელწოდებებს, იცვლის გრაფიკულ სახეს, იცვლის კუთვნილებას, არჩევს საკრალურ დროს და სივრცეს... და, ამით ხდება უზადოდ მრავალფეროვანი და

საინტერესო, მრავლისმომცველი. იგი ერთ სულიერ სივრცედ აერთიანებს მიწიერ, ზეციურ და გარდაცვლილ სულთა სამყოფ სამყაროს. მასზე სახავენ სიმბოლოებს („დაგ – ლადგინარით“) რომლებიც სვანურ მაჩუბებსა და ინვენტარზეა გამოსახული, სრულად იკითხება ლემზირებით და დღესასწაულების დედა – აზრით; „ლემზირით“ ევედრებიან სიცოცხლის შემოქმედს სიცოცხლისათვის სვანეთში და იკანონებენ საუკუნო მსახურებას ამ მადლის მისაღებად სვანები; სახელწოდებების და ფორმის მიხედვით შეგვიძლია ლემზირების დაჯგუფება. ასე მაგალითად „დიდი ღმერთის“ სახელობის „ლემზირს“ სვანეთში სხვადასხვა ფორმა და სახელი გააჩნია, მაგრამ ფუნქციურად მხოლოდ „ერთისაა“ – „ხოშა ღერბეთის“ და მის „არსს“ გამოხატავს. მათი ამსახველი მულაჟები დღესაც ინახება საქართველოს მუზეუმის, დღეს – „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ კოლექციებში. ხოლო, მათი ამსახველი ფოტო მასალა შეგიძლიათ იხილოთ ვერა ბარდაველიძის წიგნში ქართული (სვანური) საწესო ხელოვნების ნიმუშები. 1953.¹ მაგ. **ლემზირ – „ჯუტარ“** (ტაბ. XXII. ნახ. 1 1953); **„ფუსნ მუჟედუ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 36. გვ 74. 1953); **„ფუსნ მუჟედუ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 37. გვ 75. 1953); **„მუჟედუ“ (ყუბიზ)** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 38. გვ 75. 1953); **„ფუსნ ლემზირ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 39. გვ 77. 1953); **„ფუსნ მუჟედუ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 40. გვ 78. 1953); **„ფუსნ მუჟედუ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 41. გვ 79. 1953); **„ჯუტარ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 42. გვ 80. 1953); **„ჯუტარ“** – დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 43. გვ 81. 1953);

ასევე გვაქვს სხვადასხვა დანიშნულების და სახელწოდებების „ლემზირები: **„ჰაფხუტ“** (ნახ. 44. გვ 83. 1953); **„შემხუტამ ლეთი ლემზირ“ // იემხუტამი ლემზირ // ლაწდამ ლემზირ;** (ნახ. 45. გვ. 84. 1953); **„კირკანდუ“** (ნახ. 46. გვ. 84. 1953); **„კუწნკილ“** (ნახ. 47. გვ. 87. 1953)²;

¹ ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. 1953.

² პურებთან დაკავშირებული რიტუალების აღწერილობა იხ. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I; მისივე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი II; მისივე, მიცვალებულთა დღეობა. ლიფანალი; ასევე. ნ. წერეთლიანი სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი. ჟურნალი „ამირანი“ 2004 – 2005 წწ.

ქალ – ხაზნა – ფარში; **დული ლემზირ // ზურნლა ლემზირ // ჩუზა ლემზირ**; **ქუთ ლემზირ**; **აშ ლემზირ, კუბდი ლემზირ, უყემ – ჟამი ლემზირ, ლამუკუტლან, ტახგლ; მუსუჭლად; ცხუინილ** და ა. შ. უამრავი, რომელიც ძალიან საინტერესოა თუნდაც მხოლოდ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით – ისტორიულ ეთნოგრაფიულ მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ.

მიგვაჩნია, რომ „ლემზირ“ არა მხოლოდ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის განძია, რომელსაც უდაოდ კომპლექსური კვლევა და გაცოცხლება, სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე 1953 – ვ. ბარდაველიძე ქართული (სვანური) საწყესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი.

ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I; ახალი წლის ციკლი, თბილისი.

ბარდაველიძე 1941 – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ – ბაბარ. თბილისი.

ბარდაველიძე 1953 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი II; მიცვალებულთა დღეობა. ლიფანალი. მასალეზი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. 6. თბილისი.

წერედიანი 2023 – ნ. წერედიანი, ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები. <https://we.tl/t-3RJVxfST9O>

წერედიანი 2004 – ნ. წერედიანი, სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი. ჟურნალი „ამირანი“ [https:// library. iliauni.edu.ge/amirani-kavkasiologiis-saerthashoriso-sametsniero-kvlevithi-sazogadoebrivi-institutis-moambe/?lang=en](https://library.iliauni.edu.ge/amirani-kavkasiologiis-saerthashoriso-sametsniero-kvlevithi-sazogadoebrivi-institutis-moambe/?lang=en)

ჯავახიშვილი 1979 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი პირველი. თბილისი.

<https://library.iliauni.edu.ge/amirani-kavkasiologiis-saerthashoriso-sametsniero-kvlevithi-sazogadoebrivi-institutis-moambe/?lang=en>

მისივე, ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები 2023 წ. <https://we.tl/t-3RJVxfST9O>

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია. I. მეც. თბილისი. წინასიტყვა. <http://sml.corpora.co/files/texts/14.pdf>

სოფიკო ჭაავა

„უნივერსიტეტში დატოვებულ“ ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოგზაურობის დღიური „მასალები ქართლურ კილოზე, კავთისხევი, 1923 წ.“

წინამდებარე ნაშრომი არის ჩვენი წინა კვლევის („ქვათახევის მონასტერსა და აფხაზეთში დაცული სიძველეები (ქართული ხელნაწერები და სხვადასხვაენოვანი წიგნები 1923 და 1930 წლების საარქივო მასალების მიხედვით“) გაგრძელება, რომელიც მოხსენებად წარვადგინეთ 2023 წლის 20-22 ივნისს თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სესიაზე „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXIV“. ახალი საარქივო მასალების მოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1923 წელს ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ძვირფასი საგანძურის, ქართული ხელნაწერების, სხვადასხვანოვანი წიგნებისა და სხვა უნიკალური ექსპონატების ჩამოსატანად გაუგზავნიათ „უნივერსიტეტში დატოვებულ“ ვარლამ თოფურია და დოცენტი ლეონ მელიქსეთ-ზევი¹. მასალების მიხედვით ჩანს, რომ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის არავის დაუვალებია დამატებით სხვა სამუშაოებიც შეესრულებინათ, მაგრამ თავიანთი ინიციატივით, კავთისხევიში ყოფნის დროს (7 თებერვლიდან 12 თებერვლამდე) მცირე სამეცნიერო ექსპედიცია მოუწყვიათ დიალექტოლოგიური მასალების ჩასაწე-

¹ ისტორიკოსი, მეცნიერი, მთარგმნელი, პედაგოგი. 1922 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგე; მუშაობდა ლიტერატურათმცოდნეობის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, სამართლის, ბიბლიოგრაფიის და სხვა საკითხებზე; მისი შრომები, გარდა მეცნიერული მიზნებისა, ემსახურება ქართველთა და სომეხთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრობის განმტკიცებას.

რად, რამდენიმე სოფლის ღირსშესანიშნაობების აღსაწერად და ეკლესიებსა და საფლავის ქვებზე არსებული წარწერების გადასაწერად. ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო წყაროს სათაურია „**მასალები ქართლურ კილოზე, კავთისხევი, 1923**“ (სეა, უიცა, ფ. 2100, ან. 1, N46, 1923), რომელიც შედგენილია ვ. თოფურიას მიერ, შედგება 11 ფურცლისგან და ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, ძირითადად, მასში მოცემულია ვ. თოფურიას მოგზაურობის დღიური. ამასთანავე, აღწერილია: მგზავრობასთან დაკავშირებული სირთულეები, კავთისხევის ტოპონიმიკა, 5 დიდი ლექსი, 1 ზღაპარი, 3 ანდაზა, 2 ეპიტაფია, ეკლესიათა წარწერები და რესპონდენტების ვინაობა.

5 დღის განმავლობაში ახალგაზრდებმა ამ საქმეების გარდა, აღწერეს ქვათახევის მონასტერში არსებული წიგნები, ხელნაწერები და შეადგინეს შესაბამისი ნუსხა. საინტერესოა ვ. თოფურიას მიერ ჩაწერილი მოგზაურობის დღიურის სტილისტური და გრამატიკული თავისებურებებიც, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავენ ზუსტად 100 წლის წინ არსებულ სალიტერატურო ენის ნორმებს. ვინაიდან საკვლევი მასალა სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის, წარმოვადგენთ დღიურის სრულ ტექსტს და დიალექტოლოგიური მასალების ნაწილს:

1923 წელს ვ. თოფურიას ქართლში მოგზაურობის დღიური ასე იწყება: „ურბნელ ეპისკოპოსს **ქრისტეფორე ციცქიშვილს** განცხადება შემოუტანია უნივერსიტეტში, რომ ის სწირავს ბიბლიოთეკას, რომელიც ინახება ქვათახევის მონასტერში **ტარასი არქიმანდიტის** და სხვათა მიერ მოპოებულ წიგნებს. ამ განცხადების თანახმად პროფ. **გრ. წერეთელი**¹ შემეკითხა – წავიდოდი თუ არა. მე თანხმობა განვაცხადე და **დოც. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა** და მე შევადგინეთ წინასწარი ხარჯები, რომლის მიხედვით მივიღეთ 25. 000. 000 მ.

ტფილისში ბარგი რამ ვიყიდეთ და 7 თებერვალს საღ 5 ½ საათზე ჩვენ ვიყავით სადგ. **კავთისხევში**. აქ ცხადად ჩანდა თუ სა-

¹ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი; იურიევის (ტარტუ) და პეტროგრადის უნივერსიტეტების პროფესორი. 1920 წლიდან ი. ჯავახიშვილის მოწვევით სამუშაოდ და საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში; 1920-1938 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, ერთდროულად - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი.

დღურზე დარჩენა რა საძნელო იყო სიცივის მხრით. მიუხედავად იმისა, რომ ტფილისში საკმაოდ თფილოდა, აქ მთები თოვლით იყო დაფარული და ცოტა არ იყოს ციოდა. გადავწყვიტეთ **სოფ. კავთის-ხევში** წასვლა. ჩვენდა ბედად სწორედ აქ მიდიოდა ადგ. მცხოვრები **ისაკა აღიაშვილი**. მას გავყევით და დიდი ვაი-ვაგლახის, ტალახსა და წყალში ტლოპინის, ზოგან თოვლის ტკეპნისა და ეკალ-ჩარგებში ყიალის შემდეგ, ძლივს 8 საათზე მივედით სოფლის სამმართველოში. შორიდან მოგვესმა, რომ ვიღაცა ჩონგურს უკრავდა და თუმცა არა სასიამოვნო ხმით, მაგრამ განვითარებულ ლექსებს დამღეროდა. ჩვენც შევედით და სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდდა. კარგა ძალი ხალხი იყო შემდგარი მილიციელთა და დაბარებულ კაცთაგან. როგორც იქნა, ფეხი გავიწმინდეთ. ვსთხოვეთ ხალხს განეგრძოთ ბასი. ამასობაში მოვიდა მილიციის უფროსი ახალქალაქიდან წარმოშობით. ჩვენც მანდატები მივართვით და ვსთხოვეთ დახმარება. თვით იგი იყო „ვეჩნი“ სტუდენტი, ლაპარაკის მოყვარე და ცოტას მკეთებელი. ბევრს დაგვიპირდა. ეს მომღერალი აღმოჩნდა: **შაშა შაშა-ბერიძე**, მანდაური მცხოვრები და დარაჯი. ყველა სულელს ეძახის და განთქმულია ლექსების გამოთქმით. ჩვენც დაგვიკრა და დაამღერა. მე დრო ვიხელთე და დაკვირვება ვაწარმოვე ქართლურ კილოზე; ეს ადგილი ცენტრია ქართლის (გორის მაზრაშია) და ჩავიწერე ეს ლექსები:

a

„ქუთაისის იმერლები ქალაქში ჩამოდიანო,
შოულობენ ვაპიკობლივ, ფაიტონში სხდებიან;
შამოხდება წინ ძმაკაცი, სალამს არ იძლევიან...
მაგრამ იმათ ქვეყანაში ლობიო და ღომი არი,
მაგრამ იმათ მუცელშია სუ ყოველ ღამე ომი არი;
შაგროვდებიან იმერლები თავ-თავიანთ სახლშია,
დაგროვდებიან, წამოვლენ ტიფლიზი ქალაქშია.
ზოგი მეპურეთა დგება შუაჲ ავლაბარშია.
ზოგი ლაქიათ დადგება უპრავლენიაშია.
ზოგსა კურტანი კიღია თათრი მეიდანშია.
იმერელი ხარ გეტყობა, გვერდზე გადგია ჩულოო,
ისე ჩამოგტირით თავ-პირი, წვივი გაქთ ჩაჩაჩულოო.

შაშა შაშაბერიძე. 22 წლ.

შემდეგ გამოკითხვით ცოტა რამ ჩავიწერე. შეიქნა ღამის 12 საათი და ძილი მოგვინდა. მიუხედავად მრავალი აღთქმისა მილიციის უფროსის მიერ, იგი თვითსა ლოგინში განისვენა და ჩვენ სხვებთან ერთად იატაკზე განვწექით.

8 თებერვალი. 6 საათზე ფეხზე ვართ გვერდებ დაჟეჟილები და მძიმე ჰაერში ნამყოფნი. გვშია. გაგყვია შაშა და ვეძებთ დუქნებს. დიდი ხნის ყიალის შემდეგ შევედით ერთ დუქანში და გამხმარი პურით, ცივი ღორის ხორციტ და ქართლის მყავე ღვინით დავნაყრდით ძლივს!.. 9 საათზე მობრძანდა თავმჯდომარე და ჩვენის მანდატებით მივმართეთ, რათა კაცი მოეცა.

აქ გავიგე: **კავთისხევი**¹ მთელი დიდი რაიონი ყოფილა და მასში შემდეგი სოფლები შედის:

1. ახალი სოფელი, 2. ბოტისი, 3. გომიჯვარი, 4. გუდალეთი, 5. დედა-ღვთისა, 6. ვერხვეულა. 7. ვარჯაანი, 8. ზემო ნიჩბისი, 9. ზეუბანი, 10. ზვარი-კოტმანი, 11. კავთისხევი, 12. ნატბეური, 13. თელადგორი, 14. იდლეთი, 15. თვალდუბანი, 16. მარტაზი, 17. პარეტისი, 18. ჩოჩეთი, 19. სანათუბანი, 20. სასხორი, 21. სათოვლე, 22. საკურთხისი, 23. სამტრედო, 24. ქვემო ხანდაკი, 25. ქსოვრისი, 26. ქვემო ნიჩბისი, 27. ტყემლოვანა, 28. შუბათი, 29. ჩივანთ უბანი, 30. ციხის (უბანი), 31. ძეგვი, 32. წინარეხი, 33. წიფორი, 34. ხეკორძი.

ამგვარად 34 სოფელია ამ რაიონში. აქვე სამმართველოს კედელზე ეკიდა ტოპოგრაფიული რუქა ამ რაიონისა, რომელიც დაახლოვებით გადმოვხაზე“ (სეა, უიცა, ფ. 2100, ან. 1, N46, 1923, გვ. 1-2ა).

ვ. თოფურისა მიერ გადმოხაზულ რუქაზე ზემოჩამოთვლილი სოფლების გარდა, აღნიშნულია შემდეგი ობიექტები: (ეკლესიების ადგილას დასმულია ჯვრის (+) ან პატარა ეკლესიის ნიშანი, პიქტოგრაფია): ჩივაათუბანი, ვარჯაანი, ჭოტის უბანი, წინარეხი, ქვათახევის მონასტერი, წმ. გიორგი, ბოტისი, ძეგლი, თელათგორი, გომისჯვარი. გარდა ამისა, მონიშნულია: 5 ეკლესიის ნანგრევი („ეკ. ნ.“), მთა – ობოლი კლდე, კავთურა, მაღალანთ საყდარი, კოშკი, კავთისციხის ნანგრევი, ლავრისხევი, კოშკი და ტყისმცველის სახლი.

¹ კავთისხევი – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში. 1921-1930 წლებში იყო გორის მაზრის კავთისხევის რაიონის ცენტრი.

დღევანდელი მდგომარეობით, ზემოჩამოთვლილი 34 ტოპონიმიდან 2-ს ნასახლარის და 4-ს ნასოფლარის სტატუსი აქვს, 10 სოფელი მიკუთვნებულია მცხეთის მუნიციპალიტეტს, დანარჩენი – კასპისას, ხოლო კავთისხევი, როგორც რაიონული ცენტრი აღარ არსებობს.

8 თებერვლის ჩანაწერის მიხედვით: „ყოველივე მზადების შემდეგ გაუდექით გზას, თან გაგყვება ცნობილი შაშად. გავიარეთ **თვალადი** და 11 ½ საათზე ვიყავით ს. **წინარეხში**. მოვნახეთ ამორჩეული კაცი, რომელსაც მოწერილობა გადავეცით და ჩვენ კი შევედით სახლში, რომელიც დუქნის როლსაც ასრულებს. დაგვიდგეს სამოვარი და კარგა შევნაყრდით. გადაპროშტვით დავითხოვეთ **შაშა** და მხლებლად ახლა გაგყვება **სიკა** (გვარი არ მახსოვს). ეს სახლი ყოფილა **ვანო ქეშელაშვილის**, ცნობილია პურ-მარილით. გავემართეთ მონასტრისკენ. გზაზე შეგვხვდა დანგრეული ეკლესია, რომელშიაც საყურადღებო ის იყო, რომ რამდენიმე ორნამენტაანი ქვა ეგდო. აქედან მივედით **მაღალმთიან ეკლესიაში**¹ (იგულისხმება მაღალაანთ ეკლესია – ს. ჭ.); ეს ეკლესია საინტერესოა როგორც გარეგნულად, შესანიშნავი ჩუქურთმები აქვს. შიგ მოხატულია და **ბერძნული წარწერა** ამშვენებს. გარედან **მხედრული წარწერა** აქვს. იქვე სამხრეთით პატარა ეკლესია ორსართულიანი, ქვედა მოხატულია, ზედა არა. **სამრეკლოს წარწერა** აქვს, ხოლო სამხრეთით არის ციხე (კოშკი) და თვით ეკლესიის ეზოშიაც. წარწერები გადმოვიღეთ და წერილს ამზადებს მელიქსეთ-ბეგი. აქედან გაუდექით გზას მონასტრისკენ. გზაზე შეგვხვდა გუდამაყრელები, აქ ცხოვრობენ **პარეტისში, შუხათში, ბოტისში** და სხვა. **მათ ენას დიდი ქართლური გავლენა ატყვია. თუმცა ზოგი რამ საკუთარიც შენახულა.** საღამოს მონასტერში ვართ. ბერები იყვნენ **ნეოფიტე ვარდუაშვილი და სტეფანე გიგოლაშვილი**, მორჩილნი: **არჩილი და მათია**. კარგა დაგვხვდენ.

¹ **მაღალაანთ ეკლესია** – XII საუკუნის დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. კომპლექსი. მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ წინარეხიდან სამხრეთით 2,5 კმ-ზე, მდინარე კავთურას ნაპირზე, გზის პირას. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაღალაანთ ეკლესია, სოლომონ მაღალაძის კოშკი-სამრეკლო, პაპუა მაღალაძის სამრეკლო-სამვალი, ზემო კოშკი (პაპუა მაღალაძის კოშკი), აფთიაქი, გალავანი, კოშკის და სხვა ნაგებობათა ნანგრევები გალავნის გარეთ.

9 თებერვალი, პარასკევი. ადრე ავდექით და შეუდექით წიგნების დათვალიერებას. დიდი წიგნთ საცავი სავსე იყო წიგნებით. დილიდან საღამომდი მოვასწართ გადათვალიერება და ქართული წიგნების აღწერა. ბერი გველაპარაკა თავის ჯვარის სასწაულებზე. ღმერთო, რამდენი სულელია ქვეყანაზე.

10 თებერვალი, შაბათი. დაგვრჩა რუსული წიგნების აღწერა. ამას ისედაც მოვასწრებთ. ამიტომ განვიზრახეთ **ლავრისხევში** წასვლა. გაგვყვა მთიული **ვანო ბედოიძე**. წარვემართენით აღმოსავლეთით. მთებში თოვლია. გზა აგვერია და მთელი საათის განმავლობაში დავცილობთ. თოვლში 5 ვერშ. სიღრმე აქვს. გზა ვერ ვიპოვეთ და კულდამოძუებულნი დავბრუნდით. დავშრით, ვისადილეთ და რუსული წიგნები აღვწერეთ. საღამოს **მათია** გაგავზავნეთ, რათა ურემი მოეყვანა **წინარებიდან**.

11 თებერვალი, კვირა. დღეს დილას მონასტრის ჩუქურთმებსა და შენობებს ვათვალიერებთ. საუცხოვო შენობაა, მართლა **ქვათახევი** მდებარეობით. გუმბათი სულ სხვადასხვა ჩუქურთმებით შემკული, მშვენიერი თლილი ქვისაგან ნაშენები. გარს ასვეტილი მთები და ტყით დაფარული. **გადმოვიღეთ წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ხატებიდან წარწერა**. შემდეგ **წიგნთ-საცავში დაცული ქვებზე (ნატეხები) წავიკითხეთ წარწერა** და ურემიც მოვიდა. დავტვირთეთ და წამოვედით. ჩვენ ისევ **მალაღაანთ ეკლესიის** წარწერებს ვარჩევთ. შვედით სოფელში და დიდი და პატარა ჩვენ გვეხვევა. ხმა გავარდნილა, რომ ეკლესიების დასაკეტათა და სამარცვათ მოსულანო. მაგრამ დარწმუნდნენ წინააღმდეგში. ღამე დავრჩით **ნიკო, ზაქრო და იოსებ ქეშელაშვილთა** სახლში. შეიკრიბნენ კარგა ძალი და მე ვაწარმოე მუშაობა“ (სეა, უიცა, ფ. 2100, ან. 1, N46, 1923, გვ. 3- 5ა).

ხალხში გავრცელებული არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს მეცნიერები ჩასულები იყვნენ ეკლესიის დასაკეტად და გასამარცვად მიუთითებს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არსებულ მძიმე რეალობაზე, როდესაც კომუნისტები ხშირად ცდილობდნენ გაენადგურებინათ ქრისტიანული რელიგიის ძეგლები. ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენს წინა ორ კვლევაში გამოყენებული საარქივო მასალებიც (1. „**ბერი იაკიმე აფხაზეთში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ (1934 წლის საარქივო მასალების მიხედვით**“; 2. „**ქვათახევის მონასტრისა და აფხაზეთში დაცული სიძველეები (ქართული**

ხელნაწერები და სხვადასხვაენოვანი წიგნები 1923 და 1930 წლების საარქივო მასალების მიხედვით“).

ვ. თოფურიაშვილმა შაშა შაშაბერიძისგან ჩაიწერა 2 ლექსი, რომლებსაც შაშა ჩონგურის თანხლებით მღეროდა (საილუსტრაციოდ ზემოთ გამოვიყენეთ მხოლოდ 1 ლექსი – ს. ჭ.). ასევე, ნიმუშისთვის წარმოვადგენთ 90 წლის **სიმონა გოდერზაშვილისგან (იგივე არევაძე)** ჩაწერილ 1 ლექსს, 3 ანდაზას და 1 ზღაპარს:

„გორის სანახავათ წაველ
ხიდი თავ გაველ ფონშია.
ხოვლეში ღვინით დავითვერ
სამი დღე ვეგდე ლაფშია.
დედინაცვალი მოვიდა
ფეხს ხო მცემდა თავშია:
- ადე, ადე ლოთიშვილო,
რას უგდებარ კარშია.
თეზამზე ჩამამიტანეს,
გამალაღლაღეს წყალშია.
მეტეხ რო ჩამოვიარე,
ააყოლეს ტაშია.
გომზე რო გამოვიარე,
ქაჩლები იდგნენ კარშია,
სიცივით იხოცებიან
ბოლო არ ასდით ბანშია.
კავთიხევი ღვინო მიქეს
არ მამივიდა თვალშია.
წინარეხ ღვინო დავლიე
ბლოტით გამოველ კარშია.
თელათ გორ ღვინო დადგება
როგორ ტირიფი წყალშია.
ზემო ნიჩბისის ღვინო დგება,
როგორც რუსული კვასია.
სასხორს იცის კად ღვინო
წინწყალ ისვრის ბანშია.
ძეგვშია გულის მოკეთე
არ გამოგხედამს კარშია.

მცხეთაში ქონდათ ქორწილი,
მე დამსვეს დერეფანშია.
საწყლებ ღვინო არ ქონდათ
ჯამით დამიდგეს ქაშია.
ავჭალას ჩავლა მინდოდა
პირდაპირ გავველ წყალშია.
აქ იყო ქალი ლამაზი
ფეხზე ხო ეცო მაშია.
იმ ღამეს იმათთან ვიყავ
მზე ჩამომდგარა ბანშია.
სირცხვილით ველარ ამდგარვარ
ვერ გამოვსულვარ კარშია.
ავდექ და კარზე გამოველ
ქალი გამომყვა კარშია.
გასწიე გენაცვალეები
არ დაგილამდეს გზაშია.
ნადირი სუყველა არი
მაგრამ შამჭმელი დათვია.
ჩემ ბიჭობას ესე გონია,
სიმო ვერ წავა ცხვარშია.
ახლა მოდი, ავიშალნეთ,
უნდა წავიდეთ სახლშია. **ს. წინარეხი. 12. II. 923.**

ანდაზები:

1. ძალს სცემდნენ, რძალს ასმენდნენ. 2. კად მთქმელს, კად გამგონე უნდა. 3. ქაშით შეშინებული დოს უბერამდაო.

ზღაპარი

ხუთი მგელი იყო; ერთი მელა. საქონელი ჩამოუდით ტყიდან. ამ მგლებმა თქვეს: აქედან საქონელი ჩამოდის, დავსხდეთ, აქ ჩამოვა რამე, დარჩებოდათ რამე და ჩამოვიდა ერთი ბოჩიკა (მოზვერი). იმათ აქეთ-იქიდან ციპი (=გეპი) ჩამაართყეს მოზვერი რო გამოვიდა ველზე. აქეთ-იქით შამოუარეს და გლეჯენ ასო-ასოთ. მერე მელა მივა, გაიფრენენ. მელამ თქო: თუ ამათ უნარი არ უყავ; არაფერი აკენკეს ამ მელიას. მერე წავიდა ჩივანთ-უბანში, იქ კუდა აზნაურებს ქალღალი გადუგდიათ და მელას აუღია. მგლები გადამსხდარან და იყურებიან. მელას ქალღალი პირში უჭირამ: აი მანდ დასხედით, მო-

გივით, მანდ ისხედით. გაღმა-გამოღმა დავიარე, მტკვარში წინალამ (sic!) დავიხჩვე და ხელი მოვაწერინე ხალხსა: ნადირი ესე მშვირები უნდა ვიყვეთ? – მაგათ სუქანი ძროხები და შენ ბატი, იხვი, ქათამი და სხვა. ჩახვალ ტოხუნანთსა და ვიცი გამხდარს ეცემით, უხეურები ხართ. გამოვიდა ისა და მოურავიანთ კარიდან უცქერის. ბიჭი გამოვიდა და ხუთი მგელი ზის; შაუტანა ძმის ამბავი.

– ბიჭო, ხუთ მგელსა აქ რა უნდა? მაგრამ გამოვიდა.

– ჰო, მართლა ყოფილა; გადახტა ფანჯრიდან და შატყობინა ხალხსა, ზოგმა ცული, ზოგმა ჯოხი და შემოერტყნენ გარშემო მგლებსა. აი, აბა მგლები და დაარტყეს და ოთხი მოკლეს. კიჟინა უდგიათ: მელა იქიდან უცქერის. ერთს თემოებში დაჰკრეს და წინა ფეხებით მილოღამს მექანარიანთ ორღობესა. – ისინი დახოცეს? – აი, ღმერთმა რა გიყოს, როგორც შენ იქ ჩაგვზავნეო. ისინი დახოცესო და მე ასე გამხადესო. **წინარები; სიმონა გორდეზაშვილი, 90 წ.**

და **სხვა სალექსიკონო მასალები**. მაგრამ ყოველივე ამამდი ჩვენ ვინახულეთ ეკლესია, რომელსაც **ორი ქვა წარწერიანი** აღმოაჩინდა. ეკლესია ახალია, მაგრამ ქვები სხვა ადგილიდან უნდა იყვნენ მოტანილნი. მეორე ეკლესიის ნანგრევები ახლაც არის.

12 თებერვალი, ორშაბათი. წავედით **ლავრისხევში**, მდებარეობს სამხრ.-აღმ. 4 ვერსზე. თოვს და ნისლიც არის. მივდივართ. ეს წინად ნანგრევები ყოფილა, მაგრამ შემდეგ რუსის მონაზვნებს გაუმშვენიერებიათ და შენობებიც საცხოვრებლად გაეკეთებიათ. ეკლესია პატარაა ჯვრისახის, გუმბათიანი, კოხტაა ბუნებითაც. აღვწერეთ. აქედან დავეშვით სამხრეთით **ს. თელათ გორში**. მიგყვება **დათიკა**. იქ საჭმელი ვერაფერი ვერ ვიშოვეთ და გავემართეთ **მეგვისკენ**. ურემი უნდა წამოვიდესო. დიდი პატივი გვცა ამორჩეულმა კაცმა **ვანო მარჯანიძემ**. ყ'დ დაღლილნი ტალახში სიარულით მოვედით მეგვში. ვნახეთ ეკლესია, რომელზედაც **მხედრული წარწერა** არის. გადმოვწერეთ. საფლავის ქვების შემდეგმა წარწერებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება:

„არ ვიყავი უმორჩილო, ვიყავ დედ-მამისა მონა;

დედ-მამასაც მე უყვარდი, ვით შაკრული ვარდის კონა.

სოფლათ ყოფნა არ ვინოდმე, მე ქალაქი მამეწონა.

ელექტრისკი (sic!) კონკა შამხვდა

ჯერ არსად არ გამეგონა.

დამეჯახა, ძირს დამცა

გულით (sic!) ამით დამიღონა.

1/V. 906 წ. მშენიერს ძეგლზეა წარწერილი.

ამ დამეს მეურმეებთან ბაკში (თავლაში) დავრჩით. სამს საათ-ზე ფეხზე ვიყავით და ოთხს ქალაქისკენ წამოვედით. ბნელა, ტალახში დავცურავთ. ჩვენ ფეხით მოვედით მცხეთამდი და მერე მატარებლით. დილის 12 სათზე ტფილისში ვართ. 13 თებერვალს სამშაბათს (სეა, უიცა, ფ. 2100, ან. 1, N46, 1923, გვ. 6-10).

ამრიგად, 5 დღეში ახალგაზრდა მეცნიერებმა მოინახულეს კავთისხევის რაიონის 6 სოფელი, აღწერეს ამ სოფლებში და მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარე 10-მდე ეკლესია, ეკლესიათა ნანგრევები, ციხე-კოშკი, გადაიწერეს ხატებზე, ეკლესიებზე და ქვებზე არსებული წარწერები, ჩაიწერეს დიალექტოლოგიური მასალები და აღწერეს კავთახევის მონასტრის წიგნთსაცავში არსებული ქართული და რუსული წიგნები. ამ საქმეების შესრულება შეძლეს ზამთრის სუსხის, თოვლიან გზებზე (ტალახსა და წყალში) ურმით ან ფეხით სიარულით, ნახევრად შიმშილობით, ზოგჯერ თავლასა და იატაკზე დამინებით. ცხადია, მეცნიერებს არ ექნებოდათ საჭირო სამოსი და აღჭურვილობა თოვლიან მთებზე სიარულისთვის, მაგრამ დღიურში არსად არ ჩანს მათი წუხილი ამ აუტანელი და მძიმე პირობების გამო. ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, ახალგაზრდა მეცნიერების მიერ თავიანთი ერთუზიაზმით ჩატარებული მცირე სამეცნიერო მივლინების ამსახველი საარქივო მასალები არის ნიმუში მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობისა ქვეყნისა და მშობლიური უნივერსიტეტის წინაშე.

ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ეკლესიებზე არსებული წარწერების ჩანაწერებს და მათ დეტალურ აღწერას. ასევე, საინტერესო იქნება დოც. ლეონ-მელიქსეთ-ბეგის ამ მოგზაურობის ამსახველი დღიური. საამისოდ ვაგრძელებთ კვლევას, რათა მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ 100 წლის წინათ კავთისხევში არსებული ტოპონიმების, ეკლესია-მონასტრებზე არსებული წარწერების და სხვა დიალექტოლოგიური მასალების შესახებ.

შავშური დიალექტის ენობრივი იმუნიტეტი

გეოგრაფიულად შავშური დიალექტი გავრცელებულია ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. ოთხ საუკუნეზე მეტია, შავშეთი მოწყვეტილია დედა საქართველოს. „მას არა აქვს კავშირი ქართული ენის სხვა კილოებთან და ქართულ სალიტერატურო ენასთან“. (ჯორბენაძე, 1989, 574.) ამიტომაცაა შავშური კილო უადრესად ფასეული როგორც ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, ისე მასში შემორჩენილი ენობრივი საგანძურით.

მიუხედავად იმისა, რომ შავშეთი მოწყვეტილია საკუთარ მიწა-წყალსა და მშობლიურ ენას, შავშელთა მეტყველებაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქართულის ენობრივი იმუნიტეტი. ღირსსაცნობია, რომ ქართული ენის დიალექტების სისტემური მეცნიერული შესწავლა ფაქტობრივად დაიწყო შავშური კილოთი, როდესაც ნიკო მარმა 1904 წლის ზაფხულში იმოგზაურა შავშეთსა და კლარჯეთში და უნიკალური ეთნოგრაფიული მასალის პარალელურად ჩაიწერა დიალექტოლოგიური ტექსტებიც, რომელთა ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის გამოკვლევასთან ერთად გამოქვეყნდა 1911 წელს (ფაღავა, 2012, 7; გოგოლაშვილი, 2016, 46). ამ საექსპედიციო მოგზაურობის დღიურებში ნიკო მარი გულმტკიცნეულად შენიშნავდა: „ოპიზაში ქართული ენა დავიწყებულია... ქართულად არ ლაპარაკობენ ტბეთში... ქვემო ქურთაში ქართული ენა აღარ ესმით...“ ნიკო მარის დღიურების რესპონდენტებიც წუხან: „გურჯი ბევრი აღარ ვიცით... ვერ გვილაპარაკნია.“

ამ სამწუხარო ენობრივ რეალობას ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემებიც ერთვის: „ქრისტიანი თურქი არ არის, თურქულათ ლაპარაკობს, – თურქია. ჩვენ თურქისგან გარჩეული არ ვართ, თან გურჯი ვარ, თან მუსლიმანი ვარ“. ამ მხრივ მართლაც რომ, მძიმე სურათი იხატება; კერძოდ, „შავშეთსა და კლარჯეთში დავიწყებას მიეცა მრავალი ფოლკლორული ნიმუში, ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები, პირისაგან მიწისა აღიგავა ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი, ზოგადად შორს წავიდა მხარის ასიმილაციის საქმე“ (ფაღავა, 2012, 5).

ამიტომაცაა უაღრესად საშური მშობლიურ კერას მოწყვეტილი დიალექტების შესწავლა, ჩაწერა, აღწერა, დოკუმენტირება. „ტერიტორიული დისტანცია კიდევ უფრო ზრდის ამ დიალექტთა ენათმეცნიერული შესწავლის გადაუდებელ საჭიროებას (ჭიკაძე 2015, 248), რაც ნათლად იკვეთება შავშური დიალექტის ენობრივი იმუნიტეტიდან.

შავშელთა საუბრის თემები უმთავრესად არის: საოჯახო საქმიანობა, ადათ-წესები, სარწმუნოება, მეურნეობა, სურსათ-სანოვანის მომზადება, ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი, სამხიარულო თუ სამგლოვიარო რიტუალები... საუბრისას ბუნებრივად ვლინდება შავშურისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი; ამავდროულად, ხელშესახებად იკვეთება თხრობის ზოგადდროულობა და ზოგადპერსონიფიცირება. შავშელი რესპონდენტისათვის დრო ზოგადია და დაუკონკრეტებელი; მოსაუბრე დროის ყველა განზომილებას ერთად უყრის თავს:

ფხალ-ლობიო იციან აქა. ლობიოს ჩაჰყრი, ფხალსაც მოხარშავ, დაჰკეპავ, ჩაჰყრი...,469.

ჯერ ფიჭას გაადნობ, თექრენ გამოადინებ, გახდება ლისი, სანთელი იშტე, სანთელი გახდება, ჩვენ ლის ვებნევით. ჰოო, ერთია, ერთი, 372.

მოხმობილ ტექსტში ზმნა-შემასმენლებით გამოხატულია არა იმდენად გრამატიკული დრო, არამედ განუსაზღვრელი დრო, რომელსაც ზოგადდროული მნიშვნელობა აქვს და მოქმედების ჩვეულებითობას (მრავალგზისობას) გამოხატავს, რაც საენათმეცნიერო ლოტერატურაში „**ზოგადი აწმყო**“ სახელითაა ცნობილი. ჩვენი დაკვირვებით „ზოგადდროულობა და მოქმედების ჩვეულებითობა თითოეული დროის შიდასივრცულ განზომილებაშია საძიებელი, რის მიხედვითაც გვექნება არა მხოლოდ **ზოგადი აწმყო**, არამედ **ზოგადი მყოფადი** და **ზოგადი ნამყო**. (ჭიკაძე, 2012, 244).

ასე რომ, დროის ფაქტორთან მიმართებით ცხადად დაჩნდება ადამიანის ზოგადი სივრცული აზროვნების კვალი, რაც თვალნათლივ დასტურდება შავშელთა ზეპირმეტყველებისასაც.

ვინაიდან მეტყველების ბუნებრივი სახე ცოცხალ მეტყველებაშია მოცემული (არნ. ჩიქობავა), ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ხალხური მეტყველების ნიმუშთა მონაცემებს მეტი ნდობა გამოვუ-

ცხადოთ ენათმეცნიერული თვალსაზრისით და ისინი უფრო გაბედულად ჩავართოთ ქართული პარატაქს-ჰიპოტაქსური მოდელების სინქრონული და დიაქრონული ვითარებისა და განვითარების ტენდენციის მიებაში“ (ღლონტი, 1975, 62). ეს პროცესი ხელშესახებად ვლინდება შავშურ დიალექტშიც, სადაც ურთიერთს ენაცვლება ერთი და იმავე წინადადების თანწყობილ-შერწყმული ვარიანტები:

კაკალ გაცოხნიან და კაკალ დაადებენ, 371.

იქვე: კაკალ გაცოხნიდით და დავადებდით, 371.

ნიშანდობლივია, რომ შავშურ დიალექტს შემოუნახავს პარატაქსული კონსტრუქციის ის საფეხური, როდესაც სტრუქტურულად ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული თანწყობილი და შერწყმული წინადადება:

„აქ დადიოდენ მაჭახლელები, გობები მააქდენ, ყიდიდენ, რაცფერა თავლი მააქდენ, სხალი, ქლიავი ყიდიდენ. იქ მეივა მალე მოვდიოდა, მაქედან, ყიდიდენ იშტე. აქაც თუთა მოდის, ბალი მოდის, სხალიც მოდის, ამა მაჭახელზე გვიან მოდის. აქ ვერხვები იზრდება, სხლები, კატრები, ნაძვები... ვაშლები. ზემოთ ახვალ – სოჭი. ცხრემლა არი, უხრავი არი, კოც არი, კაკალი ბოლათ არი. ეს კო არის, ესა. ეს თავლის სხალია, თავრუჯულაი არი, დევავრაი არი, სხვა არ ვიცი. შავი ბალიც არი, წითელი ბალიც არი.“ (405).

შავშური კილოს ენობრივი ანალიზით ჩვენ წინაშე იშლება პარატაქსული კონსტრუქციის გენეზისის ევოლუციური პროცესი, სადაც თვალნათლივ დაჩნდება წინადადების კონსტრუქციის შუალედური საფეხური და სადაც ფაქტობრივად არ არსებობს მკვეთრი ზღვარი რთულ თანწყობილსა და შერწყმულ წინადადებას შორის.

ამრიგად, მიუხედავად ტერიტორიული და ენობრივი ოთხსაუკუნოვანი იზოლაციისა, შავშური დიალექტის ცოცხალმა მეტყველებამ დღემდე შემოგვინახა უძვირფასესი მასალა ენაში მიმდინარე პროცესების სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში შესასწავლად.

შავშეთის თავისთავადი ენობრივი იმუნიტეტი დღემდე ინახავს ეთნოკულტურულსა თუ ენობრივ-სტრუქტურულ უძვირფასეს მასალას. მშობლიურ ძირებს მოწყვეტილი შავშური დიალექტის მესიერებაში, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქართული ენის მადლმოსილების ცოცხალი სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2016 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა და ამოცანები, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბილისი.

კვანტალიანი 1990 – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მარი 2012 – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

ფაღავა 2012 – მ. ფაღავა, ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში; ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2022 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, ბათუმი.

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

ღლონტი 1975 – ა. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჭიკაძე 2017 – რ. ჭიკაძე, პარატაქსული კონსტრუქციის ჩამოყალიბების კვალი ქართული ენის შავშურ დიალექტში, კრებული „ლინგვისტური სჯანი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ჭიკაძე 2017 – რ. ჭიკაძე, შავშური ნარატივი, კრებული „ლინგვისტური სჯანი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

საანალიზო ტექსტი 2014 – შავშური დიალექტის მასალები, შავშეთი. მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჰოროსი“ XXI, მამია ფაღავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ხარისადმი მისამართი შემახილები ქართულში

ადამიანთა ცხოვრება ისტორიულად მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსთან. მათმა ურთიერთობამ კი განაპირობა რომ ადამიანთა მეტყველებაში გაჩნდა ცხოველთა და ფრინველთა მისამართი სიტყვები და ბგერითი კომპლექსები. რაკი ცხოველებს და ფრინველებს სიტყვის ლექსიკური გაგება არ შეუძლია, ამიტომ ადამიანი მიმართავს ხმის ტონს და სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ხდება სიტყვა-სიგნალი (ო. გაჩეჩილაძე 1979, 97). ამ პირობითს „ნიშნებში“ შემონახულია ცხოველთა არსებითი თვისებები ან ოდინდელი სახელის კვალი (ა. გვენცაძე 1988, 131).

შინაური საქონლის მისამართი შემახილები შეიძლება იყოს: გასარეკი, მოხმობის, გასამხნეველი, დასაყვავებელი, დასატყეველი, რაც განაპირობებს ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტების წარმოქმნას. მათ წარმოქმნაში მონაწილეობს ბაგეები, წარმოიშობა ვიზრაცია-თრთოლვა. ენის ფონეტიკურ სისტემაში ისინი ვერ თავსდებათ და ამიტომაც წერაში მათი ასოებით გამოსახულება მიახლოებითაა (ო. გაჩეჩილაძე 1979, 98). რიც შემთხვევაში მსხვილფეხა საქონლისადმი შემახილები ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, შეიძლება სხვადასხვა შემახილი ფონეტიკურად მსგავსი იყოს, ხოლო ერთნაირი კი – განსხვავდებოდეს. მათ მნიშვნელობას განასხვავებს ინტონაცია. შენიშნულია, რომ გარეკვის შემახილის ხმოვანი მოკლე და მაგარშემართვიანია, მახვილი მოუდის, დამახება-გაჩერებისას კი ხმოვანი გრძელია და მათი შესწავლა მთელი კილოების მიხედვით უფრო ნათელს მოჰყენს ამ საკითხს (გრ. ბერიძე 1988, 105). შემახილებისას, როგორც სხვადასხვა, ისე ერთნაირი მიმართვის ფორმები ხშირ შემთხვევაში მეორდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსს შემახილებს შორისდებულებს მიაკუთვნებენ და ხშირად არის წარმოდგენილი მხატვრულ ლიტერატურაში.

ამჯერად წარმოვადგენთ ხარისადმი შემახილებს. რაკი მებრეობა, გუთნისდედობა უშუალოდაა დაკავშირებული ხართან, ამიტომ ისინი ძირითადად მათ ლექსიკას განეკუთვნება.

ზედა კუთხ. (ქართლ. ქიზ.) გუთნის-დედის შემახილი, როდესაც ხვნის დროს ხარი უხნავი ველისაკენ იწევს. ამ შემახილზე მეხრე ხარს ნახნავისაკენ გაირეკავს და კვალს გაასწორებს – ქეგლი. **ზედა!** შემახილი გუთნეულის ჩასაგდებად, ველიდან რო დაკვრა უნდოდეს კვალისკენა, იმას ეტყვიან, *ზედაო, ზედაო*, კაცო, გუთანო, ხარვეჯი ჩაატანაო (ერთაწმ., ქართლ. მესხ.); აგრეთვე: გ. კახ. სახლთხ., ქართლ. ძიძიგ., კეცხ. ხუბ.; ქიზ. მენტ., ჯავახ. ბერ. **დაიზედავე!** გუთნისდედის შემახილი ხარის ხნულისაკენ მისაწევად, კვალის გასასწორებლად. თუ ხარი ველისაკენ წავიდა, დაუმახებს „ზედა, დაიზედავე!“ – რო ხარმა ხნულისაკენ დაიწიოს და ხარვეზი არ დაჰყვეს (კავთ.); აგრეთვე ხც. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ზედა რამესთან შედარებით უფრო მაღლა მყოფი, უფრო მაღლა მოთავსებული, – ზევითა, მაღლითა – ქეგლი. **ზეზე!** ასე შეუმახებენ კვალს ქვემოთ გადავარდნილ ხარს ხვნისას. *ზეზე*, კვირისავ, *ზეზე!* (შდრ. ფშ. ზემამო!) (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ზეზე ზმნს. ფეხზე. დაზეზება ფშ. (დაბმულის აშვება) (ფშ. ხორნ.).

ზე-ზე || **ზეი-ზე** შემახილი ხარისთვის, ზემოთ იარეო. *ზე-ზე* ვეტყვოდეთა-დ წარებ იწწევდეს (თუშ. ცოც.). შდრ. ზე იგივეა რაც ზეზე – ქეგლი.

კვალი! ასე უყვირიან ხარს ხვნის დროს, თუ იგი დაბლა ან მაღლა იწევს, კვალზე არ მიდის (ხევს. ჭინჭ.). შდრ. კვალი სახვნელი იარაღის მიერ გაჭრილი მიწის ზოლი, – ორნატი (ქეგლი). შდრ. კვალის ხარი გუთნეულში ის ხარი, რომელიც ხვნის დროს მოხნულის (კვლის) მხარეს დადის. ორი ხარი რო აზია გუთანში, რომელიც კვალის ხარეს დადის, ის არი კვალის ხარი (ატ.); აგრეთვე ბრ... (ქართლ. ლექსიკ.).

დაუშვი მიმართავენ ხარს (ან ხარის მძღოლს) ხვნის დროს, როცა კავი არ გაუმრუდდებათ, ზემოთ წავა ხარვეზს დატოვებს; დოუშვი ქვეით. **მეიშო** (< მე-იშ-ო) შემახილი ხარების მოსაბრუნებლად: ხვნის დროს კავი კვალს რომ გაიტანს, მეხრე *მეიშოს* შემახებით მოაბრუნებს ხარებს (იმერ. ქავთ. III). შდრ. დაუშვებს ძირს, დაბლა დახრის, ჩამოუშვებს; მოუშვებს მოასუსტებს, მოაფომფლებს, მოაბოშებს (მოჭერილს, დაჭიმულს) (ქეგლი.).

გაიში! მოიშის სხვა დროს ხარის გარეკვისას ამბობენ. „მიიკარ, მოიკარ, მიუხი, მოუხი, მაუხი, ჰოიშ (ჯავახ. ბერ.). აგრეთვე: გ. -კახ.

სახლთხ., ქართლ. ძიძიგ, კეცხ., ხუბ. **გაიშე! გაიშე, მოიშე!** (ქიზ. მენტ.).

ეში კუთხ. (იმერ.) შეძახილი ხარ'ებ'ის გასარეკად. ბებერმა მოხსნა ხარები... და *აეში, ეშისა* ძახილით გზას გაუდგა (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. **ეიში!** / **იში!**; **იში!** / **იში!**: *ეიში*, ხარო! (რაჭ. კობახ.); „**იშ**, *იშ*-ის ძახილი ისმოდა და აჩეჩა ურმების ჭრიალი (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე: **იშ**, **იშ!** (ზ.-იმერ. ძოწ., წერეთ., გაჩეჩ); **იშო**, **ეიშ!** **ეიშო!** (იმერ. გაჩ.), შდრ. **ვოშ**, **ვოშ!** (მესხ.) ბევრი *ვოიში* ხარს უკუღმა წაიყვანსო – ქეგლი. **ჰოშ**, **ჰოში!**: „*ჰოშ*, შენ [მ]გელის შეჭმულო!“ (აჭარ. ნიჟ., მესხ. მაის.), შდრ. იშია ხარი მოფერებით ბავშვის ენაზე (იმერ. ქავთ.III).

შენიშნულია, რომ „ჰოიშ“ ხარის შეძახილი მუშაობის, კერძოდ, ხენის დროს თავდაპირველად ნიშნავდა ჰო ხარო! (გრ. ბერიძე 1988, 107). მკვლევარი ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ დიდოური ის (-იგივე იშ) სახელწოდება ხარისა... „ჰოის“ თქმა თანამედროვე ქართული ჰო ხარო, შემდეგ იქცა ჰოიშ (აქედან სიტყვები მიიში, მოიში) სანისა და შინის მონაცვლეობა ჩვეულღებრივი ფონეტიკური პროცესია ქართველური ენებისა (გრ. ბერიძე 1988,107; ივ. ჯავახიშვილი 1992,107). ვფიქრობთ, რომ იშ / აეშ / იშო / ეიშო ფორმები ფონეტიკური ცვლილებებით მომდინარეობს აშვება „ახსნა (დაბმულისა), განთავისუფლება“ ზმნური ფორმისაგან.

ქიქო! (< ქვე-ქვე!) კვალიდან ძირს ჩასაყვანი შეძახილი ხარისათვის. „*ქიქო*, ნისლავ! აღმ ნუ მიებდატებ, თორე!...“ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ქვე ზმნს. 1. შემოკლებული: ქვევით (ქეგლი).

მიდე! (< მიდექი) მიმართავენ უღელში შებმულ ხარს ან კამეჩს, რომ გვერდზე მიდგეს, განზე გაიწიოს (ქართლ.,ძიძიგ., კეცხ., ხუბ.). შდრ. მიდგება ბრძან. მიდექ[ი], იქით ან გვერდზე დადგება; მიიწევა (ქეგლი).

დაიხი! **დაიხიე!** ხარისადმი შეძახილი: უკან დაიწე (ჯავახ. ზედგ.).შდრ.დახევა უკუქცევა, უკუსვლა, ბრძოლის დროს წინა პოზიციის დატოვება და უკან დაწევა, გაცლა, უკან გადანაცვლება – ქეგლი. დაუხიანებს უღელში შებმულ ხარებს უკან დაახევიანებს. დაუხიანე ხარებს (რაჭ. კობახ.).

უმეტეს შემთხვევაში მიმართვის ფორმების მნიშვნელობა ადამიანური ენით გაუგებარია, გამარტივებულია და მხოლოდ ისევ

დიალექტების მიხედვით შეიძლება თავდაპირველ მნიშვნელობას მივაგნოთ. მაგ. :

ხეე ჯართ (+ უკან Cb) უკუდგომის მთქმელობა – საბა. ეგვეე შემახილი ფონეტიკურად ცვლილი და სხვადასხვა დაბოლოებითაა წარმოდგენილი: **ხო!** (ხევს. ჭინჭ.). **ხო'ო'** (რაჭ.კობახ. ხევს. ჭინჭ.). **ხო!** **ხოი!** (გ. კახ. სახლთხ.). **ხოი!** [მეხრემ] «*ხიოც*» მიაყოლა შოლტის გატყლაშუნებით (აკაკი). აგრეთვე:ჯავახ. ბერ.; ქიზ. მენტ.; ხიჰო (ჯავახ. ბერ.). ეგვეე **ხო** ძირი გამოიყოფა შემახილებში: **ხიმა!**, **ხიმაა!** (ქართლ. მიძიგ., კეცხ.); **ხიმო!** (გურ. ღლ.; ქართლ.- მესხ.). **ხიმამ** (თუშ. ხუზ.). **ხიმამო** (ხევს. ჭინჭ.). შდრ. დაიხი!

შენიშნულია, რომ ხარისა და ძროხის შემახილებში შემონახულია მიმართვა **ო დედა, ო მამა**. ორივე შემახილი ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე შეცვლილი და გამარტივებულია (გრ. ბერიძე 1988, 106). მაგ.: **ო, მამო!** (ხევს. ჭინჭ.); **მამო!** (ჯავახ. ზედგ., ქიზ. მენტ.).**მოუ!** (რაჭ.კობახ.). **ჰამო** (ჯავახ. ზედგ.); **ომა** ხარს შეუძახებენ (მეგრ. ქობ). აღნიშნული შემახილი დასტურდება შემდეგ მიმართვებშიც: *მამამოჰ* – შეეხმინა მთისკაცი მშვიდი, მოალერსე ბოხი ხმით და, მათი შესახედაობით კმაყოფილმა, ჯერ ყველას ერთად მოავლო თვალი, მერე თვითეული ცალკე შეათვალიერა. ჩანდა, მისი შემახილის კილო ეამათ ხარებს, გაგონებისთანავე დაწყნარდნენ (ქი-აჩ.) – ო.გაჩერ. აგრეთვე ჯავახ. ზედგ. შდრ. ხიმამო.

ვფიქრობთ, **გა-**, **გამა-**, **მო-** ზმნური ზმნისწინიანი ზმნების შეკვეცილი ფორმები გამოიყოფა გუთნის (ხარის) გამოშვებასთან დაკავშირებულ შემდეგ შემახილებში:

გა! გა! (< გადი! გადი!): მითხოს აღდიზძე გადიდდა, ჯართ ხკაზმებს, ეტყვის *გა! გა!*-სა (ალ. ოჩ. 19, 8) – ალ. ჭინჭ.

გამო: „*გამაიში, გამაიში!*“ (საკორ.); აგრეთვე ბრ., კავთ., ოძ., ხც (ქართლ.ლექსიკ.).

მო: *მოიში! მოდი, მამ, მოიში*. ალაგ., ოკრიბ; იმერ. გაჩ.,რაჭ კობახ., ჯავახ. ბერ.შდრ. (მესხ.) ვოიში .

ზოგი შემახილი ფონეტიკურ ნიადაგზე იმდენად სახეცვლილია, რომ ჭირს თავდაპირველი ფუძის მიგნება. მით უმეტეს, რომ როგორც აღვნიშნეთ წერილობით მათი დაწერა მოახლოვებითია.

მაგ. **გაზ-გაზავ** უძახებდე-დ ჯარებ დაბლ დიფწევდეს (თუშ. ცოც.). **ზოიზო!** შემახილი ხარისათვის, მობრუნდიო. *ბოიბოოდ* ჯარებ

მოზრუნდებიან (თუმ. ცოც.). **შიშ!** ხარის სიარულის შესანელებელი და გვერდზე გადახვევისათვის (საჩ. შარაშ.). **მეემშიშე!** ხარის დამახება (ვ. ბერ.). **ფშეე** (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.);

მეხრე თუ გუთნისდედა ხშირად ხარის მოხმობისას თუ გარეკვისას შემახილს იმეორებს, ხან კი სხვადასხვა მიმართვას ხმარობს, მათ შორის იყენებს საკუთარ სახელსაც.

ნწეი, ნწეი (თუმ. ხუბ.). **ბეეეესი, ბეეესი** (რაჭ. ბერ.). **გა! გა!** (ხევს. ჭინჭ.). **ჰაამო, ჰაამო!...** – ალერსით აჩქარებს ხარებს, ნატრობს, ნატრობს ფრთების გამოსხმას“ (არაგვ.) – ო. გაჩეჩ. **ჰაამო, ჰაამო** (ჯავახ. ზედგ., ქიზ. მენტ., ქეგლი). **მაჰ, მაჰ!..** (აჭარ. ნიჟ.).

თფრუ ე (ქართლ. მესხ.). **ტფეო-ჰო, შე!** – სად მივა ე!“ – და გააწნა პაკომ ურჩ კამეჩს სახრე“ (მგალობ.) – ო. გაჩეჩ. – **ოჰოო, ე, ოჰოო,** დადექით! – ეუბნებოდა ნინიკა ხარებს, როცა კარებზე მიათრევიანა გრძელი წიფლის ხე“ (ვაჟა). **ხიი! ხიიი ჰო!** (ჯავახ. ზედგ., გ. კახ. სახლთხ.). **ხი მამო!** (კავთ. ქართლ. მესხ.). **«ხიოოო, ხიოოო, მამოოო-ოო!»** – მოისმა ამ დროს და მალე... კარებზე მოცურდნენ შეშით დატვირთული მარხილები (ა. ერ.-ხოშტ.). **ჰაამო, აგამამო, აბა და ჰა! ჰა-ჰაჰა! – და!** აბა გაიარეთ, აბა გააბიჯეთ (ფშავის ხევი, ვაჟა) – ა. ჭინჭ.

„**შეინდავ, ფშეეი...** ე... ეჩემო შეინდავ!“ მაგრამ პასუხი არსაიდან მოესმის! (არაგვ.); – ო. გაჩეჩ. – **ჰამ-ჰო, ნიშავ!** – და თითქოს თავის გუშინდელ დღეს ხნავდა ხოსიტა“... (გოთ.) – ო. გაჩეჩ. **ჰამ, ხარო! ზუღავ, ტიალო!**“ (ქეგლი); **ხი, შე სამგლეე!** – ბრაზიანად შეუძახა განზე გავარდნილ ნიშა მოზვერს! (გოთ.) აგრეთვე მთ. კაიშ.). მოუ, ნიკორა! (რაჭ. კობახ.). **ნძოო, ნძოო! ზუღია,** დეისვენეთ ცოტა (იმერ. გაჩ.). „**ხიმა ხარო! შე ვერანავ,** შენა, მიდექი გვერდზე“ (გ.-კახ. სახლთხ.); **ჩფეეოოო, წიქარა! აჰაი!** შეჰკვივლა ცეცომ და ხარმა დამფრთხალი ირემივით ბრაგვანი გადმოიტანა ღობიდგან (მგალობ.) – ო. გაჩეჩ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე 1988 – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი.

გაჩეჩილაძე 1979 – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბილისი.

გვენცაძე 1988 – ა. გვენცაძე, ცხოველებთან შეხმიანების ენობრივი საშუალებები ქვემოთაჭულში/ სოფ. ბარეულის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, დიალექტოლოგიური კრებული, 1987, თბილისი.

ჯავახიშვილი 1992 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტ. X, თბილისი.

წყარო

აქარ. ნიჟ. – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ვ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბილისი, 1986.

გ.-კახ. სახლთხ. – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003.

გურ. ღლ. – ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937.

ვაჟა – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969.

ზ.-იმერ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

ზ.-იმერ. წერ. – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

თუშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002

იმერ. გაჩ. – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

იმერ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, თბილისი, III, 1963; IV, 1974.

მეგრ. ქობ. – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მესხ. მაის. – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. – შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1954.

მთ. კაიშ. – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

მოხ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

რაჭ. კობახ. – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი, 1987.

საზა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

საჩ. შარაშ. – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბილისი, 2008.

ფშ. ხორნ. – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალე-ბი), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასა-ლები) თბილისი, 2006.

ქართლ. შიშიგ., კეცხ., ხუბ. – შ. შიშიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ“ ასომდე. არ გამო-ცემულა.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტემაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბი-ლისი, 1943.

ხეც. თავის. – ალ. ჭინჭარაული, ხეცსურულის თავისებურება-ნი, თბილისი, 1960.

ხეც. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხეცსურული ლექსიკონი, თბი-ლისი, 2005.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1982

ჯავახ. ზედგ. – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილი-სი, 2014.

ჯავახ. მარტ. – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984

ნიონ ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი

ზედსართავ მცირე-ს ლექსიკური ველი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

ზედსართავ მცირე-ს ქართულ სალიტერატურო ენასა და სასა-
უბრო მეტყველებაში გამოყენების ფართო არეალი აქვს.

ქეგლ-ის მიხედვით მისი განმარტება ასეთია: 1. პატარა, ცოტა
(ზომით, რაოდენობით). მცირე დარბაზი. – მცირე მანძილი. – მცირე
შემოსავალი. – მცირე ხელფასი. – [სამანიშვილების] მცირე ქონებაც
კი სიმდიდრედ ითვლებოდა (დ. კლდ.). რაც უნდა მცირე მოსავალი
იყოს, ერთი კოდი ბრინჯი ოც კოდს მაინც მოიყვანს (ი. გოგებ.). ||
ხანმოკლე. მცირე დუმილი. – მცირე ყოყმანი. || მსუბუქი, სახელდა-
ხელო. მცირე საუზმე. || უმნიშვნელო, ოდნავი. მცირე მოძრაობა. –
მცირე ოპერაცია. – მცირე დახმარება. – მცირე შენიშვნა. – მცირე რამე-
ზე მომდიოდა ხოლმე ჩხუბი მათიკოსთან (აკაკი). 2. წლოვანებით,
ასაკით პატარა, – უმცროსი. დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველა-
ნი – დიდნი, მცირენი; სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სა-
ხლის დირენი! (ვაჟა).¹

მცირე-ს პარალელურად იმავე მნიშვნელობით, მაგრამ გაცი-
ლებით ნაკლები სიხშირით გვხვდება **მცირედი** (მცირედი დანახარ-
ჯი, მცირედი უზუსტობა...) და **მცირეოდენი** (მცირეოდენი ცვლი-
ლება, მცირეოდენი ხარვეზი...). **მცირედი -ედ** სუფიქსიანი ფორმა,
ხოლო **მცირეოდენი** მიღებულია **მცირე** ფუძეზე **-ოდენ** ნაწილაკ-მო-
რფემოიდის დართვით, რომელიც ძველ ქართულში ოდნაობის ფუნ-
ქციის გამოსახატავად გამოიყენებოდა (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე,
მ. ბერიძე 1988). ორივე ფორმა ცნობილია ძველი ქართული ტექსტე-
ბიდან. მათ გარდა ფუძისაგან **მცირე** ძველ ქართულში წარმოქმნი-
ლია კიდევ არაერთი ზმნა და სახელი: **აღმცირება შემსუბუქება, და-
მცირება დამცრობა, დაპატარავება, სიმცირე ნაკლებობა, სიცოტავე,
სულმცირე მსუბუქი, მჩატე, მცირეაკი კნინი, პატარა, უმცირესი უფ-**

¹ უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მნიშვნელობით – წლოვანებით, ასაკით პატარა,
უმცროსი – **მცირე** დღეს თითქმის აღარ გვხვდება.

რო მცირე, უმცროსი, **უმცირესა** შეცოტავება (ი. აბულაძე 1973), **მცირეობა** სიმცირე, **მცირედად** მცირე, **მცირაობა**, **მცირეობა** სიმცირე, **მცირეა** მეტად მცირე, **მცირათაგანი** მცირეთაგანი, **მცირედად** მცირე, **მცირედის** იაფად და სხვ. (ზ. სარჯველაძე, 2001). მათგან ზოგი თანამედროვე ქართულშიც აქტიურია.

ზოგადად, **მცირეს** სემანტიკური ველი ძველ ქართულში უფრო ფართო იყო. როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ტექსტებში ის გვხვდება ზომის, მოცულობის, რაოდენობის, ასაკის, წოდებრივი მდგომარეობის, ქონებრივი შესაძლებლობის, ღირებულების, მნიშვნელობის თვალსაზრისით ნაკლები ოდენობის გამოსახატავად. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს. **მცირე** გამოხატავს ნაკლებ ოდენობას:

ასაკის მიხედვით:

„(დედაკაცს) აქვდა ხელთა ძე თვისი **მცირე** ვითარ ორისა წლისა...“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);¹

მნიშვნელობის მიხედვით:

„ტურთი ჩემი **მცირე** არს“ (მთ. 11, 30);

წოდებრივი თვალსაზრისით:

„გასცეს ურიცხვი დიდებულთა და **მცირედთა** ზედა“ (ამირან-დარეჯანიანი);

ქონებრივი შესაძლებლობის თვალსაზრისით:

„შეკრიბნა მისნი მხლებელნი, მდიდარნი ანუ **მცირეა**“ (შაჰნა-მე).

წარმოდგენილ ნიმუშებში კონტექსტის, აქვე მოყვანილი ანტონიმების მიხედვითაც კარგად ჩანს, კონკრეტულად რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული **მცირე (მცირედი)**.

სულხან-საბა ორბელიანს **მცირე** განმარტებული აქვს როგორც **ცოტად, უმცროსს** კი ასეთ ვრცელ განმარტებას აძლევს: „**უმცროსი** ზოგადი სახელი არს ყოველთა უმცირესთა. ხოლო ესე უმცროსი განიყოფებიან ექვსად: უმცროსად, ცოტად, პატარად, დარედ, მრწემად და კნინად. **უმცროსი** ითქმის ყოველთა სულიერთა და უსულოთა გვამოვნებასა ზედა, სადა ითქმის უფროსი, მისთა უმცირესთა

¹ ნიმუშები ძველი ქართული ტექსტებიდან მოგვყავს ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით: <https://gns.gov.ge>.

უმცროსად სახელ-ვსდებთ; ხოლო **ცოტა** ითქმის ნოტიოთა და სასმელ-საჭმელთა ზედა, რამეთუ მრავლისა უმცირესი ცოტად ითქმის; ხოლო **პატარა** ჭურჭელთა და ქვათა და ძელთა და მისთანათა, რამეთუ დიდისა უმცირესთა პატარად ვიტყვი; ხოლო **დარე** პატივის უფალსა ზედა, რამეთუ უადრესისა უმცირესი უადრესი არს; ხოლო **მრწემი** კაცთა ზედან ოდენ ითქმის, რამეთუ პირველ შობილსა უხუცეს უწოდენ და შემდგომად შობილსა მრწემი; ხოლო **კნინი** ყოველთა მცირეთა უმცირესი არს, ვითარცა ზვავი დიდთა უმეტესი, რამეთუ ზვაობა მეტად დიდობა არს. ხოლო მოლექსეთათვის სიტყვა და ლაპარაკი არა დაიდება, რადგ გაეწყობა, მას იტყვიან. ვიეთთა მთარგმნელთაცა ესრეთ უქნიათ, ვინცა სიტყვას რიგით გააწყობს, იგი უმჯობესია“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1966).

სულხან-საბას ამ განმარტების მიხედვით, **უმცროსი** არის ზოგადი სახელი ყველა უმცირესის გამომხატველ სახელთა შორის, რომელნიც ექვსად იყოფა; ესენია: **უმცროსი**, სულიერზეც ითქმის და უსულოზეც; **ცოტა**, რომელსაც სითხეზე, სასმელ-საჭმელზე ამბობენ; **პატარა**, ითქმის ჭურჭელზე, ქვაზე ან ხეზე; **დარე**, რომელიც *უადრესის* ანტონიმია; **მრწემი**, რომელიც მხოლოდ ადამიანზე ითქმის და **კნინი**, რომელიც *ყველაზე მცირეს*, *ყველა მცირეზე უფრო მცირეს* ნიშნავს.

ამ ჩამოთვლილთაგან თანამედროვე ქართულში ყველაზე მეტად აქტიურია **პატარა** და **ცოტა**. ეს ზედსართავი სახელები მეტად იშვიათად გამოიყენებოდა ძველ ქართულში. VII-VIII საუკუნეების ენაში ამ ზედსართავ სახელებს საკმაოდ ხშირად ვხვდებით, მათი გააქტიურების შედეგად კი **მცირეს** გამოყენება შეიზღუდა. მე-19 საუკუნის მწერალთა ტექსტებში, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის ნაწარმოებებში **მცირე** // **მცირედი** კონკრეტული საგნების მსაზღვრელად იშვიათად გამოიყენება; ასეთია, მაგ.:

მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული (ი. ჭავჭავაძე).

მსგავსი შემთხვევები, როცა ადამიანის ან რომელიმე კონკრეტული საგნის დასახასიათებლად გვხვდება **მცირე** // **მცირედი**, მეტად იშვიათია. ეს ზედსართავი გვხვდება უფრო აბსტრაქტული სახელების, ასევე არათვლადი, დაუნაწევრებელი, ზოგადი სიმრავლის გამომხატველი სახელების მსაზღვრელად:

არა, გეთაყვა, ბოზბაში სჯობია, – მიუგო **მცირე** დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა (ი. ჭავჭავაძე).

მოხუცმა შეჰხედა თვალებში, მაგრამ არ უპასუხა და **მცირე** სიჩუმის შემდეგ დაიწყო... (ა. ყაზბეგი).

ამგვარს საქმეში კაცზედ ბრალის მიტანა, მხოლოდ **მცირედის** ეჭვით, მეტად ძნელი იყო... (ა. ყაზბეგი).

იმ **მცირედის** ხალხით, რომელიც გაგის ახლდა, ყველა მხარეს გზას ვერ შეუკრავდა მომწყვდეულებს (ა. ყაზბეგი).

ამ **მცირე** ძღვნით ისე კმაყოფილი დარჩა მეფე, რომ სხვების განძი ჩალადაც აღარ ჩაუგდია (ა. წერეთელი).

დროებამ ისე მოიტანა, რომ მათი **მცირე** ქონებაც კი სიმდიდრედ ითვლებოდა (დ. კლდიაშვილი).

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე **მცირე** უფრო მყარ შესიტყვებებში გამოიყენება და სამეცნიერო, პუბლიცისტური ან ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტებში გვხვდება. ხშირად, როდესაც **მცირე** მსაზღვრელია; ხშირად ის გამოყენებულია იმ სიტყვასთან ერთად, რომელიც გვიჩვენებს, რის სიმცირეზეა ლაპარაკი: **მცირე ზომის, მცირე მოცულობის, მცირე რაოდენობის, მცირე ასაკის...**

ამკარაა, რომ **მცირეს** გამოყენება, ძველ ქართულთან შედარებით, შეიზღუდა. იმ კონტექსტებში, რომლებშიც ძველ ტექსტებში **მცირე** გვხვდება, ახლა გამოყენებულია **პატარა** ან **ცოტა**, ხოლო **მცირე**-მ გადაინაცვლა შესიტყვებებსა და ტერმინებში: **მცირე** დეტალი, **მცირე** დანაკარგი, **მცირე** განსხვავება, **მცირე** სიმძლავრის ელექტროსადგური, დროის **მცირე** მონაკვეთი... **მცირე** აზია, **მცირე** ბიზნესი, **მცირე** მეურნეობა, **მცირე** მეწარმე, **მცირე** საწარმო, **მცირე** ნალექი... ის აქტიურად მონაწილეობს კომპოზიტების წარმოქმნაშიც: **მცირე-მოსავლიანი, მცირეწლოვანი, მცირერიცხოვანი, მცირემეტრაჟიანი, მცირეყალიბიანი, მცირეფასიანი** და ა. შ.

საინტერესოა, რომ ზოგ დიალექტში შემორჩენილია ძველი ქართულის მსგავსი ვითარება და **მცირე** სხვადასხვა ნიშან-თვისების ნაკლებობას გამოხატავს; კერძოდ, იგი გამოხატავს:

კონკრეტული (სულიერი და უსულო) საგნის ზომას (დიდის ანტონიმია):

მცირე ხეა... თუ ღონიერი ადგილი აქვს, ცოტა ძლიერი იზრდება (ქართლ.).

მცრე კაცი (ტანდაბალი; ქართლ.).

ართავლადი, დაუნაწევრებელი ობიექტის მოცულობას (იგივეა, რაც ცოტაოდენი):

დილით საუზმე არ იყო, ვახშამი – მცირე (გურ.).

ნაკლები ღირებულების, ნაკლები მნიშვნელობის მქონეს:

პრისტავებიც დამსხდარიყვნენ მცირე საქმეზე (სამცხურ-ჯავახ.).

ქონებრივი თვალსაზრისით ნაკლებ შესაძლებლობას (იგივეა, რაც ღარიბი):

ოჯახი ძაან მცირე შამხვდა:... სახლი არა ექონდა... (ქიზიყ.);

თვლადი სიმრავლის ნაკლებ რაოდენობას:

სამოცი გვიჩუქებია, იმაზე მცირე რა არის? (ქართლ.)

ძალიან მცირე და ცოტა დღიები დაგვჩა სასწავლო წლის დაწყებამდე (აჭარ.).

სოციალურ სტატუსს:

ჩემზე მცირე ამხანაგი გინდ ათასი შავიფერე (ქიზიყ.).

საინტერესოა **მცირე** ფუძისაგან წარმოქმნილი სახელები როგორც წარმოქმნის, ისე მათი სემანტიკური ველის თვალსაზრისითაც. კერძოდ, ოდნაობითი ხარისხის ფორმა **მომცრო** გამოხატავს მცირე ზომისას და ითქმის როგორც ადამიანზე, ისე ნივთზე. ის სალიტერატურო ენაშიც ხშირად გამოიყენება და დიალექტებშიც. საინტერესოა, რომ აჭარულში ამავე მნიშვნელობით გვხვდება ასევე **დამცრო:**

დამცრო კეცი მინდა გამოვყვანო (აჭარ.).

აჭარული დიალექტის ზოგიერთ თქმაში კი (მერისის ხეობაში) დადასტურებულია კონტამინირებული წარმოების შემთხვევა, ოდნაობითი ხარისხის ორმაგი პრეფიქსაციით: **მო-და-მცრე-ე-ო // მო-და-მცრე-ო...** (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988).

საინტერესოა **მცირესაგან** წარმოქმნილი ზმნა **ემცრობოდა**, რომელიც დადასტურებულია რაჭულში:

ყვავს თვალი ემცრობოდა და ისიც ჩიტებმა ამოკეკესო.

უმცროსი ისევე, როგორც **უფროსი**, თანამედროვე ქართულში ასაკის, წლოვანების მიხედვით ახასიათებს ადამიანს, ზოგ დიალექტში კი ძველი ქართულის მსგავსად, ზომით პატარა საგანსაც აღნიშნავს (ასიმილაციის საფუძველზე – **უნცროსი**):

თუ ჭარიკაი გვინდა,... ზეით დავაპაწავევთ და პირს გულუკეთევთ... დოქი თუ გვინდა, **უნცროს** დევიწყევთ და ზეითაც უმფრო დავავინწროევთ და შივამბამთ უმფრო პატარა პირს (გურ.).

ჭურების თავზე – ქვევრები, ქვევრების თავზე – **უფროს-უნცროსობით** დანარჩენი ჭურჭლები და გამოიტენება ჭურა თავამდე (ლექს.).

საინტერესოა **მცირესაგან** წარმოქმნილი ზმნები: **დაიუმცროსებს, იუმცროსებს, ეუმცროსება**, რომლებიც გვხვდება ქართლურსა და კახურში, ასევე მთის კილოებში. **დაიუმცროსებს** იგივეა, რაც დასასქმებს, ხოლო **ეუმცროსება** ნიშნავს: დავალებას, სურვილს უსრულებს, ემსახურება. ამ შემთხვევაში **უმცროსი** // **უნცროსი** გამოხატავს არა ასაკის, არამედ სოციალური სტატუსის მიხედვით ნაკლებს, მცირეს:

არავის **ეუმცროსება** ე ქრისტინეი და სამადლოდ კი დადის (ქართლ.);

მართალია, დიდი სიკეთე აქ ჩემზე, მაგრამ მეც, რაც შემძლია, **ვეუნცროსები** (ქართლ.).

გოგი, შენი ჭირიმე, არ **მიუნცროსებ?** (მთიულ.)

გურამიშვილს ვინ **დაიუმცროსებდა** წყლის მოსატანად, პოეტი კაცი იყო (ქართლ.).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე ზმნა **მოუმცროსება: მაიუმცროსებდენ** გლეხსა და მისცემდენ მამულსაცა, ადგილსაცა (ქართლ.);

ის კი უნდა, რო მიხვიდე, **მოეუნცროსო** (ქართლ.);

ისევ იმის ბავშვებმა უფრო იციან **მოუმცროსება** (ქართლ.);

თუ მოშივათ, ლეკვასავით მოიკუნტებიან, **მოსაუმცროსებლათ** კი წელი სწყეებათ (ქართლ.).

გამოკვეთილად უარყოფით მნიშვნელობას იძენს „**უნცროსობა**“ ხევსურულ დიალექტში. როგორც ა. ჭინჭარაულის ხევსურულის ლექსიკონში არის აღნიშნული, „როცა ვინმეს წინასწარგანზრახვით კლავდნენ, მას თავისი მიცვალებულის უმცროსად (უნცროსად) გზავნიდნენ საიქიოში. ამა და ამის უმცროსიმე იქნებო, ეტყოდნენ... უმცროსი საიქიოში მისი მონა-მორჩილი იქნებოდა“ (ა. ჭინჭარაული 2005, 861). ასე რომ, „უნცროსობას ეტყვის“, „უნცროსობას უთვლის“ ხევსურულ დიალექტში დიდ მუქარას და მტრის დამცი-

რებას ნიშნავდა. ამავე დროს ხევსურულში სიტყვა **უმცროსი** კნინობითი ფორმითაც – **უნცრუა** არის გავრცელებული და ის კაცის საკუთარი სახელია (იქვე, 861).

ამრიგად, ზედსართავი სახელი **მცირე**, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში მხოლოდ გარკვეული ჯგუფის სახელებთან გვხვდება, დიალექტებში გამოყენების უფრო ფართო არეალს ინარჩუნებს, თუმცა სხვა ზედსართავების (პატარა, ცოტა...) გააქტიურება გარკვეულწილად მაინც ზღუდავს მის გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV-2, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, ქართული ენა, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.

დიდი ქართული დიალექტური ბაზა და დიალექტების ელექტრონული ატლასი – GEDA (Corpora.co/#/ ელექტრონული რესურსის გამოყენების თარიღია 2. 08. 2023).

ქართული ენის ეროვნული კორპუსი – gns.gov.ge.

ცირა ჯანჯღავა

-ხოლო ნაწილაკის ფუნქციისათვის მეგრულში

მეგრული -ხოლო ნაწილაკი, რომელიც შესაძლოა მასალობრივ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს – ხოლო „ახლო“ და ხოლოს „ახლოს“ – უკავშირდებოდეს, ქართული -ც და -ვე ნაწილაკების ფუნქციას ასრულებს; -ც-ს ფუნქციას ის იძენს არსებით და ზედსართავ სახელებთან, ნაცვალსახელებთან და ზმნისართებთან (მაგ., კოჩხოლო „კაციც“, ჩეხოლო „თეთრიც“, ჩქიხოლო „ჩვენიც“, თაქხოლო „აქაც“), ხოლო რაოდენობით რიცხვით სახელებთან შეერთებისას იგი აწარმოებს რიცხვით სახელთა ახალ ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებული სიტყვები საგანთა სიმრავლეს როგორც ერთობას, ერთ მთლიანობას წარმოგვიდგენს; მათ შეიძლება შეკრებითი რიცხვითი სახელები ვუწოდოთ (ინგლ. Collective numeral, რუს. Собирательное числительное).

შეკრებითი რიცხვითი სახელის განმარტება წარმოდგენილია ლინგვისტურ ლექსიკონებში. ოლგა ახმანოვას „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „შეკრებითია რიცხვითი სახელი, რომელიც გვიჩვენებს საგანთა სიმრავლეს, როგორც ერთობლიობას, როგორც მთლიანობას“ (ახმანოვა 1966: 515). „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ასეთი განმარტება გვაქვს: „შეკრებითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა ერთობლიობას“ (ლეღ 1990: 582).

მარუზოს „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ რიცხვითი სახელის ჯგუფებს შორის განმარტების გარეშე დასახელებულია შეკრებითი რიცხვითი სახელი (მარუზო 1960: 336).

ვფიქრობთ, ეს ჯგუფი უნდა გამოიყოს ქართველურ ენებშიც, მაგრამ ამჯერად ჩვენი განხილვის ძირითადი საგანია მეგრულ-ლაზური ენის მეგრული დიალექტის მონაცემები.

შეკრებით შინაარსს, მეგრულში, როგორც ითქვა, -ხოლო ნაწილაკი გადმოსცემს, რომელიც სათანადო რიცხვით სახელს დაერთვის, მაგალითად:

ჟირხოლო „ორივე, ორივე ერთად“ **ჟირხოლო** ცუჩა მეურს „ორივე სახლში მიდის“.

სუმბოლო „სამივე, სამივე ერთად“ **სუმბოლო** ჯიმას ცხენევი
ქუნს „სამივე ძმას ცხენები ჰყავს“.

ხუთხოლო „ხუთივე, ხუთივე ერთად“ **ხუთხოლო** სოფელს
თითო ოხვამე გედგ „ხუთივე სოფელში თითო ეკლესია დგას“.

ვითხოლო „ათივე, ათივე ერთად“ **ვითხოლო** ბაღანა ჩქინ სო-
ფელზე რე „ათივე ბავშვი ჩვენი სოფლიდანაა“.

ოშხოლო „ასივე, ასივე ერთად“, **ოშხოლოს** ოკოდგ ქალაქის
რინა „ასივეს უნდოდა ქალაქში ცხოვრება“ და სხვ.

ი. ყიფშიძე მეგრული **ხოლო** სიტყვის ერთ-ერთ ფუნქციად ნა-
წილაკად მის გამოყენებას მიიჩნევს; იგი ქართული **-ვე** ნაწილაკის
ფარდია (ყიფშიძე 1914: 406).

ლაზურში მეგრული **-ხოლო** ნაწილაკის მნიშვნელობით **-თი**
ნაწილაკი გამოიყენება (მაგ., **ქურთითი** „ორივე“, **სუმითი** „სამივე“).
ნ. მარი მიუთითებს **-თი**-ს პარალელურ **-თითი**-ზე (მარი 1910: 147).
ა. კიზირია აღნიშნავს, რომ ნაწილაკი **-თი** რამდენიმე ქართული ნა-
წილაკის ფუნქციური შესატყვისია (კიზირია 1967: 73).

საგულისხმოა ქართულში არსებული ვითარება. ა. შანიძის მი-
ხედვით, **-ვე** ნაწილაკი „აღნიშნავს თვით იმავეს“ (შანიძე 1953: 634).
ძველ ქართულში ამ ნაწილაკს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ახალში
(შანიძე 1976: 148).

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ 2022
წლის „არნ. ჩიქობავას საკითხავებზე“ ქ. დათუკიშვილის მიერ გამო-
თქმულ მოსაზრებას, რომ **-ვე** ნაწილაკი ქართულში შეიძლება გამო-
ყენებული იყოს დერივაციული ფუნქციით (დათუკიშვილი 2022: 23-
24). ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულში **-ხოლო** ნაწილაკი
მხოლოდ დერივაციული ფუნქციით გამოიყენება, ოღონდ, ქართუ-
ლის მსგავსად, სხვადასხვაა მისი დანიშნულება რიცხვით სახელებსა
და სხვა მეტყველების ნაწილებში.

-ხოლო ნაწილაკი მეგრულში, **-თი** ლაზურში და **-ვე** ქართულ-
ში რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან **შეკრებითი რიცხვითი**
სახელების საწარმოებლად გამოიყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

ახმანოვა 1966 – О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Москва.

დათუკიშვილი 2022 – ქ. დათუკიშვილი, ნაწილაკთა დერივაციული ფუნქციისათვის. – „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXXIII, თბილისი.

კიზირია 1967 – А. И. Кизирия, Занский язык. – ЯН СССР, т. IV, Москва.

ლელ 1990 – Лингвистический этимологический словарь, Москва.

მარი 1910 – Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург.

მარუზო 1960 – Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, Москва.

ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

- ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი – ერთი ნაგენეტიკარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში.....7
- მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე – მწკრივთა წარმოება კლარჯულში.....11
- მ. ბ ე რ ი ძ ე – მეთერთმეტე საუკუნის ანთროპონიმები ფოკანის ტაძრის ეპიგრაფიკის მიხედვით18
- მ. ბ ე რ ი ძ ე, ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე – ინგილო, საინგილო, ინგილოური (ტერმინთა ცვლისა და მიმართებების დადგენისათვის)25
- მ. ბ ე რ ი ძ ე, ნ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე – ენობრივი ცვლილება და კუნძულური დიალექტის არჩევანი (მომავალი დროის გამოხატვა ინგილოურში)34
- მ. ბ უ კ ი ა – მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკის ერთი ჯგუფისთვის (საგვარეულო, წინაპარი, შთამომავალი).....43
- ქ. გ ი გ ა შ ვ ი ლ ი – ლექსიკური ინტერფერენციის საკითხისათვის ფერეიდნულ დიალექტში49
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, თ. ლ ო მ თ ა ძ ე – მიგრაციული დიალექტიზმების შესახებ ქართულში (საკითხის დასმისათვის)56
- ნ. ზ უ მ ბ ა ძ ე – ქართული მუსიკალური დიალექტები და სიმღერა „მზე შინა“62
- ლ. თ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი – მეტონიმია, როგორც ონომასტიკური მოვლენა ახალციხის მუნციპალიტეტის ოიკონიმთა მიხედვით68
- თ. ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი – სიტყვა წვიმის სინონიმები სამცხე-ჯავახეთში74

ი. კ ე კ ე ლ ი ა – ლეჩხუმის ოიკონიმიდან (ოყურეში).....	79
ლ. კ ო ბ ა ი ძ ე – კუსუფიქსიანი ზმნები მთიულურ დიალექტში.....	81
ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – „საზიარო არტიკულაციის კანონის“ მოქმედებით დაკარგული {-ნ} ზმნური მორფემა ქიზიყურში.....	85
ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი – ერთი ნაგენეტივარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში.....	89
მ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე – „რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“	96
ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – ქსნის ხეობის ონომასტიკიდან სოფელი ქურთა და მისი მიდამოები	101
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი – უმველესი რელიგიური (ქრისტიანული თუ წარმართული) ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური გააზრებისათვის სვანურში I. ლიცხტი/ლიცხატ/ლიცხტენი.....	112
ნ. ს უ ლ ა ვ ა – ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებათა შესახებ	121
მ. ფ ა ღ ა ვ ა – ურ//ულ სუფიქსი კლარჯეთის ტოპონიმიაში.....	127
ჭ. ქ ი რ ი ა – ფუძეკვვეცადი სახელები ქართულსა და მეგრულ-ლაზურში.....	136
ქ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე – ქართულ წყაროებში შემორჩენილი ქვის აღმნიშვნელი სახელწოდებები და ტოპონიმები	144
ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – სვანური გამოცანები „მნა მოშარ (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ მასალების მიხედვით).....	153
შ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – ერთი ზღაპრის ხალხური წყაროს შესახებ	159
მ. ჩ უ ხ უ ა – ქართული ენისა და ქრისტიანობის ისტორიული სტატუსი კავკასიის რეგიონში.....	165
ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი – მეტყვარი სახელების წარმოება კახეთში მიგრირებულ მთიულ-გუდამაყრელებში.....	171

ნ. წერედიანი – „ლემზირიდან“ „სეფისკვერამდე“	184
ს. ჭავჭავაძე – „უნივერსიტეტში დატოვებულ“ ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოგზაურობის დღიური „მასალები ქართულ კილოზე, კავთისხევი, 1923 წ.“	192
რ. ჭიკაძე – შავშური დიალექტის ენობრივი იმუნიტეტი	202
ნ. ჭოხონელიძე – ხარისადმი მისამართი შემახილები ქართულში.....	206
ნ. ჭუმბურიძე, მ. კიკონიშვილი – ზედსართავ მცირე-სლექსიკური ველი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში	213
ც. ჯანჯღავა – <i>-ხოლო</i> ნაწილაკის ფუნქციისათვის მეგრულში	220